განათლების ზნეობა

პროფ. დრ. მუჰამმედ შევქი აიდინი

რსს
მგმოგმცევლობა

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
Muslim Georgia Humanitarian Foundation
International Charity

რელიგიის საქმეთა სამინისტროს
გამომცემლობა- 1488
მორალი-2

მთავარი კოორდინატორი : პროფ. ჰურიე მარტი

გამოცემის რედაქტორი : ფათიჰ ქურთი

კოორდინატორი : ფარუქ გორგულუ

გამომცემელი : პროფ. მუჰამმედ შევქი აიდინი

ავტორი : პროფ. ჯაფერ სადიქ იარანი

რედაქტირება : რამაზან ოზალფდემირ

გრაფიკა და დიზაინი : ემრე ილდიზი
მუჯელლა თექინი

გარეკანის დიზაინი : ონურ დემირბაში

თარგმნა : თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი : ბილალ ილკაი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18 muslim.georgia.54
georgiaquran muslim_georgia
muslimgeorgiaquran muslimgeorgia

განათლების ზნეობა

პროფ. დრ. მუჰამმედ შევქი აიდინი

რსს
მკითხველი

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

შესავალი 19
1. განათლება და ადამიანი 19
2. განათლება და მორალი 22
3. მორალური პრინციპების ანალიზი 27

ნაწილი პირველი

მასწავლებლის მორალი 35
1. მასწავლებელი 37
1.1. ვინ არის მასწავლებელი/ აღმზრდელი? 37
1.2. მასწავლებლის როლი ისლამის განათლების ტრადიციაში 39
1.3. თანამედროვე მასწავლებელი 51
2. მასწავლებლის პიროვნული ზნეობა 57
2.1. ძირითადი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს 58
2.2. ცოდნასთან მჭიდრო კავშირში ყოფნა 63
2.3. ცოდნისა და ქცევის ერთიანობა 69
2.4. ცოდნის მნიშვნელობის დაცვა 76
2.5 მოვალეობის გააზრება 80
2.6. თავმდაბლობა და თავაზიანობა 83
3. მასწავლებლის მორალი სწავლების პროცესში 94
3.1. მუდმივად პროფესიული განვითარების გზაზე ყოფნა 94
3.2. სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა და კლასის მართვის ორგანიზება 101

3.2.1. მოსწავლეების კარგად გაცნობა 104
3.2.2. მოსწავლეებისთვის სასიამოვნო
დისციპლინის ჩამოყალიბება 105
4. მასწავლებლის ეთიკა მოსწავლეებთან
ურთიერთობისას 114
4.1. მოსწავლის პიროვნების მიმართ პატივისცემა. 114
4.2. მოთმინება და მიმტევებლობა 126
4.3. მოსიყვარულეობა და შემწყნარებლობა 130
4.4. წაქეზება და მოტივაციის გაღვიძება 138
4.5. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა 141
4.6. მოსწავლეებზე მრავალი
მიმართულებით თანადგომა 148
4.7. ცოდნის გაცემისას ხელგაშლილობა 152
4.8. მოსწავლეებთან ურთიერთობისას
ომიერების დაცვა 153
საკითხავი ნაწილი 157
მასწავლებელი 157
არსებობს მასწავლებელი და მასწავლებელი! 164
5. მასწავლებლის ეთიკა კოლეგებთან მიმართებაში 168
5.1 კოლეგებთან ურთიერთობაში
ღიაობის შენარჩუნება 168
5.2. კოლეგების მიმართ პატივისცემა 173
5.3. კოლეგების მიმართ სამართლიანობა და
ტენდენციურობის არ დაშვება 174

ნაწილი მეორე

მოსწავლის ეთიკა 177
1. მოსწავლე 179
2. მოსწავლის ეთიკა 183

2.1 კეთილი განზრახვა: ცოდნის შეძენისა და
განვითარების მიზნად დასახვა 183
2.2. უარყოფით გრძნობებისა და
აზრებისგან გულის გაწმენდა 190
2.3. საკუთარი თავის ცოდნის შეძენაზე მიძღვნა 193
2.4. ჯანსაღი ცხოვრების წესი და ალალი საკვები 196
3. მასწავლებელთან ქცევის წესები 198
3.1 მასწავლებლის მიმართ პატივისცემა 198
4. მოსწავლის სწავლის ეთიკა 206
4.1. დროის სწორად გამოყენება 206
4.2. გაკვეთილზე მომზადებული მისვლა 210
4.3. გაკვეთილების გაცდენა 211
4.4. გაკვეთილებზე აქტიური ჩართულობა 213
4.5. წესების დაცვა 215
4.6. სწავლა-სწავლების პროცესში
და გამოცდის დროს პატიოსნება 217
5. მეგობრებთან ურთიერთობის ეთიკა 224
5.1. მეგობრები არ უნდა შევაწუხოთ 224
5.2. კარგი მეგობრების შეძენა 227
5.3. ცოდნისა და საგანმანათლებლო რესურსების
მეგობრებისთვის გაზიარება 228
5.4. მეგობრების მიმართ თანასწორი
დამოკიდებულება 231

ბოლოსიტყვაობა 233
წყაროები 235

წინასიტყვაობა

შუამავალი, რომლის მოვლინების მიზანიც "მორალური სილამაზის სრულყოფა" იყო (იხ. ბუჰარი, "ედებულ მუფრედ" 104), ბრძანებს: "მორწმუნეთა შორის, რწმენის მიხედვით, ყველაზე სრულყოფილი ისაა, ვისი ზნეობაც უკეთესია". (იხ. ბუჰარი, "ედებ" 39; მუსლიმ, "ბირ" 47; ებუ დავუდ, 14). ეს ჰადისი ადასტურებს, რომ ისლამის მოძღვრების ცენტრში მორალი დგას და ის ამ მიმართულებითაა ჩამოყალიბებული, რაც განპირობებულია იმით, რომ ღრმადმორწმუნოების ხარისხი სწორედ რომ მორალური საზომით იზომება. ისლამის მიხედვით ნამაზი, მარხვა და სხვა მსგავსი ღვთისმსახურება ადამიანს ზნეობრივად ამაღლებს და ამის პარალელურად უზნეობისკენ მიდრეკილებებს ახშობს. (იხ. ანქებუთ 45; ბაყარა 183). გამომდინარე აქედან, მორწმუნეობა, რომელიც ზნეობისგან დაცლილია, თავის არსს სცილდება. ისლამში იდენტობის გამოხატვა მორწმუნის მიერ სხვადასხვა ასპექტების მთლიანობაში წარმოჩენითაა შესაძლებელი. როდესაც სიტყვა და საქმე ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, ბუნებრივია, ეს მდგომარეობა კრიტიკისთვის ღიაა.

"ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რატომ ამბობთ იმას, რასაც არ აკეთებთ?

დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე იმის თქმა, რასაც არ აკეთებთ”. (საფ 61/2-3).

გამომდინარე აქედან მუსლიმს სიტყვა და საქმე ერთი უნდა ჰქონდეს. ის სიტყვითაც და საქმითაც ზომიერი და მართალი უნდა იყოს. (იხ. ჰუდ 112; ფუსსილეთ 6).

ისლამის მოაზროვნეები ზოგადად მორალს შემდეგნაირად განმარტავენ: „მორალი ადამიანში ჩამოყალიბებული წესრიგია, რომლისგანაც, გონების ძალდატანების გარეშე, ქცევები ყალიბდება“. სწავლულთა მიერ შემოთავაზებული ეს განმარტება ორ მიმართულებას მოიცავს: პირველი არის ის, რომ მორალი ადამიანში ჩამოყალიბებული ერთგვარი წესრიგია, ხოლო მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ ადამიანის ქცევა, გონების ძალდატანების გარეშე, ამ წესრიგიდან გამომდინარე იოლად წარმოიქმნება. შესაბამისად მორალი ადამიანის შიგნითაა, ხოლო ქცევები ამ მორალის გარეგნულ გამოვლინებას წარმოადგენს. მორალის მქონე ადამიანის შინაგანი მორალი და მისი ქცევებში გამოვლინება ერთმანეთთან თანხვედრაში უნდა იყოს. მორალის კარნახი გარეგან მოტივაციაზე არ არის დამოკიდებული. მორალი ქცევებს ისე განსაზღვრავს, რომ მოსალოდნელ ჯილდოს ან სასჯელს წინაპირობად არ მიიჩნევს. ასეთ დროს ქცევები, როგორც წესი „გულის კარნახით“ ვლინდება.

ინდივიდს ისლამის მიერ შემოთავაზებული, ასეთი ზომიერი და „ერთიანი“ მორალის განვითარება, გამჩენის მიერ დაბადებიდანვე მასზე მინიჭებული საწყისი მორალის წრთვნით შეუძლია. მორალის საფუძველი ადამიანის ბუნებაში არსებობს და გააჩნია განვითარების პოტენციალი.

„სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას! და მისთვის (სულისთვის) **უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა** (სული)**, ვინც განწმინდა იგი!**

უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული)**, ვინც შეეცადა მისი**(ნაკლოვანებების) **დაფარვას!“** (შემს 91/7-10)

ყურანში მორალის საფუძვლად ადამიანის შინაგან ბუნებაში არსებული საწყისებია მიჩნეული. ადამიანს შინაგანი ბუნების კარნახით შეუძლია განასხვავოს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, ჭეშმარიტება და მცდარი და ა.შ. ანუ მას დაბადებიდანვე გააჩნია პოტენციური უნარი, რომელიც ღირებულებების გააზრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ადამიანის ბუნებაში არსებული მორალური საწყისები თესლის თვისებისაა. მათი აღმოცენება, გაზრდა, გაკვირტვა და ნაყოფის სახით გამოვლინება, მხოლოდ და მხოლოდ განათლებითაა შესაძლებელი. ინდივიდის ზნეობრივი განვითარებისათვის საჭიროა ეფექტური აღმზრდელობითი განათლება, ეს კი ორი მიმართულებით არის შესაძლებელი: პირველი არის ცხოვრების მანძილზე გამოცდილებით მიღებული ცოდნა, ხოლო მეორე გზა ცოდნის შეძენა, აზროვნება და ფიქრია (თეფექქური).

ადამიანი დაბადებიდანვე გარემოში არსებული მორალის სხვადასხვა სახით გამოვლინებას აბსტრაქტულად აღიქვამს და ეს ყველაფერი მისი ზნეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაღალი ზნეობის სხვა და სხვა გამოვლინებები ადამიანს საშუალებას აძლევს გაითავისოს და ისწავლოს ეს ყველაფერი და ეს ცოდნა, როგორც წესი, ეფექტური და საფუძვლიანია. ინდივიდმა

კონკრეტული ქცევების მიზეზები რომც ვერ გაიგოს, ასე გამოცდილებით, დანახვით შესწავლილ ქცევებს დროთა განმავლობაში ითავისებს და იმეორებს. დროთა განმავლობაში მორალური ღირებულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ქცევები ადამიანს ჩვევად ჩამოუყალიბდება და უფრო მეტიც, ადამიანის ცხოვრების წესად იქცევა. ამასთანავე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი გარემო ზეგავლენების მიმართ მუდმივად ღია მდგომარეობაშია. ადამიანს დადებითთან ერთად უარყოფითისკენაც აქვს მიდრეკილება. უარყოფითი მიდრეკილებების განვითარების საფრთხეს ქმნის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცუდი გარემო, ცრურწმენები, ცრუ იდეოლოგია, ტრაგიკული ცხოვრებისეული გამოცდილება, ეგოიზმი და სხვა მსგავსი. ამგვარ ფაქტორებს შეუძლია ადამიანის დამოკიდებულებები შეცვალოს, სიკეთისკენ მიდრეკილებები შეასუსტოს და ბოროტებისკენ უბიძგოს.

თუმცა, დროთა განმავლობაში გარემო ფაქტორებიდან მომდინარე ზემოქმედების შედეგად ადამიანის არჩეული მიმართულება შეიძლება შეიცვალოს. მითუმეტეს გლობალიზაციის პირობებში მსგავსი ალბათობა შესაძლოა ნებისმიერ წამს რეალობად იქცეს, რადგან განსხვავებული რელიგიიის, კულტურისა და ტრადიციის მატარებელი ადამიანები უფრო დიდი მასშტაბითა და სიხშირით ერთმანეთთან კონტაქტობენ. მითუმეტეს როცა მრავალგვარი რელიგიური, იდეოლოგიური და კულტურული თავისებურებების მატარებელი ჯგუფები ერთ სივრცეში ცხოვრობენ. ისინი ერთიმეორის მიმართ ზეგავლენას განიცდიან. ასეთ მდგომარეობაში ყველაზე ძლიერი და მიმზიდველი ჯგუფის სხვა ჯგუფებზე ზემოქმედების ალბათობა უფრო

მაღალია. რადგანაც ამ ჯგუფების ერთ სივრცეში თანაცხოვრება გარდაუვალია, მაშინ არასასურველი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ინდივიდმა პრევენციული დამოკიდებულება უნდა განივითაროს. ამგვარი „აცრის“ მსგავსი დამცავი საშუალებებიდან მთავარი არის განათლება, თავისუფლებისა და თავისუფალი ნების მაღალი ხარისხი და სხვა. გამომდინარე აქედან, მაღალი ზნეობის მქონე პიროვნების აღსაზრდელად აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საუკეთესო მორალური მაგალითები დომინირებს. ამავდროულად ამ მაგალითებს შესაბამისი ინფორმაცია და ცოდნა უნდა კვებავდეს.

თუ ინდივიდი სიცოცხლესა და არსებობას რეალურად არ გააცნობიერებს, ის მორალს ვერ განავითარებს. ზოგადად არსებობის, როგორც ერთი მთლიანობის გაცნობიერება და ამ მთლიანობაში საკუთარი თავის დანახვა ინდივიდს გამჩენისა და მთელი სამყაროს შესაახებ ფიქრისკენ უბიძგებს. სწორედ ამ პროცესში ის იგრძნობს ზნეობისა და ზნეობრიობის მოთხოვნილებას, რის შედეგადაც ინდივიდი საკუთარი ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბებას შეეცდება. ინდივიდი შინაგანად აღიარებს კონკრეტულ ღრებულებებს და ცხოვრების სტილსა და ქცევებს ამ ღირებულებების გათვალისწინებით დაგეგმავს. გარე ფაქტორების ზეგავლენებისგან თავისუფალი ინდივიდი მხოლოდ იმ ღირებულებების მიხედვით იქცევა, რომელთა მიმართ ღრმა რწმენაც აქვს ჩამოყალიბებული, რაც ნიშნავს, რომ მისი მორალი ჩამოყალიბებული და თავისუფალია. ამ პროცესში სწორ განათლებას საუკეთესო გზამკვლევის ფუნქცია აკისრია.

თუ ყურადღებას მივაქცევთ, ნათელია, რომ ამ წერტილმდე მისასვლელად ინდივიდს სწორი განათლება და ამ

განათლებით კვება სჭირდება, რათა მოვლენების სწორად შეფასების უნარი გამოიმუშავოს. ბუნებრივია მზა წესების გაზეპირებით მსგავსი რაიმის მიღწევა შეუძლებელია. თუ ადამიანი მხოლოდ მზა მითითებების კითხვას დაჯერდება, მოარულ ბიბლიოთეკადაც რომ გადაიქცეს სწორი შეფასებების გაკეთებას ვერ შეძლებს. ინდივიდი, შეფასებების უნარის გარეშე, თავისუფალ ზნეობას ვერ განივითარებს. ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თეორიულად მრავალ მორალურ ცოდნას ფლობს და მათზე საუბარი შეუძლია, მაგრამ მათი ცხოვრებაში ხორცშესხმა და საკუთარი მორალის სრულყოფილკენ წაყვანა არ შეუძლია. მას შეუძლია მიბაძოს ირგვლივმყოფებს და გარეგნულად მორალური პიროვნება ჩანდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის რეალურადაც ასეთია. თუ ინდივიდი შეფასების საფეხურს მიაღწევს, მას უკვე მორალური ქცევის „წარმოება“, მორალური ქცევების საკუთარი გადაწყვეტილებებით დაფიქსირება შეუძლია. მორალურობის აბსტრაქტული ცოდნა მორალურს ვერ გაგვხდის, თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების სწორად შეფასება არ შეგვიძლია. როდესაც ინდივიდი რომელიმე მორალურ ქცევას გააზრებულად გააკეთებს, შემდგომში მას ცხოვრების წესად აქცევს და კონკრეტული ქცევის საპირისპირო ქცევის მიმართ ანტიპათიით განიმსჭვალება. ინდივიდს უჩნდება სურვილი, რომ მის ქცევებს შინაგანი მორალური მხარდაჭერა ჰქონდეს და ამის შედეგად შინაგანი სიმშვიდე მოიპოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როცა ადამიანის ქცევას შინაგანი მორალური მხარდაჭერა არ გააჩნია შფოთვას და საბოლოო ჯამში სასოწარკვეთილებას იწვევს. შესაბამისად, შეხედულებების სრულყოფილება შესაბამისი ქცევის გარეშე შეუძლებელია და ასევე პირიქითაც, სრულყოფილი ქცევა შესაბამისი შეხედულებების გარეშე არ არსებობს.

ამ მიმართულებით, რასაც მორალური სრულყოფა ან დეგრადაცია ჰქვია, მრავალი რამ დაწერილა და კიდევ დაიწერება. ადამიანისა და მისი ქცევების შესახებ ახალ-ახალი რეალობა ჩნდება და ასევე ახალი ცოდნა გროვდება. ადამიანის ცხოვრების პირობების მუდმივი ცვლილება ამ მიმართულებით ახალი მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოებას მოითხოვს. ამ ახალი მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოება მნიშვნელოვანია როგორც მორალის აღქმისათვის, ისე მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით. ამ ორივე სფეროში სწორი რეაგირებისათვის საჭიროა გარკვევით ითქვას თუ რას ამბობს ისლამი მორალის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ადამიანთან ურთიერთობაში ისლამის მიერ ისტორიის მანძილზე მორალთან მიმართებაში დაგროვილი შეხედულებების ზუსტი გამეორება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. საჭიროა ამ გამოცდილების სწორი გააზრება და შეფასება, ხოლო ამის შემდეგ სწორი ტაქტიკით, თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების შესაბამისი ფორმით მიწოდება. დღეს არის საჭიროება მორალური ღირებულებების თანამედროვე პირობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად განმარტებისა და ამასთანავე, საჭიროა სწორი და გეგმაზომიერი ანალიზი, რომელიც სწორად შეფასებული მორალური ღირებულებების საზოგადოებაზე შეთავაზების ფორმებს წარმოაჩენს.

ზოგიერთი მორალისტის აზრით „ფიქრის“ გარეშე ზნეობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევების დემონსტრირების საჭიროება მორალის არსთან შეუსაბამოა. მაგალითად, თუ ფიქრის საჭიროებას გამოვრიცხავთ, ხელგაშლილობის, როგორც მორალური ქცევისთვის საჭირო დამოკიდებულებებსა და ქცევებს ზუსტად ვერ განვსაზ-

ღვრავთ. ხელგაშლილობა სიტუაციის შესაბამისად განსხვავებული ფორმითა და რაოდენობით უნდა ვლინდებოდეს, რათა ის მორალურ ღირებულებათა მოთხოვნების შესაბამისი იყოს. ხელგაშლილობას თუ გადავაჭარბებთ ზღვარსგადასულობას, ფლანგვას მივიღებთ, ხოლო თუ ზედმეტად შევზღუდავთ, სიძუნწემდე მივალთ. შესაბამისად, გონივრული ფიქრის გარეშე ასეთი ქცევის სწორად განსაზღვრას, რომელსაც შესაბამისი დრო და საფუძველი უნდა ამყარებდეს, ვერ შევძლებთ. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელგაშლილობის უნარის მქონე ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამის ქცევას სწრაფად იმიტომ აფიქსირებს, რომ მას საამისოდ წინასწარი მზაობა გააჩნდა და არა იმიტომ, რომ ის არ დაფიქრებულა. გამომდინარე აქედან მორალური ქცევის ფიქრის გარეშე დემონსტრირება არ განიხილება. თუ ადამიანი საკმარისად არ დაფიქრდება, ის შეიძლება თანამედროვე პირობების შესაბამისად მიჩნეული მორალური ღირებულებების საპირისპიროდ მოიქცეს. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც გააჩნია მორალური პრინციპი, რომ სხვისი უფლებები არ უნდა ხელყოს, დაუფიქრებლად, უნებართვოდ აკოპირებს სხვის წიგნს და ამას ამორალურად არც კი მიიჩნევს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი მორალურ პრინციპს კონკრეტულ მოვლენასთან არ აკავშირებს და ზოგადად მისთვის ეს კავშირი ბუნდოვანია. მორალის ყოველდღიურ მოვლენებთან კავშირის ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად მორალის ცოდნა და გათავისება. მორალური გაგება და ცოდნა ძირითადად თეორიულ და აბსტრაქტულ დონეზე რჩება და ხშირად ის პრაქტიკული მორალის სახეს ვერ იღებს. არადა ადამიანის ცხოვრება სწორედაც რომ მორალის პრაქტიკულობას საჭიროებს. მორალური სწავ-

ლება მიმდინარე მოვლენების შეფასებას, სწორ ანალიზსა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას უნდა უზრუნველყოფდეს. ისლამი ძირითად მორალურ პრინციპებსა და შეხედულებებს გვაცნობს და მათ ახსნას და პრაქტიკაში სწორად განხორციელებას ადამიანის მოვალეობად განიხილავს.

ღირებულებებისა და მოვლენების შესახებ მოსაზრებებისა და ცოდნის წარმოებისას საჭიროა სისტემატიურობა. მორალი საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი სფეროებისა და ახალი ურთიერთბების კვალდაკვალ უნდა ფართოვდებოდეს და ვითარდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ზნეობრივად უკან ჩამორჩება და სხვა რომელიმე საზოგადოების ღირებულებებისადმი დამოკიდებული გახდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი მორალური ქცევების სხვა ეპოქაში უცვლელად გადატანა დროის მიღმა ყოფნას გამოიწვევს. ეს კი, თავის მხრივ, ზნეობრივ კრიზისს გამოიწვევს. ამრიგად, ზნეობრივი ღირებულებების დაცვა და მათი პრაქტიკაში განხორციელება მუდმივ აზროვნებასა და განახლებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში დოგმატიზმის მახეში აღმოვჩნდებით.

ამ თვალსაზრისით განათლების თავისებურების განმსაზღვრელი მორალია, რაც მორალის მნიშვნელობას წინა პლანზე აყენებს. მორალის შესწავლაზე პასუხისმგებელი პირები (მშობლები, მასწავლებლები და სხვა) სწავლის პროცესს გააზრებულად და მიზანმიმართულად უნდა წარმართავდნენ. ძალადობა და სხვა მსგავსი არამართლზომიერი დამოკიდებულებები ანტიპათიას წარმოშობს და შესაბამისად შედეგიც უარყოფითი დგება. ზოგიერთი აღმზრდელი ამ ყველაფერს არ ითვალისწინებს და საბოლოოდ

გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში საპირისპირო ხდება და აღსაზრდელი უზნეო საქციელის დემონსტრირებას იწყებს. მზა ინფორმაციის დაზეპირებაზე დამყარებული განათლების სისტემა, რომელიც კვლევის, გონების განვითარებისა და კონსტრუქტივიზმის საშუალებას ნაკლებად იძლევა, აღმზრდელობით პროცესში წარუმატებელია.

სწავლა-აღმზრდელობით პროცესში, მორალის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რელიგიის საქმეთა სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა სწავლა-აღმზრდელობით პროცესს და ასევე ამ კომისიის კოორდინირებით დაიწყო სამუშაოები, რათა ახალი სტილის სახელმძღვანეოები შექმნილიყო. 2014 წელს გამოიცა სახელმძღვანელო, რომელიც ავტორთა გარკვეულმა ჯგუფმა მოამზადა. ეს წიგნი ისლამში ზნეობის მნიშვნელობას და ძირითადი საკითხვების განმარტებას ეხება. რელიგიის საქმეთა სამინისტრომ მოიწონა აღნიშნული სახელმძღვანელო და წიგნი გამოიცა. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზნეობის მნიშვნელობას ისლამსა და სწავლა-აღმზრდელობით პროცესში. აღნიშნული სახელმძღვანელო 2015 წელსაც გამოიცა. მასში საკმაოდ კარგადაა ნაჩვენები ის ხედვები, რომლებიც ისლამს მორალის მიმართ გააჩნია. გაჩნდა საჭიროება, რომ ეს ხედვები ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგილიყო, ამიტომ აღნიშნული სახელმძღვანელოების სრულყოფის მიზნით ახალი სახელმძღვანელოები უნდა დაწერილიყო. ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჩატარდა სამუშაოები და დაიწერა შემდეგი წიგნები:

წინასიტყვაობა

1. ზნეობრივი ღირებულებები, რომლებსაც ყოველი მუსლიმი უნდა ატარებდეს
2. განათლების მორალი
3. თანაცხოვრების მორალი
4. პროფესიული და სამსახუროებრივი მორალი
5. ეკონომიკური მორალი
6. პოლიტიკური მორალი
7. მედია- მორალი
8. სამეცნიერო მორალი
9. სამედიცინო მორალი
10. ხელოვნების მორალი
11. გარემოსთან მიმართებაში მორალი
12. საოჯახო მორალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სახელმძღვანეოები შექმნილია მწერალთა კონკრეტული ჯგუფის მიერ, სადაც თითოეული მათგანი ცალკეულ საკითხს ეხება და განმარტავს. ყოველ წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა და შემდეგ თიტოეული მწერლის ნამუშევარი კონკრეტულ სახელმძღვანელოშია თავმოყრილი. სახელმძღვანელოებისთვის საბოლოო რედაქტირებამდე თითოეული მწერლის ნაშრომი ჯგუფის სხვა წევრებს გაეგზავნა და ყველამ თავისი დამოკიდებულება და შენიშვნა დააფიქსირა. საჭიროდ მიჩნეული შესწორებები გაკეთდა და ამის შემდეგ გადაეგზავნა სამინისტროს, რათა საბოლოო გადაწყვე-

ტილება მიღებულიყო. საბოლოო რედაქტირების შემდეგ სახელმძღვანეოები დასაბეჭდად მზად იყო და სტამბას გადაეცა.

წინამდებარე სახელმძღვანელო „განათლების მორალი“ შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მასწავლებლების, ხოლო მეორე ნაწილში მოსწავლეთა ზნეობრივი ვალებულებებია განხილული. წიგნი ასევე შეიცავს ქვესათაურებს, სადაც კონკრეტული საკითხები უფრო სიღრმისეულადაა განხილული. სახელმძღვანელოს შექმნისას გათვალისწინებულია როგორც ტრადიციული მეთოდები, ისე თანამედროვე ლიტერატურა და მიდგომები.

აღნიშნული სახელმძღვანელოს მომზადების პროცესში, მისი დაწყებიდან დაბეჭდვამდე, ყოველ ეტაპზე მრავალი ადამიანი შრომობდა და მათი წვლილი ძალიან დასაფასებელია. დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანსა და ორგანიზაციას, რომლებმაც სახელმძღვანელოს მომზადებაში წვლილი შეიტანეს. მადლობა რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში მოქმედი კომისიის თითოეულ წევრს. მადლობა იმ პროფესიონალ ადამიანებს, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს და სახელმძღვანელოს საბოლოო ფორმა მისცეს. განსაკუთრებული მადლობა რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს სპეციალურ კოორდინატორს ბაირამ ქოსეოღლუს. ასევე უღმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ტექსტის რედაქტირებაში მიიღეს მონაწილეობა: პროფ. ჯიჰან ოქუიუჯუს, პროფ. სულეიმან აქიურექს, დოც. დოქ. მეჰმეთ ქორქმაზს, ჯემილ ოსმანოღლუს და მ. ესათ ალთინთაშს.

შესავალი

1. განათლება და ადამიანი

ადამიანის ხსენებაზე უმალ გვახსენდება ისეთი ფუნდამენტური ხასიათის ტერმინები, როგორიცაა აღზრდა და განათლება. ყოველი ადამიანი მასზე დაბადებიდანვე მინიჭებული პოტენციალის გამოყენებითა და იმ განათლების წყალობით, რომელზეც ხელი მიუწვდება, ვითარდება და ყალიბდება. კაცობრობის ისტორიაში არ ფიქსირდება ისეთი საზოგადოებრივი ერთეული, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას მომავალ თაობას არ აწვდიდეს. საზოგადოების მხრიდან ათვისებული ცოდნა და ღირებულებები, ყველა სულიერი და მატერიალური ფასეულობა მომავალ თაობებს გადაეცემა. ამ გადაცემის პროცესში უმთავრეს ადგილს განათლება იკავებს. ამრიგად, განათლება ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს გააჩნდა, მაგრამ ყველა მათგანის მიზნები, საშუალებები, მეთოდები და სტანდარტები ერთნაირი არ იყო. პროცესი დინამიური და ცვალებადი იყო, მაგრამ თავად განათლების სურვილი და აუცილებლობა უცვლელი რჩება. ამრიგად, განათლება ადამიანისთვის ეგზისტენციალური საკითხია, რომელიც თაობების აღზრდას ემსახურება. განათლების მიღება

შესაძლებელია სკოლაში, ოჯახში, სამსახურში, მოკლედ ყველაგან და ყოველთვის. ყოველი ინდივიდი ისე აღიზრდება, როგორ აღზრდასაც იღებს. ამრიგად, განათლებასა და ადამიანობას შრის ორგანული, უწყვეტი კავშირია.

განათლებასთან დაკავშირებით მრავალი სახის განმარტება არსებობს. თანამედროვე მეცნიერების საერთო თვალსაზრისით კი მიღებულია, რომ განათლება უნდა განიმარტოს როგორც პროცესი და არა მოვლენა. ამრიგად, განათლების პროცესი მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განზომილებებს და საბოლოო ჯამში ადამიანის ცოდნისა და ქცევების ჩამოყალიბებას განსაზღვრავს. არაფორმალური განათლება შემთხვევითი ხასიათისაა, როგორც წესი დადასტურებულ სტრუქტურას არ მოიცავს. რაც შეეხება ფორმალურ განათლებას, მას გააჩნია სტრუქტურა და დასაბუთებული გამოციდლება, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის მართვა. (ერთურქი, 1994, 12) არაფორმალური განათლების შედეგები შეიძლება დადებითი იყოს, მაგრამ ასევე არსებობს ალბათობა, რომ უარყოფითი შედეგები მივიღოთ, ხოლო ფორმალური განათლების შემთხვევაში ყოველთვის დადებით შედეგებს ველოდებით. სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია გეგმაზომიერი, პროგრამის სახით გაწერილი, თანმიმდევრული პროცესის ჩამოყალიბება. ფორმალური განათლება ასევე მოიცავს დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გათავისებას.

ადამიანები თანაცხოვრებისას ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში არიან. ამ ურთიერთქმედების შედეგად ინდივიდებში ხდება ცვლილებები. ისე უბრალოდ, უმიზეზოდ ინდივიდის ქცევებში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

გარემოსგან მიღებული ზემოქმედების შედეგად ინდივიდის შინაგან სამყაროში შეიძლება წარმოიქმნას, როგორც მარტივი, ისე რთული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც საბოლოო ჯამში მის ქცევებზე აისახება. ქცევა ვიზუალურად აღქმადი მოვლენაა, ამიტომ მისი გაზომვა და შეფასება იოლია. მაგალითად, ხელისა და ფეხის საშუალებით დაფიქსირებული ქცევები თვალით აღიქმება, ხოლო გონებრივი ქცევები და გრძნობები სხვა მეთოდებით იზომება. ზოგიერთ ქცევას მარტივი გონებრივი ეფექტი სჭირდება, ხოლო ზოგი ქცევის დასაფიქსირებლად რთული გონებრივი მუშაობის კომბინაციაა საჭირო. (ერდენ აქმანი, 1995, 187) მაგალითად, შუამავლის სახელის, მისი დაბადების თარიღის, დაბადებული ქალაქის დასწავლა და დამახსოვრება მარტივ გონებრივ მუშაობას საჭიროებს, მაგრამ მისი რომელიმე ჰადისის დასწავლა, გაანალიზება და შინაარსის განჭვრება რთული გონებრივი მუშაობის შედეგად მიიღწევა.

არსებობს მრავალი სახის საგანმანათლებლო დაწესებულებები: სკოლები, უნივერსიტეტები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ყურანის შემსწავლელი კურსები, შემეცნებითი პროგრამები და მრავალი სხვა.

ფორმალური განათლების მიზნები, იმ საშუალებების არსებობითა და განვითარებითაა შესაძლებელი, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესში აუცილებლობას წარმოადგენს. სწავლება, სწავლების პროცესში გზამკვლევობაა. სწავლის შედეგად ინდივიდის გონებაში შეძენილი, ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ქცევები ყალიბდება. სწავლება გეგმაზომიერად, გარკვეული თანმიმდევრობით ხორციელდება. ინდივიდისგან სასურველი ქცევის მისაღებად, სასწავლო პროცესი ლოგიკური გეგმის მიხედ-

ვით უნდა იყოს გაწერილი. ამავდროულად, აღზრდა და განათლება ერთმანეთთან მონათესავე ტერმინებია. აღზრდა უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია, ვიდრე განათლება. განათლებაც აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. ყველა ადამიანი ცდილობს ასწავლოს სხვას ის ყველაფერი, რაც მან იცის, მაგრამ მასწავლებელი ამას პროფესიონალურად აკეთებს. პირველ შემთხვევაში სწავლების შედეგები შეიძლება დადებითი იყოს, მაგრამ ასევე მოსალოდნელია უარყოფითი შედეგებიც. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, დადებითი შედეგების მიღება უფრო მეტადაა მოსალოდნელი.

განათლების პროცესში გადამწყვეტ როლს ადამიანი თამაშობს. განათლების პროცესი და გეგმა იმის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს, თუ როგორი ადამიანი გვინდა მივიღოთ. როდესაც ისლამის შესწავლაზე ვსაუბრობთ, აქ მთავარი ხაზი ისლამის ძირითად საფუძვლებს ემყარება.

2. განათლება და მორალი

ადამიანისა და მორალის ასე ზოგადი განხილვის შემდეგ, შემდეგი რაც შეგვიძლია გაგვახსენდეს არის განათლება და მორალი. მორალი როგორც ადამიანის (შესაბამისად საზოგადოების) ისე განათლების აუცილებელი შემადგენელია. როგორც წარმოუდგენელია ადამიანი მორალის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია განათლება მორალის გარეშე. განათლების პროცესში ყალიბდება მრავალი სახის ურთიერთობა, რომლებიც დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამ ურთიერთობების სწორად წარმართვა და დარეგულირება მორალის აუცილებლობას ბადებს.

შესავალი

ისლამის დამოკიდებულება მორალის მიმართ ცნობილია და ამის საილუსტრაციოდ შუამავლის ცნობილ ჰადისს შეგახსენებთ: „რწმენის თვალსაზრისით ყველაზე სრულყოფილი ისაა, ვინც საუკეთესო ზნეობის პატრონია“. (იხ. ებუ დავუდ, სუნნეთ, 14). ამ ჰადისიდან ჩანს, რომ რწმენის ხარისხის განმსაზღვრელი მორალია. სწორედ მორალია ის ფაქტორი, რომელიც ნამდვილი მორწმუნის რაობას განსაზღვრავს. ამრიგად, მორალია ის ძირითადი განმსაზღვრელი, რომელიც ადამიანის სულიერ განვითარებას, მის ჩამოყალიბებას, მის სწორად ცხოვრებას განსაზღვრავს.

განათლება და მორალი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლებიც ადამიანის ცხოვრების საფუძველში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, შესაბამისად, ადამიანის ხსენებაზე, მაშინვე განათლება და ზნეობა გვახსენდება. განათლების გარეშე ადამიანის პოტენციალის შესაბამისად განვითარება წარმოუდგენელია და ასევე მორალის გარეშე შეუძლებელია განათლების პროცესის სწორად წარმართვა, რათა ადამიანი სწორად განვითარდეს. ყველა ტიპის საზოგადოებაში განათლებასა და მორალს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. კაცობრიობის ისტორიას რომ გადავხედოთ, მთელი განათლების პროცესი მორალის ელემენტებზე იყო დაყრდნობილი და მორალს განათლების ფუნქციაონირებისათვის ძირითადი როლი გააჩნდა. (ბილჰანი, 1991, 357). დღესაც, განათლების სისტემის ფორმირებაში მორალის ადგილი საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ტენდენციებიც შეინიშნება. ამრიგად, თუ გვინდა, რომ ადამიანებს კონკრეტული ცოდნა ან უნარები შევძინოთ, ეს პროცესი მორალის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების პროცესში ჩვენდაუნებურად გვიწევს ზნეობრივი პრინციპების ჩართვა და ეს ცართუ-

ლობა მთელ პროცესს თან ახლავს. ზოგადად მიიჩნევა, რომ განათლების მიზანია ადამიანი უფრო უკეთესი გახადოს, რაც მორალის გარეშე ვერ მოხერხდება. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელთა ზნეობრიობას, რადგან ისინი ცოცხალი მაგალითები არიან და მათგან მიღებული ცოდნის ხარიხსი სწორედაც რომ მათ ზნეობრიობაზეცაა დამოკიდებული.

ყველა ეს მოსაზრება და ანალიზი, რომლებიც წინა თავში იქნა განხილული, ისლამის აღმზრდელობითი სისტემისთვისაც მისაღები და გასათვალისწინებელია. ისლამის მიხედვით განათლების მიზანია ადამიანი უკეთესობისკენ შეიცვალოს და ამ პროცესში განათლებისა და მორალის კავშირი უფრო მჭიდრო გახდეს. ინდივიდის ზნეობრივი განვითარებისთვის განათლება მნიშნელოვანი ფაქტორია და ამასთანავე, განათლების ეფექტურობისთვის მორალის ფაქტორიც აუცილებელია. განათლება ის პროცესია, რომლის დროსაც აღმზრდელები და აღსაზრდელები ახლო კავშირში არიან და მათი ამგვარი ურთოერთობის დროს მორალური პრინციპების დაცვა აუცილებელია. სწორედ ეს არის ზოგადი დახასიათება იმ ტერმინისა, რომელსაც განათლების მორალი ეწოდება. ისლამური ტრადიციის მიხედვით, განათლება თავის საფუძველში ზნეობრიობის მატარებელი პროცესია. ამგვარი ზნეობრივი საფუძვლის მქონე დამოკიდებულება, პროცესშივე წარმოშობს ზნეობრიობას და ზნეობრივი პრინციპებით იმართება. ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევა მხოლოდ განათლებითაა შესაძლებელი, ისევე როგორც კარგი განათლება მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი პრინციპების თანხლებით მიიღწევა. მორალი ადამიანის ცხოვრების თანდაყოლილი მოვლენაა და მის ცხოვრებასთან მუდმივად მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს. ის ადამიანს ადამიანურად ცხოვრებაში ეხმა-

რება. შესაბამისად, მორალი ყოველთვის იყო განათლების მიზანიცა და საშუალებაც.

აქ წარმოდგენილი შეფასებები, რომლებიც განათლებისა და მორალის მჭიდრო კავშირს აღწერს, ისლამურ ტრადიციაში განათლების ძირითად ქვაკუთხედადაა მიჩნეული. ყურანში არის მოწოდებები და შეგონებები, რომ ის ჩვენი მასწავლებელი და შემგონებელია. (იხ. ბაყარა 2/151). ყურანში ასევე წერია, რომ შუამავალი თავისი სამაგალითო ცხოვრებით ჩვენთვის გზის მაჩვენებელია. (იხ. აჰზაბ 33/21). ასევე შეგიძლიათ იხილოთ მსგავსი მოწოდებები: (საფ 61/2-3; ბაყარა 2/44; ჰუდ 11/88). ამრიგად, განათლება თავისი არსით მორალური საკითხია. ეს ნიშნავს, რომ ისლამი განათლებიდან მორალისკენ და პირქით, მორალიდან განათლებისკენ მჭიდრო კავშირებს აწესებს და იცავს. ამას ადასტურებს შუამავლის ცხოვრებაც, როდესაც მან უმეცრების ხანის, ზნეობისგან დაცლილი ხალხისგან ოცდასამ წელიწადში ცივილიზებული საზოგადოება ჩამოაყალიბა.

ისლამური ტრადიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ჰიჯრით მეორე საუკუნეში შექმნილ მდიდარ ლიტერატურას, რომლის შექმნაც პირდაპირ კავშირშია განათლებისა და მორალის ერთობლიობასთან. იმ პერიოდის მუსლიმი მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ განათლებისა და მორალის ურთიერთკავშირის საკითხს და ამგვარი დამოკიდებულების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. მათ შექმნეს უნიკალური ნაწარმოებები და ნაშრომები, რაც საფუძვლად დაეწო თანამედროვე ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს. ამ ნაწარმოებებში განხილულია, როგორც პედაგოგიკა, ისე განათლებისა და მორალის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა. განათლების პროცესში მნიშნელოვანია როგორც აღმზდელის დიდაქ-

ტიკური მონაცემები, მისი ცოდნა და პროფესიონალიზმი, ისე მისი მორალური ღირებულებები, მანერები და ქცევები. მასწავლებელმა თავისი თეორიული ცოდნა, მისი ნათქვამი სიტყვა პრაქტიკული ცხოვრებით უნდა განასახიეროს. ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, განათლების პროცესის სიჯანსაღისა და ეფექტურობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნულ წიგნებში განხილული საკითხები შეეხებათ არა მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგებს, არამედ მშობლებს, მეურვეებს და სხვა ადამიანებსაც, რომლებიც რაღაც დოზით სწავლა-სწავლების პროცესში არიან ჩაბმული.

ისლამის დამოკიდებულება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული ურთიერთობების მიმართ მორალური პრინციპების დაცვის ხაზზე გადის. ისლამურ ტრადიციაში მთელი განათლების სისტემა მორალზეა დაფუძნებული. შესაბამისად, განათლების პროცესში მონაწილე ნებისმიერი დეტალი ზნეობასთან სრულ თანხვედრაში უნდა იყოს. ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს განათლების სურვილსა და იმ მისწრაფებების ლოგიკურობას, რომლებიც ზოგადად განათლების მიღების მსურველ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. ისლამი ადამიანებს მოუწოდებს დაინტერესდნენ ცოდნის შეძენით და მუდმივად ამ პროცესში იყვნენ ჩართული. მუსლიმი ცოდნით, სწავლით უნდა საზრდოობდეს და ამ გზით საკუთარი თავის განვითარებას ცდილობდეს. ამ გზით ადამიანი მოვლენების სწორად აღქმის, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის საშუალებას მოიპოვებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამის დამოკიდებულება განათლების მიმართ, თავისი მონაწილეებით, მიზნებითა და შედეგებით, სრულიად ეფუძნება მორალურ პრინციპებს.

3. მორალური პრინციპების ანალიზი

თანამედროვე ეპოქაში, ზოგადად ზნეობის და განსაკუთრებით განათლებასთან დაკავშირებული ზნეობის კუთხით შეიმჩნევა კრიზისული მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ შემაშფოთებელ სიგნალებს იძლევა. ამ საკითხზე ფიქრისას უმალ ვხვდებით, რომ განათლებისა და აღზრდის საკითხებში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ისლამის დამოკიდებულება, რათა განათლების პროცესის საფუძველი მორალურ პრინციპებს დაემყაროს. ეს ყველაფერი თანამედროვე ეპოქის ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ საჭიროებას განსაკუთრებით ამძაფრებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ცხოვრებას განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპი ახასიათებს და ყველაფერი თვალის დახამხამებაში იცვლება. გლობალიზაციის პროცესმა ქვეყნებს შორის საზღვრები წაშალა და უფრო მეტიც, ამ ყველაფერმა ოჯახის კედლების სიმტკიცეც კი დაარღვია. ადამიანებს უკვე შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ მთელ მსოფლიოსთან და ამ პროცესში გეგმაზომიერი და გონივრული დამოკიდებულების შენარჩუნება და თუნდაც ზომიერების დაცვა უკიდურესად რთულდება. ასევე შეიცვალა განათლების პროცესის მთავარი აქტორების, მოსწავლისა და მასწავლებლების როლებიც. ეს ცვლილება იმდენად თვალშისაცემია, რომ წარსულთან შედარებით თანამედროვე მიდგომები და არსებული სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულ სურათს ქმნის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებამ რაიმე კი არ გააიოლა, არამედ უფრო გაართულა. თანამედროვე განათლების სისტემა ახალი უნარებისა და ცოდნის უსწრაფესად ათვისებას ითხოვს, რაც ფართო მასშტაბებში ძალიან რთულად მისაღწევია. დაჩქარებული ცვლილე-

ბები და ახალი უნარების ათვისების პროცესის შედეგად გამოწვეული პრობლემები განათლების პროცესს უფრო რთულს ხდის.

ამგვარი ახალი გამოწვევების წინაშე მდგარი განათლების სისტემა და ამ სისტემის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე საჭიროებენ გააზრებულ მცდელობას აითვისონ მორალური ფასეულობები და მატი ქცევები ამ ღრებულებების მიხედვით განსაზღვრონ. პრობლემა თვალსაჩინოა და საჭიროებს სწორ შეფასებებს, რათა შემდეგ მისი გადაჭრის გზები სწორად იქნას შერჩეული. მაგალითისთვის, მოდით დავაკვირდეთ თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებს და გავაანალიზოთ, რამდენად ფესვგადგმულია მორალური ღირებულებები და რამდენად დამყარებულია იქ მიმდინარე პროცესები მორალურ პრინციპებზე. აღმოჩნდება, რომ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ადამიანების მორალურობა და მათი ქცევების მორალთან შესაბამისობა საკამათო საკითხია. თანამედროვე სკოლებში მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა საკმაოდ პრობლემურია და ეს მდგომარეობა არცერთი მხარისათვის დადებითი შედეგის მომტანი არ გახლავთ. სკოლებში საგანგაშო ნიშნულზეა როგორც ძალადობის, ისე ბულინგის ფაქტები. ასევე გამოკვეთილია დისციპლინის მოშლის მიმართულებით მზარდი ტენდენცია. (ჩინარი 1999). შესაბამისად, განათლების მორალი და განათლების პროცესში მორალის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ უნდა წამოიწიოს წინა პლანზე და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად სწავლა-სწავლების პროცესში მორალური პრინციპების შერწყმის პროცესი უნდა დაიწყოს.

მორალს გააჩნია როგორც უნივერსალური, ისე ლოკალური განზომილებები. პირველი განზომილება ძირითა-

დად არ იცვლება, მაგრამ რაც შეეხება მეორეს, ის ცვლილებებისთვის მუდმივად ღია მდგომარეობაშია. ცვალებად ყოველდღიურობაში მორალის ეს უკანასკნელი განზომილება თუ განახლებას განიცდის, მისი თვალსაჩინოდ შემჩნევა, მისი სისტემატიური აღქმადობა რთული ხდება. მაგალითად, ისლამის უნივერსალური ზნეობრივი ღირებულება, რომ მუსლიმი მშობლებს პატივისცემით უნდა მოექცეს და მზრუნველობა არ უნდა მოაკლოს, უცვლელი პრინციპია. ამის პარალელურად, ამ პრინციპის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარება, კონკრეტულ ქცევებსა და დამოკიდებულებებში გამოხატვა, შეიძლება რომ შეიცვალოს. ეს ბუნებრივი პროცესია და ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან თუ არსებული პირობების გათვალისწინება არ მოხდება, კონკრეტული ქმედების განხორციელება შეიძლება შეუძლებელი გახდეს. თუ ადამიანები ისეთ პირობებში აღმოჩნდებიან, რომ კონკრეტულ ქცევას ვერ განახორციელებენ, ეს არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ მათ მორალური ღირებულება დაგმონ. მთავარი მიზანი მორალური ღირებულების უნივერსალური განზომილების შენარჩუნებაა, თორემ ამ ღირებულების გათვალისწინებით ქცევების კლასიფიკაცია შესაძლებელია გარემო პირობებს დავუქვემდებაროთ. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მუსლიმების მხრიდან მორალური პრინციპების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ესაა. ცხოვრების პირობების ცვლილების პარალელურად ისლამური ღირებულებების პრაქტიკულ ცხოვრებაში გადმოტანა არ ხდებოდა და შედეგად ძველი მეთოდები გამოუსადეგარი გახდა, ახლის წარმოება კი არ ხდებოდა.

თანამედროვე ცხოვრების პირობების მრავალფეროვნებამ ადამიანთა პროფესიული საქმიანობის მრავალ-

ფეროვნება გამოიწვია. ამ უკანასკნელმა კი ადამიანებს მორალური ღირებულებების ასეთ მრავალფეროვან განზომილებებში განვრცობა და საკუთარი ქცევების სწორი კლასიფიკაცია გაურთულა. ამ პროცესის პარალელურად წარმოიქმნა ერთგვარი გაურკვევლობა ზნეობრივი ღირებულებების თეორიულ ასპექტსა და მის პრაქტიკულ ასახვაში. საჭირო გახდა ამ ყველაფერის ანალიზი და კონკრეტული დეტალიზაცია, რაც ამ დამაბნეველ გარემოს ნათელს მოჰფენდა. შედეგად შეიქმნა მრავალი ნაშრომი, რომელიც კონკრეტული პრობლემების ანალიზს გვთავაზობს და ასევე კონკრეტული მიმართულებებით ქცევების რეგულაციას ცდილობს. ეს ყველაფერი ეთიკის კოდექსშია თავმოყრილი და ის განვრცობილია სხვა და სხვა პროფესიული მიმართულებებით. აღნიშნული კოდექსი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში გვეხმარება, ადამიანს გარკვეულწილად ათავისუფლებს იმ დაბნეულობისგან, რომელიც შესაძლოა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების წინ დადგეს. აღნიშნული კოდექსის საზღვრები განსაზღვრულია და როგორც წესი გარკვეულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას აიოლებს. ამასთანავე, ამგვარი პროფესიული ეთიკის კოდექსით არამარტო კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანები, არამედ რიგითი მოსახლეობაც სარგებლობს. ხალხმა იცის, რომ კონკრეტული პროფესიის ადამიანი როგორ უნდა იქცეოდეს და ასევე მათ აქვთ ადეკვატური განცდა ყველა იმ მოსალოდნელი ქცევის მიმართ, რასაც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელმა შეიძლება დააფიქსიროს. პროფესიული ეთიკის კოდექსის საშუალებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული პროფესიით დაკავებული ადამიანების ქცევების რეგულირება და მათი ქცევების ეთიკის ჩარჩოებში მოქცევა. (იხ. იარანი, 2015, 125-6)

ბუნებრივია, აღნიშნული თვალსაზრისით განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა და შესაბამისად ამგვარი მორალური ნაშრომებიც უმეტესწილად ამ კონკრეტულ სფეროს შეეხება. თანამედროვე ეპოქაში საჭიროა ყველა იმ ნორმისა და ზნეობრივი ღირებულებების კლასიფიკაცია, რომლებიც მასწავლებელმა და მოსწავლემ უნდა იცოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში განათლების პროცესის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე ვერ შეძლებენ საჭირო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, რათა მათმა საქმიანობამ და თანამშრომლობამ სათანადო შედეგი გამოიღოს. მათ გაუჭირდებათ იმ როლების გათავისება, რომლებსაც თანამედროვე განათლების სისტემა და ზოგადად თანამედროვე მიდგომები ითხოვს. როდესაც განათლების პროცესში მონაწილე აქტორებმა იციან თავიანთი ქცევის კოდექსი, ისინი უყოყმანოდ მიიღებენ გადაწყვეტილებებს და მორალურად შეუსაბამო დილემის წინაშე არ აღმოჩნდებიან. ამასთანავე, თავიანთი უფლება-მოვალეობის განხორციელებისას ორივე მხარე იოლად უპასუხებს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება მუშაობის პროცესში წარმოიქმნას. შედეგად, ორიმე მხარე თავიანთ ფუნქციასა და როლებს თავისუფლად შეასრულებს. ამგვარი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით გაწეული სამუშაოს დროს საჭიროა იმ ცვლილებათა გათვალისწინება, რომლებიც დრომ და გარემოებამ შეიძლება მოიტანოს. ასევე მნიშვნელოვანია იმ ღირებულებათა მფარველობის ქვეშ დაყენება, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ან სრულებით დაიკარგოს. ამგვარი ღირებულებები საზოგადოების რეალურ მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს და საამისოდ შესაბამისი ფორმებით უნდა იქნას შეთავაზებული. ყველა ის ფორმა, რომელიც განხორციელების თვალსაზრისით სირთულის

ზღვარზეა, ხელახალ ფორმირებას საჭიროებს. ამგვარი ფორმირების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე უფრო თვალსაჩინო სარგებელს მიიღებენ და ამასთანავე, მათ მიერ გაწეული სამუშაო, შედეგის თვალსაზრისით, გარშემომყოფებისთვისაც სასარგებლო იქნება. ეს მოიტანს საზოგადოებაში პატივისცემისა და დაფასების ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში ისევ და ისევ მათ მიერ შესრულებულ საქმიანობაზე აისახება დადებითად, რადგან რაც უფრო მეტია მოქმედი პირის ავტორიტეტი, მით ეფექტურია შედეგიც. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების წარმატებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ სფეროში დასაქმებულთა ზნეობრივი მდგომარეობა და ზოგადად განათლების სფეროში ზნეობის ადგილი შეუცვლელია, ამიტომ აუცილებელია, რომ განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებს მორალური ღირებულებები გააჩნდეთ.

განათლების ზნეობის თანამედროვე პირობების მიხედვით ფორმირება შესაძლებელია, რადგან ამ მიმართულებით საკმაოდ მდიდარი ნაშრომებია წარმოდგენილი. ამრიგად, ჩვენი ისტორიული გამოცდილება, წარსულის ნაგროვები ცოდნა, ამ ცოდნის კრიტიკული თვალსაზრისით გაანალიზება, ასევე მთელი ისტორიული მემკვიდრეობის თანამედროვეობაში დოზირებულად და შესაბამისი ფორმებით გადმოტანა ის აუცილებელი მიდგომებია, რომლებიც ამ პროცესში უნდა გავითვალისწინოთ. ასევე აუცილებელი პირობაა ყველა იმ გამოცდილების გაანალიზება და ათვისება, რომელიც თანამედროვე განათლებას ახასიათებს. ამდენად ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე გამოწვევებსა და მიღწევებს. ამგვარი მუშაობის შედეგად შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე, თავიანთი

უფლება-მოვალეობების განხორციელების თვალსაზრისით გაითავისებენ ქცევის კოდექსს, რომელიც ამ ახალი კლასიფიკაციის შედეგად იქნება მიღებული. ამ პროცესში აუცილებელია მთელი ყურადღება გამახვილდეს იმ მოვალეობებსა და როლებზე, რომლებიც საგანმანათლებლო აქტორების წინაშე დგას. მთელი პროცესის დადებითი განვითარება დამოკიდებულია იმ ატმოსფეროზე, რომელსაც საგანმანათლებლო პროცესში ჩართულ აქტორებს შევთავაზებთ და მათ მოთხოვნილებებსა და მოლოდინებს სწორად ვუპასუხებთ. ამ ყველაფრის გათვალსიწინების გარეშე მიღებული პროფესიული ქცევის კოდექსი მუშაობის პროცესში მოსალოდნელი პრობლემების წინააღმდეგ ქმედითუნარიანი ვერ იქნება. ამასთანავე, ასეთი კოდექსი ვერ უპასუხებს იმ გამოწვევებს, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეთა ურთიერთობისას შეიძლება წარმოიქმნას.

თუ გვინდა, რომ განათლების მორალთან დაკავშირებული გეგმები ეფექტური იყოს, ამისათვის საჭიროა მისი სიღრმისეული დეტალიზაცია და ასევე სწავლების საფეხურების მიხედვით დიფერენცირება. მიზეზი მარტივია, რადგან უდავოა, რომ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებსა და ინუვერსიტეტის სტუდენტებს, ასევე დაწყებითი სკოლის აღმზდელებსა და ინუვერსიტეტში დასაქმებულ ადამიანებს ერთნაირი გარემო და სამოქმედო არეალი ვერ ექნებათ. ამასთანავე, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მათი ზოგადი მოვალეობა ერთნაირია. დაწყებითი სკოლის პედაგოგსაც და უნივერსიტეტის პროფესორსაც თავისი ცოდნის სხვებზე გადაცემა ევალებათ. ყოველ ახალ საფეხურზე გადასული მოსწავლე წინარე ცოდნას ფლობს, მაგრამ მას სჭირდება შემდეგი საფეხურის ცოდნის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ძალიან ფართე

მნიშნელობის მცნებაა. ამ მცნებაში მოიაზრება არა მხოლოდ იმ ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც სკოლაში დადიან და სწავლობენ, არამედ ისინიც, ვინც ნებისმიერი ფორმითა და მეთოდით ცოდნის შეძენას ცდილობს. ამიტომ, ყველა განსხვავებული ჯგუფის შესახებ საუბრის მაგივრად, გადავწყვიტეთ შევიმუშავოთ საერთო დამოკიდებულება, რომელიც ამ ფართო მნიშვნელობის ტერმინის ქვეშ გაერთიანებული ადამიანებისთვის საერთო იქნება. შესაბამისად არ გამოვიყენებთ ისეთ ტერმინებს, რომლებიც განათლების საფეხურების განსაზღვრისთვის გამოიყენება. ჩვენ გამოვიყენებთ ზოგად ტერმინებს: მასწავლებელი და მოსწავლე.

ამასთანავე, საგანმანათლებლო პროცესის აქტორები მხოლოდ მასწავლებელი და მოსწავლე არ არიან. ამ პროცესში ჩართულია მრავალი პოზიციის და პროფესიის ადამიანი. მაგალითად მშობლები, სკოლებში დასაქმებული პერსონალი, სასულიერო პირები, უფროსი თაობის წარმომადგენლები და ა.შ. თუმცა ჩვენ აქ დავიცავთ იმ ძირითად მიმართულებას, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის ძირითად აქტორებს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შეეხება. როდესაც შესაბამისი მოცემულობა იქნება, ჩვენ, ბუნებრივია საგანმანათლებლო პროცესის სხვა აქტორების შესახებაც ვისაუბრებთ, მაგრამ ძირითადი მიმართულება მაინც მასწავლებელი და მოსწავლე იქნება. შედეგად ყველა, ვინც ამ ნაშრომს წაიკითხავს, მასწავლებელი იქნება, მშობელი, სასულიერო პირი, მოსწავლე თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირი, შესაძლებლობა ექნება გაეცნოს იმ ზნეობრივ ღირებულებებს, რომლებიც საგანმანათლებლო მოღვაწეობის პროცესშია საჭირო.

ნაწილი პირველი

მასწავლებლის მორალი

**„მასწავლებელი ვისაც ეთქმის,
იყოს მორწმუნე,
პატიოსანი, ზრდილობიანი,
სინდისით სავსე“.**

მეჰმეთ აქიფ ერსოი

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

მასწავლებლის მორალი

1. მასწავლებელი

1.1. ვინ არის მასწავლებელი/ აღმზრდელი?

საგანმანათლებლო პროცესს ორი ძირითადი აქტორი ჰყავს. ესენი არიან მასწავლებელი და მოსწავლე. ადამიანთა მოთხოვნილებამ მიეღოთ განათლება, საჭირო გახადა მასწავლებლის პროფესიის გაჩენა. როგორც წინა თავში იქნა აღნიშნული, ყოველი მოსწავლე ამავდროულად მასწავლებელიცაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, მასწავლებლის ხსენებაზე მხოლოდ ის ადამიანები გვახსენდება, რომლებიც ამ კონკრეტულ სფეროში არიან დასაქმებული და შესაბამისი განათლება გააჩნიათ. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მასწავლებლები ყოველთვის იყვნენ და ისინი სხვა და სხვა სახელითა და სტატუსით სარგებლობდნენ. ასევე მრავალფეროვანი იყო მათი როლებიც. მასწავლებელი შეიძლება ყოფილიყო მშობელი, უხუცესი ადამიანი, ბრძენი, სწავლული, სასულიერო პირი და ა.შ. თუმცა ამ ნაშრომში ჩვენ მხოლოდ ერთი ტერმინით, მასწავლებლით

შემოვიფარგლებით, რომელიც ამ საქმიანობის განმახორციელებლი ნებისმიერი პირის საერთო სახელი შეიძლება იყოს. შესაბამისად, ყველა ანალიზი თუ შეფასება, რომლებსაც მასწავლებელთან მიმართებაში იქნება წარმოდგენილი, მეტნალებად ყველა ზემოთჩამოთვლილს შეეხება.

ამ ნაშრომში გამოყენებული ტერმინი „მასწავლებელი“ ეხება არა მხოლოდ დაწყებით ან რომელიმე სასწავლო საფეხურზე მომუშავე მასწავლებელს, არამედ ის მოიცავს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, განათლების სფეროში დასაქმებულ ნებისმიერ ადამიანს, სასულიერო პირებს და სხვა. თითოეული მათგანის სამუშაო, მათი როლი განსხვავებულია, მაგრამ ისინი ერთ ძირითად საქმეს ასრულებენ, ისინი ასწავლიან. გამომდინარე აქედან, როდესაც განათლების ან უფრო კონკრეტულად მასწავლებლის მორალზე ვსაუბრობთ, ეს ეხება არა მარტო კონკრეტულად მასწავლებლებს, არამედ ყველა იმ ადამიანს, ვინც განათლებას ემსახურება. ნაშრომში ძირითადი ხაზი მასწავლებლის პროფესიას მიუყვება, მაგრამ ის თავიანთი საქმიანობის ფარგლებშ ყველას შეეხება. ნაშრომში მოყვანილი მაგალითები შეიძლება პირდაპირ მასწავლებელს ეხებოდეს, მაგრამ მათი განზოგადება და სათითაო მიმართულებით კლასიფიკაცია შესაძლებელია. ყოველი შეფასება და ანალიზი, რომლებიც მასწავლებლებს შეეხებათ, შესაბამისი ფორმებით სხვა სახის აღმზრდელებსაც ეხებათ და კონკრეტული გზავნილების მიღება მათაც შეუძლიათ. მაგალითად, თუ ვამბობთ, რომ მასწავლებელს მუდმივი განვითარება, მუდმივი სწავლა სჭირდება, რომ სხვას უკეთ ასწავლოს, ეს ეხება მშობლებსაც, სასულიერო პირებსაც და სხვა. აღნიშნული პრინციპი თითოეული მათგანისთვის საერთო და გასათვალისწინებელია.

მასწავლებელი არის პიროვნება, რომელიც აღმზრდელობით საქმიანობას ეწევა. მასწავლებლობა ადამიანის განვითარებას, ასევე საკუთარი თავის განვითარებას ემსახურება, შესაბამისად მისი საქმიანობა ადამიანთა ამქვეყნიური და საიქიო ბედნიერებისთვის გაწეული სამსახურია, რაც მის პროფესიას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მასწავლებელს შეუძლია ადამიანთა განწყობაზე, მათ უნარებზე და პერსპექტივებზე დიდი გავლენა იქონიოს. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ყველაფერთან ერთად მისი პასუხისმგებლობაც განუზომლად დიდია.

თუ გადავხედავთ ამ პროფესიის ისტორიას, აღმოჩნდება, რომ მასთან დამოკიდებულებაში ყოველთვის განსხვავებული აზრი ფიქსირდებოდა და შეფასებებიც საკმაოდ განსხვავებული იყო.

1.2. მასწავლებლის როლი ისლამის განათლების ტრადიციაში

მუსლიმების საყოველთაო დამოკიდებულება ასეთია, რომ უპირველესი მასწავლებელი თავად ღმერთია. მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი და სრულყოფილი მასწავლებელი. ამის დასტურია ის აიათი, რომელიც შუამავალ მუჰამმედს პირველად მოევლინა. ეს იყო მოწოდება „წაიკითხე!“

„იკითხე, შენი ღმერთის სახელით, რომელმაც გააჩინა !
მან გააჩინა ადამიანი შედედებული სისხლისგან !
იკითხე! ღმერთი შენი უსასრულო კეთილშობილების პატრონია,
რომელმაც კალმით (წერა) **შეასწავლა!**
შეასწავლა ადამიანს ის, რაც მან არ იცოდა!“ (ალაყ 96/1-5)

„მოწყალემ
შეასწავლა ყურანი,
გააჩინა ადამიანი,
შეასწავლა მას მჭერმეტყველება“. (რაჰმან 55/1-4)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ ერთმანეთისგან ვალს იღებთ გარკვეული ვადით, დაწერეთ ეს (ხელწერილი)**. და დაწეროს ეს სამართლიანად მწერალმა თქვენ შორის. უარი არ თქვას მწერალმა. ისე დაწეროს, როგორც ალლაჰ-მა ასწავლა მას“.** (ბაყარა 2/282)

„გაიხსენეთ ალლაჰი, როგორ შეგასწავლათ მან, რასაც უწინ არ უწყოდით“. (ბაყარა 2/239(

„და ჩვენ შევასწავლეთ მას აბჯრის გაკეთების ხელოვ-ნება თქვენთვის , რათა თქვენ თავი დაიცვათ საფრთხის-გან. მაშ, ხართ თქვენ მადლიერნი?“ (ენბია 21/80)

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცი-ის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ ყურანის განმარტებანი და სხვა მსგავსი ნაშრომები.

ღმერთის ერთ-ერთი ნიშან-თვისება არის ის, რომ ის გამჩენია. ეს თვისება ასევე გულისხმობს, რომ ის არამარ-ტო აჩენს, არამედ ადამიანთა აღზრდას და მათ ინფორ-მირებას უზრუნველყოფს, რათა ცხოვრება შეძლონ. ამ ტერმინში ასევე იგულისხმება ყველა ის თვისება, რომე-ლიც ჭეშმარიტ აღმზრდელს უნდა ახასიათებდეს. ასეთია მაგალითად შემწყნარებლობა, მზრუნველობა, ჭეშმარიტი გზისკენ მოწოდება, გულისხმიერება და ა.შ. ასევე მნიშვნე-ლოვანია გავიხსენოთ ჰადისი, რომლის მიხედვითაც შუა-მავალი ბრძანებს, რომ ის „ღმერთმა აღზარდა“. ღმერთის კიდევ ერთი სახელია ელ-ჰადი, რომელიც სიმართლის მა-ჩვენებელს ნიშნავს. გამომდინარე აქედან, ღმერთი ადამი-

ანთათვის უპირველესი მასწავლებელია. ღმერთმა ადამიანებს გზავნილი მოუვლინა და თან ამ გზავნილის გაგების უნარი უწყალობა:

„და ალლაჰმა გამოგიყვანათ თქვენი დედების მუცლებიდან, როცა არაფერს უწყოდით; და გიბოძათ თქვენ ყურთასმენა, და თვალთახედვა და შემეცნების უნარი, ამრიგად, ეგების მადლიერნი იყოთ თქვენ!“ (ნაჰლ 16/78)

მატერიალურ სამყაროში ადამიანი სამყაროს შესწავლას ღვთის მიერ მინიჭებული გრძნობის ორგანოებითა და თანდაყოლილი უნარებით იწყებს. შესაბამისად, ყოველი ცოდნის და ასევე ამ ცოდნის აღქმის უპირველესი წყარო თავად ღმერთია. ყველაფერი, რასაც ადამიანი ცოდნის სახით აგროვებს ღვთიური წყალობაა. ყურანიც ღვთისგან ბოძებული ჭეშმარიტი ცოდნაა. ყურანში სწავლულები მოხსენიებულნი არიან ადამიანებად, ვისაც ცოდნა ებოძათ. (იხ. ჰაჯი 22/54; სებე 34/6)

ადამიანთა შორის საუკეთესო მასწავლებელი შუამავალია. ყველა შუამავალი ღვთისგან მოვლენილ დირექტივებს ადამიანებს აცნობდა. ყოველი შუამავალი, რომელსაც ღვთიური გზავნილი ადამიანებამდე მოჰქონდა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ასწავლიდა, თავიანთი მიმდევრების მასწავლებლები იყვნენ. ყურანში ხშირად არის შეგონება, რომ შუამავალი ღვთისური სიტყვის გამავრცელებელია. (იხ. ალი იმრან 3/20; რად 13/40). ყურანში შუამავალი ასევე მოხსენიებულია, როგორც სიბრძნის მასწავლებელი, აღმზრდელი, ალათების განმმარტებელი ელჩი და სხვა. (იხ. ბაყარა 2/151; ჯუმა 62/2; ბაყარა 2/129, 164; შრა 42/52). შუამავალიც ხშირად ამბობდა, რომ ის მასწავლებლად იქნა მოვლენილი. (იხ. იბნ მაჯე, მუყადდიმე 17, 229; მუსლიმ, თალაყ 4)

შუამავალის მასწავლებელი თავად ღმერთია. ყურანში ნაბრძანებია:

„... ღმერთმა მოგივლინა წიგნი და სიბრძნე და გასწავლა ის, რაც არ იცოდი“. (იხ. ნისა 4/13). ამ ყველაფერს თავად შუამავალიც ამბობს: „მე თავად ღმერთმა აღმზარდა. ეს აღზრდა საუკეთესო ფორმით განახორციელა“. (იხ. აქლუნი, ქეშფ, 1/72, 164)

შუამავალი ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც ეს ყურანშია აღნიშნული. მან სარწმუნოების გავრცელება სწავლების პროცესად აქცია და ადამიანთა აღზრდას შეუდგა. ღვთიური გზავნილის გავრცელება ჯერ ახლობლებისგან დაიწყო. ის ყოველ დღე ამ არეალს აფართოებდა. ის როგორც საკუთარ სახლში, ისე სხვის სახლებშიც ადამიანებს მიმართავდა და მოძღვრავდა. ადამიანებს ესაუბრებოდა, როგორც ინდივიდუალურად, ისე საგანგებოდ შეკრებილ ჯგუფებსაც მიმართავდა. ასე ცდილობდა შუამავალი ადამიანებისთვის სწორი გზა ეჩვენებინა და ცივილიზებული საზოგადოება ჩამოეყალიბებინა. ამავდროულად, შუამავალი მარტო თეორიით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ საკუთარი ცხოვრების მაგალითებით ამ თეორიულ ცოდნას ამყარებდა. მისი ეს მიდგომა თეორიული ცოდნის ილუსტრაციასა და სრულყოფას უზრუნველყოფდა. (იხ. აიდინ, 1995, 1999)

მექადან მედინაში გადასახლების შემდეგ, შუამავლის პირველი საქმე, მეჩეთის აგება იყო. ეს სამლოცველო ყველასათვის ღია იყო და ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იქ წარმოებული საგანმანათლებლო სამუშაო იყო. მ. ჰამიდულლაჰმა ამ მეჩეთს „მეჩეთი-სკოლა“ უწოდა. (1975, 2, 692). ამ მეჩეთში იყო სპეციალური ადგილი, რომელსაც

„სუფფა“ ეწოდებოდა. ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანები განათლებას იღებდნენ. შუამავალმა მედინაში სხვა მეჩეთები და სკოლები ააგებინა. ისეთ ადგილებში, სადაც შუამავალი თავად ვერ მიდიოდა, სპეციალურად მომზადებულ მასწავლებლებს აგზავნიდა. როგორც თავად, ისე მის მიერ მივლენილი მასწავლებლებიც, კონკრეტული სამიზნე ჯგუფებთან მუშაობისას განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდნენ და თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულეს. ის მასწავლებლებს განსაკუთრებული ყურადღებით არჩევდა და ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის შესრულებისთვის განსაკუთრებული ყურადღებით ამზადებდა. ამრიგად, განათლების სფეროში მოღვაწეობისათვის საჭიროა განსაკუთრებული უნარებისა და თვისებების ქონა, რასაც შუამავლის სუნა ადასტურებს. მივლინებული მასწავლებლების მიერ მიღწეულმა წარმატებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ისინი განსაკუთრებული ყურადღებით იყვნენ შერჩეულნი და თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ. მედინაში მასწავლებლებად მუშაობდნენ არა მარტო სკოლებში, არამედ მეჩეთებშიც და ასევე ზემოთ ხსენებულ სუფფას განყოფილებაში, რომელიც შუამავლის მეჩეთის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა. იმ პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო მასწავლებელთა პროფესიული მომზადება. შუამავალი მასწავლებლობის მსურველებს არჩევდა და სპეციალურად ამზდებდა, რათა კონკრეტული საკითხების შესახებ ამომწურავი ცოდნა ჰქონოდათ. თავდაპირველად წერა-კითხვის შემსწავლელ სკოლებში მასწავლებელებად არამულიმები იყვნენ მიწვეული. საგანმანათლებლო საქმიანობაში მანდილოსნებიც იყვნენ ჩართული. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუამავლის მეუღლეებისა და სხვა ცნობილი მუსლიმი ქალების ღვაწლი.

ანალოგიური ტენდენცია გაგრძელდა ხალიფების მმართველობის დროსაც. ოთხივე ხალიფა ასევე ჩართული იყო საგანმანათლებლო საქმიანობაში და სადაც ისინი ვერ მიდიოდნენ, იქ სპეციალურად მომზადებულ მასწავლებლებს აგზავნიდნენ. ამასობაში ისლამი სწრაფად ვრცელდებოდა და ის არაბეთის ნახევარკუნძულს გასცდა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსახლეობამ არაბული ენა არ იცოდა, რის გამოც მივლინებული მუსლიმი მასწავალებლები ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. აქ უკვე საჭირო გახდა ისეთ მასწავლებლების მომზადება, რომლებმაც არაბულის გარდა სხვა უცხო ენაც იცოდნენ. ამ პერიოდში განსაკუთრებით გამორჩეულია სუფფეს ყოფილს მოსწავლეთა ღვაწლი. ისინი სხვა და სხვა მხარეში მიდიოდნენ და იქ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. ემევების მმართველობის შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა და სახელმწიფოს ლიდერები მხოლოდ პოლიტიკურ საქმიანობაში იყვნენ ჩაბმული, ხოლო განათლება მთლიანად სწავლულების პრეროგატივაში გადავიდა.

ამრიგად, ისლამის ტრადიციაში მასწავლებლობა ესოდენ მნიშვნელოვან საფუძვლებს ეყრდნობა. მუსლიმების სწავლა-განათლებას უდიდეს მნიშნელობას ანიჭებდნენ და ისლამურ ტრადიციაში მასწავლებლის როლი უაღრესად დაფასებული იყო. მუსლიმების აზრით მასწავლებლის გარეშე განათლების დონის მაღალ საფეხურამდე ამაღლება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ იყო, რომ ისლამურ სამყაროში მასწავლებლის როლი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მუსლიმთა პირველი მასწავლებელი თავად შუამავალი იყო და მის მიერ აღზრდილი მასწავლებლები სხვა ადამიანებს ასწავლიდნენ. ამ პროცესში შეიქმნა ის დიდი სკოლები, სადაც უდიდესი მუსლიმი სწავლულები მოღვაწეობდნენ.

თავდაპირველად სწავლება ისე მიმდინარეობდა, რომ წიგნები და საჭირო ლიტერატურა საკმარისი რაოდენობით არ იყო. ამიტომ იყო, რომ ტრადიციული ისლამის მიმდევრები მასწავლებლის გარეშე, პირდაპირ წიგნებიდან ცოდნის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მასწავლებლის გარეშე, პირდაპირ წიგნიდან მიღებული ინფორმაცია სანდო ვერ იქნებოდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ წიგნის ფურცლების მასწავლებლად ქცევა დიდი საეჭვო და საშარო საქმე იყო. იმამი შაფი მიიჩნევდა, რომ მასწავლებლის გარეშე, მხოლოდ წიგნების კითხვით ისეთი ცოდნის მიღების მცდელობა, რომ სწავლულობაზე პრეტენზია ვიქონიოთ, სახიფათო საქმეა. იგივე შეხედულება გააჩნდა ებუ ჰანიფესაც. ერთხელ, როდესაც მან შეიტყო, რომ მეჩეთში ისლამის სამართლის გაკვეთლი მიმდინარეობდა, მან იკითხა, მასწავლებელი თუ არისო. როდესაც უპასუხეს, რომ მასწავლებელი არ იყო, მან თქვა: „ისინი ღრმა ანალიზის პატრონი ვერასოდეს გახდებიან“. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ იმამი მალიქის სიტყვებიც: „მასწავლებელები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ როგორ გავხდებოდით ისინი, ვინც ვართ?!“ ამრიგად, მასწავლებელი ყველას სჭირდება, რათა ცოდნის ოკეანეში შესვლა და იქ სწორად მანევრირება შევძლოთ. სწავლების პროცესში ცოდნის გადაცემის გარდა ხდება სხვა უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოველენებიც; რწმენის გაძლიერება, ზნეობრივად ამაღლება, მანერების დახვეწა, ქცევების გაკონტროლება და სხვა.

ისლამის მოვლინების პირველივე პერიოდიდან მოყოლებული მრავალი სწავლული დაინტერესებული იყო სწავლების პროცესის გაუმჯობესებით და ამ მიმართულებით მრავალი ნაშრომია შექმნილი. ებუ ჰანიფე, იბნ საჰნუნი და სხვა დიდი სწავლულები სწავლა-სწავლების შესახებ

მნიშვნელოვან ნაშრომებს ქმნიდნენ. ამ ტიპის ნაშრომების წყალობით განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანები უფრო და უფრო მეტ წარმატებას აღწევდნენ, რადგან ესოდენ დიდი სწავლულების გამოცდილება მათ ძალიან ეხმარებოდა. ყოველი მასწავლებელი თავისი მასწავლებლის მეთოდებს იყენებდა და ამასთანავე ახალ მეთოდებსაც ითვისებდა. მოსწავლეების მხრიდან თავიანთი ან სხვა მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება დიდი უპირატესობა იყო. ყოველ მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლეოდა სხვა და სხვა მასწავლებლების მეთოდები შეეჯერებინა და სასურველი მეთოდისთვის მიემართა.

იმდროინდელი ეპოქის მასწავლებლები არამარტო იმას ფიქრობდნენ, რომ „რა“ ესწავლებინათ, არამედ მათი ინტერესის საგანი იყო, „როგორ“ ესწავლებინათ. მათ იცოდნენ, რომ მხოლოდ მშრალი ცოდნა საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ ის მოსწავლეებამდე მიეტანათ. ამის კვალდაკვალ საჭირო იყო შესაბამისი მეთოდების ცოდნა, რომელთა საშუალებითაც ეს ცოდნა მოსწავლეებს საუკეთესო ფორმით უნდა გადასცემოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში მუსლიმ საზოგადოებაში მიიჩნევა, რომ შესაბამისი თეორიული ცოდნის მქონე ყველა პირი შეიძლება რომ მასწავლებელი იყოს, ეს კი საკმაოდ დამაფიქრებელი ტენდენციაა.

ისლამის საგანმანათლებლო სფეროს ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ საკმაოდ საინტერესო ტენდენციას. მასწავლებელები სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული რაიმე ნებართვით ან საბუთით არ სარგებლობდნენ. ისინი მხოლოდ ამ სფეროში ხანგრძლივი შრომის შედეგად ხდებოდნენ მასწავლებელები და შესაბამის საქმიანობას ეწეოდნენ. ანუ, მასწავლებელი სახელმწიფო

მოხელე კი არ იყო, არამედ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო შეესწავლა ეს საქმე, მოეპოვებინა ცოდნა და შესაბამისი ავტორიტეტი, რის შემდეგაც შეეძლო მოეგროვებინა მოსწავლეები და დაეწყო საგანმანათლებლო საქმიანობა. ასეთი მასწავლებლებისთვის მეჩეთების კარები მუდმივად ღია იყო და ამასთანავე, ისინი სახლებშიც საგანმანათლებლო საქმიანობით იყვნენ დაკავებული. აქ იყო ჯანსაღი კონკურენცია. თუ გეყოლებოდა მოსწავლეები მასწავლებლობას გააგრძელებდი. ანუ მასწავლებლობის განაცხადი მარტივი იყო, მაგრამ მასწავლებლად დარჩენა და ხანგრძლივად ამ სფეროში წარმატებით მოღვაწეობა საკმაოდ რთული იყო. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი აუცილებლად ავტორიტეტი უნდა ყოფილიყო და ხალხის ნდობით უნდა ესარგებლა. ბუნებრივია მშობლებიც და მოსწავლეებიც არჩევანს იმ მასწავლებელზე გააკეთებდნენ, რომელიც საუკეთესო ავტორიტეტით სარგებლობდა. მოკლედ, მასწავლებლობა მოითხოვდა საკმაოდ დიდი კონკურენციის პირობებში საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებას და მუდმივ შრომას.

ჰადისის სწავლების დაწყების პერიოდში საჭირო გახდა გარკვეული ოფიციალური სახის მიცემა, რაც გულისხმობდა, რომ ამ სკოლის დამთავრების შემდეგ უკვე შემდგარ მასწავლებლებს დიპლომის მსგავს საბუთს აძლევდნენ. ამგვარი დიპლომები ზოგჯერ ჰადისის მეცნიერების რომელიმე მიმართულების, ან რამოდენიმე მიართულების შესწავლის შემდეგ გაიცემოდა. აღნიშნულ დიპლომში მითითებული იყო არა მხოლოდ კონკრეტული მეცნიერება და მიმართულება, არამედ ისიც, თუ ვისგან იყო შესწავლილი. ბუნებრივია ამგვარი დიპლომები ხარისხებით განსხვავდებოდა, რადგან მნიშვნელობა ჰქონდა როგორც შესწავლილ მეცნიერებას, ისე მასწავლებლის ავტორი-

ტეტს. აღნიშნული დიპლომი მის მფლობელს მასწავლებლის სტატუსს ანიჭებდა და ერთგვარი პრიორიტეტი იყო, მაგრამ მხოლოდ ეს დიპლომი სრულფასოვან მასწავლებლად ვერ აქცევდა. მასწავლებელს თავისი სახელი და პროფესია საქმით უნდა დაემტკიცებინა. კონკრეტული სასწავლებლებიც, სადაც მასწავლებლები მუშაობდნენ, ბუნებრივი ითხოვდნენ, რომ მასწავლებელებს მუდმივი თვითგანვითარებისთვის ეზრუნათ, რათა კონკრეტულ სასწავლებელსაც ავტორიტეტი შეენარჩუნებინა. მედრესეებში არ იყო კლასები. იქ იყო საგაკვეთილო პრინციპი. ანუ მოსწავლეს უფლება ჰქონდა კონკრეტული მიმართულების გაკვეთილები სასურველი სამსწავლებლისაგან მიეღო. ეს უკანასკნელი კი მასწავლებლებს შორის დიდ კონკურენციას აჩაღებდა. ამ ტიპის კონკურენტული გარემოს დასრულებისთანავე, მედრესეებში სწავლების ხარისხმა საგრძნობლად იკლო.

ისლამურ ტრადიციაში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობა ღრმა პირადული ურთიერთობით განისაზღვრებოდა. ამ ურთიერთობის სიჯანსაღისათვის მასწავლებლები ცდილობდნენ დიდი ყურადღებით შეერჩიათ მოსწავლეთა კატეგორია და თავის მხრივ მოსწავლეებიც ცდილობდნენ მასწავლებლის არჩევაში ყურადღება გამოეჩინათ. ამგვარი არჩევანის თავისუფლება ორივე მხარეს აიძლებდა ყოფილიყვნენ მუდმივ კონკურენციაში და შესაძლებლობების მაქსიმუმი გაეკეთებიანთ.

ასე რომ,

- ისლამის დამოკიდებულება განათლების მიმართ და მისი მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა,

- ყურანისა და სუნას მასწავლებლობის მნიშვნელობა, ამ საქმეში არსებული მადლი და სიკეთე და ასევე ის ფაქტი, რომ მასწავლებლობა შუამავლების პროფესია იყო.

- ასევე ადამიანს საზოგადოებისთვის რომ დაემტკიცებინა, რომ ის ნამდვილად კარგი მასწავლებელია და ამ პროფესიაში ყოფნას ნამდვილად იმსახურებს, შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოემჟღავნებინა. ეს იმდენად ჯანსაღი პროცესი იყო, რომ ერთ სკოლაში დასაქმებული მასწავლებელი, კვალიფიკაციის ამაღლების გულისთვის სხვა სკოლაში, უფრო მეტი გამოცდილების მქონე მასწავლებელთან მიდიოდა და სწავლობდა.

ტრადიციული სწავლა-სწავლების პროცესში, არ ვიცით, პედაგოგიური ფორმირებისათვის განკუთვნილი გაკვეთილების არსებობის შესახებ განსაკუთრებული ჩანაწერი თუ არსებობს. ამასთანავე, ჩვენ ვიცით, რომ იბნ ჰალდუნი თავის ნაშრომში ამბობს: „მასწავლებლობა პროფესია და ამასთანავე ხელოვნებაა“. ამის შემდეგ ის აღწერს პედაგოგიური მიდგომებისა და მეთოდების მთელ სპექტრს. ძველი თაობის სწავლულები ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ მუსლიმი მასწავლებელი ზნეობრივად და კომპეტენციით მაღალ საფეხურზე უნდა იყოს და საამისოდ რა უნდა გაეკეთებინათ, სხვა და სხვა მოსაზრებებს ავითარებდნენ. „მასწავლებელი თავისი კომპეტენციით მაქსიმალურად მაღალ საფეხურზე მდგომი, შემწყნარებლობით აღსავსე, პიროვნულად ჩამოყალიბებული, ზრდილობიანი, სწავლების უნარების მქონე და კარგი მოაზროვნე უნდა იყოს“. (იხ. იბნ ჯემაა, 2016, 149)

ისლამის ისტორიას თუ გადავხედავთ, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ყველა სწავლული მასწავლებ-

ლად ითვლებოდა და ამ მხრივ მნიშვნელობა არ ენიჭებოდა კონკრეტული სწავლული გაკვეთლებს ატარებდა თუ არა. სწავლულები სხვა და სხვა ლოკაციებზე გალხის განათლებას ემსახურებოდნენ, ხოლო მათი ნაწილი მწერლობით იყო დაკავებული და მათი ნაწარმოებებიც ხალხის განათლებას ემსახურებოდა. სწავლულებს მიაჩნდათ, რომ თავიანთი ცოდნა სხვებისთვის უნდა გაეზიარებინათ. ეს მათთვის მნიშნელოვანი მოვალეობა და შუამავალის ანდერძი იყო. სწავლულის მხრიდან ცოდნის დამალვა დიდ უზნეობად ითვლებოდა. (იხ. ალი იმრან 3/ 187; ბაყარა 2/ 140, 159) სწავლება ღვთისმსახურებად ითვლება და ეს მასწავლებლებისთვის დიდი ჯილდოა. ჰადისების მიხედვით კი, სამყაროში არსებული ყველა და ყველაფერი ლოცავს იმ ადამიანებს, რომლებიც სხვებს სიკეთეს ასწავლიან. (იხ. თირმიზი, ილიმ, 19)

ჩვენი ქვეყნის რეალობაში ამგვარი დამოკიდებულება შესაძლოა შესუსტებულია, მაგრამ ვიცით, რომ ის მთელი ისტორიის მანძილზე გრძელდებოდა. წარმოგიდგენთ ბექირ თოფალოღლუს მოსაზრებას, რომელიც ნამდვილად ყურადსაღებია: „სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ ამგვარი მაღალი თვისებების მქონე მასწავლებლები ყველა ტიპის საზოგადოებაში პოულობდნენ შესაძლებლობას, რომ თავიანთი ცოდნა სხვებისთვის გაეზიარებინათ. მასწავლებელი, რომელიც თავისი პროფესიული ცოდნის რეალიზებას ვერ ახდენდა, დიდ სინდისის ქენჯნას განიცდიდა. უკანასკნელ პერიოდში მასწავლებელთა ამგვარი შეგნება სახეცვლილია და ყოველი მისი მოქმედების მოტივაციას მატერიალური შემოსავალი ქმნის“. (ოჯალი, 2008, 2/267).

ამრიგად, წარსულში ადამიანი სწავლულად თუ ითვლებოდა, ის აუცილებლად ასწავლიდა. ანუ ყველა სწავლული,

რომელსაც ცოდნა გააჩნდა, თავის ცოდნას აუცილებლად სხვას უზიარებდა. ეს შეიძლება ყოველთვის პირდაპირ გაკვეთლების სახით არ ყოფილიყო, მაგრამ ის ან შეკრებებზე მიმართავდა ხალხს, ან ქადაგებდა, ან დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფს მოძღვრავდა, ან კიდევ წიგნებს წერდა და ხალხი ამ წიგნებისგან სწავლობდა. ამრიგად, ისლამის ისტორიის ჭრილში თუ შეხედავთ ჩვენ შეგვიძლია მასწავლებელი შემდეგნაირად დავახასიათოთ: „ადამიანი, რომელიც კონკრეტული მიმართულებით ადამიანებს ცოდნის შეძენაში ეხმარება და ამას ცოდნით, ღირსებითა და ცხოვრებით ადასტურებს“. (იხ. ოღუზქან ალაილი 1981)

1.3. თანამედროვე მასწავლებელი

თანამედროვე მასწავლებელი არის ადამიანი, რომელმაც მიიღო შესაბამისი განათლება და მუშაობს კონკრეტული პროფესიით. ამ პროფესიაში დასაქმებისათვის საჭიროა კონკრეტული მიმართულებით უმაღლესი განათლების მიღება და კომპეტენციის დადასტურება. ამ სფეროში მუშაობს პრინციპი, „საგნის მცოდნეს შეუძლია ასწავლოს“. თუმცა ამგვარი დამოკიდებულება იცვლება შემდეგით: „საგნის მცოდნე, რომელმაც იცის, როგორ ასწავლოს, შეუძლია ასწავლოს“. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ჯერჯერობით მხოლოდ თეორიულ დონეზეა და პრაქტიკულად მისი განხორციელება სრულმასშტაბიანი ფორმატით ვერ ხერხდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლად შედგომა რთულია, მაგრამ მასწავლებლად დარჩენა შედარებით იოლი.

ადამიანისა და განათლების შესახებ სულ ახალი მეცნიერული დასკვნები იწერებოდა, რამაც ამ ყველაფერის

შესახებ წარმოდგენები და დამოკიდებულებები შეცვალა. დროთა განმავლობაში შეიცვალა მასწავლებლის როლიც. აღნიშნული როლი უფრო და უფრო რთული და მრავალფუნქციური ხდებოდა. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ საჭირო გახადა ახალი ტენდენციის წარმოშობა, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი იძულებული შექმნა მუდმივად სწავლისა და თვითგანვითარების რეჟიმში ყოფილიყო. განათლების საკითხებზე მომუშავე ჯგუფები განსხვავებულ მოსაზრებებს წარმოადგენენ და ისინი მასწავლებლის თვისებებზე ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებულ დამოკიდებულებებს აფიქსირებენ, მაგრამ ყველა მათგანი თანხმდება, რომ მასწავლებლის გავლენა განათლების ხარისხზე მნიშვნელოვნად დიდია. ყველა სასწავლო დაწესებულება იმდენად კარგი შეიძლება იყოს, რამდენადაც კარგი მასწავლებელები ეყოლება. ეს განაცხადი სრულებით არ არის გადაჭარბებული. შესაბამისად, ვერცერთი რეფორმა იქნება წარმატებული, თუ ის მასწავლებლის განვითარების ფაქტორს არ ითვალისწინებს. ამასთანავე, კონტექსტიდან არ იქნება დაშორებული თუ ვიტყვით, რომ ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებელთა ეთიკური და ზნეობრივი მხარეც.

მასწავლებელი აღსაზრდელთა განათლების ყველა ეტაპზე ფლობს შესაბამის ბერკეტებსა და გააჩნია შესაბამისი როლი, რომ სასიკეთოდ შეცვალოს თაობათა განვითარების პროცესი და აღსაზრდელებში არსებული უნარები განავითაროს. ის აღსაზრდელებს აძლევს შესაძლებლობებს იპოვონ საკუთარ თავში არსებული უნარები და შესაძლებლობები, ხოლო შემდეგ ინფორმაციის გეგმაზომიერი მიწოდების გზით ისინი დაეუფლონ ამა თუ იმ პროფესიას. აღნიშნული როლის შესრულებისას მასწავლებელი მხოლოდ ტრადიციულ-კულტურული გამოც-

დილებით არ კმაყოფილდება და ის ყოველთვის მოქნილ დამოკიდებულებას იჩენს სიახლეებისა და პროგრესის მიმართულებით. სწავლა-სწავლების პროცესში ჩნდება ახალი მოთხოვნილებები და გამოწვევები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს. მასწავლებელს ასევე მოეთხოვება სწავლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც გულისხმობს, რომ სწავლა აკვნიდან დაწყებული, საფლავამდე განგრძობადი პროცესია. მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და სწავლების ახალ-ახალ სტრატეგიებს ეუფლებოდეს. (იხ. ჰაინესი, 2002, 244)

დღესდღეობით განათლების სფეროში ჯერ კიდევ აქტუალურია მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს მასწავლებელი. ზოგადად კი მიიჩნევა, რომ მასწავლებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგს:

ა- მდიდარი განათლება და კომპეტენცია;

ბ- საკმარისი ზოგადი კულტურა;

გ- კარგი პედაგოგიური უნარების ფლობა და თანამედროვე აღმოჩენებისა და მიღწევების საგანმანათლებლო სფეროში დანერგვა;

დ- ზომიერი და გაწონასწორებული პიროვნება, კარგი მანერებითა და მეტყველებით. ეს ყველაფერი მასწვლებლის ის თვისებებია, რომელიც კლასში მის მუშაობას ეფექტურს ხდის. მასწავლებელს ასევე უნდა ჰქონდეს უნარი უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთლო პროცესში. კლასში მუშაობისას მასწავლებელმა უნდა გამოკვეთოს საერთო მიზანი და იდეალები, რომელსაც მოსწავლეებიც გაითავისებენ და ამ მისწრაფებების შე-

დეგად შექმნილი მოტივაციის ფარგლებში იმოქმედებენ. როდესაც ასეთი ატმოსფერო შეიქმნება, კლასის საერთო გარემო ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დამყარდება, რაც სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. ამგვარი ატმოსფერო დადებითად მოქმედებს როგორც მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ისე სწავლის უნარზეც.

გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მაღალი პიროვნული თვისებების მატარებელი მასწავლებელი მოსწავლეების მოტივაციაზე დადებითად მოქმედებს, ხოლო სუსტი უნარების მქონე მასწავლებელი მოსწავლეებს სწავლის მოტივაციას აკარგვინებს. ამრიგად, ისლამის ხედვა, რომ მასწავლებელს, გარდა საგნის ცოდნისა, მაღალი ზნეობრივი ღირებულებები უნდა გააჩნდეს, ამჯერად მეცნიერულად დასაბუთდა. დღეს უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს ფიქრი იმაზე, რომ მასწავლებლის ზნეობრივი მდგომარეობა სათანადოს შესწავლილი და განვითარებული იყოს. ცხადზე უცხადესია, რომ ახალი თაობების როგორც გონებრივი ისე ზნეობრივი განვითარება მასწავლებლებზეა დამოკიდებული.

დღეს, მასწავლებლის პიროვნული თვისებები, მისი გაწონასწორებულობა უფრო მეტადაა ყურადღების ცენტრში, ვიდრე ეს წარსულში იყო. ამ თვალსაზრისით, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ სავარაუდო თვისებები და როლები, რაც შეიძლება მასწავლებელს უკავშირდებოდეს:

- მასწავლებელი ცოდნის ერთადერთი წყარო კი არა, არამედ ცოდნისკენ მიმავალ გზაზე გზამკვლევია.

- კლასში მუშაობისას კლასის ერთპიროვნული მმართველი კი არ არის, არამედ ის ჯგუფის ერთ-ერთი წევრია, რომელსაც გზამკვლევობა ევალება.

- მასწავლებელი მოსწავლეებთან პაექრობაში არ შედის, ის მოსწავლეთა მხრიდან ცოდნის ძიებას სწორ მიმართულებას აძლევს. ის თანამშრომლობს მათთან და ეფექტური სწავლის გზებს მათთან ერთად ეძებს.

- კლასში მუშაობისას მასწავლებელი არ გამოხატავს შემდეგს: „ყველაზე მეტი მე ვიცი“. ის თანამშრომლობს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და სასწავლო პროცესის სხვა აქტორებთან.

- მასწავლებელი არ მისდევს დოგმატურ სწავლებას და ის ყოველთვის ღიაა ბავშვებში კრეატიულობისა და იმპროვიზაციის უნარების გასაუმჯობესებლად იზრუნოს.

- მასწავლებელი არ ელოდება, რომ ყველა პირობა სათავისოდმოირგოს, რათა კარგად ასწავლოს. ის ნებისმიერ სიტუაციაში თავის მაქსიმუმს გააკეთებს. ის წარმატების გზების მაძიებელი და ყოველი ხელსაყრელი მომენტის საუკეთესო ფორმით გამოყენებისთვის ზრუნავს.

- მასწავლებელი არასოდეს კმაყოფილდება არსებული ცოდნით და მუდმივად თვითგანვითარების გზების ძიებაშია.

- მასწავლებელი არ ფიქრობს, რომ სწავლების პროცესი მხოლოდ საკლასო ოთახში მიმდინარე მოვლენაა. ის ცდილობს კლასის გარეთ, ახლო და შორ გარემოში სწავლა-სწავლებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნას.

- მასწაველებელი მხოლოდ მოსწავლეებს კი არა, მათ მშობლებსაც ეკონტაქტება და ცდილობს მათი ცოდნაც გააღმავოს.

„თუ მასწავლებელს საკმარისი პედაგოგიური უნარები არ გააჩნია, არ შეუძლია იყოს კარგი ლიდერი და კარგი გზამკვლევი, ვერ ამყარებს დისციპლინას და არ აქვს საკმარისი ავტორიტეტი, ასევე სუსტია მისი ზნეობრივი და ეთიკური დონე, მაშინ ასეთი მასწავლებელი საგაკვეთილო გარემოს ვერ შექმნის და მისი მუშაობა ეფექტური არ იქნება. შეიძლება პირიქით მოხდეს და იმ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რომ კლასის გავლენის ქვეშ მოქცევა მოუწიოს. ასეთ დროს ის იძულებული გახდება კლასის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილოს, დადებითი მიმართულებით იქნება ეს მოთხოვნა თუ უარყოფითი, შედეგად კი კლასში არასასურველი ტენდენციების რისკი გაიზრდება. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი მასწავლებელი საერთო მიზნისკენ მიმავალ საგაკვეთილო რეალობას ვერ შექმნის. ამგვარი სიტუაცია საფუძვლიანად დააზიანებს საგაკვეთილო პროცესის ხარისხს და აქტივობების ეფექტურობას. შედეგად მოსწავლეები სასურველ პიროვნებებად ვერ ჩამოყალიბდებიან. ისინი უპასუხისმგებლო, უშინაარსო და უსარგებლო ყოფას მიეჩვევიან“. (იხ. დემირელი, 1999, 186-187)

ამრიგად, როგორც აღმოჩნდა, თანამედროვე მასწავლებლის როლი და მისგან მოსალოდნელი პროფესიული პროფილი წარსულისგან საკმაოდ განსხვავდება. თანამედროვე მასწავლებლისგან მოსალოდნელი როლის სწორად შესრულება მრავალმხრივ განვითარებულობასა და კომპეტენტურობას მოითხოვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე ციფრული სამყაროს სპეციფიკა, რადგან ამ ეპოქაში ძველებური მიდგომები თანამედროვე მოთხოვნებს ვერანაირად ვერ უპასუხებს. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ უნარჩვევების შეძენა არც ისე იოლია. შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიაში შესვლისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა უმაღლესი

განათლებაა. ყოველი მუსლიმი მასწავლებელია ყურადღება მიაქციოს ყველა ამ გამოწვევას, ყველა ამ მოთხოვნილებას და შესაბამის თვითგანვითარებაზე იზრუნოს. სანამ ყველა იმ კრიტერიუმს არ დავაკმაყოფილებთ, რაც ზევით იყო ჩამოთვლილი, მასწავლებლობის მსგავსი სერიოზული პასუხისმგებლობის მქონე პროფესიას არ უნდა შევეჭიდოთ და შემდეგაც, როცა მასწავლებელი გავხდებით, ყველა ეს უნარ-ჩვევები სისტემატიურად უნდა განვივითაროთ. ამას ჩვენი პროფესია და ზნეობა მოითხოვს.

2. მასწავლებლის პიროვნული ზნეობა

როგორც ყველა პროფესიის, ისე მასწავლებლის საქმიანობის მორალიც ადამიანის პირად ზნეობას, ინდივიდუალურ ხასიათს წარმოადგენს. სხვა დანარჩენი კი ამ უკანასკნელის მიხედვით ფორმირდება. განათლების საფუძველი ღირებულებებს წარმოადგენს, ამიტომ თავისი არსით ზნეობრივი საქმიანობაა. გამომდინარე აქედან, მასწავლებლის მიერ საქმის კარგად შესრულება იმ მორალური პასუხისმგებლობის შედეგია, რომელიც მას აკისრია. ისლამის ტრადიციის მიხედვით, ისევე როგორც თანამედროვე მსოფლიო რეალობაშია წარმოდგენილი, მასწავლებელი შესაბამისი ეთიკის კოდექსით მოქმედებს. აღმზრდელობა, მასწავლებლობა მოსწავლეებისა და ზოგადად ხალხის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გულისხმობს. მასწავლებელი ზნეობრივ ვალდებულებებს ყოველ ქმედებაში უნდა ავლენდეს. მისი ყველა ქმედება როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ სარგებელს უნდა ემსახურებოდეს. (ჯევიზჯი, 2011. 297-8)

მასწავლებელებს ასევე მომავალი თაობების აღზრდისა და მათი ზნეობრივი განვითარების პასუხისმგებლობა

გააჩნიათ. შესაბამისად, ამ პროცესში საკუთარი ქცევები, საკუთარი ზნეობრიობა უკიდურესად მნიშვნელოვანია, რათა ძირითადი საქმიანობის განხორციელებისას ეფექტურობა ხელშესახები იყოს. ამიტომაა, რომ მასწავლებლის ხსენებაზე პირველი რაც გვახსენდება მისი მაღალი ზნეობის მატარებელი პიროვნულობაა. ის ყველა თავის ქცევაში, ყველა სიტყვასა და საქმეში ზნეობის განსახირებებას უნდა წარმოადგენდეს. მისგან ამას ელიან და ის ამას ზედმიწევნით უნდა ასრულებდეს. ისლამური განათლების ტრადიციაშიც, ყველა ეს მოლოდინი, ყველა კატეგორიის აღმზრდელობით სფეროში, მისაღები და მისასალმებელია. ამრიგად, მასწავლებლობა ზნეობრივი ღირებულებების ამაღლებით უნდა იწყებოდეს და მასწავლებლის პიროვნული თვისებები გამოკვეთილად დადებითი უნდა იყოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებული ზნეობრივი პრინციპები შემდეგნაირად შეგვიძლია დავაჯგუფოთ:

2.1. ძირითადი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს

„ქმედებების არსი რეალურ განზრახვაზეა დამოკიდებული და ყველა ადამიანი იმას მიიღებს, რა განზრახვაც ამოძრავებდა. ვიღაცის მიზანი ღვთისა და შუამავლისთვის ჰიჯრაა და მისი მადლიც ღვთისა და შუამავლისთვის ჰიჯრის შესაბამისი იქნება. ვიღაც კი მაქვეყნიური რამისთვის ან დანიშნულთა შესახვედრაც ჰიჯრას ასრულებს. მისი ჰიჯრის იმის მიხედვით შეფასდება, რის გამოც წამოვიდა“.
(იხ. ბუჰარი, ბედულ ვაჰი 1; მუსლიმ, იმარეთ 155)

ყოველი მუსლიმი ნებისმიერ ქმედებას მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით უნდა

ასრულებდეს. ეს ადამიანის რწმენისეული ვალდებულებაა. ამ რწმენის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი საქმისთვის ღვთიური ჯილდოს მოლოდინის უფლება არ გვაქვს. აქვე გავიხსენოთ ჰადისი, რომლის მიხევითაც შუამავალი ბრძანებს, რომ კარგი მებრძოლი, რომელიც იმიტომ იბრძვის, რომ ხალხმა შეაქოს და გმირი უწოდოს, თუ ბრძოლაშ დაიღუპება შაჰიდის სტატუსს ვერ მიიღებს. ასევე, ადამიანი, რომელიც იმიტომ სწავლობს, რომ სწავლული უწოდონ და პატივი სცენ, სწავლულის მადლს ვერ მიიღებს. ან კიდევ, ვინც იმიტომ გასცემს, რომ ხელგაშლილი ადამიანის სახელი მოიპოვოს და ხალხმა ამის გამო შეაქოს, საიქიოში ხელგაშლილთა ჯილდოს ვერ ეღირსება. (იხ. მუსლიმ, იმარე, 152). გამომდინარე აქედან, მუსლიმი მასწავლებლის მიერ საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უპირველესი განზრახვა და **მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს. ყურანში ნაბრძანებია: „ღვთის კმაყოფილების მოპოვება უდიდესი ჯილდოა და მისი მოპოვება უდიდესი წარმატებაა, გადარჩენაა“.** (იხ. თევბე 9/72)

მასწავლებლის ძირითადი მიზანი ეს უნდა იყოს. ისლამის მიხედვით მუსლიმი მასწავლებლის ზნეობის საფუძველს ეს მიზანი განსაზღვრავს. ყველა დანარჩენ ზნეობრივ ვალდებულებას კი ადამიანი ამ ძირითადი მიზნიდან გამომდინარე ასრულებს.

მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით მასწავლებლის საქმიანობის განხორციელება ნიშნავს, რომ ჯილდოს გამჩენისგან უნდა ველოდებოდეთ. ეს არის შუამავლების მიერ ნასწავლები მიდგომა. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი :

„ამისთვის არ ვითხოვ თქვენგან საზღაურს, რამეთუ საზღაურს მხოლოდ სამყაროთა ღმერთი მომმადლის!“ (შუარა 26/109)

„გაჰყევით, ვინც საზღაურს არ ითხოვს თქვენგან და ჭეშმარიტ გზაზე ადგანან!“ (იასინ 36/21)

„ამისგან (ჯოჯოხეთისგან) **გამიჯნული იქნება მხოლოდ ღვთისმოშიში,**

რომელიც გაიღებს თავის ქონებას, რათა განიწმინდოს!

და (ღვთისმოშიშნი) **არ გაიღებენ იმისთვის, რათა დაჯილდოვდნენ ქონებით** (ალლაჰისგან)**,**

მხოლოდ სურვილით მისა, რათა უზენაესი ღმერთის კმაყოფილება მოიპოვონ!“ (ლეილი 92/17-20)

ამრიგად, შუამავლები ამ წმინდა მოვალეობას დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით ასრულებდნენ. მათი მოვალეობა ღვთის სიტყვის ადამიანებამდე მიტანა და მათი სწორი მიმართულებით განვითარება იყო. ისინი ამ მნიშნელოვანი საქმიანობისთვის გასამრჯელოს მხოლოდ ღვთისგან მოელოდნენ. სწორედ ეს უნდა გახდეს მთავარი მოტივაცია მასწავლებლებისათვის, რათა მათაც მოვალეობა დიდი სიყვარულითა და გულწრფელობით შეასრულონ და ჯილდოს ღვთისგან დაელოდონ. როდესაც მასწავლებლის ძირითადი მოტივაცია ესოდენ გულწრფელ და მაღალ ღირებულებას ემყარება, მაშინ მისი საქმიანობის ნაყოფი აუცილებლად კარგი იქნება. მასწავლებელი შეიძლება სხვა ადამიანებისგან ზოგჯერ წარმოუდგენელ უმადურობას შეეჩეხოს, მაგრამ როდესაც მას სწამს, რომ ყველაფერს მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვებისთვის აკეთებს და ამისათვის საიქიოში ჯილდოს თავად ღმერთი

უწყალობებს, ის ამ უმადურობას სიმშვიდით შეხვდება. ასეთი რწმენის პატრონს გამოუმუშავდება ფსიქოლოგიური თავდაცვის სისტემა, რომელსაც მსგავსი უარყოფითი შემოტევები ვერაფერს დააკლებს.

მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეთა განათლებას, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ემსახურება, რომ ღვთის კმაყოფილბის მოპოვება სურს, სწავლულთა საფეხურს აღწევს და მის მიერ გაცემული ცოდნა ადამიანთა კეთილდღეობისა და ჭეშმარიტების გაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი იქნება. ამ გზით საზოგადოება უკეთესი მომავლისკენ დაიწყებს სვლას და მასწავლებლის მისია ფასდაუდებელი გახდება. (იხ. იბნ ჯემაა, 2006, 113). მასწავლებელი, რომელიც ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით ემსახურება ამ პროფესიას, მოსწავლეებში ანალოგიურ დამოკიდბულებას აღვიძებს და აღსაზრდელთა ცნობიერების სწორად ფორმირებაში უდიდესი წვლილი შეაქვს. როდესაც ადამიანი ასე იქცევა და ასეთი გულითადი დამოკიდებულებები გააჩნია, მას საშუალება ეძლევა უკეთ გაიცნოს სამყაროს გამჩენი და დაუახლოვდეს მას.

ცოდნის სხვებზე გაზიარება, სხვებზე სწავლება ღვთისმსახურებად და ადამიანურ მოვალეობად ითვლება. ესოდენ მნიშვნელოვანი მისიის ჯამაგირზე ან რაიმე ამქვეყნიურ სარგებელზე სრულად დაქვემდებარება მოსაწონი არ არის. შუამავალი მასწავლებელზე საჩუქრის ჩუქებასაც კი არ მიესალმებოდა. (იხ. ებუ დავუდ, ბუიუ, (იჯარე), 36). ამგვარი დამოკიდებულების გამო ისლამის სწავლულები ბევრს კამათობდნენ იმის შესახებ, მასწავლებელს მოსწავლეებისგან სწავლების საფასური უნდა აეღო თუ არა. აქ გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა, რაც მდგომარეობს შემდეგში, რომ თუ ადამიანს სურს გახდეს კარგი მასწავლე-

ბელი, მან თავისი მთელი დრო და ენერგია ამ პროფესიას და თვითგანვითარებას უნდა მიუძღვნას. შესაბამისად მას სხვა შემოსავლები არ ექნება, ამიტომ მისაღებად ჩაითვალა, რომ მასწავლებელმა სწავლებისთვის გასამრჯელო უნდა აიღოს. მასწავლებლის მიერ გასამრჯელოს აღება არანაირად არ აზიანებს მის გულწრფელ მიზანს, რომ ის ამ საქმიანობას ღვთის კმაყოფილების მოპოვებისთვის ასრულებს.

ამასთანავე არსებობდა მოსაზრებები, რომ რომელიმე პროფესიის დასაუფლებლად სწავლა სწავლულობას არ ნიშნავდა. ქათიბ ჩელების აზრით მხოლოდ ჭეშმარიტების ცოდნა და ზნეობის ასამაღლებლად სწავლა-განათლება იყო ის გზა, რომელიც ადამიანს სწავლულობამდე მიიყვანდა. ქათიბ ჩელები ასევე აღნიშნავს, რომ როდესაც ბაღდადში მედრესე გაიხსნა და იქ მასწავლებლები დასაქმდნენ, ამან სწავლულების უკმაყოფილება გამოიწვია. სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ ცოდნის შეძენასა და სწავლულობას მხოლოდ ძალიან მშრომელი და ნიჭიერი ადამიანები ახერხებდნენ და ისინი თავიანთი ავტორიტეტის წყალობით მოსწავლეებიის შემოკრებას და მათზე ცოდნის გაზიარებას უზრუნველყოფდნენ. როდესაც მასწავლებლობა ანაზღაურებადი გახდა, გასამრჯელოს გულისთვის ყველა ზარმაცი და ანგარებიანი ადამიანი მასწავლებლობას მოიმდომებს და სწავლის ხარისხი კატასტროფულად დაიკლებს. შეიძლება ამგვარი პრეტენზია დროული და ლოგიკური იყო,მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მედრესეებს სრული ავტონომია მიენიჭათ, რათა თავიანთი ფუნქცია სრულყოფილად შეესრულებინათ და მაღალი ღირებულებების მიმართ დამოკიდებულება არ განელებულიყო. საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მნიშვნელობა არ აქვს მასწავლებელი გასამრჯელოს

აიღებს თუ არა, აქ მთავარია ისე შეასრულოს საკუთარი მოვალეობა, რომ მუდმივად ახსოვრდეს ის დიდი მიზანი, რასაც ღვთის კმაყოფილების მოპოვება ჰქვია. ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით მუშაობა ადამიანს წესიერებას, გულწრფელობას და თავდადებას ასწავლის. ასეთ დროს ადამიანმა იცის, რომ ღმერთი მის ყოველ ქმედებას ხედავს და ყველაფერი ესმის. (იხ. ბუჰარი, თეფსირ, (ლოყმან) 2). ამასთანავე ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!“ (ნაჰლი 16/90)

2.2. ცოდნასთან მჭიდრო კავშირში ყოფნა

ისლამის დამოკიდებულება განათლების შესახებ, ინდივიდის მიერ ცოდნით დაინტერესებასა და ამ ინტერესის ზნეობრივ ჭრილში გადატანას გულისხმობს. მუსლიმი განათლებისა და ზნეობის ასეთ კავშირს მსახურებრივ მოვალეობად და ადამიანურ პასუხისმგებლობად მიიჩნევს. როგორც სწავლების, ისე სწავლის ძირითადი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა. ამ მიზნის გარეშე განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა ნაკლოვანი და არასრულყოფილია. ძვირფასი შუამავალი ასე ბრძანებს: „ადამიანი,რომელიც ცოდნას, რომელსაც უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებისთვის უნდა იღებდეს და ის ამქვეყნიური კეთილდღეობის მისაღწევად ისწავლის, განკითხვის დღეს სამოთხის სუნსაც კი ვერ იგრძნობს“. (იხ. ებუ

დავუდ, ილიმ, 12). ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით სწავლის დაწყება, ამ მიზნით შრომა და უფრო მეტი ცოდნის დაუფლება, საკუთარი თავის განვითარება და ცოდნის გამოყენებით შესრულებული ყველა საქმე სასიკეთო და სასარგებლოა. ღვთის კმაყოფილების მოპოვების გზა ეს არის. გამომდინარე აქედან, ყოველი მასწავლებელი და მოსწავლე ვალდებულია ცოდნასთან, ცოდნის შეძენის ჯანსაღ სურვილთან და ამ ცოდნის სასიკეთო საქმეში გამოყენებასთან გულისხმიერი დამოკიდებულება ჰქონდეს. ყოველი მუსლიმი ვალდებულია ცოდნის შეძენას ესწრაფვოდეს, ზნეობრივად მაღლდებოდეს და დადებით პიროვნებად ყალიბდებოდეს. როდესაც ინდივიდი ამგვარ დამოკიდებულებას გაითავისებს, ეს ნიშნავს, რომ მან ისლამის მოძღვრება სწორად გაიგო და გაითავისა. ის ყოველ საქმეს ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გააკეთებს და ღვთის კმაყოფილებას დაიმსახურებს. აქედან გამომდინარე, ისლამის განათლების ფილოსოფიის მიხედვით, მუსლიმი ინდივიდის კავშირი განათლებასთან მთლიანად ეგზისტენციალური ხასიათისაა და ეს ჭრილში უნდა განვიხილოთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუსლიმის მიერ განათლებისკენ სწრაფვა და ინტელექტუალური საქმიანობის განხორციელება ზნეობრივი ვალებულების ნაწილია. როდესაც ინდივიდს არ ესმის ჭეშმარიტება, არ აქვს ჭეშმარიტი რწმენა, მას ბუნებრივია სწორი ზნეობრივი ღირებულებების დიფერენცირება არ შეუძლია. ისლამის მიხედვით ცოდნა არა მიზანი, არამედ საშუალებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნით კვება რაღაცაების დასწავლა-დაზეპირებით არ გამოვა. აქ საუბარია არა კონკრეტული ცოდნის მიღებასა და მის მეხსიერებაში შენახვაზე, არამედ ჭეშმარიტი ცოდნის მირებასა და ამ ცოდნის შესაბამისად ანალიზისა და შეფასების უნარის

გამომუშავებაზე. ადამიანი ცოდნის კვალდაკვალ უნდა ვითარდებოდეს და იმ ცოდნას განასახიარებდეს. ეს პროცეში შეგვიძლია შევადაროთ საკვების მიღებას. როდესაც საჭმელს ვჭამთ, ის იშლება და საჭმლის მომნელებელი ორგანოების მთელი სისტემის მუშაობის შედეგად ორგანიზმში საჭიროებისამებრ გადანაწილდება. ასეა მიღებული ცოდნაც. ის გონების მუშაობის შედეგად ინდა გაიფილტროს, დახარისხდეს და შესაბამისი სარგებელი მოიტანოს. ამგვარი ცოდნა ადამიანში სულიერ მდგომარეობად გადაიქცევა და შემდგომში ნებისმიერი ქმედება ამ მდგომარეობის მიხედვით ფორმირდება. ამრიგად, ცოდნა რაღაცაების დაზეპირება არ გახლავთ. ის ჭეშმარიტების ცოდნაა, რომელიც ჩვენს სულიერ მდგომარეობას ქმნის.

ჭეშმარიტი ცოდნის შეძენასა და მის მნიშნელობაზე მოცემულია როგორც აიათებში, ისე ჰადისებშიც:

„განა ის, ვინც მორჩილად ატარებს ღამის საათებს, სეჯდეზე გართხმული ან მდგომი, უფრთხილდება საიქიოს და სასოებს წყალობას თავისი ღმერთისგან, უთხარი: „განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უვიცნი?!“ უეჭველად, შეიგონებენ მხოლოდ ბრძენკაცნი, ჭკუასაკითხნი!“ (ზუმერ 39/9; ასევე იხ. ისრა 17/107 და რად 13/19-20).

დიახ, „განა თანასწორნი არიან განსწავლლულნი და უვიცნი?“ აქ ჩანს აშკარა მინიშნება, რომ ცოდნა ადამიანის ქცევებთან, მის რწმენასთან, ჭეშარიტების მიღებასა და ჩვენი სულიერად ამაღლებასთან პირდაპირ კავშირშია. (იხ. ჰაჯი 22/3, 8, 71; ნისა 4/157; მაიდე 5/104; ენამ 6/100. 108, 119, 140, 144, 148; თევბე 9/93, ნეჯმი 53/28).

ამრიგად, ისლამი ცოდნას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. დიახ, მუსლიმის ცხოვრების წესი და ინტერე-

სის სფერო ცოდნის შეძენა უნდა იყოს. ცოდნა ინდივიდის ქცევის განმსაზღვრელს წარმოადგენს. ადამიანი, რომელიც მიღებული ცოდნის შესაბამისად არ ცხოვრობს და ეს ცოდნა მის ცხოვრებას სასიკეთოდ არ ცვლის, წიგნებით დატვირთლ ვირზეა შედარებული. (იხ. ჯუმა 62/5). ასევე მიუღებელია დამოკიდებულება, როდესაც ადამიანი სხვებს ასწავლის და თავად არ ასრულებს. (იხ. ბაყარა 2/44). შესაბამისად, ჭეშმარიტი მორწმუნე ესწრაფვის ცოდნას, იღებს მას და ამ ცოდნის შესაბამისად ცხოვრებას ცდილობს.

ცოდნის მიზანი ჭეშმარიტების გაგებაა, ამბობდა ქათიბ ჩელები. ის ასევე ამბობდა, რომ ცოდნა ყოველთვის სასარგებლოა და საზიანო მხარე არ გააჩნია. ასე რომ არ ყოფილიყო, ყურანი ადამიანებს ცოდნის ძიებისკენ არ მოუწოდებდა. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ცოდნა შეიძლება ზიანის მომტანიც იყოს. გავიხსენოთ შუამავლის ვედრება: „ღმერთო მომმადლე წყალობა ვისარგებლო იმ ცოდნით, რომელიც მასწავლე. ღმერთო! მომმადლე სასარგებლო ცოდნა. ღმერთო, ცოდნა ამიმაღლე!“ (იხ. თირმიზი, დეავათ, 128). შუამავალი მსგავსი ჰადისის მიხედვით შემდეგ ვედრებას აღავლენდა: „ღმერთო, უსარგებლო ცოდნისგან, მიუღებელი ვედრების, უშიშარი გულის და უძღები ბუნებისგან დამიფარე!“. (იხ. იბნ მაჯე, სუნნე, 23). აღნიშნული ჰადისის მიხედვით შუამავალი ცოდნის კლასიფიკაციაზე საუბრობს და ღმერთს სთხოვს, რომ უსარგებლო ცოდნისგან დაიფაროს. ე.ი. არსებობს ცოდნა, რომელიც სარგებლის მომტანი არ არის. ამ ყველაფრის დადგენა, გაანალიზება და კლასიფიკაცია მასწავლებლის პრეროგატივაა. მხოლოდ წიგნების დაზეპირება უსარგებლო ცოდნა იქნება. ამრიგად, მასწავლებლის თვისებებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გამოვყოთ მისი ერთ-ერთი მთავარი თვისება.

იცოდეს და ჰქონდეს ანალიზის უნარი რა არის ჭეშმარიტი ცოდნა, რომელიც სასარგებლო იქნება. მეხსიერებაში წიგნების შინაარსის დასაწყობების პრაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელმა უნდა უარყოს და მოსწავლეებს კვლევა-ძიებისკენ, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნებისკენ გაუკვალოს გზა. ამიტომ იყო, რომ კარგ მასწავლებლად ის მიიჩნეოდა, ვინც ეპოქის პროფესიონალ სწავლულებთან კამათში შედიოდა, მათ საუბრებს უსმენდა და ანალიზში იყო ჩართული და არა ის, ვინც მხოლოდ ბევრი წიგნები იკითხა და ინფორმაციის დაზეპირება მოახერხა. შესაბამისად, მასწავლებლის თვისებებზე საუბრისას, აუცილებლად გასათვალისწინებაელია ფლობდეს ინფორმაციის ანალიზის უნარს და შემდგომში მის სწორად ფორმირებას, რათა მოსწავლეებზე გადაცემისას შედეგი ეფექტური იყოს.

როდესაც ცოდნა ადამიანში ეფექტებს არ წარმოშობს, არ იწვევს შინაგანი მდგომარეობის ცვლილებებს და ინდივიდის შინაგანი სამყარო ამ ცოდნის შესაბამისად არ ვითარდება, გამოდის, რომ აღნიშნული ინდივიდის პიროვნული პოტენციალის განვითარებას არ უნდა ველოდეთ. ასეთი ჩაკეტილი პიროვნებისგან არც იმას უნდა ველოდეთ, რომ ის სხვებს რაიმე დადებითი შედეგების გამომწვევ ცოდნას გაუზიარებს. ასეთი ჩაკეტილი ბუნების ადამიანი სხვების გახსნილობას ვერ უზრუნველყოფს და შესაბამისად ვერც მათ განწყობებზე იმოქმედებს, რათა სწავლის მოტივაცია აამაღლოს და ეფექტურ შედეგზე გავიდეს. ისლამის დამოკიდებულება კი ითხოვს, რომ ადამიანმა ჯერ საკუთარი თავი უნდა შეისწავლოს და როდესაც ის საკუთარი თავის გაცნობას შეძლებს, ის ღვთის შეცნობასაც შეძლებს, რადგან საკუთარი თავის გაცნობა ღვთის

შეცნობის წინაპირობაა. თუ ადამიანი გამჩენს ვერ შეიმეცნებს, ის საკუთარ თავს კარგავს. ამიტომაა, რომ სწავლული ადამიანისგან ჯერ მორწმუნეობას ველოდებით.

როდესაც ცოდნაში მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებას ვეძებთ, ადამიანი ამ დროს გონივრულობითა და კრიტიკული აზროვნებით გამოირჩევა. ასეთ დროს წინასწარ შექმნილი, ტაბუირებული განწყობები უკანა პლანზე იწევს. ინდივიდს ჭეშმარიტების ძიების გარდა სხვა შფოთვები აღარ აინტერესებს. ყურანი არ ზღუდავს ადამიანს აწარმოოს მეცნიერული დაკვირვებები და კვლევები. უფრო მეტიც, ყურანი მოგვიწოდებს დავაკვირდეთ სამყაროს და ვიფიქროთ, რათა ჭეშმარიტებას ვეზიაროთ. (იხ. ღაშიე 88/ 17-20; ბაყარა 2/164; ზარიათი, 51/20-21). ამგვარი მოწოდებები მიზნად ისახავს იმ ჭეშმარიტების მიგნებას და აღიარებას, რაც სამყაროშია დადგენილი. ამიტომაა, რომ ყოველი მუსლიმი თავს ვალდებულად თვლის ეძიოს უნივერსალურ ჭეშმარიტებას და საამისოდ ცოდნა აიმაღლოს.

ინდივიდის სწავლა-განვითარება აკვნიდან საფლავამდე განგძობადი პროცესია, ამიტომ ცოდნის შეძენა, სწავლა, კვლევა, ძიება ყოველი მუსლიმისთვის ერთ-ერთი აუცილებელი საზრუნავია. მუსლიმი ადამიანი მუდმივად სწავლის პროცესში უნდა იყოს ჩართული. ის ან უნდა სწავლობდეს, ან ასწავლიდეს. (იხ. დარიმი, მუყადდიმე, 26). ეს ყველაფერი, ისლამის მიხედვით, მნიშვნელოვან ღვთისმსახურებად ითვლება. (იხ. თირმიზი, ილიმ, 19). აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია სისტემატიურად თვითგანვითარებას მისდიოს, იკითხოს, დრო ტყულად არ გაფლანგოს და იფიქროს. ეს ყველაფერი კი ღვთისმსახურების მსგავსი მონდომებით უნდა გააკეთოს. (იხ. იბნ ჯემაა, 2016, 87-89). მასწავლებელი, როგორც ჭეშმარიტების

მიმდევარი, ცოდნაზე შეყვარებულ ადამიანად გადაიქცევა. სწავლა/სწავლების პროცესი მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნების მომტანია. მას უკვე თავის დანებება და მის გარეშე დროის ფუჭად გატარება აღარ შეუძლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელი მუდმივად ცოდნის ძიების პროცესშია. ეს მისი ცხოვრებაა. როდესაც მასწავლებელი საკუთარ პროფესიას პატივს სცემს, ის ყოველი გაკვეთილის წინ ფიქრობს იმ მეთოდებზე, რომლებსაც კონკრეტულ გაკვეთილზე გამოიყენებს, რათა საუკეთესო შედეგს მიაღწიოს.

2.3. ცოდნისა და ქცევის ერთიანობა

„ ისინი, ვინც სიტყვით გამოირჩევიან,
ათასგვარ საქმეს სჩადიან ფარულად.
ქცევა სარკეა, სიტყვა კი არა.
პიროვნება საქმით საქმით ამტკიცებს ჭკუას.

ზია ფაშა

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ძიებაშია, მას ეზიარება და მისით იკვებება, ამ ცოდნის შესაბამისად უნდა მოიქცეს და ამ ცოდნამ მისი ცხოვრების სტილი უნდა განსაზღვროს. შესაბამისად, მცოდნე ადამიანების სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. ამასთანავე, ისლამი ყველა მუსლიმანს მოუწოდებს, რომ მათი შინაგანი სამყარო და გარეგნული ქცევები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს და შესაბამისად სიტყვის თქმისას წინდახედულება უნდა გამოიჩინონ.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! რატომ ამბობთ იმას, რასაც არ აკეთებთ?

დიდი ცოდვაა ალლაჰის წინაშე იმის თქმა, რასაც არ აკეთებთ“. (საფ 61/2-3)

„ნუთუ ხალხს სიკეთეს შეაგონებთ და თქვენი თავი გავიწყდებათ? განა არ მოუხმობთ გონებას, როცა თქვენ ხართ მკითხველნი (კითხულობთ) **ღვთიური წიგნის** (თორასი)**?“** (ბაყარა 2/44)

ყურანი შუამავალს, როგორც საუკეთესო აღმზრდელს, მთელ კაცობრრიობას სთავაზობს და გვმოძღვრავს, რომ მაგალითი მისგან უნდა ავიღოთ. (იხ. ბაყარა 2/151). ასევე იხილეთ აჰზაბ 33/21. ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„არ ყოფილა, რომ ადამიანისთვის ალლაჰს წიგნი, სიბრძნე და შუამავლობა ებოძოს და მერე ეთქვას იმას ხალხისთვის: „იყავით ჩემი თაყვანისმცემელნი ალლაჰის მაგივრად“, არამედ - „იყავით ღვთისმსახურნი იმით, რასაც სწავლობთ და რასაც კითხულობთ (ღვთიური) **წიგნიდან!“** (ალი იმრან, 3/79)

აღნიშნული აიათის მიხედვით ღმერთი მოგვიწოდებს ყველა მუსლიმს და განსაკუთრებით მასწავლებლებს, რომ მიღებული ცოდნა და ქცევები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. შესაბამისად, ყველა მასწავლებელი, რომელსაც სურს, რომ კარგი მომავალი თაობა აღზარდოს, თავად უნდა იყოს საუკეთესო მაგალითის მიმცემი. ეს სწავლა/სწავლების პროცესის აუცილებელი პირობაა.

ისლამური ტრადიციის მიხედვით მასწავლებლის სიტყვისა და საქმის ერთიანობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ისეთ მასწავლებელებს, რომელთა სიტყვა და ქცევა ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ნდობას არ უცხადებდნენ და შვილები მათთან სასწავლებლად არ მიჰყავდათ. ისლამის

განათლების ტრადიცია გვასწავლის, რომ მასწავლებელი მხოლოდ კონკრეტული მეცნიერების მცოდნე ადამიანი კი არ არის, ის ამავდროულად ზნეობრივად ამაღლებული ადამიანია და აღსაზრდელებს კონკრეტულ მეცნიერებასთან ერთად ზნეობასაც უნდა ასწავლიდეს. უფრო მეტიც, მასწავლებლის ეს უკანასკნელი თვისება უფრო მნიშვნელოვანი იყო. მასწავლებლის ყოველი სიტყვა, მანერა და ქცევა მოსწავლეებისთვის ერთგვარ გზავნილს წარმოადგენს და მაგალითის ეფექტი გააჩნია. მორალის სწავლება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ეს მორალი გათავისებული გვაქვს, გვჯერა, გვწამს და ამ მორალის შესაბამისად ვცხოვრობთ. შესაბამისად, მასწავლებელი თავად უნდა ასრულებდეს ყველა იმ პირობას, რასაც ამბობს და რასაც მოსწავლეებისგან მოელის. საგანმანათლებლო რეალობაც იგივეს ადასტურებს. ნებისმიერი თეზისი, რომელსაც ბავშვებს ვაწვდით, აუცილებელია პრაქტიკული თვალსაზრისითაც გამოიცადოს, რათა კონკრეტული თეზისის მიმართ ცოდნა გამყარებულად ჩაითვალოს.

როდესაც კარგი ზნეობის მქონე მასწავლებელზე ვასუბრობთ, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ავტორიტეტი, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და ამასთანავე ყველა იმ მოლოდინს უნდა ამართლებდეს, რასაც მისგან მოსწავლეები ან საზოგადოება მოელის. ის ისეთივე უნდა იყოს კლასში, როგორიც ცხოვრებაშია. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებისგან ისეთ რამეს ითხოვს, რასაც თავად არ აკეთებს, ეს სასიამოვნო არ გახლავთ. როდესაც მასწავლებლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მოსწავლეებში ავტორიტეტს ვერ მოიხვეჭს. შესაბამისად არ მისი სიტყვა იქნება დაფასებული. მაგალითად, თუ მასწავლებელი გაკვეთლზე აგვიანებს, მას უფლება აღარ აქვს მოსწავლეს დაგვიანების გამო უსაყვედუროს. ასევე,

თუ მასწავლებელი გაკვეთილზე მოუმზადებელი შედის, მას უფლება აღარ აქვს მოსწავლეებს იგივეს გამო უსაყვედუროს. თუ მასწავლებელი მოსწავლეთა ღირსებას არაფრად აგდებს და შეურაცხყოფას აყენებს, მას უფლება აღარ აქვს მოსწავლეებისგან პატივისცემა მოითხოვოს. ასეთ შემთავევაში მასწავლებელს უფლება აღარ აქვს ზოგადად სამართლიანობაზე ისაუბროს. გარდა ამისა, ცვალებადი ხასიათის მქონე მასწავლებელი, რომელიც ერთ დღეს რაღაც განსხვავებულს ამტკიცებს და მეორე დღეს საპირისპირო პოზიციას ავლენს, მოსწავლეებში დაბნეულობას და ორჭოფობას გამოიწვევს და შედეგად მის ყოველ სიტყვას ეჭვის თვალით შეხედავენ. ბუნებრივია მისი ინიციატივები ან სუსტი რეაგირებით ჰპოვებს გამოძახილს, ან საერთოდ ვერ ჰპოვებს. ან კიდევ, ვთქვათ მასწავლებელმა მოსწავლეებს რაღაც პირობა მისცა და ვერ შეასრულა, მაგრამ შემდეგ შეუსრულებლობის მიზეზი არ განუმარტავს და ამის გამო წუხილი არ გამოუთქვამს. ეს ფაქტი მოსწავლეებში ძალიან უარყოფით განცდებს წარმოშობს და შედეგად ამ მასწავლებლის ავტორიტეტის დაცემას გამოიწვევს. თუ მასწავლებელი გაკვეთილზე აგვიანებს, გაკვეთილის მსვლელობისას არასაგაკვეთილო ქცევებს ავლენს და ზერელე დამოკიდებულება გააჩნია, მაშინ ის ბავშვებს არა ზნეობა, არამედ უზნეობას ასწავლის. შემდგომში მისი მოსწავლეებიდან თუ რომელიმე ბიზნესმენი გახდება, მოსალოდნელია, რომ არაკეთილსინდისიერად მოიქცეს და თუნდაც გადასახადები დამალოს. ამრიგად, ზნეობის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდი მაგალითის მიცემაა. ახლა მოგიყვებით ამბავს, რომელიც ამ საკითხში გარკვეულ სიცხადეს შეიტანს:

„დაწყებითი სკოლის მეხუთე კლასში ვიყავი. ჩვენს კლასში ახალი მასწავლებელი შემოვიდა. პირველივე გაკ-

ვეთილიდან მივხვდი, რომ ძალიან გამოცდილი მასწავ-ლებელი იყო. ჯერ კიდევ პირველივე გაკვეთილზე ყველა-ნი ერთად შევთანხმდით სამოქმედო გეგმაზე, დავალება იქნებოდა, სავარჯიშოების სპეციფიკა, ექსკურსია, საკ-ლასო დისციპლინა, მორიგეობა, სისუფთავის დაცვა თუ სხვა. ამ დებულებებს შორის იყო ერთი ასეთი დებულება. მოსწავლე, რომელიც გაკვეთილზე დააგვიანებდა, კლას-ში შემოსვლისას ბოდიშს იხდიდა, შემდეგ თავის ადგილზე ჯდებოდა და გაკვეთილის ბოლოს დაგვიანების მიზეზს განმარტავდა. ორი კვირა ისე გავიდა გაკვეთილზე არავის დაუგვიანია. ზამთარში, სიცივეში, ქარბუქში, მოკლედ ყველანაირ პირობებში სკოლაში დროულად მივდიოდით და გაკვეთილებზე არ ვაგვიანებდით. ერთ დღესაც ჩვენი მასწავლებელი არ მოვიდა. გავიდა ათი წუთი და ის კი-დევ არ ჩანდა. ჩვენ კლასის ორგანიზატორი და ორი სხვა მოსწავლე კლასის ხელმძღვანელთან გავგზავნეთ. ცოტა ხნის შემდეგ კლასის ხელმძღვანელი, ჩვენი მასწავლებელი და ჩვენი კლასელები კლასში შემოვიდნენ. კლასის ხელმძ-ღვანელმა გვითხრა, რომ ჩვენს მასწავლებელს სამი წუთი შეაგვიანდა, რადგან მეუღლე ავად გაუხდა და ექიმთან ჰყავდა წაყვანილი. ის ამის გამო ჩემთან მოვიდა, ბოდიში მოიხადა და გაკვეთლზე შესვლის ნებართვა გვთხოვა, მეც და თქვენცო. მე მას გაკვეთილზე შემოსვლის ნებართვას ვაძლევ და თუ თქვენც უფლებას მისცემთ გაკვეთილზე შემოვა. მთელ კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ასეთი რამ ჯერ არ გვენახა. წინა მასწავლებლები გამახ-სენდა. ისინი ხშირად აგვიანებდნენ და როცა მოდიოდ-ნენ იქაც მათი ქცევები არაპროგნოზირებადი იყო. ჩვენ ძალიან გაოცებული ვიყავით. მერე უცებ ყველამ ერთხ-მად წამოვიძახეთ, რომ მასწავლებლის კლასში შემოსვლა გვინდოდა. ყველას თვალები ცრემლით გვქონდა სავსე.

სწორედ ამ დროს გულში მტკიცედ გადავწყვიტე, რომ მეც ყოველთვის ჩემი მასწავლებლის მსგავსად მოვიქცეოდი. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ მეც ადამიანი ვიყავი, მეც რაღაცას წარმოვადგენდი და ჩემგანაც ნებართვას იღებდნენ". (იხ. სონმეზი, 1996, 83)

მოსწავლეს მასწავლებლის არცერთი მოქმედება არ გამოეპარება. შესაბამისად, მასწავლებელი ყველა თავის სიტყვასა და ქმედებაში უკიდურესად ყურადღებით უნდა იყოს. ერთ-ერთმა მკვლევარმა კლასში დაკვირვებისას ასეთი საუბარი ჩაიწერა. მასწავლებელი: „რელიგიის კულტურის მასწავლებელი ტყუილს არ იტყვის". მოსწავლე: „კი მაგრამ, თქვენ ხომ გასულ კვირას ტყუილი თქვით?" მასწავლებელი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ტყუილი არ უთქვამს და მოსწავლეს ჰკითხა გაეხსენებინა მისი ნათქვამი. მოსწავლე: „მასწავლებელო, თქვენ შეგვპირდით, რომ წარმატების შემთხვევაში მედლებს მოგვცემდით, მაგრამ არ მოგვეცით". ამის გარდა იგივე კლასში არსებობს სხვა დიალოგიც. მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს ბიბლიოთეკაში წავიდეს და კონკრეტული წიგნი მოუტანოს. არადა ამ დროს ის წიგნი მაგიდაზე უდევს. როდესაც მოსწავლე მიდის, სხვა მოსწავლე ამას შენიშნავს და მასწავლებელს ეუბნება, რომ მან მოიტყუა, რადგან წიგნი მაგიდაზე ედო და მოსწავლე მის მოსატანად გაგზავნა. (იხ. ალთინთაში, 2016, 71)

მასწავლებელი, რომელსაც ჭეშმარიტი რწმენა და გულწრფელობა გააჩნია, რომელიც მუდმივად ცდილობს ღვთის კმაყოფილების მოპოვებას, ყოველნაირად ეცდება გათავისუფლდეს ისეთი ნეგატიური გრძნობებისგან, როგორიცაა შური, ბოღმა, რისხვა, თვალთმაქცობა, სიძუნწე, ანგარება, პირმოთნეობა, ცილისწამება, ჭორი და მსგავსი სხვა. ამ გზით მას საშუალება მიეცემა ზომიერი

და ღირსეული ცხოვრებით იცხოვროს და სხვებისთვისაც მაგალითი გახდეს.

ისლამური ტრადიციის მიხედვით, მასწავლებელი სამაგალითო პიროვნება უნდა იყოს და შესაბამისად ცხოვრება ამ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით უნდა წარმართოს. ის უნდა მოერიდოს ისეთ ქცევებს, რომლებიც მის ავტორიტეტს დააზიანებს. ის ასევე უნდა მოერიდოს საეჭვო სიტუაციებს, რათა ხალხმა მის პატიოსნებაში ეჭვი არ შეიტანოს.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მასწავლებელი ყველაზე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო აქტორია და მისი გავლენა მოსწავლეებზე დიდია. აქედან გამომდინარე მასწავლებელი ყველა სიტუაციაში ზომიერებით და თავდაჭერილობით უნდა გამოირჩეოდეს. მოსწავლეები მასწავლებლის გავლენით, ნებსით თუ უნებლიედ, გარკვეულ ქცევებს ითვისებენ და ეს ქცევები სასურველია უარყოფითი არ იყოს.

პიროვნული გაწონასწორებულობა და ზომიერების დაცვა ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანი თვისებაა, განსაკუთრებით კი მასწავლებლისათვის. თუ მასწავლებლის ხასიათი ზოგადსაგანმანათლებლო პრინციპებს არ შეესაბამება და მისი მუშაობა ბავშვების აღზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს, ასეთმა მასწავლებელმა სკოლიდან წასვლაზე უნდა დაფიქრდეს.

სასურველია კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ მხოლოდ ინფორმაციის დაზეპირება და მეხსიერებაში მისი დასაწყობება არც განათლებას ნიშნავს და არ მასწავლებლობას. მასწავლებელს მრავალი პიროვნული ღირსება სჭირდება, რომ მისი გაკვეთილები ეფექტური და შედე-

გიანი იყოს. მასწავლებელმა მიღებული ცოდნა გონებაში უნდა დაახარისხოს და ყველა პირობის გათვალისწინებით, ყველაზე ეფექტური ფორმით გასცეს. მზა ცოდნის გარდა მასწავლებელს საკუთარი მოსაზრებები და იდეები უნდა ჰქონდეს, რომელიც იმ მომენტისათვის არსებულ რეალობაზე იქნება მორგებული. გავიხსენოთ აჰმეთ მუჰთარ ბუიუქჩინარის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომელიც უდავოდ საინტერესოა: „ცოდნა საჭმელს გავს. შენს წინ ათი კაცის სამყოფი საჭმელიც რომ იდოს, შენ მხოლოდ ის გეკუთვნის, რამდენსაც შეჭამ. რაც არ გიჭამია ის საჭმელი შენ სარგებელს ვერ მოგცემს. ასევე, რეალური ცოდნა ნიშნავს იმას, რასაც სარგებლობა მოაქვს და არა იმას, რაც ვიცით“.

2.4. ცოდნის მნიშვნელობის დაცვა

ყოველი მასწავლებელი ვალდებულია განათლების მნიშვნელობა დაიცვას, რადგან სწორედ ის არის ის ადამიანი, რომელსაც განათლება ადამიანებამდე მიაქვს. მას აღებული აქვს ვალდებულება, რომელიც განათლების მიღების პროცესში გზამკვლევობას გულისხმობს. ამას განათლების მორალი ან განათლების პოლიტიკა შეიძლება ვუწოდოთ. უეჭველია, რომ განათლება მაშინ იქნება ეფექტურია, როცა ის მორალურ ღირებულებებზე იქნება დამყარებული. როდესაც განათლება/ცოდნა ზნეობასთან დაპირისპირებაში მოდის, ის სიკეთის ნაცვლად ბოროტების მომტანია. ანუ ასეთ დროს ცოდნას მოაქვს არა კეთილდღეობა, არამედ ნგრევა და უბედურება. დაუშვებელია ცოდნის იმ ფორმით გამოყენება, რომ ის რომელიმე პიროვნების ან ჯგუფის ინტერესებზე იყოს მორგებული.

ამგვად დაშვებას ზნეობა გამორიცხავს. საკითხი უფრო მკვეთრი ხდება თუ ის რელიგიას ეხება. როდესაც რელიგიური ცოდნა პიროვნების ან რომელიმე ჯგუფის ინტერესების სამსახურში ჩადგება, ეს თავად რელიგიას უთხრის ძირს და რწმენასთან ანუ მორწმუნეობასთან რაიმე შემხებლობა არ გააჩნია. როდესაც რელიგიური ცოდნა იმდენად „მორჩილი“ გახდება, რომ ის პიროვნებამ ან პიროვნებათა ჯგუფმა შეიძლება ისე შეცვალოს, რომ ანგარებისთვის გამოიყენოს, სარწმუნოების ჭეშმარიტება შესუსტდება და მთავარ მახასიათებლებს დაკარგავს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, თუ მასწავლებელი ცოდნას პატივს სცემს და ამ სფეროს ღირსებას იცავს, არ უნდა დაუშვას, რომ ცოდნის არასწორი ინტერპრეტირება და რომელიმე დაინტერესებული ჯგუფის სასარგებლოდ გამოყენება მოხდეს. მასწავლებლის მიერ ცოდნის მიმართ პატივისცემის გამოხატულების პირველი ნიშანი ეს არის. ამასთანავე, მასწავლებლის ყველა ის დადებითი თვისება და მანერა, რომლებიც ზოგადად ადამიანს ამშვენებს და დადებით პიროვნებად წარმოაჩენს, იგივე ცოდნის, განათლების მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა.

განათლების მიმართ უპატივცემულობის მაგალითია, როდესაც წარუმატებელ მოსწავლეს წარმატებულად წარმოვაჩენთ და შესაბამის კვალიფიკაციას ასე დაუმსახურებლად მივანიჭებთ. ეს უპირველეს ყოვლისა თავად განათლების ხარისხის დაქვეითებას გამოიწვევს და ასევე ადამიანების სიყალბისკენ წაქეზებას შეუწყობს ხელს. როგორც ჰადისები გვასწავლის, განათლების მოსპობა მაშინ დაიწყება, როდესაც უმეცრები სწავლულების ადგილს დაიკავებენ და სწავლულებად წარმოჩნდებიან. (იხ. ბუჰარი, ილიმ 34).

ისლამი ცოდნის მიღებას განსაკუთრებული მგრძნობელობით ეკიდება. ცოდნის მიღებისას მთავარი ამოსავალი წერტილი ამ ცოდნის ჭეშმარიტება და სარგებლიონობაა. დაუშვებელია რომელიმე მიმართლებით განათლებულმა პიროვნებამ სხვა მიმართულებები დაგმოს და დაკნინების მცდელობაში შევიდეს. ამგვარი დიფერენცირების მცდელობა და განხეთქილებები, თავის მხრივ, ისევ და ისევ განათლების/ცოდნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების მაგალითებს წარმოადგენს. ამასთანავე, ამგვარი ქმედება უმეცრების დასტურიცაა. ამგვარ ქედებაში ასევე ჩანს ნარცისიზმი, ამპარტავნება, ეგოიზმი და მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულებების გამოვლინება.

ისლამის მიხედვით განათლების მიმართ პატივისცემა ამ სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა უნდა გამოიჩინონ და ამ მიმართლებით მათი დამოკიდებულება ძალიან გულისხმიერი უნდა იყოს. აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითი, თუ როგორ არ უნდა მოიქცეს მასწავლებელი კონრეტულ სიტუაციაში. მაგალითად, მასწავლებელი არ უნდა მივიდეს მდიდარ ან გავლენიან ადამიანთან რაიმის სათხოვნელად, თუ რა თქმა აუნდა ამის აუცილებლობა არ არის, რადგან ამქვეყნიური სარგებელის, ან ანგარების, ან რაიმე უპირატესობის მიღების მიზნით განათლების გამოყენება, ისევ და ისევ განათლების მნიშვნელობას აკნინებს. ეს ნიშნავს, რომ განათლებას სათანადო პატივს არ ვცემთ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში ზოგიერთი მასწავლებელი სწავლების საფასურს არ იღებდა, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით განათლების მნიშვნელობას დააკნინებდნენ.

ასევე ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ სახელმწიფოს მმართველები განათლების კუთხით მო-

მუშავე ადამიანებს ძალიან აფასებდნენ და მათდამი პატივისცემით გამოირჩეოდნენ. ამით ისინი არა მარტო განათლების ხეშეწყობას ადასტურებდნენ, არამედ ხალხის მხრიდან კეთილგანწყობას იმკიდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი მოტივაცია ეს უკანასკნელი იყო და სასურველია, რომ განათლების მესვეურებმა მსგავსი მდგომარეობის ხეშეწყობას თავი აარიდონ.

როდესაც ადამიანებმა იციან, რომ ბოლოს აუცილებლად საიქიოშია სამუდამო განსასვენებელი და ამ დროს ამქვეყნიური სარგებლისაკენ ილტვიან და რეალურად ზიანის მომტან რაღაცაებს სასარგებლოდ გვაჩვენებენ, ისინი სწავლულები ვერ გახდებიან. ასევე, განათლება არ არის ისეთი მოვლენა, რომელიც ჩვენთვის რაიმის კეთებით ხორციელდება. ის მაშინაა სრულყოფილი, როცა მას სხვებს ვუზიარებთ.

მასწავლებელი ასევე დიდ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდეს თავის გარეგნობასა და ჩაცმულობის სტილს. იბნ ჯემა წერს: „როდესაც მასწავლებელი სასწავლო დაწესებულებაში მიდის, მან ფიზიკური და სულიერი ჭუჭყისგან უნდა გათავისუფლდეს და ისე წავიდეს, რადგან განათლებისადმი პატივისცემა ასე მოითხოვს. სასურველია გამოიყენოს სასიამოვნო სუნამო და ასევე ლამაზი ტანისამოსი უნდა ჩაიცვას. იმამი მალიქი ყოველი გაკვეთილის წინ ბანაობდა და სასიამოვნო სუნამოს იცხებდა. ასევე საგანგებოდ არჩევდა ტანსაცმელს და თავზეც „სარუღს“ იხურავდა. იმამი მალიქი მოსწავლეებს ჰადისებს ასწავლიდა და ის ამბობდა: „მე ღვთის შუამავლის ჰადისების სწავლებისას სიამოვნებას ვიღებ“.

წესიერი, პატიოსანი და ღირსეული თაობის აღსაზრდელად საჭიროა სწავლების პროცესი სასიამოვნო გავხადოთ. როდესაც საგანმანათლებლო პროცესში ესთეთიკა და ეთიკაა დამკვიდრებული, ეს მოსწავლეთა განწყობებზე დადებითად იმოქმედებს და სწავლის პროცესი სასიამოვნო გარემოში წარიმართება. ესთეთიკისგან დაცლილი, უსიამოვნო გარემო კი მოსწავლეთა მოტივაციაზე უარყოფითად აისახება, რაც პირდაპირ კავშირშია შედეგებთან. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გარეგნობასა და ესთეთიკაზე ზრუნვისას ზღვარს არ გადავიდეთ და ზედმეტი ფუფუნება, ან ამპარტავნება არ გამოვამჟღავნოთ, რადგან ეს უკანასკნელიც უარყოფით განცდებს აღძრავს და სასწავლო გარემოსთან შეუსაბამო ხასიათს ატარებს. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სილამაზე და სისადავე უფრო მისაღებია, ვიდრე ზღვარსგადასული ფუფუნების ან სიმდიდრის დემონსტრირება.

2.5 მოვალეობის გააზრება

საგანმანათლებლო საქმიანობით დაკავებული ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ამ პროფესიის მნიშვნელობას უნდა იაზრებდეს და თავის საქმიანობას გულწრფელი სიყვარულით ეკიდებოდეს. მისთვის ამ ვალდებულების შესრულება უდიდესი სიამოვნების მომტანი უნდა იყოს. ძირითადი მოტივაცია, რომელიც მასწავლებელსა და მოსწავლეს სწავლა/სწავლების პროცესში უნდა შეექმნას, სწორედაც რომ საქმის სიყვარულზეა დამოკიდებული. ასეთ დროს მასწავლებელი არამარტო ასრულებს მოვალეობას, არამედ ამ მოვალეობით ცხოვრობს. ასეთ შემთხვევაში საქმის კარგად გაკეთებისას უდიდეს ბედნიერებას მიიღებს. ეს გრძნობა მის დაღლილობასაც გააქრობს.

მოსწავლეებთან მუშაობა, მათზე სწავლება, მათი ცხოვრებისთვის მომზადება უმნიშვნელოვანესი საქმიანობაა და ასეთი მოვალეობის პირნათლად შესრულება, რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერების მომტანია. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროცესში აუცილებელი ფაქტორი თვითგანვითარება და საკუთარი ცოდნის ამაღლებაა. ეს უკანასკნელიც წარმატებისა და ბედნიერების მომტანია. ვინც პროფესიულად ვერ ვითარდება, ის ვერც ამ კმაყოფილების გრძნობას ეზიარება. ბუნებრივია მას არც თავისი პროფესია ეყვარება და ასეთ შემთხვევაში, როგორც თავისი, ისე მოსწავლის ინტერესები დაზიანდება. სიყვარულის გარეშე მასწავლებლის საქმიანობა ისეთვე წარმატებით ვერ განხორციელდება, როგორც უნდა ხორციელდებოდეს, რადგან ეს არის ძალიან საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობა, რომელიც აუცილებლად სიყვარულით უნდა კეთდებოდეს. ამ მოვალეობის ღირსეულად შესრულება მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც ამ საქმის მთელი მნიშვნელობა და ხარისხი გააზრებული აქვს.

საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა განათლების მიმართ პატივისცემას აღძრავს. მასწავლებელი, რომელიც ცოდნას სათანადოდ აფასებს, არანაირ გარე მოტივაციას არ საჭიროებს და ის მუდმივად თვითგანვითარებისა და ახალი ცოდნის შეძენის მცდელობაში იქნება. ის მუდმივად იმის ძიებაში იქნება, როგორ წარმართოს საგანმანათლებლო პროცესი ისე, რომ საუკეთესო შედეგზე გავიდეს. საამისოდ კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა მუდმივად ცოდნისკენ სწრაფვა და ახალი მეთოდების ძიებაა. თანამედროვე სკოლებში მასწავლებელი გარკვეული ანაზღაურების პირობითაა დასაქმებული. ანაზღაურება ცალკე პასუხისმგებლობის საგანია და მან ასევე ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლის მოტივაციისა და პასუხის-

მგებლობის გრძნობის ამაღლებას. აღებულ გასამრჯელოს ხომ თავისი პასუხიმგებლობა თან სდევს. გარდა პროფესიული საქმიანობის ღირსეულად შესრულებისა, მასწავლებელი ვალდებულია გაითვალისწინოს და პატივი სცეს იმ დაწესებულების საგანმანათლებლო პოლიტიკას, სადაც ის მუშაობს. მაგალითად, სამუშაო საათებში სხვა საქმიანობით არ უნდა დაკავდეს და დრო სხვა საქმიანობას არ უნდა დაუთმოს.

მუსლიმი მასწავლებელი იაზრებს, რომ მას საკუთარი თავი ბავშვების განათლებისთვის აქვს მიძღვნილი და ყოველ ქმედებაში საქმისადმი გულითად დამოკიდებულებას ავლენს. ის გაკვეთილზე არასოდეს აგვიანებს და არც მოუმზადებელი მიდის. ასეთ მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესი ყოველთვის მოწესრიგებულ პირობებში მიჰყავს. ღირსეული მასწავლებელი არასოდეს დაელოდება იმას, რომ პირობები იდეალური გახდეს, რათა კარგი გაკვეთილი ჩაატაროს. ის ამისათვის ძვირფას დროს არ დაკარგავს. ის ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენს. მისთვის მიუღებელია მიზეზების ძიება ან არსებულ მიზეზებზე თავის შეფარება. მისთვის ყველა სიტუაცია მომგებიანია, რადგან ფლობს უნარებს ნებისმიერი გარემოება საქმის კარგად შესრულებისათვის გამოიყენოს. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები პირობებს იწუნებენ და ამ ღირსეულ პროფესიაზე უარს ამბობენ.

მასწავლებლის პროფესიაზე გულით შეყვარებული მასწავლებელი მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით არ შემოიფარგლება და ის ყოველთვის ცდილობს ამ პროცესში ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე. ის ქმნის გარემოს, სადაც უკეთ სწავლისათვის საუკეთესო პირობებია.

ამრიგად, ის მასწავლებელია არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ მშობლებისა და სხვა გარემოცვისათვის. თანამედროვე ყოფაში, სამწუხაროდ, განათლებისათვის იდეალური პირობები არ გვაქვს. ამას განაპირობებს მშობლების მხრიდან მცდარი დამოკიდებულებები, სასწავლო დაწესებულებების მმართველი პირების მხრიდან დაშვებული შეცდომები, ზოგადი საგანმანათლებლო პოლიტიკა და სხვა. ასეთი რეალობის მიუხედავად, მასწავლებელი ყველა მეთოდს უნდა იყენებდეს, რათა ნაკლოვანებები შეძლებისდაგვარად გაანეიტრალოს და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება უზრუნველყოს. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მასწავლებელთა მულტიპროფილური ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თავის პროფესიაზე შეყვარებული მასწავლებელი თავის ყოველ ქმედებაში ცდილობს დაიცვას ის სახელი და ღირსება, რომელიც ამ პროფესიას ზოგადად ახასიათებს. მასწავლებელი არ მისდევს ისეთი ცხოვრების წესს, რომელიც მის პროფესიას არ შეეფერება. ის ყველა სიტყვასა და საქმეში სიმართლეს და ღირსებას იცავს. ასევე მასწავლებლისთვის შეუფერებელი საქციელია, როდესაც ის ფულის გულისთვის თავის მოსწავლეებს საკუთარი წიგნის შეძენას აიძულებს.

2.6. თავმდაბლობა და თავაზიანობა

ყველა მუსლიმი ვალდებულია იყოს თავაზიანი და ასევე აკრძალული აქვს მედიდურობა. ეს დამტკიცებულია წმ. აიათით. (იხ. ისრა 17/37). იგივე მოწოდებაა ჰადისებშიც: „ვერავინ შევა სამოთხეში, ვისაც გულში მცირედი ამპარტავნებაც გააჩნია. ამპარტავნება ჭეშმარიტების უარყოფა

და ადამიანების დამცირებაა“. (იხ. მუსლიმ, იმან 147). ყურანში ასევე ნაბრძანებია:

„ხოლო მოწყალის მსახურნი არიან ისინი, რომელნიც მოკრძალებულად დადიან ქვეყანაზე და როცა უმეცარი შემოხვდებათ ეუბნებიან: „სალამი !“ (ფურყანი 25/63)

„ვინც ღვთის გულისათვის თავაზიანობას იჩენს, ღმერთი მას აამაღლებს“. (იხ. მუსლიმ, ბირ, 69). ჰადისებიდან ასევე ვიცით, რომ შუამავალი მოგვიწოდებს, ზედმეტი ქება-დიდებისაგან თავი შევიკავოთ და ერთმანეთთან ურთიერთბაში ზომიერება დავიცვათ. (იხ. მუსლიმ, ჯენნეთ, 64)

ამპარტავნება, მედიდურობა, თავმომწონეობა საკუთარი თავის სხვებზე უკეთესად დანახვა და სხვების დამცირებაა. ამპარტავნება ძალიან ცუდია, რადგან ამ დროს ადამიანი საკუთარ თავს სხვებზე მაღლა აყენებს და ამავდროულად მათ ზევიდან უყურებს. ამპარტავნობის საპირისპირო მდგომარეობა თავმდაბლობაა, რომელიც სასიამოვნო და მისასალმებელია. თავმდაბლობა ფსიქოლოგიურ სისუსტეში არ უნდა აგვერიოს. თავმდაბლობა ზნეობრივი მდგომარეობაა და ის მორალურად ამაღლებას ახასიათებს. თავმდაბალი ადამიანები მატერიალურ უპირატესობას არ აღიარებენ და იციან, რომ ნადვილი ფასი სულიერ სიმაღლეს აქვს. ყურანში ნაბრძანებია, რომ უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობაშია. (იხ. ჰუჯურათი 49/13). თავაზიანობა საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების, საკუთარი ადგილის ცოდნაა. თავაზიანობა ღვთის კმაყოფილების მოპოვების გზაა. თავაზიანობა გამორიცხავს როგორც ამპარტავნებას, ისე უღირსობასა და სიმდაბლესაც. თავმდაბლობა ღირსებაა.

მასწავლებელი, როგორც საგანმანათლებლო პრო-

ცესის ერთ-ერთი მთავარი აქტორი, თავმდაბლობისა და ზრდილობის საკითხებშიც ლიდერის პოზიციაზე უნდა იდგეს. ღირსეული მასწავლებელი ყოველთვის გაწონასწორებული, ზომიერი, ზრდილობიანი და თავმდაბალია. ის არ ამბობს და არ აკეთებს ისეთ რამეებს, რაც მის ღირსებას ეჭვს ქვეშ დააყენებს. მასწაველებელს ასევე არ შეეფერება მედიდურობა და ჭარბი თავდაჯერებულობის გამოხატვა. ზომიერება ყველაზე საუკეთესო გზაა, რომელიც მასწავლებელმა უნდა აირჩიოს. თავაზიანობა განათლების, ღირსების, კეთილი გულისა და მორწმუნეობის გამოხატულებაა. ამპარტავნება კი პირდაპირ კავშირშია ისეთ ნეგატიურ გრძნობებთან, როგორიცაა შური, ბოღმა, სიძუნწე, ეგოიზმი, სიძულვილი თუ სხვა.

მასწავლებელი, რომელსაც თავმდაბლობა ახასიათებს, შეუძლია შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი თავისუფლად და შინაარსიანად წარიმართება. ასეთი გარემო მოსწავლეთა მოტივაციას აამაღლებს და სწავლა უფრო შედეგიანი იქნება. როდესაც მასწავლებელი თავაზიანად იქცევა მოსწავლეებიც იგივეს სწავლობენ და ისინიც თავაზიანად მოიქცევიან. ისინი გააცნობიერებენ, რომ ღირსეულ და სამაგალითო ადამიანს თავმდაბლობა შეეფერება. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის თავმდაბლობის მიზეზი ან მიზანი მხოლოდ მოსწავლეთა მხრიდან საპასუხო თავაზიანობის მოლოდინი არ უნდა იყოს. თავმდაბლობა მისი ზნეობრივი მდგომარეობა და პიროვნული თვისება უნდა იყოს. გავიხსენოთ ამბავი, რომელიც შუამავლის ცხოვრების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. როდესაც უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანი შუამავლის წინაშე წარსდგა, შიშისგან კანკალი აუტყდა, შუამავალმა ის დაამშვიდა და უთხრა: „ნუ კანკალებ მეგობარო! მე მეფე არ ვარ. მე

ერთ-ერთი ყურეიში ქალის შვილი ვარ, რომელიც ხმელი პურით იკვებებოდა“. (იხ. იბნ მაჯე, ეთიმე 30)

იბნ ჯემა ასევე საუბრებს მასწავლებელზე და მის თვისებებზე: „როდესაც მასწავლებელი ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე მართალია, ის თავის მოსწავლეებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მას კითხვით მიმართავს, თავაზიანად მოექცევა. ხალხთან ურთიერთობისას მასწავლებელი ლმობიერი და კეთილმოუბარი უნდა იყოს. ღმერთი შუამავალს მოუწოდებდა, რომ მიმდევრებთან მიმართებაში თავმდაბალი და თბილი ყოფილიყო. (იხ. შუარა 26/215). ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავალი ბრძანებს: „ჭეშმარიტად, ღმერთმა ლმობიერება მიბრძანა. ვინც ღვთის გულისათვის თავმდაბლად მოიქცევა, ღმერთი მას აამაღლებს“. როდესაც ეს ყველა ადამიანს ეხება და თავმდაბლობის შემთხვევაში ესოდენ დიდი ჯილდოა დაწესებული, საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაბმულ ადამიანებს მითუმეტეს მოეთხოვებათ ისეთი დადებით თვისების ქონა, როგორიცაა თავმდაბლობა. ურთიერთობის დროს თავმდაბლობა დიდად სასიამოვნოა და ურთიერთობის უფრო გაძლიერებას უწყობს ხელს. ფუდაილი ამბობს: „ვინც ღვთის გულისათვის თავმდაბლობას გამოიჩენს, ღმერთი მას სიბრძნეს მიანიჭებს. მასწავლებელი გამორჩეულ მოსწავლეებს ლამაზი სახელებით მიმართავს. აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა ჰზ. აიშეს მიერ გადმოცემულ ჰადისს, რომლის მიხედვითაც შუამავალი გამორჩეულ მეგობრებს ლამაზ მეტსახელებს არქმევდა, რათა მათ სიხარული გამოეწვია. ამრიგად, ლამაზი ურთიერთობა, მისალმება, ერთმეორის დაპატიჟება, პატივისცემა, ერთმანეთის მოკითხვა, დახმარების გაწევა და სხვა მსგავსი დამოკიდებულებები ურთიერთობებს ალამაზებს და ადამიანთა შორის სიყვარულს აძლიერებს. ეს ეხება მასწავლებლისა

და მოსწავლეების ურთიერთობებსაც. კლასში ან კლასის გარეთ ურთიერთობისას ურთიერთპატივისცემა და თავაზიანობა ის აუცილებელი ფაქტორებია, რომლებიც მათ ურთიერთობას ძირითად ხაზად უნდა გასდევდეს. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს უღიმის, კარგად ეპყრობა და აგრძნობინებს, რომ მასზე ზრუნავს, მოსწავლეც მშვიდადაა, თავს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და აღარც კითხვის დასმა მოერიდება.

მუსლიმი მასწავლებელი თავმდაბლობას განსაკუთრებული ფორმით უნდა ავლენდეს. ის თავის ცოდნით სხვებზე უპირატესობას არანაირი ფორმით არ უნდა გამოხატავდეს და ასევე მისი ამგვარი დამოკიდებულება შინაგანად უნდა ჩანდეს. მუსლიმი მასწავლებელი ყოველთვის ახალი ცოდნის შესაძენად მუდმივ მზადყოფნას უნდა გამოხატავდეს. ცოდნა არ ნიშნავს კარგ ადამიანობას, კარგი ადამიანობის ერთ-ერთი შემადგენელი კი ნამდვილად შეიძლება იყოს. მასწავლებელს ასევე უნდა ახასიათებდეს ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა თვითკრიტიკა. ზედმეტი თავდაჯერებულობა ზოგადად შეუფერებელი საქციელია და მასწავლებელსაც არ შეეფერება. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ აბსოლუტური ცოდნა მხოლოდ ღვთის ხელშია, ხოლო ადამიანის ცოდნა შეზღუდულია. ამ დამოკიდებულების მქონე მასწავლებელი თავმდაბლობას იოლად გაითავისებს. ამრიგად, მედიდურობა, ამპარტავნება, ადამიანებზე ზემოდან ყურება და სხვა მსგავსი გამოვლინებები მასწავლებლის პროფესიას და ადამიანობას არ შეეფერება. მასწავლებელი მოკრძალებით უნდა ავლენდეს ცოდნას და ახალი ცოდნის მისაღებად მუდმივ მზადყოფნას გამოთქვამდეს.

როდესაც მასწავლებელი თავმდაბალი ბუნებისაა, ის სწავლისა და თვითგანვითარებისთვის ყოველთვის ღიაა. მას არ მოერიდება დასვას კითხვები იმ საკითხებზე, რაც არ იცის ან დარწმუნებული არ არის. მას ასევე შეუძლია შეკითხვა დაუსვას და ცოდნა მიიღოს თანამდებობით ან ასაკით უმცროს ადამიანებსაც კი. მისთვის ცოდნის „მისამართი“ წინაღობას არ წარმოადგენს. ამრიგად, ისლამის მორალური პრინციპების გათვალისწინებით მასწავლებელი არა მარტო ასწავლის მოსწავლეებს, არამედ მათთან ერთად თავადაც სწავლობს. ამ გზით ის არ იქნება ისეთი მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ ცოდნის „საწყობია“ და ცოდნას ანაზღაურების შესაფერისად გასცემს. ყოველი გაკვეთილი ხომ ჭეშმარიტების ძიების პროცესია, ამიტომ ნამდვილი მასწავლებელი ცდილობს ყოველი გაკვეთილი იდეალურობამდე აამაღლოს. პროფესიონალი მასწავლებელი მოსწავლეებში ძლიერ მოტივაციას აღძრავს და საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს გახდის.

მასწავლებლის თავმდაბლობა მის საუბარსა და ქცევებში აისახება. თავმდაბლობის გრძნობით განსმჭვალული მასწავლებელი კატეგორიულობისგან შორს დგას და საუბრის დროს ზომიერებას იცავს. თანამედროვე სამყაროში მეცნიერული დასკვნებიც კი ბუნდოვანი გახდა და ტყუილ-მართალი ერთმანეთშია არეული. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ამ მიმართულებითაც სიფრთხილის გზას ირჩევს და მკვეთრი შინაარსის განაცხადებისგან თავს იკავებს. რაც შეეხება რელიგიურ საკითხებს, მასწავლებელი ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს, რომ მოსწავლეებს საკითხები დადებითი კუთხით მიაწოდოს და გაურკვევლობა და შიში არ ჩაუნერგოს. წარსულში მოღვაწე სწავლულები თავიანთ ლექციებს ხშირად ამ სიტყვებით ამთავრებდნენ: „აბსოლუტური ჭეშმარიტება

მხოლოდ ღმერთმა უწყის“. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კატეგორიულობა ადამიანურ ცოდნაც ბოლომდე არ შეესაბამება და უნდა ვიცოდეთ, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ მხოლოდ ღმერთმა უწყის. ამგვარი დამოკიდებულების შედეგია ის ტრადიცია, რომელიც ისლამური განათლების სფეროშია დამკვიდრებული.

როდესაც მასწავლებელი თვლის, რომ მისი ცოდნა ჭეშმარიტებაა და მას შეუძლია ეს ცოდნა სხვებსაც გაუზიაროს, ეს სრულად დამშვიდების საშუალებას არ უნდა აძლევდეს და მან აღნიშნული ცოდნის შესახებ მტკიცებულებების მოძიება ისევ უნდა განაგრძოს. მასწავლებელმა მოსწავლეებისგან ასევე არ უნდა მოითხოვოს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და საკითან დაკავშრებით ალტერნატიული აზრი არ არსებობს. პირიქით, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა გამოწვევა, რათა სცადონ ინფორმაციის გაანალიზება და უფრო მეტის მოძიება. მასწავლებელმა მოსწავლეები კრიტიკულ აზროვნებას უნდა მიაჩვიოს და ასევე შეუქმნას მოტივაცია საიმისოდ, რომ ბრმად რაიმის დაზეპირება უსარგებლოა და საჭიროა საკითხის გონების ფილტრში გატარება, რათა ის სასარგებლო ცოდნად ჩამოყალიბდეს.

მუსლიმი მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს ისე უყურებს, როგორც თანამშრომლობას და ამ პროცესში ორივე მხარე ისეა ჩართული, რომ თავის მხრივ ცოდნას იღებენ და ვითარდებიან. აღნიშნული გარემოს შექმნა მასწავლებლის პრეროგატივაა და მასწავლებელმა საამისოდ ყველა შესაძლო მეთოდს უნდა მიმართოს. ამგვარი თანამშრომლობისთვის მზად ყოფნა და შესაბამისი გარემოს შექმნა ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესში

ჩართული აქტორები მზაობას გამოხატავენ ყველა სახის სასარგებლო ცოდნის მიღებისა და განვითარებისათვის. მასწავლებელი, რომელმაც თავისი ადგილი და მნიშვნელობა კარგად იცის, მოსწავლისთვისაც საუკეთესო მაგალითია და შესაბამისად მოსწავლეებიც ყოველთვის ზრდილობის იმ ჩარჩოებში დარჩებიან, რომელიც ზოგადად მიღებულია. ამრიგად, სწავლა-სწავლების პროცესი მაშინაა გამართლებული, როდესაც მასწავლებელი სწავლების დროს თავადაც სწავლობს და ვითარდება. სულ მარტივად რომ შევხედოთ, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს მეთოდს, რომელმაც ერთხელ არ გაამართლა და შემდეგში უკეთესი აქტივობით უნდა ჩაანაცვლოს. ეს არის მარტივი ჭეშმარიტება. მასწავლებელი ასევე ღია უნდა იყოს ყველანაირი შეკითხვისა და თუნდაც კრიტიკის მიმართ. შეკითხვებს კომპეტენციის ფარგლებში უნდა პასუხობდეს, ხოლო კრიტიკის მიმართ გულისხმიერება და გონივრულობა მართებს, რათა შესაბამისი დასკვნები გააკეთოს და შემდგომში უკეთესი შედეგი დადგეს. როდესაც მოსწავლეებიდან რომელიმე დააფიქსირებს რაიმე უკმაყოფილებას და მიგვანიშნებს, რომ სამართლიანად არ მოვიქეცით, ჩვენ შინაგანად მადლობელი უნდა ვიყოთ და პრობლემა უმტკივნეულოდ გამოვასწოროთ. მასწავლებელი ასევე ხელს უწყობს გარემოს სადაც მისაღებია კრიტიკული აზროვნება და კონსტრუქციული სწავლება. სადაც ასეთი გარემო არ არის, იქ არც წარმატებაა მოსალოდნელი. როდესაც გარემო დამთრგუნველია, მოსწავლე შეკითხვის დასმასაც ვერ ბედავს და ინდიფერენტული ხდება, რაც აუცილებლად აისახება შედეგზე. მუდმივად ტუქსვის რეჟიმში მყოფი მოსწავლე კამათს, მსჯელობას, ანალიზსა და შეფასებას ვერ შეძლებს და განათლების პროცესისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფაქტორებისგან შორს დარჩება.

მასწავლებლის კიდევ ერთი საჭირო თვისება გულახდილობაა. როდესაც მასწავლებელმა რაღაც საკითხი არ იცის, ვალდებულად არ უნდა ჩათვალოს თავი, რომ ეს ყველაფერი დამალოს. მას უნდა ჰქონდეს საკმარისი გამბედაობა და გულწრფელობა, რომ აღიაროს და შემდეგ ერთად მოიძიონ საჭირო ინფორმაცია. ისლამის დამოკიდებულება ასეთია: როდესაც მასწავლებელს ისეთ რამეს ეკითხებიან, რაც არ იცის, მან უნდა თქვას, რომ არ იცის. ამ შემთხვევაში პასუხი „არ ვიცი“ ცოდნას ნიშნავს. ანუ მან უფრო მნიშვნელოვანი რამ იცის. ესაა გულწრფელობა და აღიარება. როდესაც სწავლული ამბობს „არ ვიცი“ ეს ცოდნის ნახევარია. ამრიგად, მასწავლებელს უნდა ეყოს გამბედაობა და გულახდილობა, რომ თქვას, „არ ვიცი“. ეს კარგი მაგალითი იქნება მოსწავლეებისთვისაც. განათლებული ადამიანის მიერ იმის აღიარება, რომ რაღაც არ იცის, მის ღრსებას ან სახელს არ დააზიანებს. ეს მხოლოდ უმეცრებს გონიათ, რომ ამის თქმა სირცხვილია. იმის აღიარება, რომ რაღაც არ ვიცით, ჩვენს მორწმუნეობაზე, გულწრფელობასა და ღირსებაზე მიუთითებს. არცოდნის აღიარებას მხოლოდ უმეცრები და სუსტი რწმენის მქონენი გაურბიან. ასეთებს ეშინიათ, რომ სიმართლის აღიარების გამო ვინმეს თვალში დამცირდებიან და ასეთ ყალბ სახეს იმარჩუნებენ. საბოლოო ჯამში სიმართლე მაინც გამომჟღავნდება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

როდესაც მოსწავლე მასწავლებელს ენდობა, ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელმა ყველა მისი შეკითხვა აუცილებლად უნდა იცოდეს. აქ მთავარია ნდობა და სწორ პასუხამდე მისვლა. ნდობის შემთხვევაში ისინი სწორ პასუხამდე ერთად მივლენ. ასე, რომ მთავარია ჯანსაღი ურთიერთობა და ნდობა, რის შემდეგაც ინფორმაციის მოძიება და სწორი პასუხების

პოვნა გაიოლდება. მასწავლებელმა ყველაფერი უნდა იცოდეს და ყველა პრობლემას აგვარებდესო, ამგვარი მოლოდინი არც უნდა გვქონდეს. თუ მასწავლებელს ასე ეგონება, ის მოსწავლეებთან მუდმივად პაექრობის რეჟიმში იქნება.

ამ საკითხთან დაკავშირებით,

გავიხსენოთ შუამავლის ნათქვამი, რომ სწავლული, რომელიც ცდილობს ყველა კითხვაზე პასუხი ჰქონდეს, „ცდება და აცდენს“. (იხ. ბუჰარი, ელ-ითისამ, 7). ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ისლამის სწავლულები რთული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყოველთვის თავს იკავებდნენ და პასუხის მიღების მსურველებს ხშრად სხვასთან ამისამართებდნენ ხოლმე. (იხ. ბაირაქთარი, 1994, 145).

პროფესიონალი მასწავლებელი მოსწავლეებს მხოლოდ წიგნებში მოცემულ მზა ინფორმაციას კი არ აძლევს, რომ ისწავლონ, არამედ საკითხთან დაკავშირებით ფარტო მსჯელობასა და კვლევას სთხოვს და ამასთანავე, არც ისეთ გარემოს ქმნის,რომ გაკვეთილზე მხოლოდ მან ილაპარაკოს და მოსწავლეები პასიური მსმენელის როლში იყვნენ. მასწავლებელი მოსწავლეებს აზროვნების განვითარების, თავისუფლების საშუალებას უნდა აძლევდეს. თუ ასე არ გააკეთებს და მხოლო მენტორული ტონით, მხოლოდ მშრალი ინფორმაციის დაზეპირებას მოითხოვს, ეს იქნება ფასადური სწავლება, რომელიც მასწავლებლის თვითკმაყოფილებას უფრო ემსახურება, ვიდრე მოსწავლეთა განვითარებას. მასწავლებელმა მოსწავლეებს ცნობისმოყვერეობა და ინტერესი უნდა გავუღვივოს და მისცეს გზა, თუ როგორ წარმართონ თავიანთი აზროვნება და როგორ მივიდნენ კონკრეტულ დასკვნებამდე. როდდესაც მასწავლებელი მხოლოდ დაზეპირებული ინფორმაციის

გადაცემას ცდილობს და თავად ანალიზს არ აკეთებს, ის მოსწავლეებისგანაც მხოლოდ მზა ინფორმაციის დაზეპირებას ითხოვს. ასეთ შემთხვევაში მასწაველბელი საკუთარ თავშიც კლავს ანალიზის უნარს და მოსწავლეებშიც. ასეთი მასწავლებელი მოსწავლეებს ჩააგონებს, რომ კონკრეტული ცოდნის ერთადერთ წყარო თავადაა და მის იქეთ გზა არ არის. მოსწავლეები ხდებიან ამ დამოკიდებულების მსხვერპლი და თავისუფალი აზროვნების უნარი ერთმევათ. შედეგად მივიღებთ დაკომპლექსებულ თაობას, რომელიც შემდეგ თაობებს იგივენაირად მოექცევა. ბუნებრივია, ასეთ გარემოში თავისუფალი, ზნეობრივად ამაღლებული პიროვნება ვერ აღიზრდება. გარდა ამისა, მოსწავლეებს ისიც კი არ ეცოდინებათ ეს დაზეპირებული ინფორმაცია სად, როდის და როგორ გამოიყენონ. ისინი მხოლოდ ინფორმაციის შემნახველი „მეხსიერების ბარათები“ გახდებიან.

ადამიანები, რომლებიც თავმდაბლობის არსს და მნიშვნელობას ვერ იაზრებენ, შეიძლება გარეგნულად თავმდაბლობას თამაშობდნენ და რაღაც მსგავსი ქცევები დააფიქსირონ, მაგრამ ეს იქნება ფასადური და ყალბი. რამდენი ადამიანი არსებობს, რომლებიც სიტყვით ამბობენ, რომ „სხვაზე მეტი არ არიან“ ან მსგავსი, მაგრამ როდესაც მათ შესახებ კრიტიკას მოისმენენ, არაადეკვატურად განიცდიან. როდესაც ასეთ ადამიანებს მოსაუბრე ეუბნება, რომ არ ეთანხმება და სხვა მოსაზრება აქვს, ისინი იმწამსვე უხეშდებიან და მკვახე ტონს ირჩევენ. აქ უკვე მათ მიერ გაცხადებულ თავმდაბლობიდან აღარაფერი რჩება. მათი თავმდაბლობა სრული ფარსი და თამაშია.

თავმდაბლობა არაფრის დიდებით არ უნდა ავურიოთ ისეთ უკიდურესობაში, რომელსაც უღირსობა, საცოდაო-

ბა, მორალურად დაცემულობა ჰქვია. მორწმუნისთვის როგორც ამპარტავნებაა შეფერებელი, ასევე შეუფერებელი ულირსობაც. მითუმეტეს მასწავლებელ მსგავსი რამ საერთოდ არ შეეფერება. თავმდაბლობის საზღვრები მკაფიოდაა განსაზღვრული და ამ საზღვრების ქვედა მიჯნა ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს. თავმდაბლობასთან ერთად, საკუთარი თავის რწმენა, თავდაჯერება, საკუთარი თავისადმი პატივისცემა და ღირსეულად აღქმაცაა საჭირო. კარგი მასწავლებელი საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულიც არის და ამავდროულად თვითშეფასებაც ლოგიკური აქვს. უბრალოდ ის ისე იქცევა, რომ ურთიერთობისას სხვებს თავს ცუდად არ აგრძნობინებს. ის ძალიან უფრთხილდება საკუთარ ღირსებას და არასოდეს გააკეთებს ისეთ რამეს, რაც მის ღირსებას დაალაქავებს. მისი ქცევები მსუბუქად და ზერელედ აღსაქმელი არასოდესაა და სხვებსაც იგივეს კარნახობს. მოკლედ რომ ვთქვათ, ის არის პიროვნება, რომლის მიმართ აუცილებლად პატივისცემით განიმსჭვალებით და თან მასთან ურთიერთობა სასიამოვნოცაა. მასწავლებელი, რომელიც თავის ღირსებას არ უფრთხილდება, ვერ თავმდაბლობას შეძლებს და არც სხვის ღირსებას გაუფრთხილდება. ასევე, უბრალოება და სიდინჯე ის მნიშვნელოვანი თვისებებია, რომლებიც მასწავლებელს უნდა ახასიათებდეს.

3. მასწავლებლის მორალი სწავლების პროცესში

3.1. მუდმივად პროფესიული განვითრების გზაზე ყოფნა

მასწავლებელი არის პიროვნება, რომელიც სხვების განათლებასა და განვითარებაზე ზრუნავს და შესაბამი-

სად ძალიან მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია. რაოდენაც ღირსეულია მისი პროფესია, იმდენად სარისკო და პასუხისმგებლობით დატვირთულია. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებში დადებითი ან უარყოფითი თვალსაზრისით წარუშლელი კვალი დატოვოს. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მომენტია, რომ მასზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია. მასწავლებლის მიერ დატოვებული კვალი შესაძლოა მხოლოდ კონკრეტულ პირებთან მიმართებაში კი არა, თაობდან თაობას გაჰყვეს და ძალიან ფართო მასებს გადაეცეს. ასე რომ, მასწავლებლის მიერ ჩაგდებული ნერგი თუ სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს, ეს მისთვის ძალიან კარგი იქნება, მაგრამ თუ ეს ნაყოფი ზიანის მომტანი გამოდგა, მასწავლებლის შეცდომა მისი სიკვდილის შემდეგაც ნეგატიურ შედეგებს მოიტანს. ისლამში არის პრინციპი, რომ კარგი საქმის მიზეზი თუ გავხდებით, კარგი საქმის გამკეთებელის მსგავს სიკეთეს მივიღებთ და თუ ცუდი საქმის მიზეზი გავხდებით, ისეთივე ცოდვა მოგველის, რომელსაც კონკრეტული ცუდი საქმის ჩამდენი მიიღებს. რადგანაც მასწავლებლის სამოქმედო არეალი და საკონტაქტო მასა საკმაოდ დიდია, შესაბამისად მისი გავლენაც ფართო მასშტაბებს აღწევს და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია ჰქონდეს შესაფერისი კომპეტენცია და ასევე შესაბამისი უნარები, რათა ესოდენ საპასუხისმგებლო საქმე ღირსეულად განახორციელოს. მასწავლებლის ყველა ქმედება ცოდნისა და კომპეტენციის შესაბამისი უნდა იყოს. ყურანში ნაბრძანებია:

„განა ის, ვინც მორჩილად ატარებს ღამის საათებს, სეჯდეზე გართხმული ან მდგომი, უფრთხილდება საიქი-

ოს და სასოებს წყალობას თავისი ღმერთისგან, უთხარი: „განა თანასწორნი არიან განსწავლულნი და უვიცნი?!“ უეჭველად, შეიგონებენ მხოლოდ ბრძენკაცნი, ჭკუასაკითხნი!“ (ზუმერი, 39/9)

„არ მისდიო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. უეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, ყველასგან პასუხი მოეკითხება!“ (ისრა 17/36)

საჭირო ცოდნისა და უნარების ფლობა მასწავლებლისთვის უფრო განსაკუთრებულად სავალდებულოა. შესაბამისი კომპეტენციისა და უნარების გარეშე მასწაველბელი თავის პროფესიულ საქმიანობას საკადრისად ვერ განახორციელებს. აიათებისა და ჰადისების მიხედვით ჩვენ ვისმენთ დარიგებას: თუ არ იცი, ნუ იტყვი. თუ არ იცი, ნუ ასწავლი. თუ არ იცი, ნუ აღზრდი. ისლამის ისტორიიდან ცნობილია, რომ მასწავლბელი და სწავლული ერთმანეთთან გაიგივებული ცნებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელს საგნობრივი კომპეტენცია და პროფესიული უნარები აუცილებლად მაღალ დონეზე უნდა ჰქონდეს. გარდა საგნობრივი კომპეტენციისა, მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცოდნა იმისა, თუ როგორ ასწავლოს. მას უნდა შეეძლოს ნებისმიერ სიტუაციაში მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მეთოდების წარმოება და მოსწავლეებზე საუკეთესო ფორმით შეთავაზება, რათა კონკრეტული საკითხის შესწავლა ამომწურავად მოხდეს. მხოლოდ მზა ცოდნის გადაცემა რომ საკმარისი არ არის, ამას მუსლიმი სწავლულები საუკუნეების წინ მიხვდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩელები ამბობს: „ცოდნა, როგორც მასწავლებლის ხელში ერთადერთი იარაღი, საკმარისი არ არის. ცოდნას ასევე თან უნდა ახლდეს სწავლების მეთოდებისა და ტექნიკების ცოდნა. ასეთ

შემთხვევაში მასწავლებელი იოლად შეძლებს მოსწავლის დონემდე დასვლას და შემდეგ სასწავლო პროცესის სიყვარულითა და მოტივაციით გაჯერებას. ეს უკანასკნელი კი მოსწავლის გონებასა და ცოდნას შორის გადებული ხიდის მოვალეობას შეასრულებს“. (იხ. იბნ ჯემაა. 2016, 149). ეს ყველაფერი კი მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც მასწავლებელს საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები გააჩნია.

საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა განათლების მიმართ პატივისცემას აღძრავს. მასწავლებელი, რომელიც ცოდნას სათანადოდ აფასებს, არანაირ გარე მოტივაციას არ საჭიროებს და ის მუდმივად თვითგანვითარებისა და ახალი ცოდნის შეძენის მცდელობაში იქნება. ის მუდმივად იმის ძიებაში იქნება, როგორ წარმართოს საგანმანათლებლო პროცესი ისე, რომ საუკეთესო შედეგზე გავიდეს. საამისოდ კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა მუდმივად ცოდნისკენ სწრაფვა და ახალი მეთოდების ძიებაა. თანამედროვე სკოლებში მასწავლებელი გარკვეული ანაზღაურების პირობითაა დასაქმებული. ანაზღაურება ცალკე პასუხისმგებლობის საგანია და მან ასევე ხელი უნდა შეუწყოს მასწავლებლის მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას. აღებულ გასამრჯელოს ხომ თავისი პასუხიმგებლობა თან სდევს. გარდა პროფესიული საქმიანობის ღირსეულად შესრულებისა, მასწავლებელი ვალდებულია გაითვალისწინოს და პატივი სცეს იმ დაწესებულების საგანმანათლებლო პოლიტიკას, სადაც ის მუშაობს. მაგალითად, სამუშაო საათებში სხვა საქმიანობით არ უნდა დაკავდეს და დრო სხვა საქმიანობას არ უნდა დაუთმოს.

ყოველი მასწავლებლეი ვალდებულია იცოდეს საჭირო კომპეტენციის მიღებისა და გამოყენების მეთოდები და

ასევე უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ როგორ და რა გზებით მიიღოს კონკრეტული ცოდნა. ამ ყველაფერზე ახლა აღარ ვისაუბრებთ, რადგან წინა თავებში განვიხილეთ. აქ საუბარია იმ ზნეობრივი ვალებულების გააზრებაზე, რომელიც მასწავლებელს ავალდებულებს მუდმივად თვითგანვითარების რეჟიმში იყოს. მასწავლებელი სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო თავს ვალებულად უნდა თვლიდეს, რომ თვითგანვითარება და ცოდნის შეძენა სისტემატიური გახადოს:

ა) უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ მუშაობის დაწყებამდე მიღებული განათლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის საკმარის ცოდნასა და უნარებს სრულად არ მოგვცემს. შესაბამისად, პედაგოგიური განათლება საკმარისი არ გახლავთ, რომ თავი სრულფასოვან მასწავლებლად ჩავთვალოთ.

ბ) ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სწრაფი ცვლილებები მიმდინარეობს, რაც სრულებით ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ყოველი ახალი გამოწვევა შესაბამის ცოდნას და უნარებს მოითხოვს, რათა სრულყოფილად გაეცეს პასუხი. ამასთანავე, ზოგიერთი მიმართულებით ინფორმაციის სწრაფი განახლება ხდება და დღეს არსებული ცოდნა, ხვალ შეიძლება მოძველებულ და უკვე გამოუსადეგარ ცოდნად გადაიქცეს. ცოდნის ასეთი ტრანსფორმაცია განათლების სფეროში უფრო სწრაფად მიმდინარე პროცესია. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია მუდმივად სიახლის ძიებაში იყოს და არსებული ცოდნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განავითაროს. (იხ. აიდინი, 2016, 416).

ამ და სხვა მსგავსი მიზეზებიდან გამომდინარე, როგოც ყველა პროფესია, ისე მასწავლებლობაც მუდმივ განახლებასა და ცვლილებებზე ფეხის აყოლებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლის ცოდნა და უნარები იმდენად მოძველდება, რომ გამოუსადეგარი გახდება. აქედან გამომდინარე, მორწმუნე მუსლიმი, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს, მუდმივად, ამ განწყობით უნდა იყოს განმსჭვალული და არა მარტო განათლების მიღებისას, არამედ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე თვითგანვითარებასა და სწავლას უნდა აგრძელებდეს. ამ განწყობის მქონე მასწავლებელი თავს უფლებას არ მისცემს გაჩერდეს და უკვე არსებული მიღწევებით დაკმაყოფილდეს. ის ჩართლია კვლევებში, სემინარებში, ტრენინგებში და თავის ცოდნისა და უნარების სრულყოფას ცდილობს. მან იცის, რომ ეს მისი ძირითადი ზნეობრივი პასუხისმგებლობაა. ისლამის განათლების ტრადიცია გვასწავლის, რომ როდესაც მასწავლებელი ერთი რომელიმე საგნის სწავლებით იყო დაკავებული, ამავდროულად ის სხვა საგანს ან რომელიმე მიმართლებას თავად სწავლობდა. აღნიშნული როლის შესრულებისას მასწავლებელი მხოლოდ ტრადიციულ-კულტურული გამოცდილებით არ კმაყოფილდება და ის ყოველთვის მოქნილ დამოკიდებულებას იჩენს სიახლეებისა და პროგრესის მიმართულებით. სწავლა-სწავლების პროცესში ჩნდება ახალი მოთხოვნილებები და გამოწვევები, რომლებიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს. მასწავლებელს ასევე მოეთხოვება სწავლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც გულისხმობს, რომ სწავლა აკვნიდან დაწყებული, საფლავამდე განგრძობადი პროცესია. მასწავლებელი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და სწავლების ახალ-ახალ სტრატეგიებს ეუფლებოდეს.

მასწავლებელი, რომელიც თავის პროფესიასა და ღირსებას პატივს სცემს და სწავლა-სწავლების პროცესის მიმართ განსაკუთრებული მგრძნობელობა გააჩნია, ცოდნის გაზიარებისას დიდ სიფრთხილეს გამოიჩენს და არასწორი ცოდნის, საეჭვო თეზისების, სადავო მოსაზრებების გავრცელებას არ დაუშვებს. ასეთი მასწავლებელი ისეთ საგანს არ ასწავლის, რომელშიც საკმარისი ცოდნა არ გააჩნია. თუ სათანადო კომპეტენცია არ გაჩნია, ასევე არ მიიღებს მონაწილეობას ისეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე, როგორიცაა ჟიურის წევრობა, საგამოცდო კომისიის წევრობა ან თავმჯდომარეობა და სხვა. სათანადო ზნეობის მქონე მასწავლებელი არანაირი გასამრჯელოს გულისთვის ასეთ მცდარ ნაბიჯს არ გადადგამს. ასევე, პასუხისმგებლობით განმსჭვალულმა მასწავლებელმა იცის, რომ მასწავლებლობა ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიაა და ამ პროფესიაში განათარებისთვის დროსა და ფინანსებს არ დაიშურებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობის ანალიზისას ცხადი ხდება, რომ მასწავლებლები პროფესიული განვითარების პროცესის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ და თვლიან, რომ არსებული ცოდნა და კომპეტენცია საკმარისია. კვლევების შედეგად ცნობილი გახდა, რომ მასწავლებელთა უმეტესობის აზრით მათი ცოდნა და უნარები აბსოლუტურად საკმარისია. აღნიშნული მდგომარეობა მრავალი კუთხით უნდა იქნას განხილული და შესაბამისი ანალიზი უნდა გაკეთდეს. ასევე უნდა მოვახდინოთ შეფასება, რომ მასწავლებლების მიერ გამოთქმული ამგვარი დამოკიდებულება რამდენადაა დაკავშირებული ზნეობრივ დეფიციტთან.

3.2. სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა და კლასის მართვის ორგანიზება

ამ თავში არ შევეხებით სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მის რაობასა და სპეციფიკას. აქ განვიხილავთ აღნიშნულ პროცესში მასწავლებლის ზნეობრივ პასუხისმგებლობასა და ამ პასუხისმგებლობის როლს სასწავლო პროცესის დადებითად წარმართვაში.

სწავლების პროცესის დაგეგმა, ამავდროულად დროის დაგეგმვას ნიშნავს. მასწავლებელი, რომელმაც კარგად იცის დროის ფასი და მნიშვნელობა, საგაკვეთილო პროცესსაც კარგად დაგეგმავს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ნიშნავს სწორად და ეფექტურად გამოვიყენოთ ის დრო, რომელიც სწავლებისათვისაა განკუთვნილი. გაკვეთილის დაგეგმვისას ჯერ უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი და შემდეგ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობები. თემის შინაარსისა და აზრის გასაგებად გეგმა უნდა შეიცავდეს იმ აქტივობების ჩამონათვალსა და თანმიმდევრობას, რომლებიც საკითხის კარგად გაგებას უზრუნველყოფს. ასევე მნიშვნელოვანია ამ მიზნების მიღწევის შედეგები და მათი გაზომვა შეფასების სახით. ასევე საჭიროა ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ და გაკვეთილის მიზნების მიღწევის პროცესი შევაფასოთ. საგაკვეთილო გეგმა უმჯობესია დაწერილი გვქონდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში შესაძლებელია მისი იმდენად ახლოს აღქმა, რომ გონებაში დამახსოვრების გზით გამოვიყენოთ. მასწავლებელს ასევე უნდა ჰქონდეს უნარი, რომ კლასში შექმნილი რეალობის მიხედვით გეგმის მოდიფიცირება შეძლოს და ამ პროცესში მინიმალური დროის დაკარგვაც კი არ მოუწიოს. აქ მთავა-

რი ამოსავალი წერტილი მოსწავლეთა მოთხოვნილებები, საჭიროებები და გაკვეთილის მიზნის მიღწევაა. როდესაც მასწავლებელი მდიდარ საგაკვეთილო გარემოს ქმნის, იქ მიზნის მიღწევა იოლდება.

გაკვეთილის გეგმა საგაკვეთილო პროცესს გარკვეულ წესრიგში აქცევს და ასევე იცავს მოულოდნელი ხარვეზების, გაუთვალისწინებელი შემთხვევების, დროის დაკარგვის, ან შეუსაბამო თემების აქტივაციისაგან. როდესაც მასწავლებელს გაკვეთლის გეგმა შედგენილი აქვს და კლასში მომზადებული შედის, მან იცის, რა დროს რა და როგორ გააკეთოს. მას ყველაფერი გათვლილი აქვს; დროც და აქტოვობების ხანგრძლივობაც. კარგი გეგმა კარგი გაკვეთილის საწინდარია. კარგად დაგეგმილი გაკვეთილი შინაარსიან და ეფექტურ გარემოში წარიმართება და შედეგიც ეფექტური ექნება. გაკვეთილის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასებების მიცემა და ყველა მოსწავლის ჩართულობის უზრუნველყოფა. გარდა კონკრეტული საკითხის კარგად გაგებისა, დაგეგმილი გაკვეთილი მოსწავლეებს წესრიგსა და გეგმის მიხედვით მოქმედებას ასწავლის. ამრიგად. მასწავლებელი, რომელიც ყოველ გაკვეთილს გეგმავს და კლასში მომზადებული შედის, ის არამარტო კარგ შედეგებზე გადის, არამედ თავის პასუხისმგებლობასაც აჩვენებს, რომელიც მას მოვალეობის კარგად შესრულებით გამოწვეული კმაყოფილებით აღავსებს. ეს კი კარგი ზნეობის მაგალითია. ამასთანავე, ესოდენ მოწესრიგებული მასწავლებლისთვის მოსწავლეების ქცევების კონტროლი ძნელი არ იქნება.

გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელმა იმ სკოლის საგაკვეთილო პროგრამა უნდა გაითვალისწინოს, სადაც მუშაობს. მასწავლებელი საგანმანათლებლო

საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალი არ არის. ის ვალდებულია დაემორჩილოს სკოლის შინაგანაწესს და ასევე მთელი მისი საგაკვეთილო და სასწავლო გეგმები ეროვნულ სასწავლო გეგმას შეუსაბამოს. ყველა სასწავლო დაწესებულებას გარკვეული მიზნები და სამუშაო სპეციფიკა აქვს და ეს ყველაფერი მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს. წარმოიდგინეთ, რომ ყველა მასწავლებელი თავის ნებაზე ადგენს გეგმებს და სასკოლო და საგანმანათლებლო სტანდარტებს არ ითვალსიწინებს. ასეთ შემთხვევაში დაწესებულებისთვის დამახასიათებელი ერთიანობა დაირღვევა და საერთო მიზნის მიღწევა შეუძლებელი გახდება. ამგვარი სუბიექტური დამოკიდებულება საბოლოო ჯამში ქაოსის წარმოქმნას შეუწყობს ხელს, რაც საგაკვეთილო პროცესს ძალიან დააზიანებს. გარდა ამისა, სასკოლო საგნები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ამიტომ საგანმანათლებლო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ეს ყველაფერი გათვალსიწინებული იქნას.

ამრიგად, საგანმანათლებლო დასებულებაში მომუშავე მასწავლებელი ითვალისწინებს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე საგაკვეთილო მიზნებს და გაკვეთილს ისე გეგმავს. ამავე დროს მთელ ამ პროცესს ზნეობის ჩარჩოები, გულწრფელობა და საქმის ღირსეულად შესრულებისკენ სწრაფვა უნდა ახლდეს. მასწავლებელი თავის პროფესიულ მოვალეობამდე ჯერ ზნეობრივ მოვალეობას უნდა ითვალსიწინებდეს, რათა პროფესიული საქმიანობა ღირსეულად შეასრულოს. მაღალი ზნეობის მქონე მასწავლებელი გაკვეთილს არ უღალატებს, არ დააგვიანებს და არც სხვას ჩაატარებინებს, თუ ეს უკანასკნელი გადაუდებელი აუცილებლობით არ არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მოსწავლეებისთვისაც საუკეთესო მაგალითი და მისაბაძი პიროვნება გახდება.

3.2.1. მოსწავლეების კარგად გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებისთვისაა და შესაბამისად მისი ყოველი ქმედება მოსწავლეებისთვის სრულდება. მასწავლებელმა რომ აღნიშნული დამოკიდებულება მუდმივად შეინარჩუნოს, ამისათვის საჭიროა ყველა მისი მოქმედება მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე დაიგეგმოს. მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმვა საკმაოდ სპეციფიკური მოვლენაა. აქ გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი მოთხოვნილებები, ძლიერი მხარეები, წინარე ცოდნა და სხვა. მაგალითად, ბავშვს, რომელმაც ჯერ კალმის დაჭერაც კი არ იცის წერის შესწავლება არ უნდა დავუწყოთ. ასევე აზრსაა მოკლებული მოსწავლეზე გამრავლების ან გაყოფის სწავლება, თუ მან ჯერ კიდევ თვლაც კი არ იცის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გაკვეთილი ბავშვის შესაძლებლობებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინების გარეშე დავგეგმეთ. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩვენი მცდელობა წარმატებული ვერ იქნება. როგორც ისლამის ისე თანამედროვე სწავლების მეთოდები მარტივიდან რთულისკენ სწავლებას გულისხმობს. გაკვეთილის დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოსწავლის წინარე ცოდნა, შემდეგ მისი შესაძლებლობები და შემდეგ მივაწოდოთ ახალი ინფორმაცია, რომელიც მარტივიდან რთულისკენ პრინციპით იქნება შერჩეული. აქ მთავარია დავადგინოთ რა შეძლო მოსწავლემ და რა შეიძლება, რომ შეძლოს. მასწავლებლის მიერ დაგეგმილი ჯანსაღი კომუნიკაცია მოსწავლისთვის ნაყოფიერი გარემოს შექმნას ხელს შეუწყობს და შედეგიც დადებითი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლე დაიბნევა, სტრესში ჩავარდება და კონკრეტულ საკითხს, ან უფრო მეტიც, კონკრეტულ საგანს შეიძულებს.

მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმა მოსწავლის კარგად გაცნობას მოითხოვს. შესაბამისად, მასწავლებელი ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს, რომ თავისი მოსწავლეები კარგად გაიცნოს. აღსაზრდელთა ასაკი სპეციფიკური გამოვლინებებითაა დატვირთული, ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია მორალურად დაეხმაროს მოსწავლეებს და ყოველთვის ეცადოს ახალი შანსი და მოტივაცია მისცეს.

3.2.2. მოსწავლეებისთვის სასიამოვნო დისციპლინის ჩამოყალიბება

ნებისმიერი ჯგუფური მუშაობა გარკვეული წესრიგისა და დისციპლინის შექმნას საჭიროებს. კლასში წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისთვისაც აუცილებელია გარკვეული დისციპლინის, გარკვეული წესების ჩამოყალიბება და დაცვა, რათა ჯგუფის აქტორებს შორის ჯანსაღი და ნაყოფიერი მუშაობა წარიმართოს. რა თქმა უნდა დისციპლინა, უპირველეს ყოვლისა მასწავლებლის ინტერესებში შედის. როგორი უნდა იყოს სწორად დადგენილი დისციპლინა, ეს და სხვა მსგავსი კითხვები აქტუალურ ხასიათს ატარებს. როგორ უნდა შევქმნათ ის? დისციპლინა მხოლოდ კლასში მოქმედი წესების ერთობლიობა არ გახლავთ. ის უფრო ფართო გაგებით უნდა განვიხილოთ. თანამედროვე მიდგომების მიხედვით, კლასში არსებული წესები მხოლოდ მოსწავლეთა ქცევების რეგულირებით არ უნდა იყოს შემოფარგლული და მას უფრო ფართო მომცველობა უნდა ახასიათებდეს. ეს უნდა იყოს გარემოს შექმნა, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი მაქ-

სიმალურად ნაყოფიერი იქნება. ამრიგად, შეიძლება კლასში წესრიგი იყოს, მაგრამ მასწავლებლისა და მოსწავლეების მუშაობა ნაყოფიერი არ იყოს. შესაბამისად, კლასში ხელსაყრელი კლიმატის შექმნის მიზნით შემუშავებული წესები და გათვლები იმ მოლოდინებს უნდა ეყრდნობოდეს, რომლებიც სასწავლო პროცესში ჩაბმული აქტორების მაქსიმალურ კომფორტთან იქნება დაკავშირებული. სწავლისათვის კომფორტული გარემო ორივე მხარისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია.

ამრიგად, ნაყოფიერი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მთელი საგაკვეთლო პროცესი მოსწავლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების მიხედვით იქნება განსაზღვრული და ასევე მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებელი მაქსიმალურს აღწევს, შესაბამის შედეგებს აუცილებლად მოიტანს. ამ პროცესში აუცილებელია მოსწავლის ცნობისმოყვარეობისა და მოტივაციის ამაღლება, რის შედეგადაც ის მთელ თავის შესაძლებლობებს ცოდნის ძიებისკენ წარმართავს და აღმოცენილი ახალი ცოდნის საფუძველზე მოვლენების ანალიზსა და შეფასებას შეძლებს. ასეთ განწყობის შემთხვევაში მოსწავლე არც დისციპლინას დაარღვევს და უფრო მეტიც, მსგავსი რამ აზრადაც არ მოუვა. ამიტომაა, რომ მოსწავლეზე და მის შესაძლებლობებზე ორიენტირებული სწავლება უფრო ეფექტური და შედეგიანია, ვიდრე მზა ინფორმაციის დაზეპირებაზე დამყარებული მიდგომები.

როდესაც მასწავლებელი ძალადობას მიმართავს, მოსწავლეებს ემუქრება და აშინებს, კლასში დაძაბული ატმოსფერო შეიქმნება, ხოლო ასეთ გარემოში სწავლის ხარისხი მინიმუმამდე დაეცემა. შიში და მსგავსი ნეგატიური შფოთვები ადამიანს აზროვნებაში ხელს უშლის. გარ-

და ამისა, დაუშვებელია მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების მიმართ დამცინავი დამოკიდებულება და მისი დამცირება. ეს მის მოტივაციას ბოლომდე გაანადგურებს და პროტესტის გრძნობას გაუჩენს. მასწავლებელმა არ უნდა გამოხატოს ნეგატიური დამოკიდებულება. არ უნდა აგრძნობინოს მოსწავლეებს, რომ მათგან შოცდომების დაშვებას ელოდება. ამგვარი წინარე განსჯა მოსწავლეთა მოტივაციაზე უარყოფითად აისახება.

დაძებულ გარემოში მიმდინარე საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეებს აიძულებს მოჩვენებითი წოდნა წარმოაჩინონ და საამისოდ მიმართონ ისეთ ცუდ ქცევებს, როგორიცაა ე.წ. შპარგალკა, გადაწერა, კარნახი და სხვ. სასჯელის ან ძალადობის მოლოდინში მყოფი მოსწავლე, მხოლოდ კონკრეტული სიტუაციიდან გამოსავალს მოძებნის და რეალური ცოდნის შეძენაზე აღარ იზრუნებს. ძალადობრივი გარემოს დროს, გარდა ასეთი არასაგანმანათლებლო მცდელობებისა, მოსწავლე მოერიდება საკუთარი აზრის დაფიქსირებას ან ინიციატივების შემოტანას. ის კმაყოფილი იქნება, თუ მასწავლებელი საერთოდ არ გამოიძახებს და შეკითხვებს არ დაუსვამს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მოსწავლე, განსხვავებულ გარემოში თუ მოხვდება, სრულებით ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს, რაც ადრინდელ გარემოში მისგან წარმოუდგენელი იყო.

„პირველად, ანატოლიის ერთ-ერთ ლიცეუმში მასწავლებლად გამამწესეს. სწავლა-სწავლების მეთოდები თითქმის არ ვიცოდი. პირველი სამი კვირა სხვა მასწავლებლებს ვაკვირდებოდი. მათგან ვცდილობდი მესწავლა გაკვეთილის ჩატარება, ავტორიტეტის შექმნა, კლასის დამორჩილება და ა.შ. ჩემი იმდროინდელი გაგებით ამ ლიცეუმში ყველაზე წარმატებული მასწავლებელი სკოლის

დირექტორი იყო. მოსწავლეები მის დანახვაზე ადგილზე შეშდებოდნენ და ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ. მისი შიშით მთელი სკოლა კანკალებდა. ერთ დღეს მასთან მივედი და ვკითხე, ასეთი პატივისცემა და რიდი როგორ მოიპოვე-მეთქი. მას გაეცინა და ასე მითხრა:

„როდესაც კლასში პირველად შევდივარ, კლასის ყველაზე თავხედ მოსწავლეს შევარჩევ, საბაბს მოვუძებნი და კარგად ვცემ. ეს მეთოდი ამართლებს, რადგან ბავშვებს შეეშინდებათ. ამის შემდეგ ბავშვების ცემა ძალიან იშვიათად მიწევს. მხოლოდ იმ შემთხვევაში ვცემ, როდესაც რაიმე გადაცდომის ტენდენცია გამოიკვეთება და პრევენციის მიზნით დამნაშავეს საჯაროდ ვცემ ხოლმე. ბავშვების თანდასწრებით არასოდეს ვიღიმები. მე ისინი შინაგანად მიყვარს და ამას მათ დასანახად არასოდეს გამოვხატავ“. მისი ეს მონათხრობი ჭკუაშ დამიჯდა და მეც იგივე მეთეოდს მივმართე. მალე მთელ სკოლაში მკაცრი და დაუნდობელი მასწავლებლის სახელი გამივარდა. არა მარტო იმ სკოლაში, მეზობელ სკოლებშიც ჩემზე საუბრობდნენ, შედეგად არა მარტო ჩემი სკოლის, არამედ სხვა სკოლის მოსწავლეებიც ჩემს დანახვაზე თამაშს წყვეტდნენ და უხმოდ დგებოდნენ. გზაზე რომ მხვდებოდნენ, ან უკან ბრუნდებოდნენ, ან გვერდზე გადაუხვევდნენ ხოლმე. სინამდვილეში ბავშვები ძალიან მიყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულს არასოდეს გამოვხატავდი. სიყვარული სისუსტეა და თუ ის გამოხატე ავტორიტეტს ვეღარ მოვიპოვებ- მეთქი, ვფიქრობდი. მეც მეგონა, რომ მოსწავლეებს ვუყვარდი, რადგან ყოველთვის პატივს მცემდნენ, ცემს წინ თავდახრილი იდგნენ და არასოდეს მეკამათებოდნენ. იმ წელს ლიცეუმის დამამთავრებელ გამოცდებს ვატარებდით. ჩემს მოსწავლეთაგან სამმა დაამთავრა. მე ვფიქრობდი,რომ სამივე მოსწავლეს ძალიან ვუყვარდი,მაგრამ თურმე ვც-

დებოდი. სკოლის დამთავრებიდან რამოდენიმე დღეში ქუჩაში შევხვდი. სამივე პერანგჩახსნილი, პირში სიგარეტით მოაბიჯებდნენ. მე ისევ მეგონა, რომ ჩემს დანახვაზე სასწრაფოდ მოწესრიგდებოდნენ და სიგარეტებს გადააგდებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. მე თვალებში ვუყურებდი და და ასე უთქმელად მათგად ძველებურ ქცევას ველოდი, მაგრამ ისინი ისე გამცდნენ, რომ არც თვალი აურიდებიათ და არც სიგარეტი გადაუგდიათ. ამ ამბიდან საკმარისი გაკვეთილი მივიღე. ძალადობა და შიში სიყვარულს არ იწვევდა. სიყვარულსა და პატივისცემას ისევ სიყვარული და პატივისცემა იწვევდა. ამაში თავად დავრწმუნდი". (სონმეზი, 1996, 74)

როდესაც მასწავლებელი კლასში ძალადობრივ გარემოს ქმნის, ის უნებურად მოსწავლეებს ძალადობის გზით პრობლემების მოგვარებას ასწავლის. მოსწავლეები კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ და ეფექტურ მეთოდად ძალადობას მიიჩნევენ და ყოველ ჯერზე მას მიმართავენ. ამრიგად, ძალადობა მათი ცხოვრების სტილი გახდება.

კარგი მასწავლებელი თავის ავტორიტეტს მთლიანად თავისი პიროვნული თვისებებით მოიპოვებს. ამგვარად მოპოვებული ავტორიტეტი უფრო რალური და ხანგრძლივი იქნება. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს სიმართლეს, სიკეთეს, სიყვარულს, კეთილგონიერებას, შემწყნარებლობას, თანადგომას და ერთგულებას აჩვენებს, მოსწავლეების თვალში რეალური ავტორიტეტი უყალიბდება და ამგვარად შექმნილი ავტორიტეტი არც კლასში და არც კლასგარეშე ცხოვრებაში ნეგატიურ შედეგებს არ მოიტანს. ამგვარად შექმნილი ავტორიტეტი ორივე მხარისათვის სასიამოვნო და საამაყოა. ურთიერთობები ნდობასა და პატივისცემას ეყროდნობა. კლასში

შექმნილი გარემო ყველას აბედნიერებს და შედეგიც შესაბამისი მოაქვს. ბუნებრივია, მოსწავლეებსაც შიანაგანი მზაობა უჩნდებათ, რომ ამგვარი გარემო და ურთიერთობა არ დაარღვიონ. ისინი იცავენ წესრიგს და ამავდროულად ხალისით სწავლობენ.

მზა ინფორმაციის დაზეპირებაზე დაფუძნებული სწავლება არაეფექტურია. „ჩუმად იჯექი და მომისმინე“, ის მეთოდია, რომელიც კონსტრუქციული სწავლების გარემოს შექმნას ვერ უზრუნველყოფს. ასეთ გარემოში მყოფი მოსწავლე პასიურ მდგომარეობაშია და ის უმეტესწილად სწავლის პროცესის მიღმა ამჯობინებს ყოფნას. მოსწავლეს ინტერესი უქრება და ალტერნატიულ ინტერესებს იჩენს. ბუნებრივია, მასწავლებელი მოსწავლის ამგვარ პასიურ დამოკიდებულებას შენიშნავს და მაშინვე მისი სიზარმაცით ახსნის. ის მოსწავლის დადანაშაულებას იწყებს. ამავდროულად მასწავლებელი ფიქრობს, „ბავშვების დაინტერესება ვერ შევძელი, ნეტა, რატომ? ალბათ თემა ვერ შეავრჩიე ან სწორად ვერ მივაწოდე“... ამგვარი ფიქრი და ძიება სასარგებლოა, რადგან ამ გზით მასწავლებელი თავის ძირითად შეცდომას გაიაზრებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება და მათი მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა, ყოველი მუსლიმი მასწავლებლის ზნეობრივ ვალდებულებას წარმოადგენს. მასწავლებელი ვალდებულია მუდმივ ძიებაში იყოს, რათა ხარისხიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად საჭირო ინსტრუმენტები შეისწავლოს და გამოიყენოს ყველა ის მეთოდი, რომლებიც თანამედროვე სწავლა-სწავლების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. სასწავლო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაძაბულობა, კონფლიქტები, შფოთვები და სხვა ნეგატიური ფაქტორები.

მასწავლებელი, რომელიც მოსწავლის პიროვნულობას პატივს სცემს, მოსწავლეებთან ერთად გეგავს ყველა იმ საკითხს, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესს ქმნის. მასწავლებელი მოსწავლეებთან თანამშრომლობს, აზრს ეკითხება, ეკამათება და საერთო დასკვნამდე ერთად მიდიან. კარგმა მასწავლებელმა იცის, რომ ამგვარი დამოკიდებულებით ის თავისი მოსწავლეებისთვის კარგი მაგალითია და მოსწავლეები პატივისცემაზე დამყარებულ ქცევებს ასე უფრო შეითვისებენ, ვიდრე ხანგრძლივი ჭკუის დარიგებითა და შეგონებით. მხოლოდ ამგვარი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოა ეფექტური საიმისოდ, რომ მოსწავლეებმა ზნეობრივი ღირებულებები არსობრივად გაითავისონ და თავინთ პრაქტიკაში დანერგონ. როგორც წესი, მოსწავლეებს ერთად შედგენილი წესების მიმართ მეტი პასუხისმგებლობა გააჩნიათ. ასეთ შემტხვევაში ისინი კლასის მართვაშიც აქტიურად არიან ჩართული და როდესაც რაიმე კონფლიქტური სიტუაცია ან დისციპლინის დარღვევის ფაქტი წარმოიქმნება, მისი მიზეზების დადგენასა და მოგვარების გზების ძიებას თავად შეეცდებიან. ამგვარი გარემო, არა მარტო კლასში, არამედ კლასგარე ცხოვრებაში დადებითი შედეგების მომტანია, რადგან ასეთ გარემოში აღზრდილი ბავშვები საერთო წესებით მოქმედებას და სხვისი აზრის პატივისცემას სწავლობენ. ისინი ცხოვრებაშიც სწორი და ზომიერი გადაწყვეტილებების მიღებას შეძლებენ. ამრიგად, როდესაც კლასში ბუნებრივი გარემოა, მოსწავლეთა ურთიერთბებიც ბუნებრივად ვითარდება და ეს ყველაფერი ეხმარება, როგორც ეფექტური სწავლების პროცესს, ისე მოსწავლეთა ზნეობრივ განვითარებასაც. კლასში უსიტყო მორჩილებას, ან უთქმელი პროტესტის განცდის ქვეშ მყოფი მოსწავლე, ცხოვრების ასპარეზზეც ან ზედმეტად

მორჩილი იქნება, ან კიდევ, სხვათა მიმართ დესპოტურ მიდგომებს გამოამჟღავნებს.

როდესაც მოსწავლე არასასურველ ქცევას აფიქსირებს, მასწავლებელი ვალდებულია ასეთი ქცევის მიზეზები გამოიკვლიოს და დაეხმაროს მოსწავლეს, რომ საბოლოო ჯამში სასურველ ქცევამდე მივიდეს. ამასთანავე, მასწავლებელმა უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რათა კონკრეტულ მოსწავლეს იგივე არასასურველი ქცევის გამომწვევი მიზეზი არ მიეცეს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მასწავლებელმა დაარწმუნოს მოსწავლე, რომ კონკრეტული ქცევა არ არის სასურველი და ის აღარ უნდა განმეორდეს. არასასურველი ქცევის დროს მყისიერად დისციპლინური დევნის დაწყება, მოსწავლის დასჯა სასურველი არ არის. სხვა ნეგატიურ შედეგებთან ერთად, ეს უკანასკნელი მასწავლებლის უმწობას უსვამს ხაზს, რაც საბოლოო ჯამში მისი ავტორიტეტის შესუსტებას გამოიწვევს. წესრიგის დარღვევის დროს, ასევე დაუშვებელია, დასჯის ყველა ის ფორმა, რომლებიც მოსწავლის დამცირებას გამოიწვევს. „უზრდელი ხარ, შენგან სხვას არც ველოდი“ და სხვა მსგავსი დამამცირებელი მიდგომები, კონფლიქტს უფრო გააღრმავებს და დადებითი შედეგის ალბათობას უფრო დაგვაშორებს. გამომდინარე აქედან, სასურველია მოსწავლესთან დაპირისპირება არ გავაღრმავოთ და მყისიერად დისციპლინური დევნა არ განვახორციელოთ. თუ პრობლემას გონივრული გზებით ვერ ვაგვარებთ, სასურველია მესამე მხარე ჩაერთოს და შეცდომის მიზეზის აღიარება მოხდეს, რასაც საბოლოო ჯამში მოსწავლის მხრიდანაც მისი აღიარება და სინანული მოჰყვება. ამრიგად, დისციპლინის ჩამოყალიბება სიმკაცრეს და დასჯის მეთოდების ეფექტურობას არ გულისხმობს. მოსწავლე აღსაზრდელია და დისციპლინის

ჩამოყალიბება და სასურველი ქცევის მიღწევა აღზრდის პროცესია. ყველაზე მდგრადი დისციპლინა სიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის შედეგად მიიღწევა. ამ გზაზე კი აუცილებელია ისეთ ფაქტორები, როგორიცაა სამართლიანობა, გულისხმიერება, გულწრფელობა და სხვა მსგავსი. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს სიყვარულით ეპყრობა, მოსწავლეები უფრო მეტი სიყვარულით პასუხობენ. ასე ხდება წინააღმდეგ შემთხვევაშიც. ძალადობრივ რეაქციას უკუშედეგი მოჰყვება ხოლმე. როდესაც კლასში სიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებული გარემოა, იქ ყველაფერი იოლია და სწავლა-სწავლების პროცესიც უფრო ეფექტურად მიმდინარეობს.

მოკლედ რომ ვთქვათ, მასწავლებელმა კლასში გულწრფელი, შინაგანი დისციპლინის ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყოს. მასწავლებელი უნდა გათავისუფლდეს ყველა იმ გარე ფაქტორისაგან, რომლებიც კლასში წესრიგის დამყარებისთვისაა შექმნილი და როგორც წესი სადამსჯელო ხასიათს ატარებს. მისი მთავარი დასაყრდენი მოსწავლეთა მიმართ პატივისცემა და სიყვარული უნდა იყოს. ის უნდა ცდილობდეს, რომ ყოველ მოსწავლეს მისცეს შანსი იყოს ჩამოყალიბებული, შემდგარი პიროვნება, რომელსაც კარგად მოქცევა მოსწონს და ამით იამაყებს. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ თითოეულ მოსწავლეს პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითაროს. ასეთ შემთხვევაში გარე ფაქტორების საჭიროება აღარც კი იარსებებს. საამისოდ კი საჭიროა კლასში ქცევის წესები მთელმა კლასმა ერთიანად შეიმუშავოს. როდესაც ქცევის წესებს მასწავლებელი კარნახობს, ან კედელზე აკრავს, მოსწავლეებს შინაგანი პროტესტი უჩნდებათ და წესების დაცვას არ ცდილობენ. ამასთანავე, მასწავლებელმა ზომიერი და

გონივრული მეგზურობის წყალობით, მოსწავლეთა ქცევები და მათ მიერ შედგენილი ქცევის ნორმები ზნეობრივ ღირებულებებს უნდა დაუქვემდებაროს.

კვლევებმა ცხადყო, რომ მასწავლებლებს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მოსწავლეებისთვის ბედნიერების მომტანი იქნება, ძალიან უჭირთ და ამ მიმართულებით გაწეული მცდელობები, როგორც წესი, არასაკმარისია.

4. მასწავლებლის ეთიკა მოსწავლეებთან ურთიერთობისას

მასწავლებლის ეთიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, მისი მოსწავლეებთან დამოკიდებულება და ქცევებია. მუსლიმი მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობისას მუდმივ გულისხმიერებას უნდა ინარჩუნებდეს. მისი ამ მცდელობის ძირითადი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება და ასევე შუამავლის სწავლების მიმართ პატივისცემის გამოხატვაა. ბუნებრივია, მასწავლებელი მოსწავლეებისგან რაიმე ჯილდოს არ ელოდება. აღნიშნული თვალსაზრისის ფარგლებში, შეგვიძლია, შემდეგ პრინციპებს შევეხოთ:

4.1. მოსწავლის პიროვნების მიმართ პატივისცემა.

ყურანის მიხედვით ღმერთმა ადამიანი საუკეთესო „ფორმით“ გააჩინა და ის დედამიწის მმართველად დაადგინა. აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანური ღირსების

თვალსაზრისით ყველა ადამიანი თანასწორია. ყურანი ადამიანებს ხშირად ასე მიმართავს: „ადამის შვილნო!“, „ადამიანებო!“ რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთი მთელ კაცობრიობას მიმართავს და მიმართვის დროს აღმსარებლობას, ან სხვა განმასხვავებელ ფაქტორს არ გამოყოფს. ეს იმას ნიშნავს, რომ მუსლიმისა და არამუსლიმის უკან ერთი საერთო პლათფორმაა და ეს პლათფორმა გულისხმობს, რომ ყველ ადამიანია.

ღვთის მიერ გაჩენილი ადამიანის მიმართ პატივისცემა, ყველა დანარჩენთან ერთად, მისი უნარების მიამრთ პატივისცემასა და განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. ყველა ინდივიდი, საკუთარი ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით ვითარდება და შესაბამისი თვითრეალიზაციის ფარგლებში მოიპოვებს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა მიმართ პატივისცემას. ის შეძლებს განერიდოს ყველა იმ ქცევას, რომელიც მის ღირსებას არ შეეფერება. ადამიანის ღირსება საკუთარი არსებობის არსში იდეალურობისკენ სწრაფვას შეიცავს. ამიტომ ადამიანი ცდილობს შეისისხლხორცოს ზნეობრივი ღირებულებები, რადგან ამას საკუთარი ღირსება მოითხოვს. ამგვარი გაგება ადამიანს იმ უნივერსალური პასუხისმგებლობისკენ გაუხსნის კარს, რომელიც დასაბამიდან მოგვდგამს და შედეგად ის გარემოსა და ადამიანებთან ურთიერთობაში ჯანსაღ და ზნეობრივ ურთიერთობებს აირჩევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ადამიანი ზნეობრივ ღირებულებებს ასცდეს და ადამიანის ღირსებისათვის შეუსაბამო მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ადამიანმა საკუთარი „ადამიანური ღირსება“ რომ საუკეთესოდ აღიქვას და ძირითად ღირებულებად მიიჩნიოს, ამისათვის განათლების როლი სასიცოცხლოდ მნიშვნე-

ლოვანია. ისლამის მიხედვით განათლება ყველა ადამიანისთვის აუცილებელი ვალდებულებაა, რათა მან „ადამიანის მიმართ პატივისცემა“, როგორც ძირითადი პრინციპი, გაითავისოს და შესაბამისი პასუხისმგებლობით განიმსჭვალოს. ამრიგად, ისლამის მიხედვით განათლება ის ძირითადი პრინციპია, რომელიც ისლამის მიერ დადგენილი „ადამიანის მიმართ პატივისცემის“ ვალდებულებას მიგვაღწევინებს და ამავდროულად ის თავადაა ზნეობრივი ღირებულება, რომელიც ინდივიდს უნდა გააჩნდეს. განათლების მიმართ შუამავლის დამოკიდებულებებს თუ დავაკვირდებით, ის მთლიანად ადამიანის მიმართ პატივისცემის პრინციპს ემყარება. მისი სწავლება ეფუძნებოდა მორალს, რომ ყველა ადამიანი ღირსეულია და ამ მხრივ წარმომავლობა, გვარიშვილობა, სქესი, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მსგავსი ქვე-ფაქტორები უმნიშვნელოა. დიახ, ადამიანი უპირველეს ყოვლისა იმიტომ იმსახურებს პატივისცემას, რომ ის ღმერთის გაჩენილია. შუამავალი ამ დამოკიდებულებას ყოველ ქცევაში ავლენდა. მას პატარა ბავშვის შესახებაც არასოდეს უთქვამს, „ეს ჯერ პატარაა, ვერაფერს მიხვდება“. ის ყველას გულისხმიერებით ეკიდებოდა და მასთან ურთიერთობისას თავს ყველა ღირსეულად გრძნობდა.

ადამიანმა სხვების მიმართ პატივისცემის გამოჩენა რომ შეძლოს, ჯერ საკუთარ თავს უნდა სცეს პატივი. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის გააზრება კი საკუთარი ადამიანობის, საკუთარი ფასის სწორად აღქმითაა შესაძლებელი. ამას შეიძლება სწორი თვითშეფასება, ღირსების გრძობაც ვუწოდოთ. სხვათა მიმართ დამსახურებული პატივისცემის გამოჩენა პირმოთნეობა არ არის, ისევე როგორც საკუთარი თავის სწორად დაფასება ვერ იქნება

ამპარტავნება. სხვათა მიმართ პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ პატივისცემიდან გამომდინარეობს.

მასწავლებელი, რომელიც შუამავალს მაგალითად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეს სრულფასოვან ადამიანად, ღვთის მიერ გაჩენილ ღირსეულ არსებად განიხილავს და შესაბამის დამოკიდებულებებს ავლენს. ამგვარი დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ ყველა ქცევაში ვლინდება. ის აფასებს მოსწავლის პიროვნულობას, მის იდენტობას, მის შესაძლებლობებსა და პოტენციალს. მასწავლებელი მოსწავლეს საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პატივისცემას ასწავლის. ამ პროცესში არა მარტო თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკული ცხოვრებითაც საუკეთესო მაგალითს მისცემს. აჰმედ ინანი თავს გადახდენილ შემთხვევას იხსენებს: „ლიცეუმში ვსწავლობდი. ერთ დღეს მასწავლებელს ვკითხე: მასწავლებელო. ეს მათემატიკა რაში უნდა გამოგვადგეს? მათემატიკა შენისთანაა სულელებს თავში ჭკუას მატებსო, -მიპასუხა მან. მაშინ მე ბავშვის გონებით ასეთი რამ ვიფიქრე: „თუ მათემატიკა ადამიანს ჭკუას მატებს და თუ ამ ადამიანმა მათემატიკა იცის, ეს ძალიან ჭკვიანი უნდა იყოს. არადა ვუყურებ მათემატიკის მასწავლებელს და ჭკვიანს საერთოდ არ გავს. გამოდის, რომ მათემატიკა ადამიანს რაიმე ჭკუას არ მატებს“. ამრიგად, მათემატიკის სწავლება მხოლოდ მშრალი ცოდნის გადაცემას არ გულისხმობს. მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ მათემატიკის გაკვეთილებზეც ბავშვის კარგ ადამიანად ჩამოყალიბებაზე იზრუნოს. (თედმემ, 2017)

სინამდვილეში, ყოველ ადამიანს, დიდი იქნება თუ პატარა სურს, რომ დააფასონ, უყვარდეთ და აღიარონ. არავის სურს, რომ დაამცირონ, არაფრად ჩააგდონ და თავი უმნიშვნელოდ აგრძნობინონ. სხვების დაფასება, მათი ღირ-

სების მიმართ პატივისცემის გამოხატვა, ყველასათვის მოსაწონი ქცევაა და ადამიანზე დადებით ეფექტს იძლევა. ახლა კი ერთი ბავშვის ამბავს მოგიყვებით, რომელიც ოჯახში ონავარ ბავშვად ითვლებოდა.

„დაე, ვიყო უბედური, ვტქვი და უბედურების ძიება დავიწყე. ყველაფერს ვაკეთებ, რაც უბედურად ყოფნაში ხელს შემიწყობს. მოვიფიქრებ რამე ცუდს, ვაკეთებ და შედეგად უბედური ვარ. უფრო სწორად, მაინც უბედური ვარ და ამიტომ ჩემი უბედურების მიზეზს უფრო მეტ საფუძველს ვუქმნი. მეცხრე კლასში რომ ვიყავი, ფსიქოლოგიური აშლილობა დამეწყო და ოჯახის ახლობელმა ფსიქიატრთან წამიყვანა. სახელმწიფო კლინიკაში მივედით. იქ ახალგაზრდა ექიმი დაგვხვდა. სოციალისტური მიდრეკილებების მქონე ახალგაზრდა ექიმმა შეკითხვები დამისვა და ასეთ რამ მითხრა: „შენ ბავშვობა გამოგიტოვებია და თუ ყურადღებით არ იქნები, ახალგაზრდობასაც გამოტოვებ. შენი გონება სასიკვდილო რისკის წინაშეა. მე მაშინვე ვაღიარე, რომ სუიციდისკენ მქონდა მიდრეკილება და თავის მოკვლაზე ხშირად ვფიქრობდი. შენ ამ საზოგადოებისთვის საჭირო ადამიანი, კარგი და ჭკვიანი პიროვნება ხარ, მითხრა მან. მისი ეს სიტყვები გონებაში ბომბივით ამიფეთქდა. გამწარებულმა ჩემსა და საზოგადოებას შორის არსებული კავშირების ძიება დავიწყე. იმის გააზრებამ, რომ საზოგადოების ნაწილი ვარ და ვიღაცისთვის მნიშნელოვან ადამიანს წარმოვადგენ, შინაგანი ხალისი დამიბრუნა. უკვე იმის ფიქრიც კი დავიწყე, რომ ამ საზოგადოებაში ჩემი როლი მომეძებნა, ჩემი ფუნქცია მეკისრა და საჭირო ადამიანი ვყოფილიყავი. როდესაც ჩემი არსებობის ახსნას ვცდილობდი და ამ პროცესში უცნაურად ვიქცეოდი, პასუხი სხვაგან ყოფილა...“ (შასა, 2010, 70)

როდესაც ორ მოსაუბრეს შორის ამ ტიპის დიალოგმა და ადამიანზე იმის მინიშნებამ, რომ ის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანია და ის სჭირდებათ, ასეთი ეფექტი გამოიღო, ბუნებრივია, მასწავლებლის მიერ მოსწავლის პიროვნების მიმართ გამოჩენილი პატივისცემა და მისი ღირსების ამაღლება, განსაკუთრებულ შედეგს გამოიღებს. ასეთი მიდგომა მოსწავლეებში ხანგრძლივ ზემოქმედებას გამოიწვევს და დადებითი ეფექტის მატარებელია. უდავოა, რომ ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემა ძლიერი ეფექტური საშუალებაა, რომელიც განათლების პროცესზე და ხარისხზეც დადებითად აისახება. მოსწავლის ისეთი მიღება, როგორიც არის და მის მიმართ შესაბამისი დამოკიდებულებების გამოვლინება, რაც ინდივიდის უნარების განვითარების ხელშეწყობაში აისახება, მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას იწვევს, რაც მის შრომისუნარიანობასა და წარმატებაზე პირდაპირ ახდენს გავლენას. როდესაც მოსწავლეს აგრძნობინებ, რომ ის მნიშვნელოვანი პიროვნებაა, მისი აზრი მნიშვნელოვანია და ზოგადად მას ვუსმენთ, ეს მის განწყობაზე დადებითად იმოქმედებს და თვითონაც ღირსეული ქცევების გამოვლენის სურვილი უჩნდება. აქვე კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ერთ-ერთ ლიცეუმში მოსწავლემ წყლის დოქი გატეხა. ზედამხედველმა დირექტორთან წაიყვანა. დირექტორმა მოსწავლეს თვალებში შეხედა და უთხრა, რომ სახელმწიფო ქონებაზე ასეთი უდიერად მოპყრობა დიდი დანაშაული იყო. მოსწავლემ მაშინვე იუარა, ის დოქი მე არ გამიტეხიაო. ზედამხედველი ამტკიცებდა, რომ დოქი სწორედ იმ მოსწავლემ გატეხა და იტყუუებოდა. ამ დროს დირექტორი წამოდგა, მოსწავლესთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და ზედამხედველს უთხრა: „მოსწავლე ტყუილს არ იტყვის, ჩვენ ვცდებით“. შემდეგ დირექტორმა მოსწავლეს

უთხრა, რომ შეეძლო წასულიყო. მოსწავლე თავჩაღუნული გავიდა, მაგრამ მაშინვე უკან შემობრუნდა. თავი დახარა და დირექტორს პატიება სთხოვა. „ერთ დანაშაულს მეორე დავამატე და მოვიტყუე. გემუდარებით, საკადრისად დამსაჯეთ. ჯერ დოქი გავტეხე და მერე ტყუილი ვთქვი.“ - თქვა მან. (ქენან, 2009, 41)

მასწავლებელმა მოსწავლის პიროვნების მიმართ პატივისცემა არამარტო სიტყვით, არამედ მოპყრობითა და დამოკიდებულებებითაც უნდა გამოხატოს. აქვე მაგალითისთვის უნდა მივუთითოთ, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიონალიზმიც. თუ მასწავლებელი მოსწავლეს პატივს სცემს, გაკვეთილზე მოუმზადებლად არ უნდა შევიდეს და ისეთი საკითხის სწავლება არ უნდა სცადოს, რაშიც საფუძვლიანი ცოდნა არ გააჩნია. სასურველია მასწავლებელმა პირველივე გაკვეთილიდანვე მოსწავლეების სახლები დაისწავლოს და მის მერე სახელებით მიმართოს. გაკვეთლის მსვლელობის დროს გულდასმით უნდა მოუსმინოს მოსწავლეების მოსაზრებებს და შესწორებები დელიკატურად შეუსწოროს. უნდა ეცადოს, რომ მოსწავლეები სწორ აზრამდე თავიანთი მცდელობით მივიდნენ. მასწავლებელი სიტყვით და მანერებით უნდა გამოხატავდეს მოსწავლეთა აზრების მიმართ პატივისცემას. დაუშვებელია მოსწავლის დაცინვა, გამოუვალი მდგომარეობის გარეშე კლასიდან გაძევება, მთელი კლასის წინაშე ფეხზე დაყენება და სხვა.

ისლამური განათლების ტრადიცია საკმაოდ საინტერესო მაგალითებს გვთავაზობს. როდესაც იბნ ჯემაა მოსწავლეებს ახალ საკითხს შეასწავლიდა, პირდაპირ არ ეკითხებოდა, გაიგეს თუ ვერა. ის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემის მაგალითს სთავაზობდა და მოსწავლე-

ების პრობლემის გადაჭრის პროცესში ჩამოყალიბებულ ცოდნას იღებდნენ. როდესაც მოსწავლეს ვეკითხებით, გაიგო თუ ვერა კონკრეტული საკითხი, ის უმეტესწილად პასუხობს, რომ გაიგო, მაგრამ შეიძლება მისი პასუხი ბოლომდე გააზრებული არ იყოს. თუ მისი პასუხის შემდეგ საკიტხის შესახებ პრობლემის ამოხსნას შევთავაზებთ და მოსწავლე თავს ვერ გაართმევს, მისი მორალური მდგრადობა დაირღვევა და მოტივაცია გაუქრება. დაუშვებელია მოსწავლეზე ისეთი ეპითეტებით მიმართვა, როგორიცაა სულელო, დებილო, უტვინო, უზნეო, უსირცხვილო“ და ა.შ. ადამიანის მიმართ პატივისცემა ყველა იმ უფლების მიმართ პატივისცემას გულისხმობს, რომლებიც მას გააჩნია. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაე, ერთმა ხალხმა არ დასცინოს მეორე ხალხს, იქნებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არც ქალებმა სხვა ქალებს, ეგებ ისინი უკეთესნი არიან მათზე. და არ მოსცხოთ ჩირქი ერთმანეთს და არ მოუხმოთ ერთმანეთს შეურაცხმყოფელი მეტსახელებით. რწმენის მიღების შემდგომ რაოდენ ცუდია თვისებაა სისაძაგელე. ხოლო ვინც არ მოინანიებს, სწორედ, რომ ეგენი არიან უსამართლონი“. (ჰუჯურათი, 49/11)

როდესაც მასწავლებელი მოსწავლეთა მიმართ გულწრფელი და გახსნილია, ეს მოსწავლეებშიც იგივე დამოკიდებულებებს აღძრავს. მასწავლებელი არამარტო ასწავლის, არამედ მათგანაც სწავლობს და როდესაც ამ დამოკიდებულებას მოსწავლეებს აგრძნობინებს, მოსწავლეები მეტი პასუხისმგებლობითა და მოტივაციით განიმსჭვალებიან. მასწავლებლის მხრიდან წამოსული თავმდაბლობა მოსწავლის მეტ გახსნილობას უზრუნველყოფს. მოსწავლე უკვე საკუთარი აზრის დაფიქსირებას აღარ ერიდება

და უფრო მეტადაა ჩართული. ამგვარი ურთიერთბის პირობებში მასწავლებელს არ უნდა მოერიდოს იმის აღიარება, რომ კონკრეტული საკითხის შესახებ ზუსტი ცოდნა არ აქვს, ან არ არის დარწმუნებული და მათ შეუძლიათ ერთად მიმართონ სხვა წყაროებს და ის კონკრეტული ცოდნა იქიდან შეივსონ. აღნიშნული მიდგომები განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე სკოლების პროფილისათვის, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილება ამ ყველაფერს ითხოვს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, ინტერნეტთან წვდომის შეუფერხებლობამ გამოიწვია ის, რომ სწავლების დროს სწავლა, სწავლის დროს კი სწავლებაა შესაძლებელი და ეს პროცესი კვირაში შვიდი დღე, ოცდაოთხი საათი, უწყვეტად მიმდინარეობს. ასეთი რეალობის შემთხვევაში მარტივადაა შესაძლებელი, რომ მოსწავლეს კონკრეტული საკითხის შესახებ უფრო მეტი ცოდნა ფქონდეს, ვიდრე- მასწავლებელს. თუ მასწავლებელი მუდმივად მენტორული ტონით, მბრძანებლურად მიმართავს და ასევე მუდმივად გამოხატავს, რომ საგნის შესახებ ყველაფერი იცის და რასაც ის გადასცემს ის უნდა დაიზეპიროს, მოსწავლის მხრიდან საკუთარი ინიციატივების გამოჩენა ან მეტი ცოდნის ძიების მცდელობა ნაკლებადაა მოსალოდნელი.

ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემა სასწავლო პროცესის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. როდესაც სწავლა-სწავლების პროცესის ცენტრში მასწავლებელია და მოსწავლის როლი მეორეხარისხოვანი, ამ შემთხვევაში მოსწავლის ღირსების მიმართ პატივისცემა ძნელად მისაღწევია. როდესაც სასწავლო პროცესი ასეთი მოუქნელია, მასწავლებელი მოსწავლეს პირდაპირ სთხოვს, რომ წყნარად იჯდეს და მხოლოდ უსმინოს, ეს ნიშნავს, რომ მას ამ საგნის შესახებ ერთადერთი ჭეშმარიტი ცოდ-

ნა გააჩნია და რასაც ის მოითხოვს, მოსწავლემ მხოლოდ ის ცოდნა უნდა მიიღოს. ეს მოსწავლეთა უნარების მიართ უპატივცემულობაა. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელი მოსწავლეებს ცარიელ ჭიქებად განიხილავს, რომელიც მან უნდა შეავსოს. ამ ტიპის მასწავლებელი მოსწავლეებს პირდაპირ კონკრეტული ცოდნის მიღებას აიძულებს და ამით ზღუდავს. მოსწავლე უკვე აღარ ცდილობს ეს ცოდნა განავითაროს და ამ ცოდნისკენ ალტერნატიული გზებით მივიდეს. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე ცენტრალური ფიგურა იყოს და მაღალ სააზროვნო უნარებზე გავიდეს. მოსწავლეს კრიტიკული აზროვნების უნარი უნდა განუვითარდეს. მარტო მოსმენა და გაგება არ კმარა. მას უნდა შეეძლოს ანალიზის, სინთეზისა და შეფასების გაკეთება. ამის მიღწევა კი მოქნილი, თავისუფალი, შინაარსიანი სასწავლო გარემოთია შესაძლებელი. ადამიანის უნარებისა და შესაძლებლობების შეზღუდვა ისლამის დოქტრინისათვის შეუთავსებელია. მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება აღსაზრდელებს. მათი ერთ ყალიბში მოქცევის მცდელობა, მათი ინდივიდუალიზმისა და მიდრეკილებების არაფრად ჩაგდება, ყოველმხრივ მიუღებელია. ეს მოსწავლეების გონებრივი და ინდივიადუალური განვითარების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ყურადსაღებია ებუ ჰანიფეს მიდგომები, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესში ვლინდებოდა. ებუ ჰანიფე გაკვეთილის მსვლელობისას მხოლოდ ლექციით არ შემოიფარგლებოდა. ის მოსწავლეებს დისკუსიას სთავაზობდა და ამ დისკუსიის პროცესში ჭეშმარიტებამდე ერთად მიდიოდნენ. მაგალითად, ის წამოაყენებდა რაიმე პრობლემას და მოსწავლეებს სთხოვდა ამ პრობლემის არსი, მიზეზები და მოგვარების

გზები მოეძებნათ. მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებდნენ, კამათობდნენ, შეკითხვებს სვამდნენ და ერთმანეთის აზრებს იზიარებდნენ. ამ პროცესში თავად ებუ ჰანიფეც იყო ჩართული და პროცესს სასურველი მიმართულებით წარმართავდა. მისი გაკვეთილები ხმაურით იყო ცნობილი. დისკუსიისა და კამათის ხმა შორიდანაც ისმოდა. ამრიგად, მასწავლებელი თავისი თავმდაბლობითა და ღირსეული დამოკიდებულებებით მოსწავლეთათვის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადამიანური ღირებულებაა და მოპირდაპირე მხარეში განსაკუთრებულ დადებით ემოციებს იწვევს.

ბუნებრივია, როდესაც კლასში ჯგუფური მუშაობა მიმდინარეობს, ზნეობრივი წესები უნდა გავითვალისწინოთ. ამ დროს მასწავლებლის როლი წინა პლანზეა დაყენებული, რადგან ეს წესები მოსწავლეებს მან უნდა შეასწავლოს. ჯგუფური მუშაობის დროს როლების განაწილება, სხვისი აზრის პატივისცემა, არგუმენტების წესისამებრ დაფიქსირება მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ამის კულტურა მასწავლებელმა საკუთარი ქცევით უნდა დაამკვიდროს. მასწავლებელმა ნათლად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ პაექრობა, ამპარტავნება, მედიდურობა, შური და სხვა მსგავსი ნეგატიური გრძნობები განათლებასთან თავსებადი არ არის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი მათი ქმედება და მცდელობა ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზანს უნდა ატარებდეს, ხოლო ეს დიადი მიზანი ამგვარ ნეგატიურ გრძნობებს გამორიცხავს. ყურანში ნაბრძანებია:

„რათა დაადგინოს ჭეშმარიტება და აღმოფხვრას სიცრუე , თუნდაც ცოდვილებს არ მოსწონდნენ“. (ენფალი, 8/8)

ჭეშმარიტების მაძიებელმა ადამიანმა კი შემდეგ აიათს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს:

„რომელნიც ისმენენ სიტყვას და მიჰყვებიან მისგან საუკეთესოს, სწორედ ეგენი არიან, რომელნიც დაადგინა ალლაჰმა ჭეშმარიტ გზას და სწორედ ეგენი არიან ბრძენ-კაცნი, ჭკუასაკითხნი“. (ზუმერი, 39/18)

თანამედროვე სკოლებში, განსაკუთებით კი დაწყებით კლასებში, სამწუხაროდ, არ არის დამკვიდრებული საიმისო მიდგომები, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემის პრინციპს განსაკუთრებით იცავდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა ერთ-ერთი მკვლევარის ჩანაწერები. ის წერს: „სკოლებში კვლევას ვატარებდი. ერთ-ერთ სკოლაში მისულმა მასწავლებლებს ვთხოვე, რომ გაკვეთლებზე დასწრება მინდოდა. ერთ-ერთმა მასწავლებელმა მითხრა, რომ მერვე კლასშ ვერ წამიყვანდა, რადგან იქ უწესრიგო ბავშვები იყვნენ და კლასის მართვა უჭირდა, ამიტომ მეექვსეში წამოდი, იქ კარგი ბავშები არიანო. იმ კლასში წიგნებსაც არ ატარებენ და არც დავალებებს ასრულებენ. რაც არ უნდა ვეცადო, ვერაფერს გავხდიო. იმ გაკვეთლის გასვლამდე სამასწავლებლოში დაველოდე. როდესაც ზარი დაირეკა და ის მასწავლებელი შემოვიდა, გაკვეთლის შესახებ ვკითხე. საშინელება იყო, ზოგი ბავშვი ცხოველის ხმას გამოსცემდა და გაკვეთილის წარმართვა ვერ მოვახერხეო. ძალიან თავს რომ გავიდნენ რამოდენიმე მათგანი ჯოხით ვცემე, ზოგი კი გარეთ გავაძევე. მაგათი საშველი არ არის. მაგათი წამალი ცემაა. სხვა ენა არ ესმით, ამიტომ სწორედაც რომ ცემას იმსახურებენო, დაასკვნა მასწავლებელმა“)ალთინთაშ, 2015, 177)

ეს თავი მინდა ერთ-ერთი მოსწავლის მომართვით დავასრულო, რომლითაც ის მასწავლებლობის მსურველებს მიმართავს:

თუ იმიტომ არ გიყვარვართ, რომ უხეში და უდისციპლინო ვარ, შემიძლია ქცევის წესები დავისწავლო.

თუ იმისათვის ვერ მიტანთ, რომ ჭუჭყიანი ვარ, შემიძლია დავიბანო.

თუ უმეცრების გამო არ მოგწონვართ, შემიძლია ვისწავლო.

მაგრამ, თუ თანდაყოლილი უნარების გამო მადანაშაულებთ, ეს თქვენ უნდა შეიცვალოთ, მასწავლებელო! (ქუჩუქაჰმეთ, 2010)

4.2. მოთმინება და მიმტევებლობა

ყოველი მუსლიმი მასწავლებლის მაგალითი შუამავალია. უზენაესი გამჩენი შუამავალს მოთმინებისა და მიმტევებლობისკენ მოუწოდებდა და ცნობილია, რომ შუამავალი ძალიან მომთმენი და მიმტევებელი იყო. ყურანში ნაბრძანებია:

„ ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრანი, 3/159)

მასწავლებელი, რომელიც თავის სამაგალითოდ შუამავალს მიიჩნევს, აუცილებლად მოთმინებითა და მიმ-

ტევებლობით უნდა გამოირჩეოდეს. მოთმინება პასიურ მდგომარეობაში ყოფნა და სიტუაციის ატანის უნარი არ არის. მოთმინება არსებული პრობლემის წინაშე წონასწორობის შენარჩინება და ლოგიკური გამოსავლის ძიებაა. თუ მასწავლებელი პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს მოთმინებით აღიჭურვება, შექმნილ პრობლემებს ადეკვატურად პასუხობს და დასახული მიზნისკენ მყარად მიიწევს, ეს აუცილებლად წარმატებას მოუტანს. მასწავლებელი, რომელიც მოთმინებას ვერ ავლენს და მყისიერი რეაქციები ახასიათებს, წარმოქმნილი კონფლიქტების დროს სიტუაციას ძნელად განმუხტავს და ყოველთვის წაგებული რჩება. მაგალითად, ასეთი მასწავლებელი მოსწავლის ყოველ შეცდომაზე ბრაზდება, რისხვა სძლევს და მოსწავლის ლანძღვას იწყებს. ის პირდაპირ და მყისიერად სჯის მოსწავლეს, ეს კი მის აღმზრდელობით ფუნქციას ანადგურებს. მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომა მისთვის ტკივილად და დათრგუნვის მიზეზად არ უნდა გადაიქცეს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე საგანსაც შეიძულებს და მასწავლებელსაც. უზენაესი გამჩენი ყურანში გვასწავლის, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული მორწმუნე.

„არ არის თანასწორი სიკეთე და სიავე. დახვდი იმით, რომელიც საუკეთესოა. მაშინ იგი მტრობა, რაც შენსა და მას შორის იყო, გექცევა გულითად მეგობრად.

„მას ვერ მიაღწევს, გარდა მათი, რომელთაც მოითმინეს, და მას ვერ მიაღწევს, გარდა უდიდესი წილის მფლობელი“. (ფუსსილეთი, 41/34/35)

ამრიგად, მასწავლებელმა მოსწავლეებთან ურთიერთობის ყოველ ახალ დღეს, ახალი გვერდი უნდა გადა-

შალოს. უნდა გამოიჩინოს მოთმინება და ლმობიერება. მოსწავლე, რომელიც მასწავლებლისგან უხეშ რეაქციას ელოდება, იბნევა და მისი მოტივაცია საგრძნობლად ქვეითდება.

დაშვებული შეცდომა, ჩადენილი დანაშაული, ბუნებრივია უარყოფითი მოვლენებია, მაგრამ მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება არსებულ ნეგატიურ შედეგებს ვერ გამოასწორებს. ამ ყველაფრის დადებითად შეცვლა მხოლოდ მიტევებას და შემწყნარებლობას შეუძლია. მიტევება, უპირველეს ყოვლისა, ბრაზის მოთოკვასა და მოთმინებაზეა დამოკიდებული. პატიება მეორე მხარის მიმართ მიმართული ქმედებაა, მაგრამ პატიების შედეგად ადამიანი საკუთარი ცუდი ქცევების გამოვლინების საწინააღმდეგო პრევენციას ახდენს. შედეგად, მიმტევებელი ადამიანი მშვიდდება და თან ნეგატიური მოქმედების ჩადენისგანაც გადარჩება. მიმტევებელი ადამიანი ასევე თავისუფლდება იმ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანისგან, რაც შეიძლება რისხვამ და რისხვის შედეგად ჩადენილმა ქმედებამ მოუტანოს. ამრიგად, მიტევება ყველაზე სწორი გამოსავალია, რადგან შეუწყნარებლობა, შეცდომაზე შეცდომით პასუხის გაცემა, ცუდ საქციელზე არანაკლები ცუდი საქციელით რეაქციის გამოხატვა, ნეგატიური ჯაჭვის წარმოქმნას გამოიწვევს, რაც საბოლოო ჯამში კონფლიქტის გაღრმავებასა და დაძაბულობას გამოიწვევს. ამ გზით ბოღმისა და შურისაგან გავთავისუფლდებით და შესაბამისად არც რაიმე შესაძლო დანაშაულს ჩავიდენთ.

მართალია მიტევება ყოვლად დადებით საქციელია და მოსალოდნელი დაძაბულობის თავიდან აცილებისთვის საუკეთესო გზაა, მაგრამ მიტევება არც ისეთი ადვილია.

აქ საჭიროა დანაშაულისა და მიტევების ყველა მიმართულებით, დეტალური აღწერა და გაანალიზება. მიტევება ძლიერი ბუნების ადამიანებს სჩვევიათ, მაგრამ იგივე მიმტევებლობა ახასიათებთ სულელებსაც. აქ დასაყრდენი წერტილი ღვთის კმაყოფილების მოპოვების სურვილია. თუ ჩვენი ქცევის მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება, მაშინ ის ყოვლად გამართლებული, სწორი ქმედებაა. ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით შესრულებული ყოველი ქმედება, ყოველი გაძლება და სირთულის ატანა დასაფასებელია და ამავდროულად ღვთის შეწევნით ადამიანი შედარებით იულად ახერხებს. როდესაც მასწავლებელი ყოველი თავისი ქმედების მიზნად ღვთის კმაყოფილების მოპოვებას ისახავს, მოთმინებისა და მიტევების თვისებას უფრო ბუნებრივად გაითავისებს.

მიტევების დროს ასევე ყურადსაღებია შეცდომის ჩამდენის მდგომარეობაც. პატიება ისეთი ფორმით უნდა განხორციელდეს, რომ დანაშაულის ჩამდენმა სინანული იგრძნოს და საკუთარი დანაშაული გულწრფელად აღიაროს. თუ პატიება ისეთ ფორმებით მოხდება, რომ ეს დანაშაულის პროვოცირებას მოახდენს და დამნაშავე იგივე დანაშაულს ხელახლა ჩაიდენს, ან უფრო მეტიც, დანაშაულის ჩადენას სისტემატიურ ხასიათს მისცემს, ამგვარი პატიების ფორმა უშედეგო და საზიანო იქნება.

მასწავლებელმა თავისი ლმობიერება და მიმტევებლობა სასწავლო პროცესის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს. როდესაც მასწავლებელი ნახავს, რომ მისმა მოსწავლემ შეცდომა დაუშვა, ან რამე დააშავა, მაშინვე სასჯელის დაკისრებაზე არ უნდა იზრუნოს. მან მოსწავლის ქმედება მასთან ერთად სიღრმისეულად უნდა გაანალიზოს, სწორი და მცდარის შესახებ მოსწავლესთან ერთად იმსჯელოს და

დასკვნა ერთად გამოიტანონ. ასეთი ქმედება მოსწავლის აღმზრდელობით პროცესზე დადებით გავლენას იქონიებს. თუ შესაძლებელი იქნება, სასურველია კონკრეტული ქცევის შესახებ დეტალურად იმსჯელონ და დასკვნა ერთად გამოიტანონ.

4.3. მოსიყვარულეობა და შემწყნარებლობა

შუამავლის აღმზრდელობითი სწავლება მთლიანად სიყვარულსა და შემწყნარებლობაზეა დამყარებული. უზენაესი გამჩენი ყურანში ასე ბრძანებს:

„ალლაჰისგან ბოძებულმა მოწყალებამ ლმობიერი გაგხადა მათ მიმართ. არადა უხეში და ულმობელი გული რომ გქონოდა, შემოგეცლებოდნენ. აპატიე მათ, ითხოვე მათთვის მიტევება და დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ (ალი იმრანი, 3/159)

შუამავალი ადამიანების მიმართ თავის სიყვარულს და მზრუნველობას იმ ადამიანის ქცევას ადარებდა, რომელიც ღამით კოცონის ირგვლივ მოფარფატე პეპლებს რომ დასდევს და ცდილობს ცეცხლში დაწვისგან გადაარჩინოს. (იხ. მუსლიმ, „ფედაილ“ 17). მისი სიყვარული და მზრუნველობა ადამიანებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ლოცვის დროს თუ ბავშვი ატირდებოდა, ლოცვას რაც შეიძლება სწრაფად ამთავრებდა, რომ ბავშვი და დედა არ შეწუხებულიყვნენ. (იხ. ბუჰარი, „ეზან“ 65)

ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემისა და ადამიანთა მიმართ სიყვარულის გამოხატვის თვალსაზრისით,

შუამავალი საუკეთესო მაგალითებს იძლეოდა. განსაკუთრებით კი ეს ეხებოდა სწავლა-განათლების საკითხს. როდესაც ვინმე შეცდომას დაუშვებდა, შუამავალი ამ შეცდომას პირში არასოდეს მიახლიდა, რათა ადამიანი არ შეერცხვინა. როდესაც ვინმეს შეცდომაზე მითითება სურდა, ზოგადად მიმოიხილავდა კონკრეტულ ქცევას და იტყოდა რომ ამგვარი ქცევა მიუღებელია. საუბრის ადრესატი თავის დანაშაულს ხვდებოდა და გულიც არ ტკენდა. ეს ნიშნავს, რომ მას ადამიანები უყვარდა, მათ ღირსებას პატივს სცემდა, და როდესაც მათი აღზრდა და ქცევების შეცვლა სურდა, ამას ძალიან დელიკატურად აკეთებდა. მისი ასეთი დამოკიდებულება ყველა ასაკის ადამიანზე ვრცელდებოდა. ბავშვების შესახებ არასოდეს ამბობდა: „ეს ჯერ პატარაა, რას გაიგებს“. ბავშვებს არასოდეს სჯიდა, არ კიცხავდა და ირგვლივმყოფებსაც მოუწოდებდა, რომ ბავშვებს კარგად მოპყრობოდნენ.

სიყვარული ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. ის ადამიანის ფუნქციათაგან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. სიყვარული ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებაა. ის ადამიანის სულიერი საკვებია. სიყვარულის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარეშე ჯანსაღი ინდივიდი ვერ ჩამოყალიბდება. ადამიანს სულიერი ფორმირებისათვის სიყვარული სჭირდება. მაგალითად, დედის გარეშე დარჩენილი ბავშვი შეიძლება კვების გარეშე არ დარჩეს, მაგრამ ფსიქოლოგიურ ტრამვას მიიღებს და ეს საბოლოო ჯამში მის ბიოლოგიურ აგებულებასაც დაეაზიანებს. კვლევებმა აჩვენა, რომ ორ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზი არა შიმშილი, არამედ სიყვარულისა და მზრუნველობის გარეშე დარჩენაა. ნარკოდამოკიდებულების, კრიმინალის, მოძალადების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ისევ და ისევ სიყვარულისა და

მზრუველობის ნაკლებობა ითვლება. ამდენად, მომავალი თაობების სიყვარულით აღზრდა და მათთვის საიმისოდ ხელშეწყობა, რომ სიყვარულის უნარი განივითარონ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი კი მარტივადაა შესაძლებელი. მთავარია გვიყვარდეს ისინი და სიყვარულით აღვზარდოთ, რათა სიყვარული იცოდნენ და მათაც უყვარდეთ.

მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთბებში გადამწყვეტ დადებით როლს სიყვარული თამაშობს. სიყვარულისა და პატივისცემით გაჯერებულ გარემოში სწავლა-სწავლების პროცესი უფრო ეფექტური და შინაარსიანია. სიყვარული განათლების პროცესზე ყოველმხრივ დადებითად აისახება. თუ მოსწავლეს თავისი მასწავლებელი და კონკრეტული საგანი უყვარს, იმ საგანს კარგად სწავლობს და წარმატებებსაც აღწევს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე გაკვეთილის ყველა ეტაპზე აქტიურადაა ჩართული და დისციპლინის დარღვევას არც კი გაივლებს გულში. სასწავლო გარემოში მასწავლებლის როლი და მისი დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ გადამწყვეტი როლის მატარებელია. მისი გულწრფელი დამოკიდებულებები მოსწავლეებში შიშსა და შფოთვებს აღმოფხვრის და ისინიც უფრო მეტი მომდომებით ისწავლიან. ასეთი მასწავლებელი მოსწავლეებს მუდმივად უქმნის ისეთ გარემოს, სადაც ისინი თავს შეუზღუდავად იგრძნობენ და თავიანთი აზრის დაფიქსირების არ მოერიდებათ. მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეების გულის მოგებას შეძლებს, ის საგანსაც უფრო იოლად ასწავლის და ბავშები მის გაკვეთილებს ხალისით დაესწრებიან. მოსწავლეები ასეთი მასწავლებლისგან მაგალითს იღებენ და ყველაფერში მასზე მიბაძვას დაიწყებენ. კვლევებით ცნობილია, რომ ბავშვები იმისგან იღებენ მაგალითს ვინც უყვართ და

არა მათგან ვისიც ეშინიათ. ხოლო თუ მუდმივი ძალადობის ქვეშ იზრდებიან, შემდეგში უმეტესწილად თავადაც მოძალადენი ხდებიან. ასევე ცნობილია, რომ თუ მოსწავლეს მასწავლებელი უყვარს, მას მისი საგანიც უყვარს და ეს პირდაპირ კავშირშია მის წარმატებასთან.

მოკლედ რომ ვთქვათ, მასწავლებელმა კლასში გულწრფელი, შინაგანი დისციპლინის ჩამოყალიბება უნდა უზრუნველყოს. მასწავლებელი უნდა გათავისუფლდეს ყველა იმ გარე ფაქტორისაგან, რომლებიც კლასში წესრიგის დამყარებისთვისაა შექმნილი და როგორც წესი სადამსჯელო ხასიათს ატარებს. მისი მთავარი დასაყრდენი მოსწავლეთა მიმართ პატივისცემა და სიყვარული უნდა იყოს. ის უნდა ცდილობდეს, რომ ყოველ მოსწავლეს მისცეს შანსი იყოს ჩამოყალიბებული, შემდგარი პიროვნება, რომელსაც კარგად მოქცევა მოსწონს და ამით იამაყებს. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ თითოეულ მოსწავლეს პასუხისმგებლობის გრძნობა განუვითაროს. ასეთ შემთხვევაში გარე ფაქტორების საჭიროება აღარც კი იარსებებს. საამისოდ კი საჭიროა კლასში ქცევის წესები მთელმა კლასმა ერთიანად შეიმუშავოს. როდესაც ქცევის წესებს მასწავლებელი კარნახობს, ან კედელზე აკრავს, მოსწავლეებს შინაგანი პროტესტი უჩნდებათ და წესების დაცვას არ ცდილობენ. ამასთანავე, მასწავლებელმა ზომიერი და გონივრული მეგზურობის წყალობით, მოსწავლეთა ქცევები და მათ მიერ შედგენილი ქცევის ნორმები ზნეობრივ ღირებულებებს უნდა დაუქვემდებაროს.

შემწყნარებლობა და სიყვარული, ამავდროულად ზომიერებასაც გულისხმობს. როგორც კი ზომიერების პრინციპი დაირღვევა, გულწრფელი სიყვარული საფრთხის ქვეშ დგება. ზომას გადაჭარბებული ყოველი ქმედება ურ-

თიერთობებს აზიანებს და შედეგად მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის განზიდვა და კონფლიქტები იჩენს თავს. ამრიგად, არც იმდენად სიმკაცრეა საჭირო, რომ მოსწავლეები შიშით ხმას ვერ იღებდნენ, და არც იმდენად ახლოს მისვლაა საჭირო, რომ მასწავლებელმა მოსწავლეებში ფამილარული ქცევები გამოიწვიოს. ეს ყველაფერი მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს და ყოველთვის ზომიერების ხაზით იაროს. როდესაც მასწავლებელი ზედმეტი სიახლოვის გამო მოსწავლეთა მხრიდან წამოსული ფამილარობით ზუხდება, შემდეგ უეცარ სიმკაცრეს ავლენს და ეს, ხშირ შემთხვევაში, მწვავე კონფლიქტში გადაიზრდება ხოლმე. არადა, სიყვარულისა და შემწყნარებლობის შედეგად ცუდი შედეგი არასოდეს დგება,ამიტომ მთავარია ზომიერება.

მოსწავლეების მიმართ სიყვარულისა და ლმობიერების გამოვლინება მხოლოდ ცარიელი სიტყვებითა და ღიმილით არ ხდება. აქ მტავარია რეალური მზრუნველობა და მუდმივი მცდელობა საიმისოდ, რომ მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა საჭირო უნარ-ჩვევები განივითარონ და ამასთანავე ზნეობრივი ღირებულებები გაითავისონ. ამ პროცესში მასწავლებელმა მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიყენოს და შემდეგ ამ ცოდნაზე დაყრდნობით მათი სრულყოფა სცადოს. როდესაც მოსწავლეს საგანშ წარმატება არ აქვს, ის ნერვიულობას დაიწყებს, გაუჩნდება წარუმატებლობის განცდა და საბოლოოდ შეიძლება არასრულფასოვნების კომპლექსიც კი გაუჩნდეს და ასეთ შემთხვევაში მასწავლებელთან სასურველ დამოკიდებულებას ვეღარ შეინარჩნებს. ის გაცივდება როგორც მასწავლებლისა და კონკრეტული საგნის მიმართ, ასევე შეიძლება ზოგადად სწავლაზეც აიცრუოს გული და ალტერნატიული გზების ძიება და-

იწყოს. მასწავლებლის ყოველი ინიციატივა და ქმედება მოსწავლის განათარებაზ უნდა იყოს ორიენტირებული. მზა ცოდნის მიწოდების მაგივრად უნდა ეცადოს, რომ მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარი განავითაროს და კონსქრუქციულობის პრინციპით იმოქმედოს, რათა მოსწავლეებმა ცოდნის შეძენისკენ მისასვლელი გზები თავად მონახონ. მასწავლებლის მთელი მცდელობა მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისა და შედეგიანი გაკვეთლების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. მოსწავლეს არ უნდა დავავალოთ ისეთი რთული რამ, რაც მის მოტივაციის შესუსტებას ან გულაცრუებას გამოიწვევს. მთავარია მივცეთ გზა და ამ საინტერესო სამყაროში წინსვლა ვასწავლოთ.

მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლისათვის გადასაცემი ინფორმაციის ლოგიკურობას. ლოგიკურობაში ინფორმაციის მოსწავლის ცოდნის დონესთან შესაბამისობა იგულისხმება. ახალი ინფორმაცია ძველ, წინარე ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული და მოსწავლეს მარტივიდან რთულისკენ პრინციპით უნდა მიეწოდოს. ცოდნის გამყარება შესაძლებელია, როგორც პირდაპირი მაგალითებით, ისე საპირისპირო არგუმენტებითაც. თუ საკითხი სასულიერო განათლებას ეხება, აქ ჭეშმარიტების საპირისპირო მიმართულებით სიღმეებში წასვლა სარისკოა, რადგან მოსწავლე შესაძლებელია პროცესის განმავლობაში წარმოქმნილი ეჭვებისგან ვეღარ გათავისუფლდეს და ხანგრძლივი, უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს.

მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესში არ უნდა დაავიწყდეს შუამავლის დარიგება: „გაუადვილეთ, ნუ გაუძნელებთ. გაახარეთ, ნუ შეაძულებთ“. (იხ. ბუჰარი, „ჯიჰად“ 164). მრავალმხრივი ცოდნა და ზოგადი კულტურა ის მნიშ-

ვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც სიყვარულს კვებავს. მასწავლებლის თავდაჯერებული, ზომიერად მოსიყვარულე ქცევები მოსწავლეზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და მისაბაძ მაგალითს წარმაოდგენს. თემასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს, განსაკუთრებით კი- მასწავლებლებისათვის.

„რაუფ ორბაისთან გისაუბრია? სოციალისტი რომ ხარ, ამაზე რას გეუბნება?

რაუფ ორბაის „ჩამორჩენილის“ დამღა მიაკერეს. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი, ვისაც ეს სჯეროდა. ერთხელ თავმოწონების მიზნით და იმის გამოსახატად, რომ როგორი „განათლებული“ ვარ, ვუთხარი, რომ კარლ მარქსს ვკუთულობდი. ბიძაჩემმა თავისებურად, შინაგანი გულწრფელობით გაიღიმა და მითხრა, კარგია, რომ კითხულობო. კარლ მარქსი უნდა წაიკითხო, შვილო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ლენინიც წაიკითხო. მე მეგონა მას გავაოცებდი, მაგრამ მისმა ასეთმა პასუხმა მე თვითონ ჩამაგდო შოკში. ბიძაჩემმა ისევ ისეთივე ღიმილით ტროცკისა და მისი შეხვედრის შესახებ მოყოლა დაიწყო. მე პარალელურად გაოგნებული ვუსმენდი და ვფიქრობდი, „ეს ვინ ყოფილა ბიძაჩემი და ამ ყველაფრით ნეტა რისი თქმა სურს?“ ამის მიუხადავად, მე მაინც ვფიქრტობდი, რომ ის „ჩამორჩენილი“ იყო. ეს ჩემი ახალგაზრდული, თავქარიანი გადაწყვეტილება იყო და აზრის შეცვლა არ მინდოდა. ამის გამო იყო, რომ ასეთი განათლებული ადამიანის გამოცდილებისგან ვერაფერი ვისწავლე. ის ხვდებოდა ჩემს განცდებსა და განწყობებს და ყოველთვის მშვიდად, დამრიგებლურად მესაუბრებო-

და. მის სახეზე ისეთი სიმშვიდე და თავდაჯერება იყო, რომ მსგავსი არასოდეს მინახავს. ჩემი დამოკიდებულებების მიუხედავად არასოდეს მკიცხავდა და ნეგატიურს არასოდეს მაგრძნობინებდა. ეს იყო სიყვარულისა და შემწყნარებლობის საოცარი გამოვლინება. მოგვიანებით კი, ჩემი ავადმყოფობის წლებში ეს ყველაფერი ისევ გავაანალიზე და ამ ანალიზმა საოცარი შინაგანი სიხალვათე მომიტანა. თვალი ამეხილა და შემდგომი ჩემი ცხოვრების ეთიკაზე დიდი გავლენა იქონია". (შასა, 2010: 74)

როგორც სონმეზი ამბობს, „აქამდე სიყვარული და ლმობიერება უმწეობად, სისუსტედ, ხოლო დაუნდობლობა, თაღლითობა და ავტორიტარიზმი სიძლიერად აღიქმება. არადა, სიყვარული ყველაზე დიდი ძალაა, ავტორიტარიზმი კი- უძლურება. სიყვარულისგან შემყნარებლობა, სიკეთე, თანადგომა, სამართლიანობა, გულწრფელობა და ერთგულება იბადება. როდესაც ადამიანს უყვარს, ის ხვდება, რომ მანამდე უძლური იყო. რაც უფრო უყვარს, უფრო მეტი სიყვარულის სურვილი უჩნდება და მეტი სიკეთის კეთებისკენ მიდრეკილი ხდება. ის სწავლობს თანადგომას, თანაგრძნობას, სიმართლეს და გულწრფელობას და ამით ბედნიერია. ამდენად, ადამიანი, რომელსაც სიყვარული შეუძლია, ყველა ამ თვისებიდან გამომდინარე, ყველაზე ძლიერი და თავდაჯერებულია".

ამრიგად, თუ მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობაში ემპათიას ადგილს მისცემს, ანუ საკუთარ თავს მოსწავლეების ადგილას დააყენებს და ისეთებს გაუგებს, როგორებიც არიან, ის გაცილებით მოსიყვარულე და შემწყნარებელი იქნება.

4.4. წაქეზება და მოტივაციის გაღვიძება

ისლამის ტრადიციის მიხედვით, მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეები წაახალისოს, მოტივაცია აუმაღლოს, მათი ნიჭისა და უნარების აღმოჩენასა და განვითარებაზე იზრუნოს, რათა სწავლა-სწავლების პროცესი მაქსიმალურად შედეგიანი იყოს. მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებში დადებითი განწყობები შექმნას და სწავლა არ შეაძულოს. მან ასევე უნდა აუხსნას, რომ სწავლა ჩენი ვალია და მცოდნე და უმეცარი ერთნაირი ვერ იქნება. ბუნებრივია, ამ ყველაფრის განხორციელებას სჭირდება პროფესიული უნარების ცოდნა და ყველა იმ ტექნიკის ფლობა, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტურ როლს ასრულებს. მასწავლებელმა შინაგანი და გარეგანი მოტივაციის შექმნის ხელოვნება კარგად უნდა იცოდეს. უნდა შეეძლოს მოსწავლის ინტერესების დადგენა, შემდეგ კი ამ ინტერესების გათვალისწინებით კონკრეტული ინფორმაციის შესაბამისი ფორმით მიწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ახალგაზრდები რჩევა-დარიგებების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებებით გამოირჩევიან. ეს ნიშნავს, რომ რჩევის მიცემის ფორმები არასწორადაა შერჩეული. მოსწავლეებმა ყველა იმ ინფორმაციის სიკეთე რომ გაითავისონ, რასაც მას მასწავლებლეი ასწავლის, რა თქმა უნდა მეტი სურვილი გაუჩნდებათ, რომ ისწავლონ. მადენად სწორი მიდგომაა საჭირო. მოსწავლემ სწავლის არცერთ ეტაპზე არ უნდა იფიქროს, რომ კონკრეტული ცოდნა არაფერში გამოადგება და ზედმეტად ტვირთავენ. ყოველი გაკვეთილი კონკრეტულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს ცოდნა ცხოვრების კონკრე-

ტული მიმართულებით სჭირდებათ და გამოადგებათ. ამ შემთხვევაში მათი მოტივაცია გაიზრდება და ისინი უფრო გულმოდგინედ ისწავლიან. ამგვარი შინაგანი მოტივაციის არსებობის შემთხვევაში მოსწავლის გარე მოტივაციის შექმნა გაცილებით იოლია. მოსწავლეთა მოტივაციის შესაქმნელად რა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ ზნეობრივი ფაქტორებიც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია. მოსწავლემ უნდა იცოდეს ყველა იმ ინფორმაციის ფასი და საჭიროება, რასაც ის სწავლობს და შესაბამისი დოზით პასუხისმგებლობა უნდა გააჩნდეს. მასწავლებელი ასევე უნდა ფლობდეს საკმარის ცოდნას საიმისოდ, რომ მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები დაადგინოს. შემდგომში მის მიერ შეთავაზებული ინფორმაცია და აქტივობები ამ ცოდნაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის წახალისებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების სპეციფიკას კარგად უნდა ფლობდეს და მოსწავლეთა წასახალისებლად ეფექტურად იყენებდეს. მოსწავლის შექება, ქცევის მოწონება, სიბეჯითის შემჩნევა და ამის დაფასება, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე კარგად მოქმედებს. მოსწავლე იმ ქცევას, რომელიც შეუქეს სამოდელოდ გაიხდის და შემდგომში შეეცდება, რომ იგივე ქცევები შეინარჩუნოს. ეს სხვებისთვისაც მისაბაძ მაგალითად იქცევა ხოლმე. მაგალითად, როდესაც გაკვეთლის მსვლელობისას მოსწავლე თავის ორიგინალურ ნააზრევს დააფიქსირებს და მასწავლებელი ამ ნაბიჯს შეუქებს, ეს მთელი კლასისთვის სამოდელო ქცევად იქცევა.

ეფექტური მასწავლებელი მოსწავლეს მიანიშნებს, რომ მისგან კონკრეტულ ქცევას ან წარმატებას ელოდება და

ამ მიმართულებით გაბედულებას შესძენს. მოსწავლეები მუდმივად აკვირდებიან მასწავლებელს და ქვეცნობიერის დონეზე მისი მოლოდინების გამოცნობას ცდილობენ. ისინი ამ ყველაფერს კარგად ხვდებიან. მასწავლებლის ზომიერად აღმავალი მოლოდინები მოსწავლეთა წარმატებაზე დადებითად მოქმედებს. რაც უფრო მეტია მოლოდინები, მით მეტია მოსწავლეთა მომდომებაც. დაღმავალი მოლოდინების შემთხვევაში მოსწავლეების შრომისუნარიანობა და მოტივაცია დაიკლებს. აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასწავლებლის დეკლარირებული მოლოდინები რეალისტური და მოსწავლეთა შესაძლებლობებთან შესაბამისი უნდა იყოს. გადაჭარბებული მოლოდინები დათრგუნვას და მოტივაციის კლებას იწვევს. შეუძლებელი მისიის დავალება წარუმატებლობისკენ მიმავალი გზაა.

მოსწავლის სწორი მიმართულებით წარმართვა და წარმატებისკენ მისასვლელი გზების გონივრულად დაგეგმვა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. მასწავლებელმა მოსწავლის შესაძლებლობები, ინტერესები და სურვილები უნდა გაითვალისწინოს და კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად შესაბამისი გზა შესთავაზოს. ყოველი ახალი ცოდნის მისაღებად, მოსწავლეს წინარე ცოდნა სჭირდება და მასწავლებელმა მისი წინარე ცოდნა უნდა გააქტიუროს, ხოლო ამის შემდეგ ახალი ინფორმაციის შესწავლის გზა შესთავაზოს. მაგალითად, მათემატიკის შემთხვევაში, თუ გვინდა, რომ მოსწავლეს გაყოფა ვასწავლოთ, მანამდე შეკრება და გამოკლება უნდა იცოდეს.

მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების გათვალსიწინებით, ყოველ მოსწავლეს ყველა საკითხის ერთნაირად დასწავლა არ შეუძლია. შეიძლება ზოგიერთი საკითხი ზოგი მოსწავლისთვის ადვილად

შესასწავლი იყოს, ხოლო ზოგისთვის- რთული. მასწავლებელმა ამ უკანასკნელთა სისუსტე კლასში განხილვის საგნად არ უნდა აქციოს, რადგან ეს მოსწავლეთა ღირსების შელახვის ალბათობას ზრდის. ეს იქნება მათი დაცინვისკენ პროვოცირება და რომც არავინ დასცინოს, სუსტი მოსწავლეები მაინც თავს ცუდად იგრძნობენ. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე გამბედაობას კარგავს და როგორც წესი შეკითხვების დასმასაც ერიდება. საბოლოო ჯამში მოსწავლე საგანს და სკოლასაც ნეგატიურად უყურებს და საბოლოო ჯამში შეიძლება შეიძულოს კიდეც. კვლევებით ცნობილია, რომ მასწავლებელთა ოდიოზურობის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი მათ მიერ მოსწავლეთა მიმართ დამამცირებელი მოპყრობა და დაცინვაა.

4.5. სამართლიანობა და მიუკერძოებლობა

ყოველი პარასკევის ლოცვის ხუტბა შემდეგი აიათით მთავრდება: „უეჭველად, ღმერთი ბრძანებს სამართლიანობას“. დიახ, ღმერთი გვიბრძანებს სამართლიანობას და ეს ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება. ღმერთი ყოვლად სამართლიანია და ის ჩვენგანაც სამართლიანობას მოითხოვს. ყოველი მორწმუნე მუსლიმის ერთ-ერთი ძირითადი თვისება და ვალდებლება სამართლიანობაა. ბუნებრივია, სწავლა-სწავლების პროცესში სამართლიანობის პრინციპის დაცვა და მისი სწორად გაგება გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. მასწავლებელი მოსწავლესთან სამართლიანი მოპყრობით უნდა გამოირჩეოდეს. სამართლიანი მასწავლებელი მოსწავლეთა მხრიდან სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს, ხოლო უსამართლო მასწავლებელი ცნობილია, როგორც მოძალადე.

სამართლიანი მასწავლებელი მოსწავლეებს ერთნანეთისგან არ განასხვავებს და ყველას მიმართ თანაბარი დამოკიდებულებები ექნება. დაუშვებელია რომელიმე მოსწავლის სხვა მოსწავლეებზე უპირატესად მიჩნევა, ან რომელიმე მოსწავლის სხვებისგან გამორჩევა და მის მიმართ დამამცირებელი ან ღირსების შემლახავი მოპყრობა. მასწავლებელი მოსწავლეებს ჯერ ადამიანებად და შემდეგ მოსწავლეებად უნდა განიხილავდეს და ყველას მიმართ მზრუნველი და თანასწორი დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს. დაუშვებელია მუდმივად ერთი მოსწავლის ამოჩემება და მხოლოდ მასთან მუშაობა. მასწავლებელმა ყველა მოსწავლის განვითარებაზე უნდა იზრუნოს და ყველას უნდა მოუძებნოს გზა, რითის მაქსიმუმ შედეგს მიაღწევს. ასევე მიუღებელია ზოგი მოსწავლის მიმართ ლმობიერების გამოცენა, ხოლო ზოგის მიმართ შეუწყნარაბელი დამოკიდებულების გამომჟღავნება. ეს ყველაფერი მასწავლებლის სამართლიანობის თვისებას არ შეესაბამება. მაგალითად, თუ მასწავლებელი ერთ მოსწავლეს დაგვიანების გამო საყვედურობს და მეორეს-არა, ეს ნიშნავს, რომ მათ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს და როგორც წესი, მოსწავლეები ამგვარი დამოკიდებულებების მიმართ ძალიან მგრძნობიარენი არიან. არასამართლიანი მასწავლებელი კლასში ნორმალურ სასწავლო გარემოს ვერ შექმნის და ყოველთვის დაძაბულობის პარალელურად მოუწევს მუშაობა. ასევე შესაძლებელია, რომ კლასშ იყოს მოსწავლეების ერთი ნაწილი, რომლებიც ყოველთვის წინ სხდებიან და გაკვეთილებშიც აქტიურად არიან ჩართული, ხოლო უკან მჯდომების გონება გაფანტულია და ისინი საგაკვეთილო აქტივობებში ნაკლებად არიან ჩართული. ამ დროს შესაძლებელია, რომ უკანა რიგში მსხდომთაგან რომელიმე იმ კონკრეტული საგნის ზედმიწევნით მცოდ-

ნე უნდა გახდეს და ძალიან დიდი წარმატებები ელოდეს. ერთი სიტყვით, მასწავლებელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს, რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა სრული შემადგენლობა ჩართოს.

მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებთან ურთიერთობისას ტენდენციურია, პედაგოგიური თვალსაზრისით პრობლემებს ქმნის. ამგვარი დამოკიდებულება მოსწავლეებში გულის გატეხვას, იმადგაცრუებასა და გულგრილობას იწვევს. მაგალითად, ერთ-ერთმა ლექტირმა გამოცდის წინ თქვა, რომ ერთი ჯგუფისგან უმაღლეს ქულებს ელოდებოდა, ხოლო მეორესგან-არა. მეორე ჯგუფის სტუდენტებმა ეს გააპროტესტეს და თქვეს, რომ აღარ დაწერდნენ და ცარიელი ფურცლების ჩაბარებას აპირებნენ. საგაკვეთილო პროცესს თუ დავაკვირდებით, მოსწავლეები მასწავლებლის მიდგომებს ხშირად აპროტესტებენ და ამგვარი პროტესტის უმეტესობა მასწავლებლის მხრიდან არასამართლიან მიდგომებს და ტენდენციურობას ეხება.

საგაკვეთილო პროცესში ყველასათვის თანაბარი შანსის მიცემა აუცილებელი პირობაა. როდესაც შუამავალთან ცოდნის მისაღებად მოდიოდნენ, ის ყველას თანაბრად ეპყრობოდა და არ განასხვავებდა მდიდარსა და ღარიბს, დიდგვაროვანსა და გლეხს, უფროსს და უმცროსს. თანაბარი პირობების გარეშე თავისუფალი შეჯიბრებითობის პრინციპი ირღვევა და ეს სამართლიანი არ იქნება. მოგვიანებით გაჩნდა მოსაზრება, რომ ზოგი ადამიანისთვის ცოდნის შეძენა უფრო საშიშია, რადგან ზნეობის გარეშე მიღებული ცოდნით ადამიანი ბოროტებას სჩადის და საზოგადოებისთვის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს. ამ უკანასკნელი მოსაზრების მიხედვით ცოდნის მიღება ყვე-

ლასთავის სასურველი არ არის, ეს კი ისლამის თავასწორობის პრინციპს არ შეესაბამება. ისლამი მოგვიწოდებს, რომ ცოდნა საყოველთაოა და ყოველ ადამიანს უფლება აქვს ისწავლოს და განვითარდეს.

ამრიგად, მასწავლებელმა ყველა მოსწავლეს სათანადო დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს. მიუღებელია, როდესაც მასწავლებელი ამბობს, რომ რომელიმე მოსწავლე უზრდელია და ის არ ისწავლის, ან ამის გამო ყურადღებას არ მიაქცევს. უნდა გვახსოვდეს შუამავალის ცხოვრებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. შუამავალმა თავისი საყვარელი ბიძის მკვლელი შეიწყალა, არ დასაჯა და მისცა შანსი მორწმუნე მუსლიმი გამხდარიყო. მასწავლებლის მისია ეს არის. მას ერთნაირი ხასიათის, ზრდილობის და უნერების მქონე მოსწავლეები არ ეყოლება. მან უნდა ეცადოს, რომ ყველას უნარები და დონე შეისწავლოს და შემდეგ სწავლების პროცესი შესაბამისად დაგეგმოს.

ცოდნა და ცოდნის გამოყენება სხვა და სხვა რამეა. მაგალითად, ატომური ენერგია შესაძლებელია კეთილი მიზნებისთვის გამოვიყენოთ, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ატომური ბომბი დავამზადოთ და მასობრივი მკვლელობის იარაღი მივიღოთ.

მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლისათვის გადასაცემი ინფორმაციის ლოგიკურობას. ლოგიკურობაში ინფორმაციის მოსწავლის ცოდნის დონესთან შესაბამისობა იგულისხმება. ახალი ინფორმაცია ძველ, წინარე ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული და მოსწავლეს მარტივიდან რთულისკენ პრინციპით უნდა მიეწოდოს. ცოდნის გამყარება შესაძლებელია, როგორც პირდაპირი მაგალითებით, ისე საპირისპირო არგუმენტებითაც. თუ

საკითხი სასულიერო განათლებას ეხება, აქ ჭეშმარიტების საპირისპირო მიმართულებით სიღმეებში წასვლა სარისკოა, რადგან მოსწავლე შესაძლებელია პროცესის განმავლობაში წარმოქმნილი ეჭვებისგან ვეღარ გათავისუფლდეს და ხანგრძლივი, უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი! და არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან; და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ“. (მაიდე, 5/8) ანრიგად, მასწავლებელმა ტენდენციურობა, სიძულვილი და უარყოფთი დამოკიდებულება არ უნდა გამოამჟღავნოს და ამის გამო მოსწავლე არ დასაჯოს. დაუშვებელია მისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და მოსწავლის დაუმსახურებელი ფორმებით დასჯა. მასწავლებლის მიდგომები მოსწავლის ქცევების გამოსოწრებასა და მისი ზნეობის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს.

როდესაც მასწავლებელი თვლის, რომ მისი ცოდნა ჭეშმარიტებაა და მას შეუძლია ეს ცოდნა სხვებსაც გაუზიაროს, ეს სრულად დამშვიდების საშუალებას არ უნდა აძლევდეს და მან აღნიშნული ცოდნის შესახებ მტკიცებულებების მოძიება ისევ უნდა განაგრძოს. მასწავლებელმა მოსწავლეებისგან ასევე არ უნდა მოითხოვოს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და საკითან დაკავშრებით ალტერნატიული აზრი არ არსებობს. პირიქით, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა გამოწვევა, რათა სცადონ ინფორმაციის გაანალიზება და უფრო მეტის მოძიება. მასწავლებელმა მოსწავლეები კრიტიკულ აზროვნებას უნდა მიაჩვიოს და

ასევე შეუქმნას მოტივაცია საიმისოდ, რომ ბრმად რაიმის დაზეპირება უსარგებლოა და საჭიროა საკითხის გონების ფილტრში გატარება, რათა ის სასარგებლო ცოდნად ჩამოყალიბდეს.

მუსლიმი მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს ისე უყურებს, როგორც თანამშრომლობას და ამ პროცესში ორივე მხარე ისეა ჩართული, რომ თავის მხრივ ცოდნას იღებენ და ვითარდებიან. აღნიშნული გარემოს შექმნა მასწავლებლის პრეროგატივაა და მასწავლებელმა საამისოდ ყველა შესაძლო მეთოდს უნდა მიმართოს. ამგვარი თანამშრომლობისთვის მზად ყოფნა და შესაბამისი გარემოს შექმნა ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული აქტორები მზაობას გამოხატავენ ყველა სახის სასარგებლო ცოდნის მიღებისა და განვითარებისათვის. მასწავლებელი, რომელმაც თავისი ადგილი და მნიშვნელობა კარგად იცის, მოსწავლისთვისაც საუკეთესო მაგალითია და შესაბამისად მოსწავლეებიც ყოველთვის ზრდილობის იმ ჩარჩოებში დარჩებიან, რომელიც ზოგადად მიღებულია. ამრიგად, სწავლა-სწავლების პროცესი მაშინაა გამართლებული, როდესაც მასწავლებელი სწავლების დროს თავადაც სწავლობს და ვითარდება. სულ მარტივად რომ შევხედოთ, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს მეთოდს, რომელმაც ერთხელ არ გაამართლა და შემდეგში უკეთესი აქტივობით უნდა ჩაანაცვლოს. ეს არის მარტივი ჭეშმარიტება. მასწავლებელი ასევე ღია უნდა იყოს ყველანაირი შეკითხვისა და თუნდაც კრიტიკის მიმართ. შეკითხვებს კომპეტენციის ფარგლებში უნდა პასუხობდეს, ხოლო კრიტიკის მიმართ გულისხმიერება და გონივრულობა მართებს, რათა შესაბამისი დასკვნები გააკეთოს და შემდგომში უკეთესი შედეგი დადგეს. როდესაც მოსწავლეებიდან რომელიმე დააფიქსირებს რაიმე უკმაყოფილე-

ბას და მიგვანიშნებს, რომ სამართლიანად არ მოვიქეცით, ჩვენ შინაგანად მადლობელი უნდა ვიყოთ და პრობლემა უმტკივნეულოდ გამოვასწოროთ. მასწავლებელი ასევე ხელს უწყობს გარემოს სადაც მისაღებია კრიტიკული აზროვნება და კონსტრუქციული სწავლება. სადაც ასეთი გარემო არ არის, იქ არც წარმატებაა მოსალოდნელი. როდესაც გარემო დამთრგუნველია, მოსწავლე შეკითხვის დასმასაც ვერ ბედავს და ინდიფერენტული ხდება, რაც აუცილებლად აისახება შედეგზე. მუდმივად ტუქსვის რეჟიმში მყოფი მოსწავლე კამათს, მსჯელობას, ანალიზსა და შეფასებას ვერ შეძლებს და განათლების პროცესისათვის ესოდენ მნიშვნელვანი ფაქტორებისგან შორს დარჩება.

მასწავლებლის კიდევ ერთი საჭირო თვისება გულახდილობაა. როდესაც მასწავლებელმა რაღაც საკითხი არ იცის, ვალდებულად არ უნდა ჩათვალოს თავი, რომ ეს ყველაფერი დამალოს. მას უნდა ჰქონდეს საკმარისი გამბედაობა და გულწრფელობა, რომ აღიაროს და შემდეგ ერთად მოიძიონ საჭირო ინფორმაცია. ისლამის დამოკიდებულება ასეთია: როდესაც მასწავლებელს ისეთ რამეს ეკითხებიან, რაც არ იცის, მან უნდა თქვას, რომ არ იცის. ამ შემთხვევაში პასუხი „არ ვიცი“ ცოდნას ნიშნავს. ანუ მან უფრო მნიშვნელოვანი რამ იცის. ესაა გულწრფელობა და აღიარება. როდესაც სწავლული ამბობს „არ ვიცი“ ეს ცოდნის ნახევარია. ამრიგად, მასწავლებელს უნდა ეყოს გამბედაობა და გულახდილობა, რომ თქვას, „არ ვიცი“. ეს კარგი მაგალითი იქნება მოსწავლეებისთვისაც. განათლებული ადამიანის მიერ იმის აღიარება, რომ რაღაც არ იცის, მის ღირსებას ან სახელს არ დააზიანებს. ეს მხოლოდ უმეცრებს გონიათ, რომ ამის თქმა სირცხვილია. იმის აღიარება, რომ რაღაც არ ვიცით, ჩვენს მორწმუნეობაზე, გულწრფელობასა და ღირსებაზე მიუთითებს. არცოდნის აღიარებას მხოლოდ

უმეცრები და სუსტი რწმენის მქონენი გაურბიან. ასეთებს ეშინიათ, რომ სიმართლის აღიარების გამო ვინმეს თვალში დამცირდებიან და ასეთ ყალბ სახეს იმარჩუნებენ. საბოლოო ჯამში სიმართლე მაინც გამომჟღავნდება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

4.6. მოსწავლეებზე მრავალი მიმართულებით თანადგომა

ისლამის ტრაციულ საგანმანათლებლო სისტემაში მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ მრავალმხრივი მხარდაჭერა მისაღები და სასურველი ფორმაა. იბნ ჯემაა ამბობს, რომ თუ მასწავლებელს საკუთარი ფინანსური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული აქვს და ამის გარდა შესაძ ებლობა გააჩნია, სასურველია, რომ თავის მოსწავლეებს დაეხმაროს. ბუნებრივია ცოდნის გადაცემა და მორალური მხარდაჭერა მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა. ეს ზოგადი მორწმუნეობრივი ვალდებულებაა. როდესაც მორწმუნე სხვა ეხმარება, ღმერთი მასაც შეეწევა. ვინც მორწმუნე ძმის საჭიროებას დააკმაყოფილებს, ღმერთიც მის საჭიროებების დაკმაყოფილებისას შეეწევა. ვინც განსაცდელში ჩავარდნილ მორწმუნე ძმას დაეხმარება, განკითხვის დღეს ღმერთი მასაც განსაცდელს აარიდებს. აქედან გამომდინარე, წარმოიდგინეთ რაოდენ მადლია ადამიანზე განათლების მიცემა და ამ პროცესში დახმარების გაწევა.

ისლამური ტრადიციის მიხედვით მასწავლებლის სიტყვისა და საქმის ერთიანობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ისეთ მასწავლებელებს, რომელთა სიტყვა და ქცევა

ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ნდობას არ უცხადებდნენ და შვილები მათთან სასწავლებლად არ მიჰყავდათ. ისლამის განათლების ტრადიცია გვასწავლის, რომ მასწავლებელი მხოლოდ კონკრეტული მეცნიერების მცოდნე ადამიანი კი არ არის, ის ამავდროულად ზნეობრივად ამაღლებული ადამიანია და აღსაზრდელებს კონკრეტულ მეცნიერებასთან ერთად ზნეობასაც უნდა ასწავლიდეს. უფრო მეტიც, მასწავლებლის ეს უკანასკნელი თვისება უფრო მნიშვნელოვანი იყო. მასწავლებლის ყოველი სიტყვა, მანერა და ქცევა მოსწავლეებისთვის ერთგვარ გზავნილს წარმოადგენს და მაგალითის ეფექტი გააჩნია. მორალის სწავლება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ეს მორალი გათავისებული გვაქვს, გვჯერა, გვწამს და ამ მორალის შესაბამისად ვცხოვრობთ. შესაბამისად, მასწავლებელი თავად უნდა ასრულებდეს ყველა იმ პირობას, რასაც ამბობს და რასაც მოსწავლეებისგან მოელის. საგანმანათლებლო რეალობაც იგივეს ადასტურებს. ნებისმიერი თეზისი, რომელსაც ბავშვებს ვაწვდით, აუცილებელია პრაქტიკული თვალსაზრისითაც გამოიცადოს, რათა კონკრეტული თეზისის მიმართ ცოდნა გამყარებულად ჩაითვალოს.

როდესაც კარგი ზნეობის მქონე მასწავლებელზე ვასუბრობთ, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ავტორიტეტი, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და ამასთანავე ყველა იმ მოლოდინს უნდა ამართლებდეს, რასაც მისგან მოსწავლეები ან საზოგადოება მოელის. ის ისეთივე უნდა იყოს კლასში, როგორიც ცხოვრებაშია. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებისგან ისეთ რამეს ითხოვს, რასაც თავად არ აკეთებს, ეს სასიამოვნო არ გახლავთ. როდესაც მასწავლებლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მოსწავლეებში ავტორიტეტს ვერ მოიხვეჭს. შესაბამისად არ მისი სიტყვა იქნება დაფასებული. მაგალითად, თუ

მასწავლებელი გაკვეთლზე აგვიანებს, მას უფლება აღარ აქვს მოსწავლეს დაგვიანების გამო უსაყვედუროს. ასევე, თუ მასწავლებელი გაკვეთილზე მოუმზადებელი შედის, მას უფლება აღარ აქვს მოსწავლეებს იგივეს გამო უსაყვედუროს. თუ მასწავლებელი მოსწავლეთა ღირსებას არაფრად აგდებს და შეურაცხყოფას აყენებს, მას უფლება აღარ აქვს მოსწავლეებისგან პატივისცემა მოითხოვოს. ასეთ შემთავევაში მასწავლებელს უფლება აღარ აქვს ზოგადად სამართლიანობაზე ისაუბროს. გარდა ამისა, ცვალებადი ხასიათის მქონე მასწავლებელი, რომელიც ერთ დღეს რაღაც განსხვავებულს ამტკიცებს და მეორე დღეს საპირისპირო პოზიციას ავლენს, მოსწავლეებში დაბნეულობას და ორჭოფობას გამოიწვევს და შედეგად მის ყოველ სიტყვას ეჭვის თვალით შეხედავენ. ბუნებრივია მისი ინიციატივები ან სუსტი რეაგირებით ჰპოვებს გამოძახილს, ან საერთოდ ვერ ჰპოვებს. ან კიდევ, ვთქვათ მასწავლებელმა მოსწავლეებს რაღაც პირობა მისცა და ვერ შეასრულა, მაგრამ შემდეგ შეუსრულებლობის მიზეზი არ განუმარტავს და ამის გამო წუხილი არ გამოუთქვამს. ეს ფაქტი მოსწავლეებში ძალიან უარყოფით განცდებს წარმოშობს და შედეგად ამ მასწავლებლის ავტორიტეტის დაცემას გამოიწვევს. თუ მასწავლებელი გაკვეთილზე აგვიანებს, გაკვეთილის მსვლელობისას არასაგაკვეთილო ქცევებს ავლენს და ზერელე დამოკიდებულება გააჩნია, მაშინ ის ბავშვებს არა ზნეობა, არამედ უზნეობას ასწავლის. შემდგომში მისი მოსწავლეებიდან თუ რომელიმე ბიზნესმენი გახდება, მოსალოდნელია, რომ არაკეთილსინდისიერად მოიქცეს და თუნდაც გადასახადები დამალოს. ამრიგად, ზნეობის სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდი მაგალითის მიცემაა. ახლა მოგიყვებით ამბავს, რომელიც ამ საკითხში გარკვეულ სიცხადეს შეიტანს:

„დაწყებითი სკოლის მეხუთე კლასში ვიყავი. ჩვენს კლასში ახალი მასწავლებელი შემოვიდა. პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ძალიან გამოცდილი მასწავლებელი იყო. ჯერ კიდევ პირველივე გაკვეთილზე ყველანი ერთად შევთანხმდით სამოქმედო გეგმაზე, დავალება იქნებოდა, სავარჯიშოების სპეციფიკა, ექსკურსია, საკლასო დისციპლინა, მორიგეობა, სისუფთავის დაცვა თუ სხვა. ამ დებულებებს შორის იყო ერთი ასეთი დებულება. მოსწავლე, რომელიც გაკვეთილზე დააგვიანებდა, კლასში შემოსვლისას ბოდიშს იხდიდა, შემდეგ თავის ადგილზე ჯდებოდა და გაკვეთილის ბოლოს დაგვიანების მიზეზს განმარტავდა. ორი კვირა ისე გავიდა გაკვეთილზე არავის დაუგვიანია. ზამთარში, სიცივეში, ქარბუქში, მოკლედ ყველანაირ პირობებში სკოლაში დროულად მივდიოდით და გაკვეთილებზე არ ვაგვიანებდით. ერთ დღესაც ჩვენი მასწავლებელი არ მოვიდა. გავიდა ათი წუთი და ის კიდევ არ ჩანდა. ჩვენ კლასის ორგანიზატორი და ორი სხვა მოსწავლე კლასის ხელმძღვანელთან გავგზავნეთ. ცოტა ხნის შემდეგ კლასის ხელმძღვანელი, ჩვენი მასწავლებელი და ჩვენი კლასელები კლასში შემოვიდნენ. კლასის ხელმძღვანელმა გვითხრა, რომ ჩვენს მასწავლებელს სამი წუთი შეაგვიანდა, რადგან მეუღლე ავად გაუხდა და ექიმთან ჰყავდა წაყვანილი. ის ამის გამო ჩემთან მოვიდა, ბოდიში მოიხადა და გაკვეთლზე შესვლის ნებართვა გვთხოვა, მეც და თქვენცო. მე მას გაკვეთილზე შემოსვლის ნებართვას ვაძლევ და თუ თქვენც უფლებას მისცემთ გაკვეთილზე შემოვა. მთელ კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ასეთი რამ ჯერ არ გვენახა. წინა მასწავლებლები გამახსენდა. ისინი ხშირად აგვიანებდნენ და როცა მოდიოდნენ იქაც მათი ქცევები არაპროგნოზირებადი იყო. ჩვენ ძალიან გაოცებული ვიყავით. მერე უცებ ყველამ ერთხ-

მად წამოვიძახეთ, რომ მასწავლებლის კლასში შემოსვლა გვინდოდა. ყველას თვალები ცრემლით გვქონდა სავსე. სწორედ ამ დროს გულში მტკიცედ გადავწყვიტე, რომ მეც ყოველთვის ჩემი მასწავლებლის მსგავსად მოვიქცეოდი. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ მეც ადამიანი ვიყავი, მეც რაღაცას წარმოვადგენდი და ჩემგანაც ნებართვას იღებდნენ“.

4.7. ცოდნის გაცემისას ხელგაშლილობა

ისლამის მიხედვით მორწმუნე მუსლიმი ვალდებულია მიღებული ცოდნა სხვებსაც გაუნაწილოს. „ყველაზე მადლიანი მოწყალება მუსლიმის მიერ მუსლიმზე ცოდნის შესწავლებაა“. (იხ. იბნ მეჯჯ, „სუნნეთ“ 20) თუ მცოდნე ადამიანი თავის ცოდნას მალავს და სხვებს არ ასწავლის, ეს დიდი უსამართლობაა. (იხ. ბაყარა, 2/140, 159, 174; ალი იმრანი, 3/187). ასეთ ადამიანებს განკითხვის დღეს ცეცხლის ლაგამი ელოდებათ. (იხ. თირმიზი, „ილიმ“ 3) ცოდნა გაზიარებით მრავლდება. სწავლული ადამიანი ვალდებულია თავისი ცოდნა სხვებსაც გაუზიაროს.

როდესაც სწავლული ადამიანი თავის ცოდნას სხვებს არ უზიარებს, ერთის მხრივ თავისი არსებობის მიზანს უარყოფს. სწავლულები იმისათვის არსებობენ, რომ მათ თავიანთი ცოდნა სხვებს უნდა გაუზიარონ. გამომდინარე აქედან, ყოველი მასწავლებელი ვალდებულია თავისი ცოდნა მოსწავლეებს გადასცეს და საამისოდ ყველა შესაფერისი გზა მონახოს. შესაფერის გზაში მოიზრება ყველა ის მეთოდი, რომლებსაც პედაგოგი უნდა ფლობდეს, რათა მოსწავლეებს ცოდნის შეძენა იოლად შეეძლოთ. თ მასწავლებელი ასე არ მოიქცევა, მისი ქმედება სარგებე-

ლის ნაცვლად ზიანის მომტანი გახდება. როგორც ყველა საკითხში, აქაც ზომიერება მთავარი პრინციპია. როდესაც მასწავლებლის მიერ მოსწავლეებზე ცოდნის გადაცემის მეთოდებზე ვსაუბრობთ, აქ მნიშვნელოვანია ასევე მოსწავლეთა აქტიურობა და ჩართლობა. დასმულ შეკითხვებს მასწავლებელმა ამომწურავი პასუხი უნდა გასცეს. ბუნებრივია მოსწავლეებისთვის ცოდნის ან ცოდნის ნაწილის დამალვა წარმოუდგენელი და მიუღებელია.

ისლამის დოქტრინა, მისი ძირითადი ღირებულებები უცვლელია, თუმცა განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებმა შესაძლებელია ისინი განსხვავებულ ჭრილში დაინახონ. მასწავლებლის მოვალეობაა დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები და მოთხოვნილებები და მათთვის საჭირო ცოდნა შესაბამისი ფორმით გადასცეს. როდესაც გარეული ფრინველი თავის ბარტყს ნანადირევს მიუტანს, ჯერ დაუქუცმაცებს და ისე აწოდებს, რათა ბარტყმა მისთ კვება შეძლოს.

4.8. მოსწავლეებთან ურთიერთობისას ზომიერების დაცვა

მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს თავისი პროფესიის სერიოზულობა და მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა და ამ განწყობის კვალდაკვალ მოსწავლეებთან მეგობრული და გულითადი ურტთიერთბები უნდა ჩამოაყალიბოს. ყველა ის ქცევა და დამოკიდებულება, რომლებიც სწავლა/სწავლების პროცესს დააზიანებს, სასურველი არ არის. მასწავლებელი ყოველი მიმართულებით ზომიერებას უნდა იცავდეს. მოსწავლეებთან ზედმეტად დაშო-

რება და ასევე ზედმეტი სიახლოვე ნეგატიური შედეგების მომტანია. სერიოზულობის სახელით ზედმეტი სიმკაცრე და უხეშობა ისეთვე მიუღებელია, როგორც მეგობრული ურთიერთობების სახელით ზედმეტი სიახლოვე და მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ზღვარის წაშლა. მასწავლებლის ზედმეტი სიმკაცრე საგაკვეთლო პროცესში დაძაბულობას შეიტანს და მოსწავლეთა აქტიურ ჩართლობას შეაფერხებს. საბოლოო ჯამში იგივე შედეგს მივიღებთ, თუ მასწავლებელი მოსწავლეებთან ურთიერთობაში ზღვარს წაშლის, რადგან სასწავლო პროცესი ამ შემთხვევაშიც მოიშლება.

მასწავლებელი, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი აქტორი, თავმდაბლობისა და ზრდილობის საკითხებშიც ლიდერის პოზიციაზე უნდა იდგეს. ღირსეული მასწავლებელი ყოველთვის გაწონასწორებული, ზომიერი, ზრდილობიანი და თავმდაბალია. ის არ ამბობს და არ აკეთებს ისეთ რამეებს, რაც მის ღირსებას ეჭვს ქვეშ დააყენებს. მასწაველებელს ასევე არ შეეფერება მედიდურობა და ჭარბი თავდაჯერებულობის გამოხატვა. ზომიერება ყველაზე საუკეთესო გზაა, რომელიც მასწავლებელმა უნდა აირჩიოს. თავაზიანობა განათლების, ღირსების, კეთილი გულისა და მორწმუნეობის გამოხატულებაა. ამპარტავნება კი პირდაპირ კავშირშია ისეთ ნეგატიურ გრძნობებთან, როგორიცაა შური, ბოღმა, სიძუნწე, ეგოიზმი, სიძულვილი თუ სხვა.

მასწავლებელი, რომელსაც თავმდაბლობა ახასიათებს, შეუძლია შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი თავისუფლად და შინაარსიანად წარიმართება. ასეთი გარემო მოსწავლეთა მოტივაციას აამაღლებს და სწავლა უფრო შედეგიანი იქნება. როდე-

საც მასწავლებელი თავაზიანად იქცევა მოსწავლეებიც იგივეს სწავლობენ და ისინიც თავაზიანად მოიქცევიან. ისინი გააცნობიერებენ, რომ ღირსეულ და სამაგალითო ადამიანს თავმდაბლობა შეეფერება. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის თავმდაბლობის მიზეზი ან მიზანი მხოლოდ მოსწავლეთა მხრიდან საპასუხო თავაზიანობის მოლოდინი არ უნდა იყოს. თავმდაბლობა მისი ზნეობრივი მდგომარეობა და პიროვნული თვისება უნდა იყოს. გავიხსენოთ ამბავი, რომელიც შუამავლის ცხოვრების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. როდესაც უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანი შუამავლის წინაშე წარსდგა, შიშისგან კანკალი აუტყდა, შუამავალმა ის დაამშვიდა და უთხრა: „ნუ კანკალებ მეგობარო! მე მეფე არ ვარ. მე ერთ-ერთი ყურეიში ქალის შვილი ვარ, რომელიც ხმელი პურით იკვებებოდა“. (იხ. იბნ მაჯე, ეთიმე 30)

იბნ ჯემა ასევე საუბრებს მასწავლებელზე და მის თვისებებზე: „როდესაც მასწავლებელი ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე მართალია, ის თავის მოსწავლეებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მას კითხვით მიმართავს, თავაზიანად მოექცევა. ხალხთან ურთიერთობისას მასწავლებელი ლმობიერი და კეთილმოუბარი უნდა იყოს. ღმერთი შუამავალს მოუწოდებდა, რომ მიმდევრებთან მიმართებაში თავმდაბალი და თბილი ყოფილიყო. (იხ. შუარა 26/215). ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავალი ბრძანებს: „ჭეშმარიტად, ღმერთმა ლმობიერება მიბრძანა. ვინც ღვთის გულისათვის თავმდაბლად მოიქცევა, ღმერთი მას აამაღლებს“. როდესაც ეს ყველა ადამიანს ეხება და თავმდაბლობის შემთხვევაში ესოდენ დიდი ჯილდოა დაწესებული, საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩაბმულ ადამიანებს მითუმეტეს მოეთხოვებათ ისეთი დადებით თვისების ქონა, როგორიცაა თავმდაბლობა. ურთიერთობის დროს თავმ-

დაბლობა დიდად სასიამოვნოა და ურთიერთობის უფრო გაძლიერებას უწყობს ხელს. ფუდაილი ამბობს: „ვინც ღვთის გულისათვის თავმდაბლობას გამოიჩენს, ღმერთი მას სიბრძნეს მიანიჭებს. მასწავლებელი გამორჩეულ მოსწავლეებს ლამაზი სახელებით მიმართავს. აღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა ჰზ. აიშეს მიერ გადმოცემულ ჰადისს, რომლის მიხედვითაც შუამავალი გამორჩეულ მეგობრებს ლამაზ მეტსახელებს არქმევდა, რათა მათ სიხარული გამოეწვია. ამრიგად, ლამაზი ურთიერთობა, მისალმება, ერთმეორის დაპატიჟება, პატივისცემა, ერთმანეთის მოკითხვა, დახმარების გაწევა და სხვა მსგავსი დამოკიდებულებები ურთიერთობებს ალამაზებს და ადამიანთა შორის სიყვარულს აძლიერებს. ეს ეხება მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობებსაც. კლასში ან კლასის გარეთ ურთიერთობისას ურთიერთპატივისცემა და თავაზიანობა ის აუცილებელი ფაქტორებია, რომლებიც მათ ურთიერთობას ძირითად ხაზად უნდა გასდევდეს. როდესაც მასწავლებელი მოსწავლეს უღიმის, კარგად ეპყრობა და აგრძნობინებს, რომ მასზე ზრუნავს, მოსწავლეც მშვიდადაა, თავს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და აღარც კითხვის დასმა მოერიდება.

საკითხავი ნაწილი

მასწავლებელი

მასწავლებელს ქალბატონი ტომპსონი ერქვა. როდესაც პირველად მეხუთე კლასის მოსწავლეების წინაშე წარსდგა, ტყუილი თქვა. როგორც მასწავლებლების უმეტესობა აკეთებს ხოლმე, ყველას გადახედა და უთხრა, რომ ყველანი თანაბრად უყვარდა. ეს შეუძლებელი იყო, რადგან იმ კლასში წინა მერხზე ერთ პატარა მოსწავლე ტედი სტოდარდი იჯდა. გასულ წელს ქალბატონი ტომპსონი ტედის აკვირდებოდა. ტედი სხვა ბავშვებთან ერთად არ თამაშობდა, ტანსაცმელიც ძველი და ჭუჭყიანი ეცვა და შესაძლოა ძალიან უბედურიც ყოფილიყო.

სკოლაში ქალბატონ ტომპსონს მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლა ჰქონდა დავალებული და მან ტედის პირადი საქმის შესწავლა ყველაზე ბოლოსთვის მოიტოვა. როდესაც ის ტედის პირად საქმეს სწავლობდა, გაოცება ვერ დამალა. პირველი კლასის მასწავლებელი ტედის შემდეგნაირად ახასიათებდა: „ტედი გონიერი ბავშვია. ის ყოველთვის მზადაა ღიმილისთვის. დავალებებს ყოველთვის გულმოდგინედ ასრულებს და გამოირჩევა ძალიან კარგი ზრდილობით. მეგობრებს მასთან ერთად ყოფნა ძალიან აბედნიერებთ“.

მეორე კლასის მასწავლებელი: „ტედი ძალიან კარგი მოსწავლეა. ყველას უყვარს. ბოლო დროს მოწყენილობა ემჩნევა, რადგან დედამისი უკურნებელი სენითაა დაავადებული და ჩემი აზრით ტედის ოჯახური ცხოვრება გაურთულდა“.

მესამე კლასის მასწავლებელი: „დედის გარდაცვალებამ ტედიზე ძალიან იმოქმედა. მამა სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს, ამიტომ საჭიროა რაიმე ღონისძიებების გატარება, რადგან ტედის ოჯახური პირობები მასზე უარყოფით გავლენას მოახდდენს“.

მეოთხე კალსის მასწავლებელი: „ტედი საკუთარ თავშია ჩაკეტილი, გაკვეთილებს ყურადღებას არ აქცევს, მეგობრები არ ჰყავს და ხშირად გაკვეთილის მსვლელობისას სძინავს“.

ქალბატონი ტომპსონი ყველაფერს მიხვდა და ძალიან შერცხვა. როდესაც მოსწავლეებმა საახალწლოდ ლამაზად შეფუთული საჩუქრები მიართვეს, თავი უფრო ცუდად იგრძნო. ტედის საჩუქარი ყავისფერ, ძველ ქაღალდში იყო შეხვეული. ეს სხვა მოსწავლეებმაც დაინახეს და ქალბატონმა ტომპსონმა თავი უფრო ცუდად იგრძნო.

ზოგიერთ ბავშვს გაეცინა კიდეც, როდესაც დაინახეს, რომ ტედის საჩუქარი ნახევრად გახუნებული სამაჯური და ნახევრად დაცლილი სუნამო იყო, მაგრამ მასწავლებელმა სამაჯური ძალიან მოიწონა და სუნამოც დაისხა. მისმა ამ მოქმედებამ ბავშვები დაასერიოზულა და სიცილი შეწყვიტეს. გაკვეთილების შემდეგ ტედი ქალბატონ ტომპსონს მიუახლოვდა და ასე უთხრა: „ქალბატონო ტომპსონ, დღეს მთელი დღე დედაჩემის სურნელი გქონდათ“.

როდესაც ბავშვები წავიდნენ ქალბატონი ტომპსონი დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ტიროდა. ამ დღის შემდეგ ტედის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მასთან მუშაობის პროცესში ტომპსონმა იგრძნო რომ ტედის გონება ეხსნებოდა. მასწავლებლეი გამბედაობას აძლევდა, ახალისებდა და ეს ტედიზე დადებითად მოქმედებდა. სასწავლო წლის ბოლოს ტედი ერთ-ერთ მოწინავე მოსწავლე იყო და ყველა მასწავლებელს უყვარდა.

ერთ წლის შემდეგ ქალბატონმა ტომპსონმა სახლის კართან დატოვებული წერილი ნახა. წერილი ტედისგან იყო. ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი ხარო, წერდა ტედი. ამ წერილის შემდეგ ექვსი წელი გავიდა და ქალბატონ ტომპსონს კიდევ ერთ წერილი მოუვიდა. ტედის ლიცეუმი დაემთავრებინა და კლასის საუკეთესო სამეულში მოხვედრილიყო. ყველაზე კარგი მასწავლებელი ხარ, ვისაც კი ვიცნობო, წერდა ტედი. ოთხი წლის შემდეგ ტომპსონს კიდევ ერთ წერილი მოუვიდა. ტედი უნივერსიტეტს ამთავრებდა. ბევრი შრომა სჭირდებოდა, რომ კარგი ქულებით დაესრულებინა. საუკეთესო ხარ, ვინც კი ოდესმე შემხვედრიო, წერდა ისევ.

ამის შემდეგ ოთხი წელი ისევ გავიდა და ტედისგან კიდევ ერთ წერილი მოვიდა. უნივერსიტეტი საუკეთესო ქულებით დავამთავრე, მაგრამ უფრო მეტის მიღწევა მსურსო, წერდა ის. შენ ისევ საუკეთესო მასწავლებელი ხარ და ძალიან მიყვარხარო, წერდა ის. წერილის ბოლოს ხეომოწერა უკვე სხვანაირი იყო. მედიცინის დოქტორი ტედი.

ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. გაზაფხულზე ტედისგან კიდევ ერთი წერილი მოვიდა. ტედი წერდა, რომ შეყვარებული ჰყავს და დაქორწინებას აპირებდა. ტედი

ასევე წერდა, რომ მამაც გარდაეცვალა, ამიტომ სთხოვდა, ქორწილში მშობლებისთვის განკუთვნილ ადგილას თუ დაჯდებოდა და ტედის მშობლების მოვალეობას თუ შეასრულებდა. ქალბატონი ტომპსონი, რა თქმა უნდა , დათანხმდა, ქორწიში მივიდა და თან ტედის ნაჩუქარი სამაჯური ეკეთე, ხოლო სუნამოც ტედის ნაჩუქარი დაიპკურა.

ქორწილში მათი შეხვედრა ძალიან შთამბეჭდავი იყო. ისინი ერთმანეთს სიყვარულით გადაეხვივნენ და ტედიმ უთხრა, რომ მისი უსაზღვროდ მადლიერი იყო, რადგან მან აგრძნობინა, რომ მნიშვნელოვანი ადამიანი იყო და მისი სჯეროდა. შენ ჩემი ცხოვრება შეცვალეო, ეუბნებოდა ტედი. ქალბატონი ტომპსონიც ატირდა. მისი პასუხი კი ასეთი იყო: „ეს მე ვარ მადლობელი. შენს გაცნობამდე მასწავლებელი არ ვყოფილვარ და შენ მასწავლე, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მასწავლებელიო.

„უნივერსიტეტის ლექტორები, რომლებიც საკუთარ ადგილებზე არ არიან“

ზოგი მათგანი სამსახურეს ვერ შოულობს, ზოგი კი რამოდენიმე ადგილასაა დასაქმებული. ამ დროს საქმისადმი პასუხისმგებლობა იკლებს.

იმ ლექტორების სტუდენტები, რომლებიც ბევრ ადგილას არიან დასაქმებული, პრობლემებს აწყდებიან. ლექტორები სტუდენტებისათვის საკმარის დროს ვერ პოულობენ. მაგალითად, ერთ-ერთი უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის პროფესორი სტუდენტებს ეუბნება, რომ მის ლექციებზე დასწრება სავალდებულო არ არის, რადგან მან დაწერა წიგნი და თუ სტუდენტები იმ წიგნს წაიკითხა-

ვენ, ეს სრულებით საკმარისი იქნებაო. სამართალი ხედვას ნიშნავს. სამართალი დეტალების განმარტებებს ნიშნავს. შეკითხვების, კითხვა-პასუხის, დისკუსიის, კამათის გარეშე საკითს სიღმისეულად როგორ გაიგებენ სტუდენტები!

არქიტექტურის ლექტორი მოსწავლეებს დავალებას აძლევს, სადაც პროექტი უნდა მოამზადონ. დეტალების გაცნობის მაგივრად ეუბნება, რომ ინტერნეტში მოიძიონ სხვა და სხვა ვარიანტები და ამოიღონ. მაინც მოიპარავთო, დასძენს. სტუდენტებიც ისე იპარავენ სხვის პროექტებს,რ ომ სინდისის ქენჯნასაც კი არ განიცდიან. უფრო მეტიც, ვინც მოიპარა უმაღლეს ქულებს იღებს, ხოლო ვინც იშრომა და ნამუშევარი თავად შექმნა, ისინი დაბალი ქულებით ფასდებიან.

ფილოლოგიის ლექტორი სტუდენტებს ეუბნება, რომ რომანების კითხვა არ უყვარს და მხოლოდ მაშინ კითხულობს, თუ ძილი არ ეკარება და როგორც კი კითხვას დაიწყებს, მაშინვე ეძინება. აღარც სტუდენტები კითხულობენ და შემდეგ როცა უნივერსიტეტს ამთავრებენ და სკოლებში სამუშაოდ მიდიან, მოსწავლეებს ისეთი წიგნების წაკითხვას აძლევენ დავალებად, რომლებიც თავად არ წაუკითხავთ. შემდეგ სახელმწიფო პროექტებს და ინიციატივებს იწყებს და აუარება ფულს ხარჯავს იმისათვის, რომ წიგნიერების პოპულარიზაცია მოახდინოს.

თეოლოგიის ფაკულტეტზე რა ხდება... ეს ყველაფერი მოსწავლეების პირიდან მოვისმინოთ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები უნივერსიტეტის მოსწავლეების საჩივრებიდან იყო შედგენილი, ხოლო ამჯერად დოქტორანტურის სტუდენტებს მოვუსმინოთ.

გამარჯობა,

ოთხშაბათ დღეს გამოქვეყნებული თქვენი წერილი წავიკითხე და გადავწყვიტე მეც დამეწერა. ამ სემესტრში თეოლოგიის ფაკულტეტზე გადმოვედი, რადგან ძალიან მაინტერესებდა ეს სფერო. გასულ წელსაც ვესწრებოდი ლექციებს, როგორც გამონაკლისი, მაგრამ წელს გამოცდები ჩავაბარე და მადლობა ღმერთს უკვე ოფიციალურად შემიძლია ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი რამ შევისწავლო. მიუხედავად ჩემი ასეთი მოუთმენელი მოლოდინისა, უკვე სამი კვირა გავიდა და ჯერ ლექციები არ დაწყებულა. გასულ წელს საგაკვეთილო პროცესში დისციპლინა იგრძნობოდა და მე მეგონა წელსაც იგივე იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა ლექტორი ლექციების ჩატარების საკითხს ერთნაირად არ უყურებს. უფრო მეტიც, ისინი ლექციის ჩატარება-არჩატარების შესახებ ინფორმაციასაც კი არ გვაწვდიდნენ. უნდა მივსულიყავით და გვეკითხა, ლექცია ჩატარდებოდა თუ არა. უმეტეს შემთხვევაში ლექტორებს საკუთარ კაბინეტებშიც ვერ ვპოულობდით, რადგან ისინი უნივერსიტეტში არც კი იყვნენ მოსული. შემდეგ იძულებული ვიყავით ტელეფონზე დაგვერეკა. ისინი გვპასუხობდნენ, რომ ამ კვირას მივლინებაში არიან და ლექციებს მომავალი კვირიდან დავიწყებდით. მეორე ლექტორი ადმინისტარციული საქმეებით ყოფილა დაკავებული და ლექციებისთვის დრო აღარ რჩება. მხოლოდ მისი წიგნის მოკლე შინაარსი საკმარისია, რომ კარგი ქულები დაგიწეროს. სხვა ლექტორი წარმოუდგენელ მიზეზებს ასახელებს: „ამ კვირაში რაღაც საქმეები მაქვს“...

შემდეგ უკვე კურსდამთავრებულ სტუდენტებს ვკითხეთ. ისინიც იგივეს გვიყვებოდნენ. ლექტორებს კაბინეტებში ვეძებდით, როდესაც მივაგნებდით, ისინი გვე-

კითხებოდნენ, ვინმე თუ გვაკლდა. თუ ერთი სტუდენტიც აკლდა, ლექციას გადადებდნენ ხოლმე. დიდი თხოვნით ლექტორს ლექციის ჩატარებაზე ვითანხმებდით, იქაც მხოლოდ ჩვენ ვსაუბრობდით და ბოლოს მაინც კარგი ქულებით გავდიოდით.

ეს ყველაფერი რომ მოვისმინე, ძალიან განვიცადე. ეს ლექტორები ხოლ თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ. წიგნებში და ლექციების დროს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე და ხალხში რწმენის შესუსტებაზე საუბრობდნენ, მაგრამ თავიანთ მოვალეობას არ ასრულებდნენ. ეს რას ნიშნავდა, ვერაფრით გამეგო. როგორ შეიძლება, რომ თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელმა ლექცია არ ჩაატაროს და ამის გამო სინდისის ქენჯნაც კი არ იგრძნოს. ამის მიუხედავად ისინი მუდმივად აპელირებენ, რომ ქვეყანა ცუდადა ვითარდება და ყველაფერი ცუდადაა. კარგად როგორ იქნება, როცა ისინი თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ?! გულზე იმედგაცრუება და ბრაზი ერთად შემომაწვა. ამ ყველაფერს ემატებოდა ისიც, რომ მოსწავლეებს ეს ყველაფერი აწყობდათ, რადგან იოლად გადიოდნენ და ნაცვლად იმისა, რომ ცოდნის მიღებაზე ეზრუნათ, ისინი მხოლოდ დამამთავრებელი დოკუმენტის აღებაზე იყვნენ ორიენტირებული. მოკლედ ყველა კმაყოფილი იყო და ამ ყველაფერს მხოლოდ ჩემნაირი იდეალისტები აპროტესტებდნენ, იდეალისტები კი არ უყვარდათ.

მოკლედ, აღნიშნული პრობლემა ნამდვილად აქტუალურია და გამოსავალი სად ვეძებოთ არ ვიცი.

ე.ე. (ბარბაროსოღლუ, 02. 03. 2018)

არსებობს მასწავლებელი და მასწავლებელი!

თქვენი უკანასკნელი წერილი წავიკითხე და როგორც მასწავლებელმა, ძალიან მწუხარებით მინდა აღვნიშნო, რომ წიგნიერებისადმი პასიური დამოკიდებულება და ზოგადად წიგნიერების დაბალი დონე, მასწავლებლების ბრალია.

ზოგჯერ ახალი თაობების შესახებ ერთგვარ განზოგადებას აკეთებენ და ეს ყველაფერი თანამედროვე ცრურწმენების გამოვლინება მგონია. თანამედროვე ახალგაზრდების პრობლემებზე ბევრს ვსაუბრობთ და შედეგები იმდენად შემაშფოთებელია, რომ უიმედობა მიპყრობს ხოლმე. თუ ჩვენ მომავალი თაობის სწორად აღზრდას ვერ მოვახერხებთ, თუ მათი ინტერესების სფეროს მიმართლებას ვერ მივცემთ და სწორი გზისკენ ვერ წარვმართავთ, მაშინ რა მასწავლებელები ვართ?! ესოდენ უმწეობისა და უსუსურობის შეგრძნება მისაღებია?!

წელს, იმ სკოლაში, სადაც ვმუშაობ წამოვიწყე კამპანია, რომელიც მოსწავლეებში წიგნიერების ამაღლებას ემსახურება. მე მათ ასაკისა და ინტერესების მიხედვით წიგნების წაკითხვას ვთავაზობდი და ამასთანავე ამ წიგნების მოპოვებაშიც ვეხმარებოდი. მინდა მოგახსენოთ, რომ ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო და მოსწავლეთა მხრიდან კითხვისადმი ინტერესი გაიზარდა. პროექტში ჩაბმული

იყო საბაზო საფეხურის 200-მდე მოხალისე ბავშვი. აღნიშნული პროექტი დაახლოებით ოთხი თვის წინ დავიწყეთ.

პირველი, რაც ამ მიმართულებით გავაკეთეთ, ყველა კლასს თავიანთი ბიბლიოთეკა ვარგუნეთ, რის შედეგადაც მოსწავლეებს წიგნისთვის რიგში დგომა და წიგნის გამოწერისას საჭირო პროცედურის გავლა აღარ უწევდათ. ნებისმიერ მოსწავლეს, ნებისმიერი წიგნი შეეძლო უმოკლეს დროში მიეღო. ბუნებრივია სკოლას ამდენი ბიბლიოთეკარი არ ყავდა, ამიტომ ამ მოვალეობას მასწავლებელები და მოხალისე მოსწავლეები ასრულებდნენ. ამ გზით წიგნის გამოწერა 10 წუთში გახდა შესაძლებელი. შესვენებები ისედაც ხანმოკლეა, ამიტომ მოსწავლეს ერთი შესვენების დროს წიგნის მიღება უნდა შესძლებოდა.

ამასთანავე, მოსწავლეებს განვუმარტე, რომ პროექტში ჩართვა აბსოლუტურად ნებაყოფილობითი იყო, რათა მათ არ ეფიქრათ, რომ ესეც ერთგვარი დავალება იყო და შეუსრულებლობის შემთხვევაში რაიმე სახის ნეგატიური შედეგი მოჰყვებოდა. შესრულების შემთხვევაში კი ჯილდო დავაწესე. ეს იყო მცდელობა, რომ მოსწავლეებს მოტივაცია ჰქონოდათ და პროექტის მიმდინარეობაში ხალისით ჩაბმულიყვნენ.

გარდა ამისა, როგორც რელიგიის მასწავლებელმა შევარჩიე ისეთი წიგნები, სადაც რელიგია უარყოფითად არ არის მოხსენიებული და საბოლოო ჯამში კმაყოფილი დავრჩი, რადგან ასეთი წიგნები არც თუ ისე ბევრი გამოდგა.

მთელი პროექტის განმავლობაში მოსწავლეებთან ერთად წაკითხული წიგნების შესახებ დისკუსიებს ვმართავდი, რათა აქტუალურობა მაქსიმუმზე შემანარჩუნებინა. საბოლოო ჯამში 200 მოსწავლით დაწყებულ პროექტში,

მოსწავლეებმა 7000-ზე მეტი წიგნი წაიკითხეს. მიუხედავად იმისა,რომ პროექტში მონაწილეობა ნებაყოფილობითი იყო, მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურად იყო ჩართული.

პროექტის ფარგლებში მოვიფიქრეთ ერთგვარი საფეხურები. მოსწავლე, რომელიც 15 ან 20 წიგნს წაიკითხავდა, შემდეგ საფეხურზე გადადიოდა. ყველაზე მაღალი საფეხურის მიღწევას 130 წიგნის წაკითხვა სჭირდებოდა. (შესაბამისი საფეხურის მიღეწევისას შერჩეულ სამაჯურს გადავცემდით). პროექტის ფარგლებში, არამარტო კითხვას, არამედ წერასაც გავუწიეთ პოპულარიზაცია. მოსწავლეებს წაკითხულიდან გამომდინარე თემებისა და ყოველდღური შინაარსის დაწერას ვთხოვდით.

გულწრფელად რომ გითხრათ, დასაწყისისთვის მეც კი ვფიქრობდი, რომ პროექტში ჩართლობა დუნედ წარიმართებოდა. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. ზოგს მიაჩნდა, რომ პროექტი შეჩერდებოდა, რადგან მასში მონაწოლეობა მოსწავლეთა ქულებზე არ აისახებოდა. ზოგი ფიქრობდა, რომ მოსწავლეები წაღებულ წიგნებს დაკარგავდნენ, თუმცა 11-12 წლის მოსწავლეებმა გაგვაოცეს, რადგან საოცარი პასუხისმგებლობა და პუნქტუალურობა გამოავლინეს. პროექტი ოთხი ეტაფისგან შედგებოდა, მაგრამ ცხრა მოსწავლემ პირველივე ეტაპზე ოთხივე ეტაპის გავლა შეძლო. მათ პირველვე ეტაპზე 35-40 წიგნი წაიკითხეს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ციფრებთან და სტატისტიკასთან საკმაოდ სკეპტიკური დამოკიდებულება მაქვს. როდესაც სტატისტიკაზე ვერთვებით, ამ შეიძლება რაოდენობაზე ორიენტირებული გაგვხადოს და რეალურად სა-

სურველ შედეგს, ანუ შინაარსს გვერდი ავუაროთ, თუმცა შედეგებმა აჩვენა, რომ ამ პროექტში რაოდენობაც იყო და შინაარსიც. ასევე მინდა გამოვეხმაურო მოსაზრებას, რომ ახლენდელი თაობა უპასუხისმგებლოა და წიგნის კითხვა არ უყვარს. ამ ყველაფერს სხვა კუთხით შევხედე. მთავარია როგორი ფორმით შევთავაზებთ.

ამრიგად, თუ მცდელობას და შრომას არ მოვაკლებთ, სათანადო პირობებს შევქმნით, შედეგს მივაღწევთ. მინდა ეს ყველა ჩემი პროფესიის ადამიანს ვურჩიო, რადგან ეს ყველაფერი თვითონ გამოვცადე. ბავშვებს სწორი მიმართულება უნდა მივცეთ და ისინიც თავიანთ შემართებას და ენერგიას სწორი მიმართულებით დახარჯავენ.

ე. ე. გ. (ბარბაროსოღლუ), 28.02.2018)

muslim georgia
muslim georgia union of international charity

5. მასწავლებლის ეთიკა კოლეგებთან მიმართებაში

როდესაც კოლეგებს ვამბობთ, აქ მხოლოდ მასწავლებლებს არ ვგულისხმობთ, აქ იგულისხმებიან სკოლის ადმინისტრაცია და ასევე სხვა პერსონალი.

5.1 კოლეგებთან ურთიერთობაში ღიაობის შენარჩუნება

მასწავლებლობა დიდ შრომასა და თავგანწირვას მოითხოვს. მასწავლებლის პასუხისმგებლობა ძალიან დიდია და ასევე მრავალ მიმართულებას მოიცავს. ამ ყველაფერთან ერთად, მასწავლებელი ვალდებულია კოლეგებთან კარგი ურთიერთობა იქონიოს და თანამშრომლობა შეძლოს. განათლების ერთ-ერთი მიზანიც ეს გახლავთ. ადამიანებმა უფრო იოლად უნდა შეძლონ ურთიერთობა. სხვებს რომ გავუგოთ და თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების აგება შევძლოთ, ამისათვის საჭიროა გახსნილობა და კომუნიკაბელურობა. თანამშრომლობის გარეშე ადამიანები ერთმანეთის ცოდნით ვერ ისარგებლებენ, ვერ განვითარედებიან და შესაბამისად ვერ გაძლიერდებიან. თანამშრომლობისათვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახსნილობაა საჭირო.

ადამიანი სოციალური არსებაა. ცხოვრებისათვის მას სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია და მჭიდრო კავშირი სჭირდება. ამასთანავე, ადამინებს განსხვავებული კულტურა, ინტერესები, მრწამსი და სხვა მახასიათებლები გააჩნიათ და ამ ყველაფერმა თანამშრომლობასა და ჯან-

საღ ურთიერთობებს ხელი არ უნდა შეუშალოს. სხვებთან ურთიერთობა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა, ადამიანის შინაგანი ძალის გამომზეურობის საფუძველი ხდება. გახსნილობა და კომუნიკაბელურობა თანაცხოვრებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას უწყობს ხელს. ამასთანავე, გახსნილობა ხელს უწყობს ისეთ მნიშვნელოვან რამეს, რასაც ერთმანეთისგან სწავლა, გამოცდილების გაზიარება ჰქვია. ეს უკანასკნელი ყველა ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ამრიგად, სწავლა-სწავლების ძირითად აქტორად მიჩნეული პირი, მასწავლებელი, რა თქმა უნდა ვალდებულია იყოს გახსნილი, კომუნიკაბელური და კონსტრუქციული, რათა თავის საქმიანობაში მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს. თუ მასწავლებელს ეს თვისება არ გააჩნია, წარუმატებლობასთან ერთად, ის ვერ შეძლებს ესოდენ მნიშვნელოვანი თვისება თავის მოსწავლეებში განავითაროს.

ბუნებრივია, როდესაც კომუნიკაბელურობას და სხვებთან ურთიერთობაში გახსნილობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, კოლეგები გვახსენდება. გარდა იმისა, რომ კოლეგები ერთმანეთთან მშვიდობიან გარემოში უნდა ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, ამასთნავე ისინი ერთმანეთთან საქმიან კოლეგიალობას უნდა ინარჩუნებდნენ და ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. „ყოველთვის არსებობს მცოდნეზე უკეთესი მცოდნე“ (იხ. იუსუფ, 12/76) ამრიგად, ყველა ადამიანს გააჩნია ისეთ რამ, რომელიც შეიძლება რომ სხვებს გაუზიაროს და ასწავლოს და ასევე ყოველ ადამიანს სჭირდება რაღაც, რასაც სხვებისგან ისწავლის. სწავლა-სწავლების პროცესში კი ერთმანეთისგან სწავლა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ასევე ცოდნის მიღებისათვის გახსნილობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„რომელნიც ისმენენ სიტყვას და მიჰყვებიან მისგან საუკეთესოს, სწორედ ეგენი არიან, რომელნიც დაადგინა ალლაჰმა ჭეშმარიტ გზას და სწორედ ეგენი არიან ბრძენ-კაცნი, ჭკუასაკითხნი“. (ზუმერი, 39/18) მასწავლებელი, რომელიც გახსნილია და მზადყოფნას გამოხატავს, მიიღოს ახალი იდეები და სხვათა გამოცდილება, ყოველთვის ვითარდება და შესაბამისად წარმატებებს აღწევს. სხვების გამოცდილების გაზიარებით, სხვა და სხვა მაგალითებზე დაკვირვებით, სწავლების ახალი მეთოდების შეთვისებით, მასწავლებელი ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ იქნება და თანამედროვე გამოწვევებს უკეთ უპასუხებს. კოლეგებთან გახსნილობა და თანამშრომლობა მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს მიიღოს ისეთი ცოცხალი მაგალითები, რომლებსაც სხვაგან ვერსად შეხვდება. ყველა ადამიანს შრომის პროცესში გარკვეული ცოდნა და გამოცდილება უგროვდება. თ ამ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგები ერთმანეთს გაუზიარებენ, მათი ინდივიდუალური ცოდნა და უნარები უფრო დაიხვეწება და უფრო მრავალმხრივი გახდება. მასწავლებელს ასევე შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება. მაგალითად სოციალური ქსელების მეშვეობით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება უფრო სწრაფი და მოხერხებული გახდა. ამ მიმართულებით იქმნება თანამშრომლობითი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს კონკრეტული მიმართულებით ცოდნას უზიარებენ. ცოდნის გამდიდრება და მუდმივი წინსვლა აუცილებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი თანამშრომლობა და დიალოგი ჭეშმარიტი ცოდნის ძიებას უნდა ემსახურებოდეს და საამისოდ ყველა ფორმა უნდა იყოს დაცული. ყოველი კომუნიკაცია და თანამშრომლობა, რომელიც ჭეშმარიტებას გვაშორებს საზიანო და მიუ-

ღებელია. აქ უნდა მუშაობდეს პრინციპი: „მოუსმინე და საუკეთესოს მიჰყევი“. (იხ. ზუმერი, 39/18). ამრიგად, ჭეშმარიტების ძიების გზაზე და ასევე ცოდნის შესაძენად უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოსმენა. მოსმენა თავის წესს მოითხოვს. უნდა შეგვეძლოს სხვების ნაყოფიერად მოსმენა და მოსმენილიდან ადექვატური დასკვნების გამოტანა. საკითხე მსჯელობის ან კამათისას აუცილებელია ეთიკის დაცვა და შემწყნარებლობის გამოხატვა. დაუშვებელია სხვების დაკნინება და მათი ღირსების შემლახავი სიტყვებისა თუ მანერების დემონსტრირება. (იხ. თირმიზი, „ბირ“ 58) ასევე)იხ. მუსლიმი, „იმან“ 74). ამრიგად, თანამშრომლობის დროს, როდესაც საკითხის ირგვლივ საუბარი მიმდინარეობს, აუცილებელია ყველა მხარე კონსტრუქციული და ზომიერი იყოს, რათა დიალოგი კამათად და შემდგომში კონფლიქტად არ გადაიქცეს. დისკუსია დიალოგია და არა-დუელი. მთავარი მიზანი კამათში გამარჯვება კი არა, ჭეშმარიტების მიგნება უნდა იყოს. როდესაც მოპირდაპირე მხარეს მხოლოდ იმიტომ ვეკამათებით, რომ გავიმარჯვოთ, გავაჩუმოთ და მასთან შედარებით უპირატესობა ვიგრძნოთ, ეს მცდარი პოზიციაა და ისლამის მიხედვით მიუღებელია. ამ გზით ადამიანი ცოდნას უფრო დაშორდება, გახდება ამპარტავანი, ეგოისტი და საბოლოო ჯამში ის ჭეშმარიტებასაც ზურგს აქცევს და მხოლოდ საკუთარი დაჟნებული აზრის ბოლომდე გასატანად იბრძოლებს. თანამშრომლობა, თათბირი, დისკუსია, კონსტრუქციული დიალოგი დადებითი შედეგების მომტანია და ის სასარგებლოა, ხოლო ჩხუბი, კამათი, არაკონსტრუქციულობა ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს:

„ნუთუ ვერ აღიქვი, როგორ მოჰყავს ალლაჰს იგავად კეთილი სიტყვა ? ის კეთილ ხეს ჰგავს, მყარია მისი ფესვები და ზეცაშია აწვდილი ტოტები მისი.

ნაყოფს იძლევა იგი ყოველ დროს, თავისი ღმერთის ნებით. და მოჰყავს ალლაჰს იგავები ადამიანთათვის, ეგების შეიგონონ!

და ავი სიტყვის მდგომარეობა უფესვო ხის მდგომარეობას ჰგავს, რომელიც მიწაზე ეცემა, რადგან საყრდენი არ გააჩნია“. (იბრაჰიმი, 14/24-26)

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ჰზ. მოსეს ამბავი. როდესაც ღმერთმა ის ფარაონთან გააგზავნა, უბრძანა, რომ ლმობიერად ელაპარაკა და ტკბილი სიტყვა ეთქვა.

„მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე მათ საუკეთესო მეთოდით. უეჭველად, შენი ღმერთი უკეთ უწყის, თუ ვინ აცდა თავის გზას და უკეთ უწყის ჭეშმარიტ გზაზე მყოფთ!“ (ნაჰლი, 16/125)

ამრიგად, თანამშრომლობა, აზრების გაცვლა, ურთერთსწავლება გახსნილობას მოითხოვს. ადამიანები ერთმანეთის აზრებს პატივს უნდა სცემდნენ და საუბრის დროს დამამცირებელ სიტყვებსა და მანერებს უნდა მოერიდონ. როცა ურთიერთობებში სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა, ის წინაღობები მცირდება და შეთანხმებები იოლად მიიღწევა. ამ დროს ორივე მხარე სწავლობს და განვითარების პერსპექტივას იძენს. ამგვარი ურთიერთობების დროს მყარი ერთობა ყალიბდება და ადამიანები ერთმანეთის გულშიმატკივრები ხდებიან. ერთობა წარსულისა და მომავლის ღირებულებებს კრავს და ერთი იდეის გარშემო მოქმედებისთვის ხელსაყრელი პირობები იქმნება. ამრიგად, ადამიანები ერთი ღირებულებისა და მიზნისათვის ერთიანდებიან.

5.2. კოლეგების მიმართ პატივისცემა

ადამიანმა საკუთარი „ადამიანური ღირსება“ რომ საუკეთესოდ აღიქვას და ძირითად ღირებულებად მიიჩნიოს, ამისათვის განათლების როლი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ისლამის მიხედვით განათლება ყველა ადამიანისთვის აუცილებელი ვალდებულებაა, რათა მან „ადამიანის მიმართ პატივისცემა“, როგორც ძირითადი პრინციპი, გაითავისოს და შესაბამისი პასუხისმგებლობით განიმსჭვალოს. ამრიგად, ისლამის მიხედვით განათლება ის ძირითადი პრინციპია, რომელიც ისლამის მიერ დადგენილი „ადამიანის მიმართ პატივისცემის“ ვალდებულებას მიგვაღწევინებს და ამავდროულად ის თავადაა ზნეობრივი ღირებულება, რომელიც ინდივიდს უნდა გააჩნდეს. განათლების მიმართ შუამავლის დამოკიდებულებებს თუ დავაკვირდებით, ის მთლიანად ადამიანის მიმართ პატივისცემის პრინციპს ემყარება. მისი სწავლება ეფუძნებოდა მორალს, რომ ყველა ადამიანი ღირსეულია და ამ მხრივ წარმომავლობა, გვარიშვილობა, სქესი, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მსგავსი ქვე-ფაქტორები უმნიშვნელოა. დიახ, ადამიანი უპირველეს ყოვლისა იმიტომ იმსახურებს პატივისცემას, რომ ის ღმერთის გაჩენილია. შუამავალი ამ დამოკიდებულებას ყოველ ქცევაში ავლენდა. ამრიგად, მუსლიმი მასწავლებლეი კოლეგების მიმართ სრული პატივისცემით უნდა იყოს განმსჭვალული. მან იგივე უნდა უსურვოს კოლეგებს, რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებდა. ამდენად მასთან ურთიერთბა ჯანსაღი და უსაფრთხოა. (იხ. იბნ ჰანბელი, 2, 400)

მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ თითოეული კოლეგის აზრი და შეხედულება დასაფასებელია, რადგან ყველა მათგანს საკუთარი ცოდნა და გამოცდილე-

ბა გააჩნია. გარდა იმისა, რომ კოლეგები ერთმანეთთან მშვიდობიან გარემოში უნდა ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, ამასთნავე ისინი ერთმანეთთან საქმიან კოლეგიალობას უნდა ინარჩუნებდნენ და ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. „ყოველთვის არსებობს მცოდნეზე უკეთესი მცოდნე“ (იხ. იუსუფ, 12/76) ამრიგად, ყველა ადამიანს გააჩნია ისეთ რამ, რომელიც შეიძლება რომ სხვებს გაუზიაროს და ასწავლოს და ასევე ყოველ ადამიანს სჭირდება რაღაც, რასაც სხვებისგან ისწავლის. სწავლა-სწავლების პროცესში კი ერთმანეთისგან სწავლა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ასევე ცოდნის მიღებისათვის გახსნილობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

5.3. კოლეგების მიმართ სამართლიანობა და ტენდენციურობის არ დაშვება

ღვთის მიერ გაჩენილი ადამიანის მიმართ პატივისცემა, ყველა დანარჩენთან ერთად, მისი უნარების მიამრთ პატივისცემასა და განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. უნდა გვახსოვდეს ღვთური შეგონება, რომ ადამიანთა შორის უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობაშია. (იხ. ჰუჯურათ, 49/13) ყველა ინდივიდი, საკუთარი ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით ვითარდება და შესაბამისი თვითრეალიზაციის ფარგლებში მოიპოვებს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა მიმართ პატივისცემას. ის შეძლებს განერიდოს ყველა იმ ქცევას, რომელიც მის ღირსებას არ შეეფერება. ადამიანის ღირსება საკუთარი არსებობის არსში იდეალურობისკენ სწრაფვას შეიცავს. ამიტომ ადამიანი ცდილობს შეისისხლხორცოს ზნეობ-

რივი ღირებულებები, რადგან ამას საკუთარი ღირსება მოითხოვს. ამგვარი გაგება ადამიანს იმ უნივერსალური პასუხისმგებლობისკენ გაუხსნის კარს, რომელიც დასაბამიდან მოგვდგამს და შედეგად ის გარემოსა და ადამიანებთან ურთიერთობაში ჯანსაღ და ზნეობრივ ურთიერთობებს აირჩევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, ადამიანი ზნეობრივ ღირებულებებს ასცდეს და ადამიანის ღირსებისათვის შეუსაბამო მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

კოლეგებს შორის ხშირია შემთხვევები, როდესაც ზოგი მასწავლებელი მის მიერ ჩატარებულ გაკვეთლებს ან იმ საგანს, რომელსაც ის ასწავლის უპირატესად მიიჩნევს და ამის გამოხატვას არ ერიდება. უფრო მეტიც, ის ამ ყველაფერს მოსწავლეებთანაც კი ამბობს. ამის არსებითი მიზეზი არასრულფასოვნების კომპლექსი და მარტივი ეგოიზმია. ამ გზით ადამიანი ამპარტავნებას გამოხატავს და შესაბამისად მიუღებელი ქცევაა. ყველა გაკვეთლი, ყველა მეცნიერება მნიშვნელოვანია და ყველას თავისი ადგილი და დანიშნულება გააჩნია.

ნაწილი მეორე

მოსწავლის ეთიკა

„მოსწავლე ის ადამიანია, რომლის პროფესია ჭეშმარიტების ძიებაა“.

ნურეთთინ თოფჩუ

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

მოსწავლის ეთიკა

1. მოსწავლე

მოსწავლე არის ადამიანი, რომელიც სწავლობს სკოლაში; ასევე პირი, რომელიც იყენებს სხვის დარიგებებსა და გაკვეთილებს რაიმე დარგში. მოსწავლეობა გამოხატავს ადამიანის მყარ გადაწყვეტილებას მიიღოს ცოდნა.ამ გადაწყვეტილების გარეშე მოსწავლის წარმატება შეუძლებელია. სწავლის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი გზაა და მრავალი საფეხურის გავლას საჭიროებს. ამ გზაზე მტკიცე გადაწყვეტილებისა და შრომის გარეშე წინსვლა და სისტემატიურობის შენარჩუნება გამორიცხულია.

წარსულში სწავლა, ბუნებრივია ისეთვე ხელმისაწვდომი არ იყო, როგორიც დღეს არის. ამ მიმართულებით მრავალი დაბრკოლება იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის წარმოშობის დღიდანვე სწავლა-განათლებას განსაკუთრებული გასაქანი მიეცა და სწავლის მსურველი ყოველი ადამიანი ამ მხრივ მაქსიმალურად დაკმაყოფილდა. სწავლა-განათლება ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყო, რადგან ამისათვის წარმოამავლობა, ფული

ან მსგავსი პრივილეგიები საჭირო არ იყო. ისლამმა დაამკვიდრა ტრადიცია, რომ განათლების კუთხით სოციალური თანასწორობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და საამისოდ ყველაფერი კეთდებოდა. გარდა იმისა, რომ სწავლა უფასო იყო, ამასთანავე მოსწავლეებს მატერიალური დახმარება ჰქონდათ და ასევე იმ დროის პირობებიდან გამომდინარე ყველანაირი შეღავათებით სარგებლობდნენ. როდესაც მოსწავლე სწავლის გაგრძელებისათვის სადმე მიემგზავრებოდა, გზად შეეძლო უფასო ღამის გასათევით ესარგებლა, რაც იმის დასტურია, რომ სწავლის ხელშეწყობის მიზნით ყველაფერი კეთდებოდა. კლასშიც მდიდარი და ღარიბი ბავშვები ერთად ისხდნენ და რაიმე სახის ტენდენციურობა არ შეინიშნებოდა. ამასთანავე, მოსწავლეებს მატერიალურადაც ეხმარებოდნენ, რადგან შესაძლებლობა მისცემოდათ უფრო მშვიდად დაუფლებოდნენ ცოდნას და იძულებული არ ყოფილიყვნენ ემუშავათ.

დროის გასვლასთან ერთად სწავლა-სწავლების პროცესში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. ძირითადი ცვლილებები შეეხო ორგანიზებისა და პროცესის ფორმირების საკითხს. მაგალითად, წარსულში ერთ რომელიმე საფეხურს სხვა და სხვა ასაკის მოსწავლეები ერთად გადიოდნენ, მაგრამ შემდგომში ეს შეიცვალა და ამჯერად კონკრეტულ ჯგუფში ერთ ასაკის მოსწავლეები იყვნენ. შემდგომში გამოწვეულმა ცვლილებებმა სასკოლო ცხოვრების პირობებიც შეცვალა. საზოგადოებრივმა მრავალფეროვნებამ სასწავლო გარემოს მრავალფეროვნებაში გარკვეული ცვლილებები შეიტანადა ეს მრავალფეროვნება პირდაპირ აისახა. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი მოსწავლეთა როლის ცვლილებაშ გამოიხატა. საზოგადოებაში გავრცელებული რელიგიური და კულტურული ცვლილებები საგანმანათლებლო სექტორზეც თავის გავ-

ლენას ინარჩუნებდა. შედეგად მასწავლებლისა და მოსწავ-ლის ურთიერთობები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გართლდა და სასწავლო პროცესის ორივე აქტორს განსხვავებული როლების მორგება მოუწიათ.

თანამედროვე მიდგომებმა მოიტანა საჭიროება, რომ მოსწავლეებსაც და მასწავლებელსაც საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონოდათ. მაგალი-თად, მოსწავლე უკვე აღარ იყო ის „ცარიელი ჭურჭელი", რომელიც სწავლის პერიოდში ივსებოდა. მოსწავლე აღარ უნდა ყოფილიყო პასიური მიმღები, რომელიც მიღებუ-ლი ცოდნით უნდა დაკმაყოფილებულიყო და ამდენად მისი შესაძლებლობების მაქსიმუმიც ამ მხრივ იყო შეზ-ღუდული. საჭირო გახდა საგანმანათლებლო გარემო, სა-დაც მოსწავლე ცენტრალური ფიგურა იქნებოდა, ხოლო მასწავლებელი გზამკვლევის როლს მოირგებდა. თანა-მედროვე ეპოქაში, ზოგადად ზნეობის და განსაკუთრე-ბით განათლებასთან დაკავშირებული ზნეობის კუთხით შეიმჩნევა კრიზისული მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ შემაშფოთებელ სიგნალებს იძლევა. ამ საკითხზე ფიქრი-სას უმალ ვხვდებით, რომ განათლებისა და აღზრდის სა-კითხებში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ისლამის დამო-კიდებულება, რათა განათლების პროცესის საფუძველი მორალურ პრინციპებს დაემყაროს. ეს ყველაფერი თანა-მედროვე ეპოქის ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნე-ლოვანია. ამ საჭიროებას განსაკუთრებით ამძაფრებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ცხოვრებას განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპი ახასიათებს და ყველაფერი თვალის დახამხამებაში იცვლება. გლობალიზაციის პროცესმა ქვეყნებს შორის საზღვრები წაშალა და უფრო მეტიც, ამ ყველაფერმა ოჯახის კედლების სიმტკიცეც კი დაარღვია. ადამიანებს უკვე შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია და-

ამყარონ მთელ მსოფლიოსთან და ამ პროცესში გეგმაზომიერი და გონივრული დამოკიდებულების შენარჩუნება და თუნდაც ზომიერების დაცვა უკიდურესად რთულდება. ასევე შეიცვალა განათლების პროცესის მთავარი აქტორების, მოსწავლისა და მასწავლებლების როლებიც. ეს ცვლილება იმდენად თვალშისაცემია, რომ წარსულთან შედარებით თანამედროვე მიდგომები და არსებული სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულ სურათს ქმნის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებამ რაიმე კი არ გააიოლა, არამედ უფრო გაართულა. თანამედროვე განათლების სისტემა ახალი უნარებისა და ცოდნის უსწრაფესად ათვისებას ითხოვს, რაც ფართო მასშტაბებში ძალიან რთულად მისაღწევია. დაჩქარებული ცვლილებები და ახალი უნარების ათვისების პროცესის შედეგად გამოწვეული პრობლემები განათლების პროცესს უფრო რთულს ხდის.

ამგვარი ახალი გამოწვევების წინაშე მდგარი განათლების სისტემა და ამ სისტემის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე საჭიროებენ გააზრებულ მცდელობას აითვისონ მორალური ფასეულობები და მატი ქცევები ამ ღრებულებების მიხედვით განსაზღვრონ. პრობლემა თვალსაჩინოა და საჭიროებს სწორ შეფასებებს, რათა შემდეგ მისი გადაჭრის გზები სწორად იქნას შერჩეული. მაგალითისთვის, მოდით დავაკვირდეთ თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებს და გავაანალიზოთ, რამდენად ფესვგადგმულია მორალური ღირებულებები და რამდენად დამყარებულია იქ მიმდინარე პროცესები მორალურ პრინციპებზე. აღმოჩნდება, რომ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ადამიანების მორალურობა და მათი ქცევების მორალთან შესაბამისობა საკამათო საკითხია. თანამედროვე სკოლებში მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა საკმაოდ პრობლემურია და ეს მდგომარე-

ობა არცერთი მხარისათვის დადებითი შედეგის მომტანი არ გახლავთ. სკოლებში საგანგაშო ნიშნულზეა როგორც ძალადობის, ისე ბულინგის ფაქტები. ასევე გამოკვეთილია დისციპლინის მოშლის მიმართულებით მზარდი ტენდენცია. შესაბამისად, განათლების მორალი და განათლების პროცესში მორალის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ უნდა წამოიწიოს წინა პლანზე და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად სწავლა-სწავლების პროცესში მორალური პრინციპების შერწყმის პროცესი უნდა დაიწყოს.

2. მოსწავლის ეთიკა

2.1 კეთილი განზრახვა: ცოდნის შეძენისა და განვითარების მიზნად დასახვა

როგორც ყველა საკითხში, სწავლის სფეროშიც, მუსლიმი მოსწავლის უპირველესი მორალური პრინციპი კეთილი განზრახვაა. ეს ნიშნავს, რომ მორწმუნე მუსლიმი ცოდნის შეძენას, უპირველეს ყოვლისა, ღვთის კმაყოფილების მოპოვების გამო უნდა ცდილობდეს. იბნე ჯემა წერს: „(2016; 135) „მოსწავლე სწავლის მირების პროცესში კეთილი განზრახვით უნდა გამოირჩეოდეს. ეს ნიშნავს, რომ მისი მიზანი უზენაესი გამჩენის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს. ის ამ მიზნის შესაბამისად უნდა იქცეოდეს, იღებდეს ცოდნას და სულიერად ვითარდებოდეს. სიფიან ეს-სევრი ამბობდა: „ჩემთვის ყველაზე რთული, რაზეც ვმუშაობ და ვცდილობ მივაღწიო, გულწრფელი მიზანია“. მოსწავლემ სწავლის უპირველეს მიზნად ამქვეყნიური წარმატების მიღწევა, მაღალი თანამდებობის დაკავება, კარგი შემო-

სავლის მიღება, მეგობრებთან თავის მოწონება და მსგავსი რამე კი არ უნდა დაისახოს, არამედ, მისი უპირველესი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვება უნდა იყოს. მხოლოდ ამქვეყნიური სარგებელის გამო მცდელობა ადამიანს ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან ჰადისის მიხედვით ისინი „სამოთხის სუნსაც კი ვერ იგრძნობენ“. (იხ. ებუ დავუდ, „ილიმ“ 12). ისლამის სწავლება მოსწავლეებში ისეთ გულწრფელ გრძნობებს ანვითარებს, რომ ისინი ყველა მიმართულების ცოდნის შეძენისას ისლამისეული ეთიკური პრინციპებით მოქმედებენ და ამ ღირებულებებს შინაგანად გრძნობენ. ისინი ისე იწრთვნებიან, რომ მათი სურვილი ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობით ან წარმატებისათვის ცოდნის შეძენით არ არის განპირობებული და უპირველეს ყოვლისა ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნისთვის იღწვიან. ამ პროცესში კი მათ ქცევასა და დამოკიდებულებებს ღვტით დადგენილი მორალური პრინციპები განსაზღვრავს. (ნუსაინ და აშრაფი. 1979. ჰალსთეად. 2012; 277)

მუსლიმი მოსწავლე, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის, ამქვეყნიური წარმატების, თანამდებობობის ან თავმოწონების გამო კი არ შრომობს, არამედ მისი უპირველესი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა, ცოდნასთან თანაარსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს. მას სურს, რომ შეიძინოს ცოდნა და ადამიანის პოტენციალი მაქსიმალურად განავითაროს, რათა ამით უფრო დაუახლოვდეს ღმერთს. როდესაც ის ცოდნით იქნება შეიარაღებული, ამით ის შეძლებს საკუთარი თავი უკეთ გაიცნოს და თავისი არსებობის არსს ჩასწვდეს. ამით ის სულიერ ამაღლებას ეზიარება. რაც უფრო მაღლა წავა ამ საფეხურებზე, ისლამს მით უფრო უკეთ გაიგებს და მით უფრო მეტად ჩასწვდება იმ ღირებულებებს, რომლებიც

ისლამმა მოგვიტანა. ამ გზით ადამიანი საუკეთესო ფორმით შეასრულებს ყველა იმ როლს, რომლებიც ცხოვრების მანძილზე შეხვდება.

ცოდნით კვება და განვითარება ცოდნის დაზეპირებით კი არ ხდება, არამედ ცოდნის სიღრმისეულად გაგება და ამ ცოდნის პრაკტიკულ ცხოვრებაში გადმოტანაა საჭირო. განათალების კუთხით მომუშავე სწავლულები ამბობენ, რომ უფრო მნიშვნელოვანია ორი ასო გავიაზროთ, ვიდრე ორი წიგნი დავიზეპიროთ. სწავლის დროს მხოლოდ ცოდნა და გაგება არ კმარა. საჭიროა მაღალ სააზროვნო უნარებზე გასვლა. მოსწავლეს მიღებული ცოდნის ფარგლებში ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი უნდა ჩამოუყალიბდეს. საგნის შესწავლისას მოსწავლეს უნდა შეეძლოს ერთის დაკავშირება მთლიანობასთან და მთლინობის კავშირი ერთეულთან. ერთმანეთისგან მოწყვეტილი, ნაწილ-ნაწილ გაფანტული ცოდნა სასურველ სარგებლობას ვერ მოგვიტანს.

შედეგიანი მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნაა. ჭეშმარიტი ცოდნა ადამიანის გარემოსთან ურთიერთობაში შინაგანი უნარების გამოყენებით ყალიბდება და ერთიან, შემეცნებით პროდუქტად გვევლინება. ჭეშმარიტი ცოდნა ისაა, რომელსაც ადამიანი თავად მოიპოვებს და სრულყოფილად ჩამოაყალიბებს. ეს გავს ფუტკრის მუშაობას. ფუტკარი ყვავილთან მიდის, იქიდან ნექტარი მოაქვს და თაფლს ამზადებს. სწორედ ეს თაფლია ჭეშმარიტი ცოდნა. ყოველი ადამიანი, რომელიც რამეს წაიკითხავს, გაიგონებს, დაინახავს ან გამოცდის, მის გონებაში ანალიზის პროცესებს გადის და ჭეშმარიტ ცოდნად შემდეგ ყალიბდება. ამ ანალიზის პროცესშ ადამიანს წინარე ცოდნის გამოყენება, ზოგჯერ მისი შეცვლა და სრულყოფა უხდება. საბოლოოდ

კი მიღებული ინფორმაცია, თეზისი, იდეა, მოსაზრება და სხვა, კონკრეტულ მთლიანობას დაემსგავსება და ჩამოყალიბებული ცოდნის სახეს იძენს. ეს პროცესი ცოდნის ჩამოყალიბების პროცესად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ამ ტიპის ცოდნის მიღება სადმე წიგნიდან წაკითხული ცოდნის მიღებასავით იოლი არ გახლავთ. ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია.

ადამიანის გონებაში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ცოდნა მის დამოკიდებულებებსა და ქცევებში აისახება. ამის შემდეგ ყველა მის ქმედებას ეს ცოდნა მისცემს მიმართულებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩამოყალიბებული ცოდნა ადამიანის განვითარებას, წინსვლას, მისი სამოქმედო ასპარეზის გახსნას უზრუნველყოფს. ამგვარი ცოდნა ადამიანის შნაგან სამყაროს კვებავს, კარგისა და ცუდის გარჩევაში ეხმარება და უყალიბებს ხასიათს.

ცოდნის შეძენას, როგორც წესი, დასასრული არ აქვს და ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუდმივი პროცესია, ამიტომ მოსწავლე, ზოგადი გაგებით, ცოდნის შეძენაზე თავდადებული ადამიანია. თუ ადამიანი ამ ფენომენს სწორად გაიგებს, ის არასოდეს იტყვის, ამდენი ცოდნა მეყოფა და მოდი ახლა შევჩერდებიო.. მორწმუნე ადამიანი სასარგებლო ცოდნის მიღების გზებსა და საშუალებებს მთელი გულისყურით არჩევს. ის არჩევს მასწავლებლებსა და დაწესებულებებს, სადაც ყველაზე საუკეთესოდ ასწავლიან და ასევე ყველაზე სანდი ცოდნას გადასცემენ. ისლამის ისტორია სავსეა მაგალითებით, სადაც ჩანს, რომ მოსწავლეს უფლება აქვს აირჩიოს მასწავლებელი და ცოდნის მიღების სხვა საშუალებები, რათა ცოდნის მიღების გზაზე მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიოს.

მოსწავლის თვითგანვითარების დონე პირდაპირპროპორციულია მის მიერ ცოდნის შეძენისადმი თავის მიძღვნისა. შესაბამისად, როდესაც მოსწავლე სწავლისთვის თავს გადადებს, ეს ნიშნავს, რომ მან სხვა დანარჩენი საქმიანობა მინიმალური საჭიროების დონეზე უნდა დაიყვანოს და მხოლოდ იმდენი დრო დაუთმოს, რამდენიც სჭირდება. ნათქვამია: „თუ შენ საკუთარ თავს მთლიანად ცოდნას არ მიუძღვნი, ის შენ თავის წილს არ გარგუნებს“. (იხ. იბნ ჯემაა, 2012; 137). მოსწავლე, რომელსაც ცოდნის შეძენა აქვს გადაწყვეტილი გარემო მოტივაციას არ საჭიროებს. ის მუდმივად მოტივირებულია.

თანამედროვე ცხოვრების პირობების მრავალფეროვნებამ ადამიანთა პროფესიული საქმიანობის მრავალფეროვნება გამოიწვია. ამ უკანასკნელმა კი ადამიანებს მორალური ღირებულებების ასეთ მრავალფეროვან განზომილებებში განვრცობა და საკუთარი ქცევების სწორი კლასიფიკაცია გაურთულა. ამ პროცესის პარალელურად წარმოიქმნა ერთგვარი გაურკვევლობა ზნეობრივი ღირებულებების თეორიულ ასპექტსა და მის პრაქტიკულ ასახვაში. საჭირო გახდა ამ ყველაფერის ანალიზი და კონკრეტული დეტალიზაცია, რაც ამ დამაბნეველ გარემოს ნათელს მოჰფენდა. შედეგად შეიქმნა მრავალი ნაშრომი, რომელიც კონკრეტული პრობლემების ანალიზს გვთავაზობს და ასევე კონკრეტული მიმართულებებით ქცევების რეგულაციას ცდილობს. ეს ყველაფერი ეთიკის კოდექსშია თავმოყრილი და ის განვრცობილია სხვა და სხვა პროფესიული მიმართულებებით. აღნიშნული კოდექსი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში გვეხმარება, ადამიანს გარკვეულწილად ათავისუფლებს იმ დაბნეულობისგან, რომე-

ლიც შესაძლოა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების წინ დადგეს. აღნიშნული კოდექსის საზღვრები განსაზღვრულია და როგორც წესი გარკვეულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას აიოლებს. ამასთანავე, ამგვარი პროფესიული ეთიკის კოდექსით არამარტო კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანები, არამედ რიგითი მოსახლეობაც სარგებლობს. ხალხმა იცის, რომ კონკრეტული პროფესიის ადამიანი როგორ უნდა იქცეოდეს და ასევე მათ აქვთ ადეკვატური განცდა ყველა იმ მოსალოდნელი ქცევის მიმართ, რასაც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელმა შეიძლება დააფიქსიროს. პროფესიული ეთიკის კოდექსის საშუალებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული პროფესიით დაკავებული ადამიანების ქცევების რეგულირება და მათი ქცევების ეთიკის ჩარჩოებში მოქცევა. (იხ. იარანი, 2015, 125-6)

ბუნებრივია, აღნიშნული თვალსაზრისით განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა და შესაბამისად ამგვარი მორალური ნაშრომებიც უმეტესწილად ამ კონკრეტულ სფეროს შეეხება. თანამედროვე ეპოქაში საჭიროა ყველა იმ ნორმისა და ზნეობრივი ღირებულებების კლასიფიკაცია, რომლებიც მასწავლებელმა და მოსწავლემ უნდა იცოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში განათლების პროცესის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე ვერ შეძლებენ საჭირო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, რათა მათმა საქმიანობამ და თანამშრომლობამ სათანადო შედეგი გამოიღოს. მათ გაუჭირდებათ იმ როლების გათავისება, რომლებსაც თანამედროვე განათლების სისტემა და ზოგადად თანამედროვე მიდგომები ითხოვს. როდესაც განათლების პროცესში მონაწილე აქტორებმა იციან თავიანთი ქცევის კოდექსი, ისინი უყოყმანოდ მიიღებენ გადაწყვე-

ტილებებს და მორალურად შეუსაბამო დილემის წინაშე არ აღმოჩნდებიან. ამასთანავე, თავიანთი უფლება-მოვალეობის განხორციელებისას ორივე მხარე იოლად უპასუხებს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება მუშაობის პროცესში წარმოიქმნას. შედეგად, ორიმე მხარე თავიანთ ფუნქციასა და როლებს თავისუფლად შეასრულებს. ამგვარი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით გაწეული სამუშაოს დროს საჭიროა იმ ცვლილებათა გათვალისწინება, რომლებიც დრომ და გარემოებამ შეიძლება მოიტანოს. ასევე მნიშვნელოვანია იმ ღირებულებათა მფარველობის ქვეშ დაყენება, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ან სრულებით დაიკარგოს. ამგვარი ღირებულებები საზოგადოების რეალურ მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს და საამისოდ შესაბამისი ფორმებით უნდა იქნას შეთავაზებული. ყველა ის ფორმა, რომელიც განხორციელების თვალსაზრისით სირთულის ზღვარზეა, ხელახალ ფორმირებას საჭიროებს. ამგვარი ფორმირების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე უფრო თვალსაჩინო სარგებელს მიიღებენ და ამასთანავე, მათ მიერ გაწეული სამუშაო, შედეგის თვალსაზრისით, გარშემომყოფებისთვისაც სასარგებლო იქნება. ეს მოიტანს საზოგადოებაში პატივისცემისა და დაფასების ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში ისევ და ისევ მათ მიერ შესრულებულ საქმიანობაზე აისახება დადებითად, რადგან რაც უფრო მეტია მოქმედი პირის ავტორიტეტი, მით ეფექტურია შედეგიც. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების წარმატებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ სფეროში დასაქმებულთა ზნეობრივი მდგომარეობა და ზოგადად განათლების სფეროში ზნეობის ადგილი შეუცვლელია, ამიტომ აუცილებელია, რომ განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებს მორალური ღირებულებები გააჩნდეთ.

2.2. უარყოფით გრძნობებისა და აზრებისგან გულის გაწმენდა

განათლება და მორალი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლებიც ადამიანის ცხოვრების საფუძველში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, შესაბამისად, ადამიანის ხსენებაზე, მაშინვე განათლება და ზნეობა გვახსენდება. განათლების გარეშე ადამიანის პოტენციალის შესაბამისად განვითარება წარმოუდგენელია და ასევე მორალის გარეშე შეუძლებელია განათლების პროცესის სწორად წარმართვა, რათა ადამიანი სწორად განვითარდეს. ყველა ტიპის საზოგადოებაში განათლებასა და მორალს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. კაცობრიობის ისტორიას რომ გადავხედოთ, მთელი განათლების პროცესი მორალის ელემენტებზე იყო დაყრდნობილი და მორალს განათლების ფუნქციაონირებისათვის ძირითადი როლი გააჩნდა. დღესაც, განათლების სისტემის ფორმირებაში მორალის ადგილი საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ტენდენციებიც შეინიშნება. ამრიგად, თუ გვინდა, რომ ადამიანებს კონკრეტული ცოდნა ან უნარები შევძინოთ, ეს პროცესი მორალის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების პროცესში ჩვენდაუნებურად გვიწევს ზნეობრივი პრინციპების ჩართვა და ეს ცართულობა მთელ პროცესს თან ახლავს. ზოგადად მიიჩნევა, რომ განათლების მიზანია ადამიანი უფრო უკეთესი გახადოს, რაც მორალის გარეშე ვერ მოხერხდება. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელთა ზნეობრიობას, რადგან ისინი ცოცხალი მაგალითები არიან და მათგან მიღებული ცოდნის ხარიხსი სწორედაც რომ მათ ზნეობრიობაზეცაა დამოკიდებული.

ყველა ეს მოსაზრება და ანალიზი, რომლებიც წინა თავში იქნა განხილული, ისლამის აღმზრდელობითი სისტემისთვისაც მისაღები და გასათვალისწინებელია. ისლამის მიხედვით განათლების მიზანია ადამიანი უკეთესობისკენ შეიცვალოს და ამ პროცესში განათლებისა და მორალის კავშირი უფრო მჭიდრო გახდეს. ინდივიდის ზნეობრივი განვითარებისთვის განათლება მნიშნელოვანი ფაქტორია და ამასთანავე, განათლების ეფექტურობისთვის მორალის ფაქტორიც აუცილებელია. განათლება ის პროცესია, რომლის დროსაც აღმზრდელები და აღსაზრდელები ახლო კავშირში არიან და მათი ამგვარი ურთოერთობის დროს მორალური პრინციპების დაცვა აუცილებელია. სწორედ ეს არის ზოგადი დახასიათება იმ ტერმინისა, რომელსაც განათლების მორალი ეწოდება. ისლამური ტრადიციის მიხედვით, განათლება თავის საფუძველში ზნეობრიობის მატარებელი პროცესია. ამგვარი ზნეობრივი საფუძვლის მქონე დამოკიდებულება, პროცესშივე წარმოშობს ზნეობრიობას და ზნეობრივი პრინციპებით იმართება. ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევა მხოლოდ განათლებითაა შესაძლებელი, ისევე როგორც კარგი განათლება მხოლოდ და მხოლოდ ზნეობრივი პრინციპების თანხლებით მიიღწევა. მორალი ადამიანის ცხოვრების თანდაყოლილი მოვლენაა და მის ცხოვრებასთან მუდმივად მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს. ის ადამიანს ადამიანურად ცხოვრებაში ეხმარება. შესაბამისად, მორალი ყოველთვის იყო განათლების მიზანიცა და საშუალებაც.

აქ წარმოდგენილი შეფასებები, რომლებიც განათლებისა და მორალის მჭიდრო კავშირს აღწერს, ისლამურ ტრადიციაში განათლების ძირითად ქვაკუთხედადაა მიჩნეული. ყურანში არის მოწოდებები და შეგონებები, რომ ის ჩვენი მასწავლებელი და შემგონებელია. (იხ. ბაყარა 2/282). ყუ-

რანში ასევე წერია, რომ შუამავალი თავისი სამაგალითო ცხოვრებით ჩვენთვის გზის მაჩვენებელია. (8/ ენფალ, 29). ასევე შეგიძლიათ იხილოთ მსგავსი მოწოდებები: (29/ ანქებუთ/ 69). ამრიგად, განათლება თავისი არსით მორალური საკითხია. ეს ნიშნავს, რომ ისლამი განათლებიდან მორალისკენ და პირქით, მორალიდან განათლებისკენ მჭიდრო კავშირებს აწესებს და იცავს. ამას ადასტურებს შუამავლის ცხოვრებაც, როდესაც მან უმეცრების ხანის, ზნეობისგან დაცლილი ხალხისგან ოცდასამ წელიწადში ცივილიზებული საზოგადოება ჩამოაყალიბა.

ისლამური ტრადიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ჰიჯრით მეორე საუკუნეში შექმნილ მდიდარ ლიტერატურას, რომლის შექმნაც პირდაპირ კავშირშია განათლებისა და მორალის ერთობლიობასთან. იმ პერიოდის მუსლიმი მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ განათლებისა და მორალის ურთიერთკავშირის საკითხს და ამგვარი დამოკიდებულების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ. მათ შექმნეს უნიკალური ნაწარმოებები და ნაშრომები, რაც საფუძვლად დაეწო თანამედროვე ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს. ამ ნაწარმოებებში განხილულია, როგორც პედაგოგიკა, ისე განათლებისა და მორალის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა. განათლების პროცესში მნიშნელოვანია როგორც აღმზდელის დიდაქტიკური მონაცემები, მისი ცოდნა და პროფესიონალიზმი, ისე მისი მორალური ღირებულებები, მანერები და ქცევები. მასწავლებელმა თავისი თეორიული ცოდნა, მისი ნათქვამი სიტყვა პრაქტიკული ცხოვრებით უნდა განასახიეროს. ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, განათლების პროცესის სიჯანსაღისა და ეფექტურობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნულ წიგნებში განხილული საკითხები შეეხებათ არა მხოლოდ სასწავლო

დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგებს, არამედ მშობლებს, მეურვეებს და სხვა ადამიანებსაც, რომლებიც რაღაც დოზით სწავლა-სწავლების პროცესში არიან ჩაბმული.

ისლამის დამოკიდებულება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული ურთიერთობების მიმართ მორალური პრინციპების დაცვის ხაზზე გადის. ისლამურ ტრადიციაში მთელი განათლების სისტემა მორალზეა დაფუძნებული. შესაბამისად, განათლების პროცესში მონაწილე ნებისმიერი დეტალი ზნეობასთან სრულ თანხვედრაში უნდა იყოს. ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს განათლების სურვილსა და იმ მისწრაფებების ლოგიკურობას, რომლებიც ზოგადად განათლების მიღების მსურველ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. ისლამი ადამიანებს მოუწოდებს დაინტერესდნენ ცოდნის შეძენით და მუდმივად ამ პროცესში იყვნენ ჩართული. მუსლიმი ცოდნით, სწავლით უნდა საზრდოობდეს და ამ გზით საკუთარი თავის განვითარებას ცდილობდეს. ამ გზით ადამიანი მოვლენების სწორად აღქმის, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის საშუალებას მოიპოვებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამის დამოკიდებულება განათლების მიმართ, თავისი მონაწილეებით, მიზნებითა და შედეგებით, სრულიად ეფუძნება მორალურ პრინციპებს.

2.3. საკუთარი თავის ცოდნის შეძენაზე მიძღვნა

ისლამი ცოდნის შეძენას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მუსლიმ მოსწავლეებს მოუწოდებს ცოდ-

ნის შეძენის გამო არ მოერიდონ დაღლას, ოფლისღვრას, გაჭირვებას, ამქვეყნიური სიმოვნებისა და ფუფუნების მოკლებას და თავგანწირულ შრომას, რადგან ცოდნის შეძენა ამ ყველაფერზე ღირებული რამეა. ყოველი მორწმუნე მოსწავლე აცნობიერებს რა სწავლის მნიშვნელობას, ის არც თავდაუზოგავი შრომისგან შეფერხდება, რადგან მან იცის, რომ ცოდნის შეძენა მარტივი გზა არ არის. იბნე ჯემაა ასე ამბობს: (2016; 137). „მოსწავლემ სწავლის გამო მთელი თავისი ძალა და ენერგია უნდა გამოიყენოს და ამასთანავე ყველა იმ დაბრკოლებას სძლიოს, რაც ამ გზაზე გადაეღობება. ყველა დაბრკოლება, რომლებიც მოსწავლეს სწავლაში ხელს უშლის, მოსწავლემ უკან უნდა მოიტოვოს და მთელი თავისი მცდელობა ცოდნის შეძენას მოახმაროს. ამიტომ მოსწავლეები ოჯახებს, სამშობლოს ტოვებდნენ და ცოდნის შესაძენად შორს მიემგზავრებოდნენ. როდესაც ადამიანი რამოდენიმე მიმართულებითაა დაკავებული, მისი ფიქრები ირევა და ცოდნის შეძენაზე უარყოფითად მოქმედებს. ღმერთს კი ადამიანზე მხოლოდ ერთი გული აქვს მიცემული. შენ კი, თუ შენს გულს ცოდნას არ მიუძღვნი, ის თავის წილს არ მოგცემს“.

როდესაც მოსწავლე მთელ თავის შესაძლებლობებსა და გულისყურს სწავლას ანდომებს, მას შეუძლია სხვა საქმეების კეთება მინიმალურ დონეზე დაიყვანოს. მას შეიძლება დააკლდეს სასურველი ჩაცმა, კვება, ძილი და სხვა ძირითადი მოთხოვნილებები, მაგრამ ამ ყველაფრის მინიმალური რაოდენობა უნდა იკმაროს საიმისოდ, რომ უფრო ღირებული, ცოდნა შეიძინოს. აქ საუბარია ამ ყველაფრისთვის მინიმალური დროისა და ენერგიის დახარჯვაზე. როგორც კი მოსწავლე ჩაცმას, მოდას და გასართობ ადგილებში სიარულს აჰყვება, მისი გონება აირევა და სწავლის შეძენას სათანადო დროს ვეღარ დაუთმობს. აქვე

ისიც უნდა დავამატოთ, რომ სასურველია ახალგაზრდები სწავლის დასრულების შემდეგ დაქორწინდნენ, რათა ისევ და ისევ სწავლისათვის საჭირო დრო და ყურადღება დაზოგონ. (იბნ ჯემაა, 2012; 139, 145)

ჩვენი განათლების ტრადიციაში ცნობილია შემდეგი დამოკიდებულება: „ყველაფერს აქვს თავისი დაბრკოლება, მაგრამ ცოდნას აქვს დაბრკოლებები“. აქედან გამომდინარე, ცოდნის მაძიებელს დიდი მოთმინება და ძალისხმევა სჭირდება, რომ ეს რთული გზა გაიაროს და თავისი ცოდნა ჩამოაყალიბოს. ამ გზაზე ვინც სირთლეებს გადააწყდება, ღმერთი მას სამოთხისკენ მიმავალ გზას გაუადვილებს. დიახ, მოსწავლე დიდი მოთმინებით უნდა იყოს აღჭურვილი. თუმცა, როდესაც ვამბობთ, რომ მოკრძალებულად უნდა იცხოვროსო, აქ ბუნებრივია არ ვგულისხმობთ გაჭირვებასა და შიმშილს. უბრალოდ ზომიერება უნდა გამოიჩინოს და მთელი გულისყური სწავლისკენ ჰქონდეს გადატანილი.

პასუხისმგებლობის მატარებელი მოსწავლე მხოლოდ მაღალი ქულებისა და დიპლომისთვის არ სწავლობს. მას სურს, რომ ცოდნა შეიძინოს და ხარისხიან, საჭირო, განათლებულ და წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს. შესაბამისად, სწავლის პროცესში ის გულმოდგინებას გამოიჩენს და გაკვეთილზე სხვა საქმით არ დაკავდება. მისი ეს დამოკიდებულება მასწავლებელზეც დადებითად იმოქმედებს და ისიც მეტი გულისხმიერებით მოეკიდება თავის საქმეს. მოსწავლე მასწავლებელს თავისი ქცევით და სერიოზული დამოკიდებულებით იქეთ უნდა აძლევდეს მოტივაციას, რომ მასწავლებელმა უფრო მეტად მოიმდომოს და მეტი შემართებით ასწავლოს. ყურანშ უზენაესი გამჩენი ბრძანებს: **„და უეჭველად, ჩვენს შორის არიან მუსლიმნი**

და გზასამცდარნი“. მაშ, ვინც ალლაჰს ჰმორჩილა, სწორედ ეგენი ეძიებენ ჭეშმარიტებას“. (72/ჯინ: 14)

2.4. ჯანსაღი ცხოვრების წესი და ალალი საკვები

მუსლიმი მოსწავლე ცხოვრების ჯანსაღი წესით უნდა გამოირჩეოდეს და ალალი საკვებით იკვებებოდეს. ამ მიმართულებით უფრო მეტი ყურადღების გამოცენა ევალება, რადგან ის ცოდნის შეძენის გზაზე დგას. მოსწავლე საკვებს, სასმელს, ჩასაცმელს და სხვა ყოველდღიური მოთხივნილებების დაკმაყოფილების საშუალებებს დიდი სიფრთხილით უნდა არჩევდეს. ამ გზით ის დაცული იქნება არამისგან და არამისგან მოსალოდნელი მავნე ზემოქმედებისგან, რის შედეგადაც სულიერ ამაღლებასა და ცოდნის გამდიდრებას უკეთ მოახერხებს. მუსლიმი მოსწავლე არა მარტო არამს ერიდება, არამედ საეჭვო რამეებსაც არ ეკარება. შუამავალმა გზაზე ნაპოვნი ხურმაც კი არ მიირთვა, რადგან შეეშნდა მოწყალება არ ყოფილიყო, არადა ის ხურმა რომ მოწყალება ყოფილიყო, ამის ალბათობა უკიდურესად მცირე იყო. ადამიანი, რომელიც სწავლობს, შემდგომში სხვების მსაწავლებელი და სამაგალითო ადამიანი უნდა იყოს, ამიტომ მისი განსაკუთრებული სიფრთხილე სასურველი და მისაღებია.

კვების საკითხში, არამარტო საკვების სიალალე, არამედ სიჯანსაღეც მნიშვნელოვანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეპოქაში ალალი და ჯანსაღი საკვების

შერჩევა უფრო გართულდა. ბუნებრივია, ცოდნის გზაზე შემდგარ ადამიანებს ამ მიმართულებითაც მეტი გულისხმიერება მართებთ.

ჯანსაღი კვების შესახებ შუამავალიც ბევრს გვასწავლის. ჰადისის მიხედვით შუამავალი გვირჩევს, ცოტა საკვები ვიმყოფინოთ, რადგან ეს ჯანმრთელობისთვის უკეთესია. (იხ. თირმიზი, „ზუჰდ“ 47; იბნ მაჯე, „ეთიმე“ 50). ასევე ყურანშიც არის ბრძანება, რომელიც ზომიერების დაცვისკენ მოგვიწოდებს. (იხ. არაფი 7/31) ბუნებრივია ეს მოწოდებები გათვალისწინებული უნდა იქნას.

წარსულში მოღვაწე სწავლულები კვებისა და სწავლის ურთიერთკავშირზე საუბრობენ და მსმენელებს იმ პროდუქტების სიასაც სთავაზობენ,რომლებიც მოსწავლემ უნდა მიირთვას. (იხ. იბნ ჯემაა, 2016; 143). მათი მხრიდან მოსწავლეთა კვებაზე საუკუნეების წინ ესოდენ დიდი მნიშვნელობის მინიჭება რა თქმა უნდა ყურადსაღებია.

გარდა საკვებისა, ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელია სხვა ფაქტორებიც. მაგალითად სპორტი, დასვენება, მოძრაობაში ყოფნა და სხვა. ჯანსაღი ცხოვრებისათვის სასურველია მოსწავლე სპორტს მისდევდეს. მაგალითად სირბილი, ცურვა, გიმნასტიკა და სხვა მსგავსი აქტივობები, ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი ელემენტებია. სპორტის ამ სახეობებით დაკავება განათლების პროცესს ხელს არ შეუშლის. პირიქით, ფიზიკური აქტივობა გონების დასვენებას ხელს უწყობს და მცირე სპორტული აქტივობის შემდეგ მოსწავლე უფრო ენერგიულად შეძლებს სწავლის გაგრძელებას.

3. მასწავლებელთან ქცევის წესები

3.1 მასწავლებლის მიმართ პატივისცემა

ისლამის დამოკიდებულება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული ურთიერთობების მიმართ მორალური პრინციპების დაცვის ხაზზე გადის. ისლამურ ტრადიციაში მთელი განათლების სისტემა მორალზეა დაფუძნებული. შესაბამისად, განათლების პროცესში მონაწილე ნებისმიერი დეტალი ზნეობასთან სრულ თანხვედრაში უნდა იყოს. ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს განათლების სურვილსა და იმ მისწრაფებების ლოგიკურობას, რომლებიც ზოგადად განათლების მიღების მსურველ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. ისლამი ადამიანებს მოუწოდებს დაინტერესდნენ ცოდნის შეძენით და მუდმივად ამ პროცესში იყვნენ ჩართული. მუსლიმი ცოდნით, სწავლით უნდა საზრდოობდეს და ამ გზით საკუთარი თავის განვითარებას ცდილობდეს. ამ გზით ადამიანი მოვლენების სწორად აღქმის, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის საშუალებას მოიპოვებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამის დამოკიდებულება განათლების მიმართ, თავისი მონაწილეებით, მიზნებითა და შედეგებით, სრულიად ეფუძნება მორალურ პრინციპებს. გამომდინარე აქედან, ისლამური დოქტრინის მიხედვით ყოველი მოსწავლისათვის მასწავლებლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მათდამი პატივისცემა მაღალ საფეხურზეა აყვანილი. უფრო მეტიც, მასწავლებლის მიმართ პატივისცემა მშობლების მიმართ პატივისცემასთანაა შედარებული. მშობლები ადამიანი ბიოლოგიური

არსებობის მიზეზები არიან, ხოლო მასწავლებელი ადამიანს კულტურისა და განვითარების მხრივ ჩამოყალიბებაში ეხმარება. მასწავლებლის მიმართ პატივისცემა ცოდნის მიმართ პატივისცემას ნიშნავს. მუსლიმი ყველა მცოდნე ადამიანს პატივს სცემს და ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს ეს მცოდნე ადამიანი პროფესიით მასწავლებელია თუ არა. ბუნებრივია, მასწავლებლის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა გააჩნია. როგორც მასწავლებლის შემთხვევაში, ისე მოსწავლის შემთხვევაშიც, პატივისცემის ძირითადი მიზანი ღვთის კმაყოფილების მოპოვებაა.

ისლამის დამოკიდებულება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებული ურთიერთობების მიმართ მორალური პრინციპების დაცვის ხაზზე გადის. ისლამურ ტრადიციაში მთელი განათლების სისტემა მორალზეა დაფუძნებული. შესაბამისად, განათლების პროცესში მონაწილე ნებისმიერი დეტალი ზნეობასთან სრულ თანხვედრაში უნდა იყოს. ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს განათლების სურვილსა და იმ მისწრაფებების ლოგიკურობას, რომლებიც ზოგადად განათლების მიღების მსურველ ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. ისლამი ადამიანებს მოუწოდებს დაინტერესდნენ ცოდნის შეძენით და მუდმივად ამ პროცესში იყვნენ ჩართული. მუსლიმი ცოდნით, სწავლით უნდა საზრდოობდეს და ამ გზით საკუთარი თავის განვითარებას ცდილობდეს. ამ გზით ადამიანი მოვლენების სწორად აღქმის, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის საშუალებას მოიპოვებს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამის დამოკიდებულება განათლების მიმართ, თავისი მონაწილეებით, მიზნებითა და შედეგებით, სრულიად ეფუძნება მორალურ პრინციპებს.

თანამედროვე ეპოქაში, ზოგადად ზნეობის და განსაკუთრებით განათლებასთან დაკავშირებული ზნეობის კუთხით შეიმჩნევა კრიზისული მდგომარეობა, რომელიც საკმაოდ შემაშფოთებელ სიგნალებს იძლევა. ამ საკითხზე ფიქრისას უმალ ვხვდებით, რომ განათლებისა და აღზრდის საკითხებში აუცილებლად უნდა დაბრუნდეს ისლამის დამოკიდებულება, რათა განათლების პროცესის საფუძველი მორალურ პრინციპებს დაემყაროს. ეს ყველაფერი თანამედროვე ეპოქის ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ საჭიროებას განსაკუთრებით ამძაფრებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ცხოვრებას განსაკუთრებით დაჩქარებული ტემპი ახასიათებს და ყველაფერი თვალის დახამხამებაში იცვლება. გლობალიზაციის პროცესმა ქვეყნებს შორის საზღვრები წაშალა და უფრო მეტიც, ამ ყველაფერმა ოჯახის კედლების სიმტკიცეც კი დაარღვია. ადამიანებს უკვე შესაძლებლობა აქვთ კომუნიკაცია დაამყარონ მთელ მსოფლიოსთან და ამ პროცესში გეგმაზომიერი და გონივრული დამოკიდებულების შენარჩუნება და თუნდაც ზომიერების დაცვა უკიდურესად რთულდება. ასევე შეიცვალა განათლების პროცესის მთავარი აქტორების, მოსწავლისა და მასწავლებლების როლებიც. ეს ცვლილება იმდენად თვალშისაცემია, რომ წარსულთან შედარებით თანამედროვე მიდგომები და არსებული სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულ სურათს ქმნის. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებამ რაიმე კი არ გააიოლა, არამედ უფრო გაართულა. თანამედროვე განათლების სისტემა ახალი უნარებისა და ცოდნის უსწრაფესად ათვისებას ითხოვს, რაც ფართო მასშტაბებში ძალიან რთულად მისაღწევია. დაჩქარებული ცვლილებები და ახალი უნარების ათვისების პროცესის შედეგად გამოწვეული პრობლემები განათლების პროცესს უფრო რთულს ხდის.

ამგვარი ახალი გამოწვევების წინაშე მდგარი განათლების სისტემა და ამ სისტემის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე საჭიროებენ გააზრებულ მცდელობას აითვისონ მორალური ფასეულობები და მატი ქცევები ამ ღრებულებების მიხედვით განსაზღვრონ. პრობლემა თვალსაჩინოა და საჭიროებს სწორ შეფასებებს, რათა შემდეგ მისი გადაჭრის გზები სწორად იქნას შერჩეული. მაგალითისთვის, მოდით დავაკვირდეთ თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებს და გავაანალიზოთ, რამდენად ფესვგადგმულია მორალური ღირებულებები და რამდენად დამყარებულია იქ მიმდინარე პროცესები მორალურ პრინციპებზე. აღმოჩნდება, რომ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული ადამიანების მორალურობა და მათი ქცევების მორალთან შესაბამისობა საკამათო საკითხია. თანამედროვე სკოლებში მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა საკმაოდ პრობლემურია და ეს მდგომარეობა არცერთი მხარისათვის დადებითი შედეგის მომტანი არ გახლავთ. სკოლებში საგანგაშო ნიშნულზეა როგორც ძალადობის, ისე ბულინგის ფაქტები. ასევე გამოკვეთილია დისციპლინის მოშლის მიმართულებით მზარდი ტენდენცია. (ჩინარი 1999). შესაბამისად, განათლების მორალი და განათლების პროცესში მორალის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ უნდა წამოიწიოს წინა პლანზე და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად სწავლა-სწავლების პროცესში მორალური პრინციპების შერწყმის პროცესი უნდა დაიწყოს.

მორალს გააჩნია როგორც უნივერსალური, ისე ლოკალური განზომილებები. პირველი განზომილება ძირითადად არ იცვლება, მაგრამ რაც შეეხება მეორეს, ის ცვლილებებისთვის მუდმივად ღია მდგომარეობაშია. ცვალებად ყოველდღიურობაში მორალის ეს უკანასკნელი განზომილება თუ განახლებას განიცდის, მისი თვალსაჩინოდ შემ-

ჩნევა, მისი სისტემატიური აღქმადობა რთული ხდება. მაგალითად, ისლამის უნივერსალური ზნეობრივი ღირებულება, რომ მუსლიმი მშობლებს პატივისცემით უნდა მოექცეს და მზრუნველობა არ უნდა მოაკლოს, უცვლელი პრინციპია. ამის პარალელურად, ამ პრინციპის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარება, კონკრეტულ ქცევებსა და დამოკიდებულებებში გამოხატვა, შეიძლება რომ შეიცვალოს. ეს ბუნებრივი პროცესია და ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან თუ არსებული პირობების გათვალისწინება არ მოხდება, კონკრეტული ქმედების განხორციელება შეიძლება შეუძლებელი გახდეს. თუ ადამიანები ისეთ პირობებში აღმოჩნდებიან, რომ კონკრეტულ ქცევას ვერ განახორციელებენ, ეს არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ მათ მორალური ღირებულება დაგმონ. მთავარი მიზანი მორალური ღირებულების უნივერსალური განზომილების შენარჩუნებაა, თორემ ამ ღირებულების გათვალისწინებით ქცევების კლასიფიკაცია შესაძლებელია გარემო პირობებს დავუქვემდებაროთ. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მუსლიმების მხრიდან მორალური პრინციპების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ესაა. ცხოვრების პირობების ცვლილების პარალელურად ისლამური ღირებულებების პრაქტიკულ ცხოვრებაში გადმოტანა არ ხდებოდა და შედეგად ძველი მეთოდები გამოუსადეგარი გახდა, ახლის წარმოება კი არ ხდებოდა.

თანამედროვე ცხოვრების პირობების მრავალფეროვნებამ ადამიანთა პროფესიული საქმიანობის მრავალფეროვნება გამოიწვია. ამ უკანასკნელმა კი ადამიანებს მორალური ღირებულებების ასეთ მრავალფეროვან განზომილებებში განვრცობა და საკუთარი ქცევების სწორი კლასიფიკაცია გაურთულა. ამ პროცესის პარალელურად

წარმოიქმნა ერთგვარი გაურკვევლობა ზნეობრივი ღირებულებების თეორიულ ასპექტსა და მის პრაქტიკულ ასახვაში. საჭირო გახდა ამ ყველაფერის ანალიზი და კონკრეტული დეტალიზაცია, რაც ამ დამაბნეველ გარემოს ნათელს მოჰფენდა. შედეგად შეიქმნა მრავალი ნაშრომი, რომელიც კონკრეტული პრობლემების ანალიზს გვთავაზობს და ასევე კონკრეტული მიმართულებებით ქცევების რეგულაციას ცდილობს. ეს ყველაფერი ეთიკის კოდექსშია თავმოყრილი და ის განვრცობილია სხვა და სხვა პროფესიული მიმართულებებით. აღნიშნული კოდექსი, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში გვეხმარება, ადამიანს გარკვეულწილად ათავისუფლებს იმ დაბნეულობისგან, რომელიც შესაძლოა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების წინ დადგეს. აღნიშნული კოდექსის საზღვრები განსაზღვრულია და როგორც წესი გარკვეულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას აიოლებს. ამასთანავე, ამგვარი პროფესიული ეთიკის კოდექსით არამარტო კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანები, არამედ რიგითი მოსახლეობაც სარგებლობს. ხალხმა იცის, რომ კონკრეტული პროფესიის ადამიანი როგორ უნდა იქცეოდეს და ასევე მათ აქვთ ადეკვატური განცდა ყველა იმ მოსალოდნელი ქცევის მიმართ, რასაც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელმა შეიძლება დააფიქსიროს. პროფესიული ეთიკის კოდექსის საშუალებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული პროფესიით დაკავებული ადამიანების ქცევების რეგულირება და მათი ქცევების ეთიკის ჩარჩოებში მოქცევა.

ბუნებრივია, აღნიშნული თვალსაზრისით განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა და შესაბამისად ამგვარი მორალური ნაშრომებიც უმეტესწი-

ლად ამ კონკრეტულ სფეროს შეეხება. თანამედროვე ეპოქაში საჭიროა ყველა იმ ნორმისა და ზნეობრივი ღირებულებების კლასიფიკაცია, რომლებიც მასწავლებელმა და მოსწავლემ უნდა იცოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში განათლების პროცესის მთავარი აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე ვერ შეძლებენ საჭირო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, რათა მათმა საქმიანობამ და თანამშრომლობამ სათანადო შედეგი გამოიღოს. მათ გაუჭირდებათ იმ როლების გათავისება, რომლებსაც თანამედროვე განათლების სისტემა და ზოგადად თანამედროვე მიდგომები ითხოვს. როდესაც განათლების პროცესში მონაწილე აქტორებმა იციან თავიანთი ქცევის კოდექსი, ისინი უყოყმანოდ მიიღებენ გადაწყვეტილებებს და მორალურად შეუსაბამო დილემის წინაშე არ აღმოჩნდებიან. ამასთანავე, თავიანთი უფლება-მოვალეობის განხორციელებისას ორივე მხარე იოლად უპასუხებს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება მუშაობის პროცესში წარმოიქმნას. შედეგად, ორიმე მხარე თავიანთ ფუნქციასა და როლებს თავისუფლად შეასრულებს. ამგვარი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით გაწეული სამუშაოს დროს საჭიროა იმ ცვლილებათა გათვალისწინება, რომლებიც დრომ და გარემოებამ შეიძლება მოიტანოს. ასევე მნიშვნელოვანია იმ ღირებულებათა მფარველობის ქვეშ დაყენება, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ან სრულებით დაიკარგოს. ამგვარი ღირებულებები საზოგადოების რეალურ მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს და საამისოდ შესაბამისი ფორმებით უნდა იქნას შეთავაზებული. ყველა ის ფორმა, რომელიც განხორციელების თვალსაზრისით სირთულის ზღვარზეა, ხელახალ ფორმირებას საჭიროებს. ამგვარი ფორმირების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის აქტორები, მასწავლებელი და მოსწავლე უფრო თვალსაჩინო

სარგებელს მიიღებენ და ამასთანავე, მათ მიერ გაწეული სამუშაო, შედეგის თვალსაზრისით, გარშემომყოფებისთვისაც სასარგებლო იქნება. ეს მოიტანს საზოგადოებაში პატივისცემისა და დაფასების ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში ისევ და ისევ მათ მიერ შესრულებულ საქმიანობაზე აისახება დადებითად, რადგან რაც უფრო მეტია მოქმედი პირის ავტორიტეტი, მით ეფექტურია შედეგიც. საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების წარმატებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ სფეროში დასაქმებულთა ზნეობრივი მდგომარეობა და ზოგადად განათლების სფეროში ზნეობის ადგილი შეუცვლელია, ამიტომ აუცილებელია, რომ განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანებს მორალური ღირებულებები გააჩნდეთ.

რაც შეეხება მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობებში მასწავლებლის ავტორიტეტის ფაქტორსა და გავლენას. მასწავლებლის ჯანსაღ ავტორიტეტი სასწავლო პროცესის სიჯანსაღისთვის სასურველი რამაა, მაგრამ ამ ავტორიტეტის ჭარმა გამოვლინებამ მოსწავლე ზედმატი გავლენის ტყვეობაში არ უნდა ჩააგდოს. მასწავლებლის ჯანსაღი ავტორიტეტი მოსწავლეს დადებით ემოციებს უქმნის, ამშვიდებს, სანდოობას და უსაფრთხოების განცდებს ჰმატებს. მოსწავლე ამ ავტორიტეტს სათავისოდ იყენებს და საკუთარი თავის განვითარებას ცდილობს. მასწავლებლის ავტორიტეტი და თავისუფლება ერთმანეთის საპირისპირო ფაქტორებად არ უნდა განვიხილოთ. ავტორიტეტის მიმართ სწორი დამოკიდებულება პიროვნებისა და მისი დადებითი თვისებების აღიარებაა. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს ავტოროტეტი ბრმად უნდა შევქმნათ და უპირობოდ ვაღიაროთ. როდეაც ავტორიტეტული პიროვნებები რამეს ამბობენ, აქ უფლება გვაქვს ჩვენი გონებით განვსაჟოთ და ამის შემდეგ დავეთანხმოთ. როდესაც

მოსწავლე მასწავლებელს რაიმე საკითხზე მიმართავს, ეს ნიშნავს, რომ მას ეს მასწავლებელი მცოდნედ მიაჩნია და მის ცოდნას აღიარებს. სწავლა-სწავლების პროცესში არსებული იერარქიაც ლოგიკურ პრინციპზეა დამყარებული და ამ მოცემულობაშ მასწავლებლის ავტორიტეტი მოსწავლისათვის დადებითი შედეგების მომტანია. საბოლოო ჯამში ეს იერარქია მოსწავლის თავისუფლებასა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ავტორიტეტის უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა და გარკვეული სტიგმატიზირების მცდელობა მართებული არ გახლავთ. ავტორიტეტის ცუდი გამოვლინება მისი უხეში ფორმაა, რომელიც ბრმა მორჩილებას მოითხოვს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის ავტორიტეტის გარეშე, მოსწავლე თავისუფლებას ვერ მოიპოვებს. ამ შემთხვევაში ის სხვა ავტორიტეტებს მოძებნის და შესაძლოა არასასურველი გავლენების ქვეშ მოექცეს. სულ მცირე, ასეთ მოსწავლე კლაში რომელიმე მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის გავლენის ქვეშ მოექცევა. ბუნებრივია ეს უკანასკნელი უფრო არაპროგნოზირებადი მოლოდინების შემქმნელია, ვიდრე მასწავლებლის გავლენის ქვეშ მოქცევა. გარდა ამისა, არსებობს მრავალი სხვა ზემოქმედების მქონე ფაქტორი, რომელთა გავლენის ქვეშ შესაძლოა მოსწავლე მოექცეს. ეს უკავშირდება, როგორც ტექნოლოგიების განვითარებას, ისე ქუჩას.

4. მოსწავლის სწავლის ეთიკა

4.1. დროის სწორად გამოყენება

ყურანში ნაბრძანებია: **„და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც“.** (ნეჯმი, 53/39) ეს ნიშნავს, რომ მუს-

ლმისთვის მუშაობა მისი ყოველდღიური, ყოველწამიერი მდგომარეობაა. მუშაობის შედეგი ამ სისტემატიურობაზეა დამოკიდებული. აქვე შეგახსენებთ კიდევ ერთ აიათს:

„უეჭველად, სიმძიმეს ახლავს შემსუბუქება! და როცა მოიცლი, წამოდექი და იშრომე“. (ინშირაჰი, 94/6-7)

ამრიგად, მშრომელი ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია დროის სწორად და რიგიანად გამოეყენება იცოდეს.

მორწმუნე მოსწავლე, რომელსაც ღვთის კმაყოფილების მოპოვება აქვს განზრახული, ყოველმხრივ ცდილობს თავისი ბუნებრივად მონიჭებული უნარები განივითაროს და სასარგებლო ცოდნა შეიძინოს. საამისდ ის მუდმივად უნდა შრომობდეს და ასევე მიზანი გარკვეული უნდა ჰქონდეს. მიზნის გარკვევის შემდეგ მოსწავლემ ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა დაგეგმოს, რაც ცოდნის შეძენის პროცესშია აუცილებელი. გეგმის შედგენა ზდოის ეფექტურად გამოყენებას ნიშნავს, ხოლო დროის ეფექტურად გამოყენება, წარმატების საწინდარია. დღეს მიიჩნევა, რომ დრო დაჩქარებულია და ადამიანი ვეღარაფერს ასწრებს. ეს ასე არ გახლავთ. დრო იგივენაირად მიდის, უბრალოდ ადამიანები დროს სწორად არ ანაწილებენ და გონივრულ გეგმებს არ ადგენენ. ამ საკითხთან დაკავშირებით შუამავლის შეგონება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. ის გვმოძღვრავს, რომ ადამიანთა უმრავლესობამ ორი წყალობის ფასი არ იცის. ესენია: „ჯანმრთელობა და თავისუფალი დრო“. (იხ. ბუჰარი, რიქაქ“ 1). ასევე მოვისმინოთ შუამავლის კიდევ ერთი შეგონება: „ამ ხუთი რამის მოსვლამდე შემდეგი ხუთი რამის ფასი იცოდეთ: მოხუცებულობამდე ახალგაზრდობის, ავადმყოფობის მოსვლამდე ჯანმრთელობის, სიღარიბის მოსვლამდე სიმდიდრის, მოუცლე-

ლობის მოსვლამდე თავისუფალი დროისა და სიკვდილის მოსვლამდე- სიცოცხლის“. (იხ. ჰაქიმი, „მუსთედრექ“ 4, 341) ასევე გულისყური უნდა მივაპყროთ ღვთიურ ბრძანებას:

„და როცა მოიცლი, წამოდექი და იშრომე“. (ინშირაჰი, 94/7)

ლოცვა, მარხვა, ჰაჯი, ზექათი და მსგავსი ღვთისმსახურებების შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა დროა. აქდან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დრო. ისლამის სწავლულებიც იმის საუკეთესო მაგალითები არიან, თუ როგორ უნდა გამოიყენო დრო, რათა წარმატებას მიაღწიო. გაზალის, სოუთის და სერაჰსის იმდენად მრავალი ნაწარმოები და ნაშრომი აქვთ შექმნილი, რომ თავიანთ შეზღუდულ დროში როგორ მოასწრეს ამდენი, ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული. ჰათიფ ელ-ბაღდადი, დროის მოგების მიზნით, სადმე რომ წავიდოდა წიგნი თან მიჰქონდა და სირულის დროს კითხულობდა. დღეს სკოლაში ბავშვეი ავტობუსებით დადიან. მათ თავისუფლად შეუძლიათ ავტობუსში ყოფნისას წიგნი წაიკითხონ. ისლამის სწავლულები მიიჩნევენ, რომ სწავლისთვის საუკეთესო დრო ადრიანი დილაა. ასევე მნიშვნელოვანია სწავლის დროს უხმაურო ადგილის შერჩევა, რათა ყურადღება არ გაგვეფანტოს. ამიტომაა რომ ძველი მედრესეს ფანჯრები ძალიან მაღლა იყო გამოჭრილი. ისინი სიმყუდროვეს ქმნიდნენ.

მოსწავლე, რომლემაც დროის ფასი კარგად იცის, დროს გაკვეთილზეც კარგად გამოიყენებს და გაკვეთილის შემდეგაც. ბუნებრივია ასეთი მოსწავლე გაკვეთილზეც დროულად მივა. პასუხისმგებლობით განმსჭვალული მოსწავლე გაკვეთილზე არ დააგვიანებს და გვიან კლასშ შესვლით მასწავლებლისა და მოსწავლეების ყურადღებას

არ გაფანტავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უპატივცემულობა იქნება, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. ისლამის ტრადიციაში გაკვეთილზე ადრიანად მისვლა და გაკვეთილისთვის მომზადება სასურველი და მისასალმებელია. (იბნ ჯემაა, 2016; 159, 223)

სწავლების პროცესის დაგეგმა, ამავდროულად დროის დაგეგმვას ნიშნავს. მასწავლებელი, რომელმაც კარგად იცის დროის ფასი და მნიშვნელობა, საგაკვეთილო პროცესსაც კარგად დაგეგმავს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ნიშნავს სწორად და ეფექტურად გამოვიყენოთ ის დრო, რომელიც სწავლებისათვისაა განკუთვნილი. გაკვეთილის დაგეგმვისას ჯერ უნდა განისაზღვროს გაკვეთილის მიზანი და შემდეგ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო აქტივობები. თემის შინაარსისა და აზრის გასაგებად გეგმა უნდა შეიცავდეს იმ აქტივობების ჩამონათვალსა და თანმიმდევრობას, რომლებიც საკითხის კარგად გაგებას უზრუნველყოფს. ასევე მნიშვნელოვანია ამ მიზნების მიღწევის შედეგები და მათი გაზომვა შეფასების სახით. ასევე საჭიროა ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ და გაკვეთილის მიზნების მიღწევის პროცესი შევაფასოთ. საგაკვეთილო გეგმა უმჯობესია დაწერილი გვქონდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში შესაძლებელია მისი იმდენად ახლოს აღქმა, რომ გონებაში დამახსოვრების გზით გამოვიყენოთ. მასწავლებელს ასევე უნდა ჰქონდეს უნარი, რომ კლასში შექმნილი რეალობის მიხედვით გეგმის მოდიფიცირება შეძლოს და ამ პროცესში მინიმალური დროის დაკარგავაც კი არ მოუწიოს. აქ მთავარი ამოსავალი წერტილი მოსწავლეთა მოთხოვნილებები, საჭიროებები და გაკვეთილის მიზნის მიღწევაა. როდესაც მასწავლებელი მდიდარ საგაკვეთილო გარემოს ქმნის, იქ მიზნის მიღწევა იოლდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეების მხრიდან დროის სწორად განაწილებასა და გამოყენებას დიდ დაბრკოლებას უქმნის სოციალური ქსელები და ონლაინ თამაშები. მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ, რომ ტექნოლოგიეური სიახლეები და შესაძლებლობები ცოდნის გაღმავებისა და უნარების განვითარებისათვის გამოიყენონ.

4.2. გაკვეთილზე მომზადებული მისვლა

მოსწავლე, რომელსაც სწავლის შეძენა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და ასევე პასუხისმგებლიანობით გამოირჩევა, გაკვეთილზე მოუმზადებლად არ მივა. ის ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ მასწავლებელმა ასე უთხრა, ან მისგან შექებას ელოდება, არამედ მისი მთავარი მოტივაცია არის ის, რომ მან იცის,ცოდნის შეძენის ფასი და აუცილებლობა. პასუხიმსგებლიანმა მოსწავლემ იცის, რომ მის მაგივრად მისთვის სხვა ვერ ისწავლის, ამიტომ ყოველგვარი თავის არიდებისა და სიზარმაცის გარეშე გაკვეთლებს ამზადებს და გაკვეთილზე ისე მიდის.

მოსწავლე ასევე ამზადებს დავალებებს და ერთვება სხვა საგაკვეთლო აქტივობებში. ასევე მნიშვნელოვანია სკოლაშ ნასწავლის პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირება, რაც თეორიულ ცოდნას ამყარებს. პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული მოსწავლე გავლილ მასალასაც სისტემატიურად იმეორებს, რათა წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დამყარება შეძლოს. ის დავალებებს სხვებისგან არ იწერს და არც კარნახს ელოდება. ამრიგად, მოსწავლის ასეთი პასუხისმგებლობით სავსე

ქცევა სწორედ იმ მორალზეა დამყარებული, რაც მუსლიმ მოსწავლეს უნდა გააჩნდეს. ამგვარი ზნეობრივი თვისებების მქონე მოსწავლე ყველა გაკვეთილზე მომზადებული მიდის და გაკვეთლის პროცესშიც აქტიურადაა ჩართული. მან იცის, რომ მორწმუნე მუსლიმის ყველა საქმე სანდოდ და კარგადაა შესრულებული, ამიტომ არ დაუშვებს, რომ დაკისრებულ მოვალეობას გაექცეს და საქმე სანახევროდ შეასრულოს. მან იცის, რომ გაკვეთლზებზე მოუმზადებლად მისვლა წარუმატებლობისკენ მიმავალი გზაა, ხოლო წარუმატებლობა ის ცუდი მდგომარეობაა, რომელიც მუსლიმ მოსწავლეს არ ეკადრება.

გაკვეთილზე მისული მოსწავლის შესახებ საუბრისას, გვინდა მხოლო იმ კუთხით შეგახედოთ, რომ მომზადებული მისვლა მოსწავლის ზნეობრივი ვალდებულებაა და შესაბამისად მომზადების დეტალებზე, როდის რა უნდა გააკეთოს,აქ არ ვისაუბრებთ. მოსწავლეს, რომელმაც იცის, რომ გაკვეთილზე მოუმზადებლად არ უნდა მივიდეს, ისიც უეჭველად ეცოდინება, თუ რას ნიშნავს მომზადებული მისვლა და რა უნდა გააკეთოს.

4.3. გაკვეთილების გაცდენა

მოსწავლის უპირველესი მოვალეობა სწავლაა, ამიტომ მისი მხრიდან ამ მოვალეობის პირნათლად შესრულება, მის მორწმუნეობრივობასაც ადასტურებს. ამრიგად, მოსწავლე ვალდებულია მოსწავლის მოვალეობები პირნათლად შეასრულოს. ამ მოვალეობის შესრულებისას გულგრილობა, მიზეზების ძებნა და თავის არიდება მიუ-

ღებელი საქციელია. თუ მოსწავლე თავის არიდების რეჟიმშ გადავა და მიზეზების მოძებნას დაიწყებს, აქედან უკან მობრუნება ძაიან გაძნელდება. საპატიო მიზეზის გარეშე გაკვეთლების გაცდენა უპასუხისმგებლობის ნიშანია და უპასუხისმგებლობა კი მორწმუნე მუსლმის ზნეობას არ შეესაბამება. ამდენად, მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ მისი უპირველესი მოვალეობა სწავლაა და სწავლის პროცესს თავი არ უნდა აარიდოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაცდენების პრობლემა უმაღლეს სასწავლებლებში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე სკოლებში. აღნიშნული პრობლემა მითუფრო საგანგაშოა, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში უკვე ზრდასრული სტუდენტები სწავლობენ და შესაბამისად მათი მხრიდან გამოვლენილი უპასუხისმგებლობა გაცილებით მეტი შეშფოთების მიზეზს გვიტოვებს.

ჩვენს ქვეყანაშ მოსწავლეთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, მაგრამ გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა. სკოლაშ მისული მოსწავლეები გაკვეთლების ბოლომდე არ რჩებიან. 2015-2019 წლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც დაწყებითი სკოლა 20 დღეზე მეტი ხნით გააცდინეს 25.3 % შეადგინა. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 14. 6 % იყო. 2014 წელს კი - 14.8 %. საბაზო საფეხურზე იმავე ასპექტში გაცდენების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2012 წელს 25.3 % იყო, 2013 წელს 38.4, ხოლო 2014 წელს 35 %. რაც შეეხება საშუალო საფეხურს, 2012 წელს ეს მაჩვენებელი 38. 9 % -ს შეადგენდა. 2013 წელს 40.8 %. 2014 წელს კი- 34.8 % დაფიქსირდა. 2019 წლამდე ამ მაჩვენებლის 10 %-მდე შემცირება იგეგმება. საბაზო და საშუალო საფეხურზე კი

20% იგეგმება. რაც შეეხება უნივერსიტეტებს, გაცდენის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

4.4. გაკვეთილებზე აქტიური ჩართულობა

მოსწავლე არის ადამიანი, რომელიც სწავლობს. ანუ მისი საქმიანობა სწავლაა. სწავლის პროცესი ადამიანში წარუშლელ კვალს ტოვებს. (ერთურქი, 1994; 78). სწავლის შედეგად ადამიანი სწავლობს ისეთ რამეებს, რაც ნამადე არ იცოდა. ასევე გრძნობს ისეთ რამეებს, რასაც მანამდე ვერ გრძნობდა და ახერხებს ისეთ რამეებს, რასაც ვერ ახერხებდა. სწავლა არ არის ის მოვლენა, რომელიც უცაბედად მოხდება. სწავლა ხანგრძლივი და რთული პროცესია. სწავლის შედეგად ინდივიდი გარემოს მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას გრძნობს და სამყაროს მიზანმიმართული მეთოდებით სწავლობს. როგორც უკვე მოგახსენეთ, მოსწავლემ თავისი ცოდნა თავად უნდა შეიძინოს. სხვა მის მაგივრად ამ ცოდნას ვერ ისწავლის. ანუ მოსწავლემ ეს გზა თავად უნდა გაიაროს. ამდენად გაკვეთლზე ჩართულობა და აქტიურობა მოსწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ვალდებულებაა.

ადამიანები თანაცხოვრებისას ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში არიან. ამ ურთიერთქმედების შედეგად ინდივიდებში ხდება ცვლილებები. ისე უბრალოდ, უმიზეზოდ ინდივიდის ქცევებში ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

გარემოსგან მიღებული ზემოქმედების შედეგად ინდივიდის შინაგან სამყაროში შეიძლება წარმოიქმნას, როგორც მარტივი, ისე რთული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც საბოლოო ჯამში მის ქცევებზე აისახება. ქცევა ვიზუალურად აღქმადი მოვლენაა, ამიტომ მისი გაზომვა და შეფასება იოლია. მაგალითად, ხელისა და ფეხის საშუალებით დაფიქსირებული ქცევები თვალით აღიქმება, ხოლო გონებრივი ქცევები და გრძნობები სხვა მეთოდებით იზომება. ზოგიერთ ქცევას მარტივი გონებრივი ეფექტი სჭირდება, ხოლო ზოგი ქცევის დასაფიქსირებლად რთული გონებრივი მუშაობის კომბინაციაა საჭირო. (ერდენ აქმანი, 1995, 187) მაგალითად, შუამავლის სახელის, მისი დაბადების თარიღის, დაბადებული ქალაქის დასწავლა და დამახსოვრება მარტივ გონებრივ მუშაობას საჭიროებს, მაგრამ მისი რომელიმე ჰადისის დასწავლა, გაანალიზება და შინაარსის განჭვრება რთული გონებრივი მუშაობის შედეგად მიიღწევა.

არსებობს მრავალი სახის საგანმანათლებლო დაწესებულებები: სკოლები, უნივერსიტეტები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ყურანის შემსწავლელი კურსები, შემეცნებითი პროგრამები და მრავალი სხვა.

ფორმალური განათლების მიზნები იმ საშუალებების არსებობითა და განვითარებითაა შესაძლებელი, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესში აუცილებლობას წარმოადგენს. სწავლება, სწავლების პროცესში გზამკვლევობაა. სწავლის შედეგად ინდივიდის გონებაში შეძენილი, ჩამოყალიბებლი და განმტკიცებული ქცევები ყალიბდება. სწავლება გეგმაზომიერად, გარკვეული თანმიმდევრობით ხორციელდება. ინდივიდისგან სასურველი ქცევის მისაღებად, სასწავლო პროცესი ლოგიკური გეგმის მიხედვით

უნდა იყოს გაწერილი. ამავდროულად, აღზრდა და განათლება ერთმანეთთან მონათესავე ტერმინებია. აღზრდა უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია, ვიდრე განათლება. განათლებაც აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. ყველა ადამიანი ცდილობს ასწავლოს სხვას ის ყველაფერი, რაც მან იცის, მაგრამ მასწავლებელი ამას პროფესიონალურად აკეთებს. პირველ შემთხვევაში სწავლების შედეგები შეიძლება დადებითი იყოს, მაგრამ ასევე მოსალოდნელია უარყოფითი შედეგებიც. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, დადებითი შედეგების მიღება უფრო მეტადაა მოსალოდნელი.

განათლების პროცესში გადამწყვეტ როლს ადამიანი თამაშობს. განათლების პროცესი და გეგმა იმის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს, თუ როგორი ადამიანი გვინდა მივიღოთ. როდესაც ისლამის შესწავლაზე ვსაუბრობთ, აქ მთავარი ხაზი ისლამის ძირითად საფუძვლებს ემყარება.

4.5. წესების დაცვა

ზნეობრივობა თავისთავად წესების დაცვით ცხოვრებას გულისხმობს. მოსწავლე, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ზნეობრივად იცხოვროს და ცოდნა შეიძინოს, რა თქმა უნდა, გარკვეული წესების დაცვას უნდა შეეცადოს. ბუნებრივია, სასწავლო გარემოში, გაკვეთილზე წესების დაცვის გარეშე დისციპლინა ვერ ჩამოყალიბდება და დისციპლინის გარეშე სასწავლო გარემო ხელსაყრელი ვერ გახდება. ქაოსი და არეულობა ყველას შეაფერხებს და საბოლოო ჯამში ყველა დაზარალდება. გაკვეთლზე ქაოსის გამოწვევა, სხვა ყველაფერთან ერთად, სხვების უფლებების უხეში დარღვევაა, რაც მორწმუნე მუსლიმს არ შეჰფერის.

წესებზე მიყოლის სურვილი მოსწავლის შინაგანი სურვილი უნდა იყოს და არა გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით გამოწვეული იძულება. წესების დაცვა ყველას ინტერესში უნდა შედიოდეს და ალტერნატიული ვარიანტი საერთოდ განხილვასაც კი არ უნდა ექვემდებარებოდეს. თუ მოსწავლეები სკოლაში ქცევის წესებს შიანაგანად გაითავისებენ, მათი ქცევაც ამ შინაგანი მიმღებლობის შედეგი იქნება და ისინი წესებს განუხრელად დაიცავენ. ნებისმიერი ჯგუფური მუშაობა გარკვეული წესრიგისა და დისციპლინის შექმნას საჭიროებს. კლასში წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვისთვისაც აუცილებელია გარკვეული დისციპლინის, გარკვეული წესების ჩამოყალიბება და დაცვა, რათა ჯგუფის აქტორებს შორის ჯანსაღი და ნაყოფიერი მუშაობა წარიმართოს. რა თქმა უნდა დისციპლინა, უპირველეს ყოვლისა მასწავლებლის ინტერესებში შედის. როგორი უნდა იყოს სწორად დადგენილი დისციპლინა, ეს და სხვა მსგავსი კითხვები აქტუალურ ხასიათს ატარებს. როგორ უნდა შევქმნათ ის? დისციპლინა მხოლოდ კლასში მოქმედი წესების ერთობლიობა არ გახლავთ. ის უფრო ფართო გაგებით უნდა განვიხილოთ. თანამედროვე მიდგომების მიხედვით, კლასში არსებული წესები მხოლოდ მოსწავლეთა ქცევების რეგულირებით არ უნდა იყოს შემოფარგლული და მას უფრო ფართო მომცველობა უნდა ახასიათებდეს. ეს უნდა იყოს გარემოს შექმნა, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი მაქსიმალურად ნაყოფიერი იქნება. ამრიგად, შეიძლება კლასში წესრიგი იყოს, მაგრამ მასწავლებლისა და მოსწავლეების მუშაობა ნაყოფიერი არ იყოს. შესაბამისად, კლასში ხელსაყრელი კლიმატის შექმნის მიზნით შემუშავებული წესები და გათვლები იმ მოლოდინებს უნდა ეყრდნობოდეს, რომლებიც სასწავლო პროცესში ჩაბმული აქტორე-

ბის მაქსიმალურ კომფორტთან იქნება დაკავშირებული. სწავლისათვის კომფორტული გარემო ორივე მხარისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია.

ამრიგად, ნაყოფიერი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მთელი საგაკვეთლო პროცესი მოსწავლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების მიხედვით იქნება განსაზღვრული და ასევე მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებელი მაქსიმალურს აღწევს, შესაბამის შედეგებს აუცილებლად მოიტანს. ამ პროცესში აუცილებელია მოსწავლის ცნობისმოყვარეობისა და მოტივაციის ამაღლება, რის შედეგადაც ის მთელ თავის შესაძლებლობებს ცოდნის ძიებისკენ წარმართავს და აღმოცენილი ახალი ცოდნის საფუძველზე მოვლენების ანალიზსა და შეფასებას შეძლებს. ასეთ განწყობის შემთხვევაში მოსწავლე არც დისციპლინას დაარღვევს და უფრო მეტიც, მსგავსი რამ აზრადაც არ მოუვა. ამიტომაა, რომ მოსწავლეზე და მის შესაძლებლობებზე ორიენტირებული სწავლება უფრო ეფექტური და შედეგიანია, ვიდრე მზა ინფორმაციის დაზეპირებაზე დამყარებული მიდგომები.

4.6. სწავლა-სწავლების პროცესში და გამოცდის დროს პატიოსნება

მუსლიმი მოსწავლე აცნობიერებს, რომ ცოდნასთან სასიცოცხლო ურთერთობაშია შესული და რაც უფრო მეტს ისწავლის, საკუთარ თავს უფრო მეტად განივითარებს. ის არ ერიდება გამოცდების ჩაბარებას. უფრო მეტიც, ის სისტემატიურად ცდის საკუთარ ცოდნას, რათა ცოდნის მხრივ ნაკლოვანებები აღმოაჩინოს და შეივსოს.

ამადროულად ის აანალიზებს, რომ რეალური წარმატება მხოლოდ გამოცდის ჩაბარებით არ განისაზღვრება და გამოცდებსაც მხოლოდ იმისთვის არ აბარებს, რომ წარმატებული წარმოჩნდეს. მან იცის რეალური წარმატების არსი და ამ წარმატებისკენ მიილტვის. ბუნებრივია ის არც გაკვეთლების უშინაარსოდ გატარების მომხრე იქნება. ასეთი მოსწავლე დავალების ან საგამოცდო ტესტების გადაწერას არ შეეცდება. მას აინტერესებს ზუსტი შეფასება, რომელიც სამომავლოდ განვითარების გეგმების შედგენაში დაეხმარება. მას სჯერა, რომ გამოცდები მისი ცოდნის მდგომარეობის დადგენის საშუალებაა და მისი გაყალბება აზრადაც არ მოუვა. ბუნებრივია, მას არ სურს, რომ იმაზე ნაკლები ცოდნა გამოავლინოს, რასაც რეალურად ფლობს და არც ის უნდა, რომ იმაზე მეტი წარმოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია. ორივე ეს შემთხვევა რეალობისგან აცდენაა და რაც რეალობისგან აცდენილია, წესიერ მოსწავლეს არ მოეწონება. ყალბი ქულების აღება, სხვების თვალში თავმოწონება და რეალური ცოდნისგან განსხვავებულად წარმოჩენა, მორწმუნე მუსლიმისთვსი შეუფერებელი საქციელია. მორწმუნე მუსლიმი ყველა საქმეს გულწრფელად აკეთებს და განათლების სფეროშიც შესაბამისი გულწრფელობით გამოირჩევა.

როდესაც ცოდნაში მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებას ვეძებთ, ადამიანი ამ დროს გონივრულობითა და კრიტიკული აზროვნებით გამოირჩევა. ასეთ დროს წინასწარ შექმნილი, ტაბუირებული განწყობები უკანა პლანზე იწევს. ინდივიდს ჭეშმარიტების ძიების გარდა სხვა შფოთვები აღარ აინტერესებს. ყურანი არ ზღუდავს ადამიანს აწარმოოს მეცნიერული დაკვირვებები და კვლევები. უფრო მეტიც, ყურანი მოგვიწოდებს დავაკვირდეთ სამყაროს და ვიფიქროთ, რათა ჭეშმარიტებას ვეზიაროთ.

ამგვარი მოწოდებები მიზნად ისახავს იმ ჭეშმარიტების მიგნებას და აღიარებას, რაც სამყაროშია დადგენილი. ამიტომაა, რომ ყოველი მუსლიმი თავს ვალდებულად თვლის ეძიოს უნივერსალურ ჭეშმარიტებას და საამისოდ ცოდნა აიმაღლოს.

ინდივიდის სწავლა-განვითარება აკვნიდან საფლავამდე განგძობადი პროცესია, ამიტომ ცოდნის შეძენა, სწავლა, კვლევა, ძიება ყოველი მუსლიმისთვის ერთ-ერთი აუცილებელი საზრუნავია. მუსლიმი ადამიანი მუდმივად სწავლის პროცესში უნდა იყოს ჩართული. ის ან უნდა სწავლობდეს, ან ასწავლიდეს. (იხ. დარიმი, მუყადდიმე, 26). ეს ყველაფერი, ისლამის მიხედვით, მნიშვნელოვან ღვთისმსახურებად ითვლება. (იხ. თირმიზი, ილიმ, 19). აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია სისტემატიურად თვითგანვითარებას მისდიოს, იკითხოს, დრო ტყულად არ გაფლანგოს და იფიქროს. ეს ყველაფერი კი ღვთისმსახურების მსგავსი მონდომებით უნდა გააკეთოს. (იხ. იბნ ჯემაა, 2016, 87-89). მასწავლებელი, როგორც ჭეშმარიტების მიმდევარი, ცოდნაზე შეყვარებულ ადამიანად გადაიქცევა. სწავლა/სწავლების პროცესი მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნების მომტანია. მას უკვე თავის დანებება და მის გარეშე დროის ფუჭად გატარება აღარ შეუძლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელი მუდმივად ცოდნის ძიების პროცესშია. ეს მისი ცხოვრებაა. როდესაც მასწავლებელი საკუთარ პროფესიას პატივს სცემს, ის ყოველი გაკვეთილის წინ ფიქრობს იმ მეთოდებზე, რომლებსაც კონკრეტულ გაკვეთილზე გამოიყენებს, რათა საუკეთესო შედეგს მიაღწიოს.

სამწუხაროდ, დრევანდელ სკოლებში გადაწერისა და შედეგების გაყალბების მავნე პრაქტიკა განსაკუთრებულ

მასშტაბებს აღწევს. სკოლებს რომ თავი დავანებოთ, რელიგიურ სასწავლებლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა 76.2% სხვა და სხვა სიხშირით დავალებების ან ტესტების გადაწერის მცდელობა ჰქონია. დავალებებისა და გამოცდების გადაწერა მოსწავლეთა დონის სწორად შეფასებას დიდ დარტყმას აყენებს. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ეს მიღებული პრაქტიკაა და გამოცდების გაყალბებისა და გადაწერის მცდელობა ისეთ ნეგატიურ მოვლენად არ აღიქმება, როგორც უნდა აღიქმებოდეს. მოსწავლეები გადაწერას საჩოთირო საქმედ კი არ განიხილავენ, არამედ სახალისო ისტორიად აქცევენ ხოლმე და მეგობრების წრეში სიამაყით ყვებიან. აღნიშნული დამოკიდებულება ისლამისთვის შეუფერებელია და ამგვარ დამოკიდებულებას ყველამეთოდით უნდა ვებრძოლოთ. ახლა კი ერთ-ერთი უცხოელის მიერ მოყოლილ ამბავს:

„ერთ დროს ერთი იაპონელი მოსწავლე მყავდა. ის წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა და ისლამზე იყო მოქცეული. ძველი სახელი შეიცვალა და ისჰაკი დაირქვა. ერთხელ გაკვეთილის მსვლელობისას მასთან ასეთ დიალოგი გავმართე:

- ისჰაკ, როგორ მიდის შენი თავგადასავალი ჩვენს ქვეყანაში? კარგად შეგვეწყვე?

- შეწყობა რაღა მოსატანია, მასწავლებელო. მე უკვე აქაური ვარ.

მისმა ამ პასუხმა ძალიან გამაკვირვა.

- კარგი. საიდან ჩანს, რომ შენც თურქი გახდი?

- მასწავლებელო, ისეთი კარგი თურქი გავხდი, რომ გუშინწინ გამოცდაზე ე.წ. „შპარგალკა“ შევიტანე და გადავიწერე.

ისჰაკის ამ ხუმრობამ ჩემზე ცუდად იმოქმედა. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი.

- იაპონელები „შპარგალკას“ არ იყენებთ?

- არა, მასწავლებელო.

- რატომ? ძალიან მკაცრი სასჯელია და ამის ეშინიათ?

- არა, პატივცემულო. შინაგანაწესში მსგავსი მუხლიც კი არ გვაქვს. უბრალოდ, „შპარგალკის“ გამოყენება ან სხვისგან გადაწერა დიდი სირცხვილია. თუ ვინმე გადაიწერს და ეს გამჟღავნდება, ის მოსწავლე სირცხვილისგან სკოლაში ვეღარ მოვა. უფრო მეტიც, იმ ქალაქშიც ვეღარ იცხოვრებს. იძულებული იქნება სადმე შორს გადაიხვეწოს“.

კარგი. ჩვენს რეალობაში „შპარგალკის“ გამოყენებას ან პლაგიატობას მხოლოდ მოსწავლეები მიმართავენ?

უნივერსიტეტში გამოცდა მიმდინარეობდა. სულ ორმოციოდე გამოსაცდელი ვიყავით. გამოცდა უცხო ენაში გვიტარედებოდა. ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით, რადგან ერთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ვიყავით. სხვა და სხვა ასაკის ადამიანები, ახალგაზრდები, შუახნის ასაკის და ასევე ხანშიშესულებიც კი იყვნენ. ორსაათნახევარი ამ რთულ გამოცდაზე უნდა ვყოფილიყავით. გამოცდას ანკარიდან მოვლენილი სამი დამკვირვებელი აკვირდებოდა. ისინი რიგებში დადიოდნენ და გამოცდის მიმდინარეობას აკონტროლებდნენ. მე მათი ასეთი ყურადღება და დაკვირვება არ მომწონდა. ჩვენ ხომ ბავშები არ ვიყავით, რომ გადაგვეწერა. თმცა ვცდებოდი. გამოცდის დაწყებიდან ათი წუთი რომ გავიდა, უნივერსიტეტის დეკანი მოვიდა და დამკვირვებლები ჩაიზე მიიპატიჟა. სანამ ისინი ჩაის მიირთმენდნენ, დეკანმა თავისი

მოადგილე მოგვიჩნა, რომელიც გამოცდას აკვირდებოდა. სწორედ აქ მოხდა ყველაზე უცნაური რამ. დამკვირვებელი ერთ-ერთ მეგობრის გვერდით დადგა და სწორი პასუხების კარნახი დაიწყო. ყველანი მივხვდით, დამკვირვებელების ჩაიზე მიპატიჟების მზიეზი. საგამოცდო ოთახშ წამიერი გაურკვევლობა ჩამოვარდა, მაგრამ უეცრად ყველა გამოსაცდელი აზრე მოვიდა და ერთმანეთისგან გადაწერა დაიწყო. ეს უკვე გამოცდას საერთოდ აღარ ჰგავდა. ერთ ერთი დოცენტი, რომელიც საკმაოდ ასაკშ იყო, უფრო შორს წავიდა, ფეხზე ადგა და სხვების პასუხებთან თავისი პასუხების შედარება დაიწყო. ის რიგშ მიდიოდა და ყველა პასუხს ადარებდა. მე ჩემს კუთხეში ვიჯექი და ამ დაუჯერებელ ამბავს იქიდან ვაკვირდებოდი. ეს ის ხალხი იყო, რომლებსაც წლებია ვიცნობდი და მათთან ვმეგობრობდი. უფრო მეტიც ისინი ძალიან წესიერ და პატიოსან ადამიანებად მიმაჩნდა და პატივს ვცემდი. ამხელა ოთახში მხოლოდ რამოდენიმე ადამიანი იყო, რომლებიც ადგილიდან არ იძვროდნენ და პასუხებს არ იპარავდნენ. ამ ხალხს 15-20 წლიანი საუნივერსიტეტო მუშაობის სტაჟი ჰქონდათ. ვინ იცის რამდენი მოსწავლე დასაჯეს იმის გამო, რომ გადაწერაშ შეამჩნიეს. დღეს კი თავიანთი პროფესიული ღისება ფეხქვეშ გაიგდეს და უმოწყალოდ თელავდნენ.

ეს ამბავი დიდი ხნის განმავლობაში გონებაში მიტრიალებდა და მოსვენებას არ მაძლევდა. ჩვენი განათლების სიტემის პრობლემებზე ვფიქრობდი. შემდეგ ეს ყველაფერი დავწერე. ჩემი მეგობრებიდან ერთ-ერთმა ყურადღება მიაქცია ჩემს სტატიას და ასეთი რამ დაწერა:

„დოქტორანტურის გასავლელად პარიზში წავედი. უნივერსიტეტშ, სადაც დოქტორანტურის გავლას ვაპირებდი, უცხო ენის ბაკალავრობას ითხოვდნენ. ამრიგად, დამე-

ნიშნა გამოცდა, სადაც მინიმალური ზღვარი უნდა გადამელახა. მაშნ ოცდაათი წლის ვიყავი, მაგრამ 16-17 წლის ბავშვებთან ერთად გამოცდაზე ჯდომა ძალიან უხერხული მეჩვენა. თან ვმუშაობდი და პარალელურად გამოცდის მიმდინარეობას ვაკვირდებოდი. იქ მყოფი გამოსაცდელები ძალიან თავისუფლად იქცეოდნენ. დამკვირვებელი კი გაზეთს კიტხულობდა და გამოცდის მიმდინარეობას თითქოს არც კი აკვირდებოდა. ცოტა ხანი რომ გავიდა, ჩემს გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ადგა, საგამოცდო ფურცელი მაგიდაზე დატოვა და გარეთ გავიდა. ცოტა ხანშ ისევ დაბრუნდა, მაგიდას მიჯდა და წერა განაგრძო. ვუყურებ, რომ დამკვირვებელი საერთად არ აქცევს ყურადღებას. ცოტა ხანში სხვებიც იგივენაირად გარეთ გავიდნენ, შემდეგ მობრუნდნენ და წერა განაგრძეს. რადგან გასვლა თავისუფალი იყო, მეც გადავწყვიტე ამ შესაძლებლობით მესარგებლა და გარეთ გავედი. გარეთ საკმაოდ დიდი კორიდორი იყო. გარეთ გამოსული მოსწავლეები იქ შეკრებილიყვნენ და ზოგი ყავას მიითმევდა, ზოგი კი სიგარეტს ეწეოდა. მე ერთი შეკითხვა ამეკვიატა. პასუხი ვერა და ვერ მოვიფიქრე. გადავწყვიტე წინასწარ შერჩეულ მოსწავლესთან მივსულიყავი და ამ შეკითხვის პასუხი მისგან გამეგო. ასეც მოვიქეცი. მივედი მასთან და ამ შეკითხვის პასუხი თუ იცი მეთქი, ვკითხე. ახალგაზრდას თვალები გაუფართოვდა და თითქოს დიდი შეურაცხყოფა მიმეყენებინოს, ნაბიჯი უკან გადადგა და მწყრალად შემომხედა. შემდეგ კი ისეთ რამ მითხრა, რასაც ვერასოდეს დავივიწყებ: „მუსიე, თქვენ გავიწყდებათ, რომ გამოცდაზე ხართ!“ ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რომელიც ჩემზე თხუთმეტი წლით უმცროსმა ფრანგმა მოსწავლემ ჩამიტარა და რომელიც არასოდეს დამავიწყდება.:

ამრიგად, მორწმუნე მოსწავლე დაუმსახურებლად მიღებულ ქულას ან დიპლომს მიუღებლად მიიჩნევს და მას მხოლოდ ისეთი განათლება სჭირდება, რომელიც რეალურად ღირებულია და რომელსაც ცხოვრებაში გამოიყენებს.

5. მეგობრებთან ურთიერთობის ეთიკა

5.1. მეგობრები არ უნდა შევაწუხოთ

საგანმანათლებლო სივრცე ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეთა ჯგუფს ერთ შენობაში, ერთ ოთახში უწევთ სწავლა და ისინი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში არიან. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოსწავლეებს შორის ჩამოყალიბებული კარგი ურთიერთობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. მოსწავლეთა კარგი ურთიერთობა, სხვა ყველა სიკეთესთან ერთად, წარმატების საწინდარია, რადგან კარგი ურთიერთბები თანამშრომლობის საშუალებას იძლევა და მოსწავლეებს შეუძლიათ ერთმანეთისგან ბევრი რამ ისწავლონ. ამრიგად, ამხანაგებთან კარგი ურთერთობის ქონა, მათთან მოქცევის დროს ზომიერების შენარჩუნება და მათი შეწუხებისგან თავის შეკავება კარგი ურთიერთბების ჩამოყალიბების საწინდარია. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს შორის გულწრფელი მეგობრობის ხიდები იგება და მათი ურთიერთობები ბადნიერებისა და სიხარულის მომტანი ხდება. მოსწავლეთა შორის ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება, ნებისმიერი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება მიუღებელია.

ჰადისი გვასწავლის, რომ მუსლიმი ის ადამიანია, რომ-ლისგანაც რაიმე საფრთხეს არ უნდა ველოდოთ. (იხ. თრ-მიზი, „იმან“ 12). ეს ჰადისი ყველა მუსლიმზე ვრცელდება და რა თქმა უნდა ის მოსწავლეებსაც შეეხება. რაც შეეხე-ბა ამხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობებს, აქ უკვე უფრო დიდი ვალდებულებაა და შესაბამისად უფრო მეტი გულისხმიერებაა საჭირო. მუსლიმი მოსწავლე აღიარებს, რომ სხვების მიმართ ლმობიერი დამოკიდებულება და ადამიანების შეწუხებისგან თავის შეკავება მისი რელიგი-ური და ადამიანური ვალდებულებაა, ამიტომ ყოველთვის შესაბამისად მოიქცევა.

ძალადობა ადამიანის მიმართ უპატივცემულობის თვალსაჩინო გამოხატულებაა და მას ძალიან დიდი ზიანის მოტანა შეუძ ია. ფსიქოლოგიური ან ფიზკური ძალადობის მსხვერპლი მძიმე ფქსიქოლოგიური დარტყმის ქვეშ ექცე-ვა და ღირსება ელახება. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ადამიანი ღვთის მიერაა გაჩენილი და პატივისცე-მას იმსახურებს.

სამწუხაროდ, თანამედროვე სკოლები ძალადობის გა-მოვლინების ადგილებად გადაიქცა. აღნიშნული პრობ-ლემა თითქმის ყველა ქვეყანაშია და ბუნებრივია ჩვენთა-ნაც ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეებს სკოლაში დანა და სხვა მსგავსი ცივი იარაღები დააქვთ, რაც განსაკუთრე-ბული საფრთხის მატარებელია. ასევე სკოლის მოსწავ-ლეები ქმნიან სხვა და სხვა დაჯგუფებებს, კლანებს, საძ-მოებს და კრიმინალის გზას ადგანან. ისინი თავს ესხმიან ბეჯით მოსწავლეებს, დაუცველებს, ან სხვა დაჯგუფების წარმოამადგენლებს და ფიზიკურად უსწორდებიან. ზოგი

სკოლის შემთხვევაში სიტუაცია იმდენად მძმეა, რომ მანდატურის სამსახური უძლური რჩება და საქმეში პოლიცია ერთვება. ამ ყველაფერს ისლამთან და მის ზნეობრივ ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს.

განათლება და მორალი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლებიც ადამიანის ცხოვრების საფუძველში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, შესაბამისად, ადამიანის ხსენებაზე, მაშინვე განათლება და ზნეობა გვახსენდება. განათლების გარეშე ადამიანის პოტენციალის შესაბამისად განვითარება წარმოუდგენელია და ასევე მორალის გარეშე შეუძლებელია განათლების პროცესის სწორად წარმართვა, რათა ადამიანი სწორად განვითარდეს. ყველა ტიპის საზოგადოებაში განათლებასა და მორალს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. კაცობრიობის ისტორიას რომ გადავხედოთ, მთელი განათლების პროცესი მორალის ელემენტებზე იყო დაყრდნობილი და მორალს განათლების ფუნქციაონირებისათვის ძირითადი როლი გააჩნდა. დღესაც, განათლების სისტემის ფორმირებაში მორალის ადგილი საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ტენდენციებიც შეინიშნება. ამრიგად, თუ გვინდა, რომ ადამიანებს კონკრეტული ცოდნა ან უნარები შევძინოთ, ეს პროცესი მორალის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების პროცესში ჩვენდაუნებურად გვიწევს ზნეობრივი პრინციპების ჩართვა და ეს ცართულობა მთელ პროცესს თან ახლავს. ზოგადად მიიჩნევა, რომ განათლების მიზანია ადამიანი უფრო უკეთესი გახადოს, რაც მორალის გარეშე ვერ მოხერხდება. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელთა ზნეობრიობას, რადგან ისინი ცოცხალი მაგალითები არიან და მათგან

მიღებული ცოდნის ხარიხსი სწორედაც რომ მათ ზნეობრიობაზეცაა დამოკიდებული.

5.2. კარგი მეგობრების შეძენა

მოსწავლემ ყველა თანაკლასელთან კარგი ურთიერთობა უნდა იქონიოს, მაგრამ არა მარტო კლასში, კლასის გარეთაც ახლო მეგობრების არჩევას დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული მოსწავლე არ აირჩევს ისეთ მეგობრებს, რომლებიც მავნე ჩვევებს მისდევენ, მიდრეკილნი არიან კრიმინალისა და ძალადობისკენ და ასევე უნდა მორიდოს ისეთ მეგობრებს, რომლებიც დროს ფუჭად ფლანგავენ და სწავლის მაგივრად დროსტარებაზე არიან ორიენტირებული. ნათქვამია: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“. დიახ. ადამიანი მეგობრებისგან დიდ ზეგავლენას იღებს. კარგი მეგობარი კარგი მაგალითის მომცემია და შესაბამისად ცუდი მეგობარი აუცილებლად რაიმე ცუდს გაგაკეთებინებს. ამასვე მოწმობს შუამავლის შეგონება მეგობრის შესახებ. შუამავალი მოგვიწოდებს, რომ მეგობრები სწორად შევარჩიოთ და მართალთა მეგობრები ვიყოთ. (იხ. თირმიზი, „ზუჰდ“ 45). იგივეს გვიბრძანებს ყურანიც. (იხ. თევბე, 9/119).

ფორმალური განათლების მიზნები, იმ საშუალებების არსებობითა და განვითარებითაა შესაძლებელი, რომლებიც სწავლა-სწავლების პროცესში აუცილებლობას წარმოადგენს. სწავლება, სწავლების პროცესში გზამკვლევობაა. სწავლის შედეგად ინდივიდის გონებაში შეძენილი, ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ქცევები ყალიბდება. სწავლება გეგმაზომიერად, გარკვეული თანმიმდევ-

რობით ხორციელდება. ინდივიდისგან სასურველი ქცევის მისაღებად, სასწავლო პროცესი ლოგიკური გეგმის მიხედვით უნდა იყოს გაწერილი. ამავდროულად, აღზრდა და განათლება ერთმანეთთან მონათესავე ტერმინებია. აღზრდა უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია, ვიდრე განათლება. განათლებაც აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. ყველა ადამიანი ცდილობს ასწავლოს სხვას ის ყველაფერი, რაც მან იცის, მაგრამ მასწავლებელი ამას პროფესიონალურად აკეთებს. პირველ შემთხვევაში სწავლების შედეგები შეიძლება დადებითი იყოს, მაგრამ ასევე მოსალოდნელია უარყოფითი შედეგებიც. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, დადებითი შედეგების მიღება უფრო მეტადაა მოსალოდნელი.

კარგი და მისაბაძი ადამიანების შერჩევა და მათთან მეგობრობა საკმარისი არ არის. საჭიროა ამ მეგობრობის გაღმავება და მათი არდაკარგვა. ამის მიღწევა კი მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მეგობრულად მოქცევას არასოდეს დავიშურებთ და მუდმივათ კეთილგანწყობას შევინარჩუნებთ. ურთიერთობას სიყვარული და პატივისცემა ამყარებს. ურთიერთობების მიმართ ზერელე დამოკიდებულება კი ამ ურთიერთბას ადრე თუ გვიან დაასრულებს.

5.3. ცოდნისა და საგანმანათლებლო რესურსების მეგობრებისთვის გაზიარება

მორალს გააჩნია როგორც უნივერსალური, ისე ლოკალური განზომილებები. პირველი განზომილება ძირითადად არ იცვლება, მაგრამ რაც შეეხება მეორეს, ის ცვლი-

ლებებისთვის მუდმივად ღია მდგომარეობაშია. ცვალებად ყოველდღიურობაში მორალის ეს უკანასკნელი განზომილება თუ განახლებას განიცდის, მისი თვალსაჩინოდ შემჩნევა, მისი სისტემატიური აღქმადობა რთული ხდება. მაგალითად, ისლამის უნივერსალური ზნეობრივი ღირებულება, რომ მუსლიმი მშობლებს პატივისცემით უნდა მოექცეს და მზრუნველობა არ უნდა მოაკლოს, უცვლელი პრინციპია. ამის პარალელურად, ამ პრინციპის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარება, კონკრეტულ ქცევებსა და დამოკიდებულებებში გამოხატვა, შეიძლება რომ შეიცვალოს. ეს ბუნებრივი პროცესია და ასეც უნდა ხდებოდეს, რადგან თუ არსებული პირობების გათვალისწინება არ მოხდება, კონკრეტული ქმედების განხორციელება შეიძლება შეუძლებელი გახდეს. თუ ადამიანები ისეთ პირობებში აღმოჩნდებიან, რომ კონკრეტულ ქცევას ვერ განახორციელებენ, ეს არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ მათ მორალური ღირებულება დაგმონ. მთავარი მიზანი მორალური ღირებულების უნივერსალური განზომილების შენარჩუნებაა, თორემ ამ ღირებულების გათვალისწინებით ქცევების კლასიფიკაცია შესაძლებელია გარემო პირობებს დავუქვემდებაროთ. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მუსლიმების მხრიდან მორალური პრინციპების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებების წარმოქმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ესაა. ცხოვრების პირობების ცვლილების პარალელურად ისლამური ღირებულებების პრაქტიკულ ცხოვრებაში გადმოტანა არ ხდებოდა და შედეგად ძველი მეთოდები გამოუსადეგარი გახდა, ახლის წარმოება კი არ ხდებოდა.

მორწმუნე მოსწავლე რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებს, იგივე უნდა უსურვოს მეგობრებსაც. თუ ის წარმატებისკენ ისწრაფვის, ასევე ვალდებულია ხელი

შეუწყოს ამხანაგებსაც, რათა ისინიც წარმატებული იყვნენ. ამ თვალსაზრისით მორწმუნე მოსწავლე მეგობრებს არამარტო ცოდნის შეძენაში უნდა დაეხმაროს, არამედ სასწავლო პროცესში საჭირო რესურსებიც უნდა გაუზიაროს. თუ რამე გაუგებარი საკითხი იქნება, მოსწავლეებმა ერთად უნდა იმსჯელონ და ჭეშმარიტ ცოდნამდე ერთსულოვნად მივიდნენ. მორწმუნე მოსწავლე მეგობრების წარუმატებლობას განიცდის და მათი მოტივაციის ამაღლებისთვის ზრუნავს. ის ამ ყველაფერს, როგორც ყოველთვის, მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით აკეთებს და სამაგიეროს მხოლოდ მისგან ელოდება. (იხ. იბნე ჯემაა, 2012; 193). მოსწავლის ამგვარი ქცევა მისთვისაც სასარგებლოა. ის ამგვარი ქცევით ღვტის კმაყოფილებისკენ დგამს ნაბიჯს და ამავდროულად წარმატებული მეგობრებიც ეყოლება.

იბნ ჯემაა ასე გვასწავლის: „მოსწავლე სწავლის პროცესში მიმდინარე საკითხების შესახებ სხვა მოსწავლეებთან განხილვაში ებმება და კამათობს. ამგვარი დისკუსია გამართლებულია თუნდაც მონაწილეები ერთი და იმავე საფეხურზე არ იყვნენ. ნასწავლი თემები ამგვარი მსჯელობის შედეგად უფრო მტკიცდება და მონაწილეებისთვის დასამახსოვრებელი ხდება. ნამდვილ პროფესიონალთან ერთსათიანი დისკუსია უფრო მეტის მომცემია, ვიდრე საათობით წიგნის კითხვა და მეცადინეობა. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ დისკუსია ჯანსაღი უნდა იყოს და მხოლოდ და მხოლოდ კეთილ მიზნებს ემსახურებოდეს. დისკუსიის დროს ზრდილობა და თავმდაბლობა უნდა გამოვიჩინოთ. მოპირდაპირე მხარის წარმომადგენლებს თავაზიანად უნდა მივმართოთ. (იხ. იბნ ჯემაა, 2016; 105, დიპნოტი 91, 193) მოსწავლე სხვა მოსწავლეებისთვის ცოდნის შეძენის ხელშემწყობი ფაქტორი უნდა იყოს. მოსწავლე მეგობრებს უნდა

დაეხმაროს იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც სწავლას ხელს უშლიან. ამ გზით ისინი არა მარტო ცოდნას, არამედ საუკეთესო ზნეობას ეზიარებიან, ხოლო ეს უკანასკნელი უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებაა.

ადამიანის ბუნებაში არსებული მორალური საწყისები თესლის თვისებისაა. მათი აღმოცენება, გაზრდა, გაკვირტვა და ნაყოფის სახით გამოვლინება, მხოლოდ და მხოლოდ განათლებითაა შესაძლებელი. ინდივიდის ზნეობრივი განვითარებისათვის საჭიროა ეფექტური აღმზრდელობითი განათლება, ეს კი ორი მიმართულებით არის შესაძლებელი: პირველი არის ცხოვრების მანძილზე გამოცდილებით მიღებული ცოდნა, ხოლო მეორე გზა ცოდნის შეძენა, აზროვნება და ფიქრია.

ეფექტური და შინაარსიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად საჭიროა მოსწავლეები ერთად მიდიოდნენ წარმატებისკენ და ამ გზაზე ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ერთად მუშაობა, ერთად მეცადინეობა, ნასწავლი საკითხების ანალიზი და შეფასება ცოდნის განმტკიცებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. კარგი ურთიერთბა, ერთმანეთზე ზრუნვა, ერთმანეთზე დახმარება მუსლიმი მოსწავლის საუკეთესო ზნეობის გამოვლინების მაგალითებია.

5.4. მეგობრების მიმართ თანასწორი დამოკიდებულება

კლასში ყველა მოსწავლე უნდა მეგობრობდეს და თანამშრომლობდეს. ამგვარი სასწავლო გარემოს შექმნა, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის მოვალეობაა, მაგ-

რამ ამ საქმეში თავიანთი წვლილი მოსწავლეებმაც უნდა შეიტანონ. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ კლასშ სხვა და სხვა დაჯგუფებები იქმნება და ეს ჯგუფები ერთმანეთთან თანამშრომლობის მაგივრად, შურსა და გაუტანლობას აღვივებენ. ასეთი ჯგუფების შექმნის მიზეზი მრავალგვარია. ასეთი შეიძ ება იყოს; რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილება. შეიძლება კულტურული ან სოციალური კუთვნილების გამოც შეიქმნას დაჯგუფებები. ეს ყველაფერი კლასის ჰარმონიულ თანაცხოვრებას ხელს უშლის და არასასურველი სასწავლო გარემო იქმნება. ამგვარი ტენდენციების გამოვლინების შედეგად იქნმება კონფლიქტები, დაძაბულობები და ხშირად ძალადობაც, რაც სწავლა-სწავლების პროცესისათვის უკიდურესად დამაზიანებელია. გარდა იმისა, რომ ამგვარი გარემო სწავლის პროცესს აფერხებს, ის მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახება. მოსწავლეები უარყოფითი დამოკიდებულებების გავლენის ქვეშ ექცევიან და გარდა იმისა,რომ კონფლიქტურ სიტუაციაში ერთვებიან, მეორეს მხრივ სწავლის შესაძლებლობასაც აზიანებენ. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით საჭიროა ყველა აქტორის ჩართლობა, რათა კლასშ სასურველი სასწავლო გარემო შეიქმნას და მოსწავლეები თავიანთ უპირველეს მოვალეობას, სწავლას დაუბრუნდნენ. ურთიერთსიყვარული და პატივისცემა მუსლიმთა უმთავრესი დადებითი თვისებაა. ამას გვასწავლის ჰადისიც. (იხ. იბნ ჰანბელი, 2,/400)

ბოლოსიტყვაობა

განათლება და მორალი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომლებიც ადამიანის ცხოვრების საფუძველში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, შესაბამისად, ადამიანის ხსენებაზე, მაშინვე განათლება და ზნეობა გვახსენდება. განათლების გარეშე ადამიანის პოტენციალის შესაბამისად განვითარება წარმოუდგენელია და ასევე მორალის გარეშე შეუძლებელია განათლების პროცესის სწორად წარმართვა, რათა ადამიანი სწორად განვითარდეს. ყველა ტიპის საზოგადოებაში განათლებასა და მორალს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. კაცობრიობის ისტორიას რომ გადავხედოთ, მთელი განათლების პროცესი მორალის ელემენტებზე იყო დაყრდნობილი და მორალს განათლების ფუნქციაონირებისათვის ძირითადი როლი გააჩნდა. (ბილჰანი, 1991, 357). დღესაც, განათლების სისტემის ფორმირებაში მორალის ადგილი საკმაოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ტენდენციებიც შეინიშნება. ამრიგად, თუ გვინდა, რომ ადამიანებს კონკრეტული ცოდნა ან უნარები შევძინოთ, ეს პროცესი მორალის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების პროცესში ჩვენდაუნებურად

გვიწევს ზნეობრივი პრინციპების ჩართვა და ეს ცართულობა მთელ პროცესს თან ახლავს. ზოგადად მიიჩნევა, რომ განათლების მიზანია ადამიანი უფრო უკეთესი გახადოს, რაც მორალის გარეშე ვერ მოხერხდება. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელთა ზნეობრიობას, რადგან ისინი ცოცხალი მაგალითები არიან და მათგან მიღებული ცოდნის ხარიხსი სწორედაც რომ მათ ზნეობრიობაზეცაა დამოკიდებული.

მართალია ამ ნაშრომში ძირითადი აქცენტი მასწავლებლისა და მოსწავლის ეთიკაზე იყო გამახვილებული, მაგრამ აქ მოცემული ინფორმაციით ასევე შეიძლება ისარგებლოს ყველა იმ დაინტერესებულმა ადამიანმა, რომელიც რაიმე ფორმით საგანმანათლებლო საქმიანობაშია ჩართული.

წყაროები

აბდულბაქი მუჰამმედ ფუად, ელ-მუჯემულ-მუფეჰრეს-ლი ელფაზილ-ყურანილ-ქერიმ, დარულ ვე მეთაბიუშ-შაბ, 1945.

აჯლუნი ისმაილ ბ. მუჰამმედ.ქეშფულ-ჰაფა, მუზლი-ლულ-ილბასამმა იშთეჰერემინელ-ეჰადისი ალა ელსინე-თილ-ნას.ბეირუთი, 1357

ალთინთაში,მუჰამმედ ესათ, მასწავლებლის თვალით და-ნახული საგანმანათლებლო ღრებულებები. გამომცემლო-ბა ეღითიმი. ქონია, 2016.

ათთას. ს. მ. ისლამური განათლება. ალი ჩაქსუ, სტამბოლი, 1991.

აიდინ მუჰამმედ შევქი, „მედრესეებში უკუსვლის მიზე-ზების შესახებ“. თეოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალი, 4, ქაისერი, 1987.

აიდინ მუჰამმედ შევქი. „შუამავალი, რომელიც ამბობდა, რომ მხოლოდ მასწავლებლად იყო მოვლენილი“. (დაბადების კვირეული, 1993). დიანეთის ფონდის გამომცემლობა. ანკარა, 1995.

აიდინ მუჰამმედ შევქი, „მასწავლებელი შუამავალი“. ე.უ. თეოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალი, ნომერი 9, ქაისერი, 1996.

აიდინ მუჰამმედ შევქი, ყურანის კურსი, როგორც სასუ-

ლიერო აღზრდის ადგილი. 2. ანკარა, 2010.

აიდინ მუჰამმედ შევქი, „შუამავლის სამაგალითოება ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემის საკითხში“. „შუამავალი და ადაიანის ღირსება“ გამომცემლობა დიბ. ანკარა, 2013.

აიდინ მუჰამმედ შევქი, რესპუბლიკის პერიოდში რელიგიური სწავლების ორგანიზება. (1923-2015, 3, გამომცემლობა დემ. სტამბოლი, 2016.

აიდინ მუჰამმედ შევქი, „როგორი უნდა იყოს ადამიანი? განათლების მიზნებში ყურანისა და სუნას მოძღვრების გათვალისწინება“. საზოგადოებრივი ჟურნალი, 1, 2016.

აიდინ მუჰამმედ შევქი, ისლამი და ძალადობა განათლების სფეროში“. რიზე, 2016.

ბაქთირ მუსტაფა, პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება ისლამში, ასჰაბი სუფფე. სტამბოლი, 1984.

ბარბაროსოღლუ ფატმა, „გზასაცდენილი ლექტორები“. გაზეთ „იენი შაფაქ“. 02.03. 1018.

ბარბაროსოღლუ ფატმა, „არის მასწავლებელი და არის მასწავლებელი!“ გაზეთ „იენი შაფაქ“. 28.02. 1018.

ბაირაქთარ, მ. ფარუქ. მასწავლებლისა და მოსწავლის როლი ისლამური განათლების სისტემაში. თეოლოგიის ფაკულტეტის ფონის გამომცემლობა. სტამბოლი, 1984.

ბედევი მ. ე. ზექი. ტრადიციული განათლების თანამედროვე მიზნები. ს.მ. ნაქიბ ელ-ათთასი. გამომცემლობა ანდალუსია. სტამბოლი, 1991.

ბილგინი, ბეიზა, განათელბის მეცნიერება და რელიგიური სწავლება. ა. უ. თეოლოგიის ფაკულტეტი. ნო. 185. გამომცემლობა ანკარა. 1988.

ჯოშქუნ აჰმეთ ჰაქანი, განათლების თანამედროვე მიზნები. გაზეთ „ჰურრიეთ“ 16 ნოემბერი. 2014.

ჩელები აჰმეთ, განათლების ისტორია ისლამში. ალი იარდიმი, გამომცემლობა „დამლა“ სტამბოლი, 1983

ჩელიქ ზაფერი, მურათ ოზოლლუ, ბექირ ს. გურ, განათლება ტრადიციის გარეშე. სეტა, 08 მარტი, 2010.

ჩინარ იქრამი, „განათლება და ძალადობა“. თანამედროვე საგანმანათლებლო ჟურნალი, ნომ. 254, ს

გვ, 42-46; მაისი, 1999.

დამ ჰასანი, განათლების თანამედროვე მიზნები. თეოლოგიის ფაკულტეტი. ჟურნალი, ნომ. 34, 2013.

ერდენ მუნირე და აქმან იასემინი, განვითარება და განათლება, 10. ანკარა, 2001.

ერგინ ოსმანი, განათლების თანამედროვე მიზნები. 1-5, სტამბოლი, 1977.

ფაზლურრაჰმანი, ისლამი. თარგმნ. მ. დაღ-მ. აიდინი. სტამბოლი, 1981.

გოქა ეროლი, „ინტერნეტი და ანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემები“. ყენი შაფაქი, 8 მაისი, 2016.

გუნეშ ადემი, ძალადობა, განათლება და ღირებულებები. გამომცემლობა ფუტკრის ხელოვნება. სტამბოლი, 2016.

გუნგორ ეროლი. ისლამის თანამედროვე საკითხები. 3. კერძო გამომცემლობა. სტამბოლი, 1984.

ჰამედ გენემ ქადდური, მუჰადარათ ფი ულუმულ-ყურან, ბაღდადი, 1981.

ჰამიდულლაჰ მუჰამმედი. ლე პროპეთე დელ ისლამ. 1-2.

გამომცემლობა დეუქსიამე. ბეირუთი, 1975

ჰალსთიდ ჯ. მარქი. განათლების თანამედროვე მიზნები. თარგ. სემრა ჩინემრე. ცხრამეტი მაისის უნივერსიტეტი, თეოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალი.2012/ნო. 32. გვ. 273-291.

ჰაინეს ფელისითი, განათლების ეთიკა, თაგრ. სემრა ქუნდ აქბაში. გამომცემლობა აირინთი, სტამბოლი, 2002.

იბნ ჯემაა, ბედრუდინ სადულლაჰი.განათლების თანამედროვე მიზნები. ძალადობა, განათლება და ღირებულებები. ქაირო, 1354 ჰიჯრით.

იბნ ჰალდუნი, მუქადდიმე, 1-5. თარგმნ. ზაქირ ქადირი უკან. გამომცემლობა მ. ე. სტამბოლი, 1991.

იბნ შაჰნუნი მუჰამმედ. განატლების მიზნები. განათლება და ღირებულებები. თარგმნ. მ.ფ. ბაირაქთარი, გამომცემლობა იფავ. 4. გამოცემა. სტამბოლი, 2014.

გაბისი ებულ-ჰასენი ალი ბ. მუჰამმედი ბ.ჰალეფი. (გარდაიცვალა 403) მასწავლებლისა და მოსწავლის როლი ისლამში. თარგმნ. სულეიმან ათეში, ჰ.რ. ოიმენი. ანკარა, 1966.

ქათიბ ჩელები, მუსტაფა ბ. აბდულლაჰი, კეშფუზ-ზუნუნ ან ესამილ-ქუთუბი. 1-3. სტამბოლი, 1941.

ქენან სეიფი, „წესები ვისთვისაა“. რელიგია და ცხოვრება. ნო. 6. 2009

ქელლი მელისა.სახელმძღვანელო ახალი მასწავლებლებისათვის. თარგმნ. მერსიე შიმშექმა. გამომცემლობა არქადაში. ანკარა, 2010.

ქუჩუქაჰმეთ ლეილა, განათლების თანამედროვე მიზნები, გამომცემლობა ნობელი. ანკარა 2010.

მებ. ისლამის ენციკლოპედია. 8, (მესჯიდი მად..) 2, სტამბოლი, 1971.

მებ. 2015-2019, სტრატეგიული გეგმა. ანკარა 2015.

ნაზიროღლუ ბაირამალი, ისლამის ტრადიციაში მასწავლებლის როლი, სარქაჩი, ანკარა, 2011.

ოუზქან ფერჰანი, ალაილი რ. განათლების ტერმინოლოგია. გამომცემლობა თდქ. ანკარის უნივერსიტეტი. 2. ანკარა, 1981.

ოქიჩი, თაიბი. ქალთა განათლება ისლამში. გამომცემლობა დიბ. ანკარა 1978.

ოქუიუჯუ ჯიჰანი, მევლანას მონაყოლი, მესნევი. 8. გამომცემლობა ჰაიათი, სტამბოლი, 2006.

ოჯალ მუსტაფა, რესპუბლიკის პერიოდში რელიგიური სწავლება და რელიგიური ცხოვრება. 1-3. გამომცემლობა ენსარი, სტამბოლი, 2008.

ოიმენ ჰ. რაშიდი, დაღ მეჰმედი. ისლამი და ძალადობა განათლების სფეროში". რიზე, 1974

ოზდემირ სერვეთ, პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება ისლამში, ასჰაბი სუფფე. ანკარა, 2008.

პრესსეი სინდეი. განათლების ფსიქოლოგია. 1-2. სტამბოლი, 1975

საბან, 2005, (გვ. 47)

სემერჯი ბენგი. „არის მასწავლებელი და არის მასწავლებელი!" გაზეთ „იენი შაფაქ". 10.12.2016

სონმეზ ვეისელი. მასწავლებლისა და მოსწავლის როლი ისლამური განათლების სისტემაში. 1996

შაჰატა ჰასანი ტრადიციული განათლების თანამედროვე მიზნები. ს.მ. ნაქიბ ელ-ათთასი. გამომცემლობა ანდალუსია. სტამბოლი, 1994.

შიბლი მევლანა. ასრი საადეთ, 2.

შასა აიშე, განათლების თანამედროვე მიზნები. გაზეთ „ჰურრიეთ“ სტამბოლი. 2010.

თარჰაბანი, განათლების ისტორია ისლამში. ალი იარდიმი, გამომცემლობა „დამლა“ სტამბოლი, 2008.

თედმემი. მურათ ოზოღლუ, ბექირ ს. გურ, განათლება ტრადიციის გარეშე. სეტა, 08 მარტი, 2017.

თოფჩუ ნურეთთინი, „განათლება და ძალადობა“. თანამედროვე საგანმანათლებლო ჟურნალი, 2014

თურან ოსმანი, განათლების თანამედროვე მიზნები. თეოლოგიის ფაკულტეტი. ჟურნალი, ნომ. 34, 2000.

ულუდაღი სულეიმანი, განვითარება და განათლება, გამომცემლობა ირფანი. სტამბოლი, 1975.

უზუნჩარშილი ი. ჰაქქი, განათლების თანამედროვე მიზნები. 1-5, სტამბოლი, 1984.

უაქუთ ელ-მენევი. , ისლამი. თარგმნ. მ. დაღ-მ. აიდინი.

იარან ჯაფერ სადიქი, „ინტერნეტი და ანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემები“. ყენი შაფაქი, 8 მაისი, 2015.

იაზირ ჰამდი, ძალადობა, განათლება და ღირებულებები. გამომცემლობა ფუტკრის ხელოვნება. სტამბოლი, 1935.

ზერნუჯი ბურჰანუდდინი. ისლამის თანამედროვე საკითხები. კერძო გამომცემლობა. დარულ-მუჰადდისინ. ქაირო, 2012. .

განათლების ზნეობა

ადამიანი დაბადებიდანვე გარემოში არსებული მორალის სხვადასხვა სახით გამოვლინებას აბსტრაქტულად აღიქვამს და ეს ყველაფერი მისი ზნეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაღალი ზნეობის სხვა და სხვა გამოვლინებები ადამიანს საშუალებას აძლევს გაითავისოს და ისწავლოს ეს ყველაფერი და ეს ცოდნა, როგორც წესი, ეფექტური და საფუძვლიანია.

ინდივიდმა კონკრეტული ქცევების მიზეზები რომც ვერ გაიგოს, ასე გამოცდილებით, დანახვით შესწავლილ ქცევებს დროთა განმავლობაში ითავისებს და იმეორებს. დროთა განმავლობაში მორალური ღირებულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ქცევები ადამიანს ჩვევად ჩამოუყალიბდება და უფრო მეტიც, ადამიანის ცხოვრების წესად იქცევა.